

K 188.493

3

ଓଲ୍ଲିଙ୍ଗ ଅନ୍ତେଲାର୍ମା



ମୋହନତ୍ରୈଲିଙ୍ଗନ୍ତେ  
ପ୍ରକାଶକାଳୟକିଂ  
ଲା ଏହିଲିଙ୍ଗନ୍ତେକିଂଜି  
ମୋହନତ୍ରୈଲିଙ୍ଗନ୍ତେ

XI-XIII ଲେ.

ପ୍ରକାଶକାଳୟ

საქართველოს სსრ მიწნისარიგითა აკადემია

მც. კავალერი სახ. ისტორია, არქეოლოგია და მთელი სამსახური  
ინსტიტუტი



63 570  
2-66

0701 აგილავა

✓

საქართველოს ცენტრალური და  
ადგილობრივი მმართველობები  
XI—XIII საუკუნეები



K 188.493 5564  
3



ეროვნული მუზეუმი  
საქართველო  
1983 წლის 22 მაისი  
ექსპოზიცია

რეკომენდირება „მეცნიერება“

თაღილი

1983

9 (C 41)  
63.3 (2 Γ)  
9 (47.922)  
• 657

ნაშრომში საბჭოური ქართველების მიღწევათა გათვალისწინებით, მაჩქისტრულ-ლენინგრად შეოთვოლოვანს ბაზაზე, შესწავლა და XI—XIII ს. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, უწყებრივი სტრუქტურა და სამოხელო მმართვის ნინებისა მმართველობის კლასობრივი არსი, მისი ექსპლოატაციული ხასიათი, დადგენილი და დაზუსტებული სამოხელეო თანმიღებობათა ფუნქციები, მთავ ნიმუშალიბრების დრო, ასევე სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელსაც უმოალოდ არიან ღიაცმისტებული საკეთო თემასთან.

რედაქტორი პროფ. 6. შენგელია



## ЧАСТЬ А ЗАЧИТИ

Следующим этапом в истории СССР было введение в 1969 году новой концепции исторического развития страны. В соответствии с этой концепцией, основные задачи национальной политики определялись как задачи формирования единого народного государства на основе единства языка и культуры. Важнейшим элементом этого процесса было создание единого национального образования, которое должно было способствовать интеграции различных народов в единую национальную общность. Для этого были предприняты меры по улучшению языковой политики, созданию новых образовательных учреждений и т. д.

Кроме того, в 1970 году был принят Закон о языке, который устанавливает языки национальных меньшинств в качестве официальных языков в соответствующих регионах. Это было сделано для того, чтобы обеспечить равные права для всех национальностей в сфере образования и культуры.

XI—XIII годы характеризуются дальнейшим развитием языковой политики. В 1972 году был принят Закон о языках национальных меньшинств, который устанавливает языки национальных меньшинств в качестве официальных языков в соответствующих регионах. Это было сделано для того, чтобы обеспечить равные права для всех национальностей в сфере образования и культуры.

В 1974 году был принят Закон о языках национальных меньшинств, который устанавливает языки национальных меньшинств в качестве официальных языков в соответствующих регионах. Это было сделано для того, чтобы обеспечить равные права для всех национальностей в сфере образования и культуры.

В 1976 году был принят Закон о языках национальных меньшинств, который устанавливает языки национальных меньшинств в качестве официальных языков в соответствующих регионах. Это было сделано для того, чтобы обеспечить равные права для всех национальностей в сфере образования и культуры.

<sup>1</sup> Итоги и задачи изучения истории древнейших государств нашей страны, История СССР, № 2, 1974, с. 71.

<sup>2</sup> Изучение отечественной истории в СССР между XXIV и XXV съездами КПСС, вып. 2, М., 1978, с. 3.

<sup>3</sup> Там же.

<sup>4</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 25, ч. II, с. 354.

საზოგადოებაში სახელმწიფო გამატონებული კლასის იარაღით  
ჩთა მასების დასამორჩილებლად, მათ საექსპლოატაციოდ, ცალიადა,  
ასეთსავე მიზნებს ემსახურებოდა XI—XIII საუკუნეების საზოგადოებაში  
ლოს ცენტრალური და აღვილობრივი მმართველობის სისტემაც-  
ამასთან, ეს სისტემა აუცილებელ ეტაპს წარმოადგენდა ქვეყნის  
ისტორიული განვითარების გზაზე და მისი შესწავლა მნიშვნელოვანია  
საზოგადოების ეკოლუციის კანონზომიერებათა წარმოსაჩენად.

წინამდებარე ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმო-  
ადგენს მარქსიზმის კლასიკოსთა ოთორიული მემკვიდრეობა საზო-  
გადოების პროგრესული განვითარების შესახებ.

ნაშრომის წყაროთმცოდნებით ბაზას შეადგენს ქართული და  
უცხოური ნარატიული, დოკუმენტური და ეპიგრაფიკული მასალა,  
რომელიც შესაძლებელი სისრულითაა გათვალისწინებული.

XI—XIII საუკუნეების საქართველოს ცენტრალური და აღვი-  
ლობრივი მმართველობის სისტემა არ ყოფილა აქამდე მონოგრაფი-  
ული შესწავლის საგანი, თუმცა აღნიშნულ პრობლემისთან დაკავ-  
შირებული მრავალი საკითხი განხილულია ისტორიოგრაფიაში და  
სათანადო მოსახრებებიცაა გამოთქმული. თითოეული მათგანი გა-  
თვალისწინებულია წინამდებარე ნაშრომის სათანადო მონაკვეთებში,  
გამოყენებულია მათი პოზიტიური შედეგები. ამასთან, ბევრი საკითხი  
ახლებურადა შეფასებული და შესაბამისად კრიტიკულადაა განხი-  
ლული მათ შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთ-  
ქმული მოსახრებანი და დებულებები.

ნაშრომის სიახლეს შეადგენს ცენტრალური და აღვილობრივი  
მმართველობის სისტემის კომპლექსური შესწავლა, პრობლემის  
მონოგრაფიული განხილვა. წარმოადგენილია მმართველობის ცენტრა-  
ლური აპარატის უწყებრივი სტრუქტურა და მისი შესაბამისი სამო-  
ხელო ინსტიტუტები. დაზუსტებულია ცალკეული სახელობის ჩამო-  
ყალიბების დრო და პირობები, მათი ფუნქციები. არსებული მცირე-  
რიცხვებით წყაროების პირობებში შესაძლებელი სისრულით შე-  
სწავლილია ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების, „სა-  
ერისთავოების“ შინაგანი სტრუქტური და სამოხელეო წყობა, სამე-  
ცნ დომენისა და ქალაქების მმართველობის აპარატი.

აღნიშნული საკითხების დამუშავებისას შეძლებისდაგვარად  
მხედველობაში გვქონდა ორიენტაციისტებისა და მედიევისტების გა-  
მოკედევები, დაგროვილი თეორიული და პოზიტიური მასალა. შეკვ-  
ცადეთ პრობლემა დაგვენახა ისტორიულ-შედარებით ჭრილში, თუმცა  
ქართული სახელმწიფოებრივი იმსტიტუტების ისტორიულ-შედარები-  
თი თვალსაზრისით მონოგრაფიული შესწავლა კვლავაც რჩება მო-  
მავლის ამოცანად.

საქართველოს ცენტრალური და აღვილობრივი შმართველობის  
ისტიტუტების შესწავლისას თავი იჩინა ტექსტების ცალკეული მუნიციპალიტეტების, ქრონოლოგიის და სხვ. დაზუსტებასთან დაქმდებრებულების ბევრმა კერძო საკითხმა. შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, პასუხი გაეცეცა მათზე, ცხადია, ნაშრომის ძირითადი თემისათვის ზიანის მიუყვნებლად.

წინამდებარე ნაშრომში არაა საუბარი ეპოქის დამანაბიათებელ ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, მათი განვითარების ტენდენციებსა და პერსპექტივებზე, ვინაიდან აღნიშნულ პრობლემაზე ჩვენი თვალსაზრისი ვრცლადა გადმოცემული ნაშრომში, რომელიც საგანგებოდ მიეძღვნა ამ სპეციალურ, საღისეუსიო საკითხებს<sup>5</sup>. წინამდებარე მონოგრაფია აღნიშნული ნაშრომის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს კონკრეტული კადვეა-ძიების თვალსაზრისით.

ნაშრომის სათანადო მონაკვეთებში საკმაოდ ვრცლადა მიმოხილული ყველი კონკრეტული საკითხის ისტორიოგრაფია და შესაბამისი წყაროები. ამიტომ, გამოორებების თავიდან ისაცილებლად ნაშრომს არ ერთვის წყაროებისა და ლიტერატურის ტრადიციული მიმოხილვა. ამავე მიზეზით, მოვერიდეთ როგორც სხვა მკალევართა, ისე ჩვენი, უავე წერილობით გამოიქმული მოსაზრებების ვრცლად მოტანის და განხილვის, როცა ეს აუცილებელი არ იყო ნაშრომის ძირითადი თემისათვის.

<sup>5</sup> ი. ანთელავა, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ძრობის საკითხები, თბ., 1980.

## სამეცნ ხელისუფლება

ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სამეცნ ხელისუფლების პრობლემა მშეიღროდა დაკავშირებული საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საყითხოანი.

ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის შეფის ხელისუფლება დაკავშირებულია „აფხაზთა მეფების“ (resp. დასავლეთ საქართველო) ხელისუფლებასთან<sup>1</sup>, რომელთა ეკოლითაც განხორციელდა ქვეყნის გეორთიანება<sup>2</sup>. „აფხაზთა მეფების“ შივრ ქვეყნის გეორთიანების თავისი საფუძვლები და სპეციფიკური მიზეზები გაამნდა, არსებითი მოვლენებით იყო შეპირობებული<sup>3</sup>. ამგვარმა ვითარებამ თავისი გვიდლენა იქონია „კოველი საქართველოს“ სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზეც<sup>4</sup>.

ერთიანი საქართველოს შეფის ხელისუფლებას თავის ღროშე

<sup>1</sup> იბ. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განკითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, იქვე განხილული და ქრისტელად შეცვალებულია პრობლემის სტრუქტურით.

<sup>2</sup> ე. გვიანიშვილი, ქართული სამეცნლის სტრუქტურა, წ. II, ნაკვ. II, ტფ., 1928, გვ. 112; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს სტრუქტის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 584; გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4—24.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 584; გ. მელიქიშვილი, გვ. 4—24.

<sup>4</sup> გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

<sup>5</sup> იბ. ლ. ტუჩიშვილი, „ფეოდალი საქართველოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი და მერიოლინაციის პრობლემა, კრებ. საქართველოს ფეოდალური ხანის სტრუქტის პერიოდიშიცაცია, თბ., 1980, გვ. 114. ამ ნაშრომში ავტორი მოვალეობის აზრის, თითოეულ წევნის ჩევნ დას. საქართველოს დამსახურების სენატისალური საკუთრების გამარჯვებით და არა ენობრივ-ეთნიური ბარიტებით ცხსნილეთ (გვ. 117). ას შენიშვნა უმართებელოა, რადგან ჩვენ ქვეყნის პოლიტიკურ დაშლისთან დაკავშირებით, ხაზგასმელი გვაქვს სწორედ ეთნოგრაფიული მომენტი (ი. ანთლევა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის სტრუქტის საკითხები, თბ., 1980, გვ. 239—240) და მკაფიოდ ესხვავთ მის ფეოდალური დატეციაცებისაგან, რაც სენატისალურ საკუთრებათანაა დაკავშირებული (იქვე, გვ. 227—231).

ვრცლად შეეხო ი. ჯავახიშვილი<sup>6</sup>, რომელმაც შეისწავლა მეფის ხელი სუფლების მხარეალი მხარე, მისი უფლებამოსილება, სათანადო ტრადიციები და რიტუალები. სამეფო ხელისუფლების საკითხს „მიზანის სხვა მკვლევარიც შეეხო<sup>7</sup>. საგანგებო შესწავლის საგანი განვითარების საქართველოს მეფეების ტიტულატურა და შისი ნამოყალიბება<sup>8</sup>. უკანასკნელ ხასი განსაკუთრებული უურადღება მიექცა ე. წ. აერთნებობა-თანადგომისა“ და „თანამიმდევრობის“ ფორმულებს და ამ მხრივ სავსებით სწორი, მეცნიერულად დამაჯვრებელი შედევებიც იქნა მიღებული.

არცთუ დიდი ხნის წინ გამოსულ ჩვენს ნაშრომში საშუალება გვქონდა საქაოდ ვრცლად შევხებოდით სამეფო ხელისუფლების საკითხსაც<sup>10</sup> და წარმოგვედგინა ჩვენი პოზიცია ამ მხრივ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსახრებების შესახებ. ვრცლად განვითარეთ ქართველი მეფეების „თვითმშერობელად“ წოდების საკითხი და მივეღით იმ დასკვნამდე, რომ აქ არ შეიძლება იგულისხმებოდეს „აბსოლუტიზმი“, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს<sup>11</sup>.

გამორჩების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ აღარ განვიხილავთ ყოველივე იმას, როს შესახებაც აღნიშნულ ნაშრომში იყო უკვე საუბარი. არ შევეხებით სამეფო ხელისუფლების საკითხთან დაკავშირებულ „რომანტიზმის“ პრობლემასაც, რომელიც სათანადო ლიტერატურაზე დაყრდნობით<sup>12</sup> განხილული გვქონდა<sup>13</sup>.

<sup>6</sup> ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და შისი უფლების სტორი, ტრ. 1905; მისი კართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნავკ. II, გვ. 109—237.

<sup>7</sup> ი. სურაგველიძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვეს, ტ. I, თბ., 1952; გ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XIII საუკუნეებში, თბ., 1970; გ. ბერძნიშვილი, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა სტრუქტურაზე, თბ., 1969 და სხვ.

<sup>8</sup> ქ. სტეფანაძე, XI—XII საუკუნეების საქართველოს მეცნობა ტიტულების გავრცელების, ძიგბაზი საქართველოსა და კავკასიის სტრუქტურაზე, თბ., 1976. იქვე ბიბლიოგრაფია.

<sup>9</sup> ქ. გესხია, საშინაო პოლიტიკური კომიტეტი და სამოქალეო წევბა XII ს. საქართველოში, თბ., 1979, გვ. 63—79.

<sup>10</sup> ი. ანთლიავა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მტორის საკონტექსტში, გვ. 112—129.

<sup>11</sup> შერ. ვ. აბაშეძე, ნარკვევები, გვ. 247—254; „აბსოლუტიზმის“ და „აბსოლუტური მონარქიის“ შესახებ იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 10, с. 432; С. Д. Сказкин, Проблема абсолютизма в Западной Европе, Избранные труды по истории, М., 1973, с. 341—356; იხ. ჩვენი ნაშრომის გვ. 115—117.

<sup>12</sup> „Абсолютизмъ“ იხ. Ш. Пти-Дютайи, Феодальная монархия во Франции и в Англии X—XIII в., М., 1938, с. 23—24; А. Науэт, The Social History of Art, vol. 1, New York, 1951, გვ. 157—167.

<sup>13</sup> ი. ანთლიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 231—235.

სამეფო ხელისუფლება წევნ გვაინტერესებს მშვერად ცენტრალური და ოდგილობრივი მმართველობის პრობლემათან, კავშირში.

სამეფო პრეტორგატივების შესახებ ვრცლად იყო საფუძველზე<sup>14</sup>. მეფე იღა მოელი აღმინისტრაციული სისტემის სათავეში, ნორმალურ ვითარებაში ნიშნავდა და გადააყენებდა ცენტრალური და ოდგილობრივი პარატის მოხელეებს. როგორც სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ბრიტანული მმართველობის ორგანოებს — სასახლეს (resp. ცენტრალურ მმართველობას) და ოდგილობრივ ტრეტორიულ-აღმინისტრაციულ ერთეულებს, საერისთავოებს; სამართლის კერძო საწყისის საფუძველზე ფლობდა და განაცემდა სამეფო სახლის დომებს; უმაღლესი სიუზერენიტეტის და სახელმწიფო უზენაესობის უფლებებით ხელი მიუწვდებოდა სხვადასხვა იურიდიული რეემის მიწა-მამულზე.

მეფეს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, შეეძლო მოეთხოვა და დაევალებინა მოსახლეობისათვის გზების, ხიდების, საციხო სამუშაოები შრომის აუნაზღაურებლად<sup>15</sup>. მას ეკუთვნოდა ძლვენის, გადასახადებისა და სამსახურების სამეფო პრივილეგიები, რომლებიც თავისი ბუნებით ახლო დგანან სათანადო დახავლეთევროპულ პრივილეგიებთან (donum, tributum, servitium)<sup>16</sup>.

ერთიანი საქართველოს მეფეების „ღეთისსწორობის“ ფორმულას არაერთგზის შეენენ ისტორიოგრაფიაში<sup>17</sup> და იგი სამართლიანადაა დაკავშირებული ბიზანტიურ იზოთვოსთან<sup>18</sup>. ჩვენი აზრით, სათანადო ბიზანტიური ფორმულის გადმოღებაა მიმართვა ქართველი მეფისადმი — „წმინდამან მეფობამან თქუენამან“<sup>19</sup>. ნიშანდობლივია, რომ ბიზანტიის იმპერატორები (ვასილევსები) იწოდებოდნენ წმინდად, ღვთაებრივად, მზედ, ღვთისშვილად<sup>20</sup>. მმ ტიტულებთან და ეპი-

<sup>14</sup> ი. ფაფაშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 212—235.

<sup>15</sup> უდრ. ამ მხრივ დას. ეკრანული მასალა. А. Я. Гурович, Английское крестьянство в X — начале XI в., Средние века, т. IX, М., 1967, с. 76.

<sup>16</sup> იბ. Н. Ф. Колесников, Феодальное государство, М., 1967, с. 53.

<sup>17</sup> ი. ფაფაშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 123; ს. ბერძენიშვილი, საქართველოს სამართლის საქათხები, ტ. VIII, თბ., 1974, გვ. 143.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> ქართული სამართლის მეცნები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 163.

<sup>20</sup> Н. Скабалович, Византийское государство и церковь в XI веке, Спб, 1884, с. 144.

თეტრებთან პირდაპირ კავშირშია სათანადო ქართული ფორმულები  იგი მხეთად<sup>21</sup>, „სამებისაგან თოხად თანააღმენებული“<sup>22</sup>, უკავებულისა და სხვ. წევნ საშუალება გვქონდა ოდენებიშნა, რომ საქმებულებები ტიტულებისა და ეპითეტების გადმოლება ბიზანტიური სინამდვილიდან არ იყო ბრძანი და მექანიკური სესხება. იგი შეიძროდ უკავშირდებოდა დიდი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ქართველი შეფის უფლებების ტრანსფორმაციას ასე თუ ისე დამოკიდებული მმართველიდან „თუთ მპყრობელი“, „კეისარიობის“ უფლებებით აღჭურვილი მონარქისა და<sup>23</sup>.

ბიზანტიის იმპერატორის „ღვთისსწორობა“ გამოიხატებოდა „თაყვანებაში“ (προσκύνησις) და „შესხმაში“ (ενθύμιασις)<sup>24</sup>. „თაყვანება“ და „შესხმა“ იმპერატორს ეკუთვნოდა მისი აღიარების (ἀγάρτησις) შემდეგ<sup>25</sup>. ამ ცერემონიალთან შეიძროდ დაკავშირებული ჩანს ქართული ფორმულა „თაყვანება-დალოცვა-დიდება“. ახალგამეფებული თამარი ლაშქარშა (სპამ) „თაყვანისცეს, დალოცეს და აღიდეს“<sup>26</sup>. იგივე ცერემონიალი ჩანს „შეფის კურთხევის წესში“<sup>27</sup>. ამ ცერემონიალს იმეორებდნენ სახეიმო შემთხვევებში.

ვფიქრობთ, „თაყვანება-დალოცვა-დიდება“, შესაბამისი ბიზანტიური ცერემონიალის ზუსტ შესატყვისს წარმოადგენს. შეფისადმი „თაყვანება-დალოცვა“, მკეთრად უნდა გამსხვავდეს იმ ცერემონიალისაგან, როდესაც შეფე „ითაყვანებდა“ და „დალოცვადა“ „დარბაზის ყმებს“ (ამის შესახებ საუბარია სასახლის პერსონალის შესახებ მონაკვეთში).

შეფისადმი მიმართების ფორმას წარმოადგენდა „კადრება“, „აჯა“<sup>28</sup>. ნებისმიერ პირს, რა რანგისა და მდგომარეობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, მეფისათვის უნდა „ეკადრებინა“ სათხოვარი, „დააჯებოდა“ მას. ი. ვაკებიშვილს აღნიშნული აქვს, რომ შეფის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ენის მოკვეთა იყო დაწესებული<sup>29</sup>. უნდა

<sup>21</sup> სტრანი და აზმანი შარავანდულთანი, გვ. 26.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>23</sup> ი. შ. ბადრიძე, დავით დიდი ტაოელის პოლიტიკური სტატუსის საკონსაფისი, თუ შრომები, ვ. 8—9 (155—156), თბ., 1974, გვ. 87.

<sup>24</sup> ი. ანთელავა, ლამაზ. ნაშრომი, გვ. 114.

<sup>25</sup> Н. С к а б а л а н о в и ч, Византийское государство, с. 145.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> სტრანი და აზმანი შარავანდულთანი, გვ. 27.

<sup>28</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 53.

<sup>29</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის სტრანი, ტ. II, ნაკვ. II, გვ. 478—479, 519 და სხვ.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 519.

ალინიშვილს, რომ ამსა „კადნიერად კადრებას“<sup>31</sup> უწოდებდნენ და ივრ, როგორც ჩანს, საშინელი შედეგების გამომღები იყო ცალიერებული შეკადრებებისათვის“. ამვეარ მოქმედებას „აკლება“ მოსტრებული ჩატარებული ხისტყაოსნის“ მიხედვით „კადნიერად კადრებისათვის“ ვეზირ სოფრატს „აკლება“ ემუქრებოდა (65,66). როგორც ჩანს, „კადნიერად კადრება“, ანუ მეფის შეურაცხყოფა თავისი ბუნებით ასლო დგას დასავლეთევროპულ „უძალებულესობის შეურაცხყოფასთან“ (ისკორელი ველიჩეს्तვა)<sup>32</sup>.

„აკლება“ მეფის პრეროგატივის შეაღებენდა და იგი მას იყენებდა არა მხოლოდ „კადნიერად შეკადრებელთა“ მიმართ. მეფისადმი დანაშაულს, როგორც ჩანს, ყოველთვის „აკლება“ მოსდევედა. როდესაც დამნაშავეს „შესამენდნენ“<sup>33</sup> მეფის წინაშე, ამსა დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა სათანადო სანქციები. „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ „შესმენს“ შეეძლო „სახლის გარდაცვა“ გამოეწვია (1197). ამიტომაცა, რომ მოკვეიანო სახისსაც სიგელუბში უდანაშაულოდ „შესმენისათვის“ დიდი ფულადი ჯარიმად დაწესებული. მოკვეიანო მასალიდან ისიც ჩანს, რომ „აკლება“ ანუ „დარბევა“ მეფის მოხელეების შემოსავლის წყაროსაც შეაღებენდა, მათ გარკვეული წილი ეკუთვნიდათ „აკლებულის“ ქონებიდან<sup>34</sup>.

„შესმენის“ და შესაბამისად „აკლების“ მაგალითებია ბასილი მწიგნობარითუხუცესის და შესტუმრე ჯიქურის ბედი<sup>35</sup>, რომლებიც „შესმენის“ საფუძველზე ყოველგვარი გამოძიების გარეშე სიკედილით იქნენ დასჯილი. აქედან ჩანს, რომ მეფეს ხელი მიუწვდებოდა ნებისმიერი პიროვნების სიცოცხლეზე (ცხადია, ნორმალურ ვითარებაში).

მეფის ეს უფლება, ცხადია, ყოველთვის როდი ხორციელდებოდა. იგი დამკიდებული უნდა ყოფილიყო კონკრეტულ სიტუაციებზე, მისი მოწინააღმდევებისა თუ დამნაშავე პირის რეალურ შესაძლებლობებზე.

მეღე სახელმწიფოებრივ მმართველობას ახორციელებდა სასახლის უწყებების, მისი მოხელეებისა და აღვილობრივი საჯარო და

<sup>31</sup> სატორიინი და ამანი შარევანდელთანი, გვ. 94.

<sup>32</sup> ი. ფისტელ დე-კულანჯ, ფრანკური მონარქია, თ. III, ცლ, 1907, ც. 163.

<sup>33</sup> „შესმენს“ შესახებ ის. ი. ჭავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 490—491.

<sup>34</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 261. შლი. დავთ ნარინის ერთი სიტყვის ცეცხლის შეუდებლობა და მოურბეველობა“. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 72.

<sup>35</sup> ე. ა. თ. ა. ლ. მ. წ. ე. რ. ე. ც. ა., გვ. 238, 253.



კერძო სამოხველეო აბარატის შეშვეობით. ცხადია, მას პრაქტიკულად არ შეეძლო ყველა საქმის ხელმძღვანელობა, მაგრამ ჩანს, როგორც მატერიალური ფონ ხელისუფლება ცდილობდა მირთვის ყველა ძაფი ხელთ გვერდის მიზანით. „თვინიერ მეფისა საურავი“<sup>35</sup>, შეფის პრეტრიგატივების ხელყოფად, მის შეურაცხვოფად, მძიმე დანიშნულიდ იყო მიჩნეული და ამგვარი რამ სიკვდილით ისჯებოდა<sup>36</sup>. აღმინისტრიაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, საერთისთვოვებს ერთისთვევები განაცხადნენ მეფისიგან დალეგირებული უფლებით, მაგრამ სამეფო ხელისუფლება ხშირად შიდონდა აღვილებშე „მანდაურ საქმეთა“<sup>37</sup> განსახილეველად. ასეთ შემთხვევაში, ცხადია აღვილობრივი ხელისუფლება მეფის ხელში გადადიონდა და იგი უშუალოდ ახორციელებდა ხელისუფლებას იმ რევოლუციის, საღაც იშკოდებოდა ყოველ კონკრეტულ მომენტში თავის „სასახლესთან“ ერთად.

მეფის გადაადგილება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. საშეფო პრივილეგიას შეადგენდა მეფეთა „ზარით“<sup>38</sup>, „ნობათით“<sup>39</sup> მსელელობა<sup>40</sup>. მასთან ერთად, როგორც სათანადო მასალიდან ჩანს (ამას ქვემოთ), გადაადგილდებოდნენ ცენტრიალური მმართველობის უწყებები.

მეფის, როგორც აღმინისტრაციული სისტემის სათავეში მდგომის, სახელმწიფოს მეთაურის პრივილეგიები და რეგალიები გამოხატული იყო ტანისამოსიში<sup>41</sup>, სამქაულებში<sup>42</sup>, სამეფო ხელისუფლების სიმბოლურ ატრიბუტებში<sup>43</sup>. ასევე, სამონეტო და სიბავო რეგალიებში, საშედრო ნაღაელის „ფანჯიაქში“.

ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეთაური, ცხადია, თავისი კლასის, ფეოდალთა კლასის ღვიძლი შეიძლი, მისი მეთაური და მისი ინტერესების გამტარებელი იყო. მისი ცენტრიალური და აღვილობრივი აპარატიც კლასობრივ მიზნებს, ფეოდალთა საკუ-

<sup>35</sup> კამთა აა ღმ წ ე რ ი ღ ი ღ ი, გვ. 253.

<sup>36</sup> იქვე.

<sup>37</sup> ქ. რ ა კ ვ ე ლ ი მ ვ ი ღ ი, საქართველოს ფეოდალისმის ისტორია, ტფ., 1927, გვ. 50; ნ. ბ ე რ ა კ ნ ი შ ვ ი ღ ი, საქართველოს ისტორიის საკონსები, VII, გვ. 53.

<sup>38</sup> ქართული სამართლის მეცნიერები, II, გვ. 50.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 80.

<sup>40</sup> სათანადო ტერიტორიებსა და ცენტრონიალისათვეს ის. გ. ი ლ ა ს ა ნ ი ა, ორი ტერიტორიის გამოსატენისათვეს თამარის მეფორე ისტორიუსის თხზულებაში, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, თბ., 1973, გვ. 205—208. იქვე ვრცელი ბიბლიოგრაფია.

<sup>41</sup> ის. ნ. ჩ ი ფ ი კ ა მ ვ ი ღ ი, ქართული კოსტიუმი (VI—XIV ს.), თბ., 1964, გვ. 65—88.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 144—155.

<sup>43</sup> იქვე.

თრების განმტკიცებას, უშუალო მწარმოებელთა დათრგუნვას ქმნა-  
ხურებოდა. ამიტომაცაა, რომ საქართველოს მეფე, სხვა დაოფალური  
მეფეების მსგავსად, სახელმწიფოს მაგნატებთან შეთანხმებით მიზარ  
მონაწილეობითა და თანხმობით განაცემდა სახელმწიფოს<sup>45</sup>.

შევეხოთ მმართველობის იმ ორგანოებს, რომელთა მეშვეობითაც  
მეფე ახორციელებდა სახელმწიფო ხელისუფლებას.

---

<sup>45</sup> Н. Ф. Колесников, Феодальное государство, с. 47.

თ ა ვ ი 11

## მართვადობის ცენტრალური აკარატი

1. ცენტრალური მართვადობის ორგანი — სასახლე. სასახლის  
პირსონალი

საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის აპარატი, ამ აპარატის ცალკეული უწყებები თავმოყრილი იყო მეფის სასახლეში. სასახლე წარმოადგენდა მონარქიული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მთავარ მმართველობით ორგანოს, საიდანაც სასახლის (resp. ცენტრალური მმართველობის) სამოხველეო აპარატის მეშვეობით წარმოებდა სამეფო სახლის დომენის და თვით სასახლის მართვა.

ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეთაურს მრავალი სასახლე გააჩნდა. ბუნებრივია, რომ ცენტრალური მმართველობის აპარატი თითოეულ მათგანში როდი იყო თავმოყრილი. ცენტრალური მმართველობის აპარატის უწყებები მეფის მთავარ რეზიდენციაში ფუნქციონირებდნენ. ი. ჯავახიშვილმა, სათანადო წყაროების მოშველიდებით გაარქია, რომ მეფის მთავარ რეზიდენციას „სამეუფო ან სამეფო ქალაქი“, „სახლი სამეუფო“, „საჯდომი“ ეწოდებოდა<sup>1</sup>. მეფის მთავარი რეზიდენცია, ანუ „სახლი სამეუფო“ თბილისის აღებამდე ქუთაისში იყო. ამიტომაც ქუთაისი წარმოადგენდა „სახლისა სამკადრებელსა“<sup>2</sup>. დავით აღმაშენებელმა კი თბილისი აქცია „საჭურჭლედა სახლად თვასად საუკუნოდ“<sup>3</sup>. ამდენად, დედაქადაგეჭი წარმოადგენდა „სახლს სამკადრებელს“, ხოლო მთავარ ქალაქში მდებარე სასახლე მეფისა — მონარქიის მართვის ცენტრს, სასახლის უწყებების მუდმივ ადგილსამყოფელს. თავის „სამკადრო სახლში“ ქუთაისში შეკრიბა ბაგრატ IV-ემ საგანგებო სასამართლო თბილისათა და მიჯნაძორელთა

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, ტა., 1929, გვ. 235.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 8.

<sup>3</sup> ცხადება მეუფო-შეუდარი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 342.

სამამულე დავის გამო. ეს სასამართლო შეიკრიბა ბიურის 17-ის „დარბაზის კარზე“, ე. ი. სასახლის კარზე<sup>4</sup>. როგორც ვხედავთ, ჩაგრატ IV-ის მთავარი სასახლე „სამკვიდრებელ სახლში“, ქუთხის შიდა შეუძლებელობა. „სამკვიდრებელ სახლად“ თბილისის ვალაკენი<sup>5</sup> შეუძლებელობა მთავარ სასახლედ იქცა „საჯდომი ციხე ისინი“<sup>6</sup>, რომელიც იწოდება ასევე „სრად“ და „ტაძრად სამეუფოდ“<sup>7</sup>. გარდა ისანისა, თბილისში იყო ასევე „სრა დიდუბისა“<sup>8</sup>.

ცენტრალური შპართველობის აპარატი, სრულიად ბუნებრივია, ფუნქციონირდება იქ, სადაც მეფის „სახლი სამკვიდრებელი“ და მისივე მთავარი რეზიდენცია იყო. მთავარი დასკვნის ბუნებრიობისა, მას არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობა მიექცეს, რაღაც „დედაქალაქის“, „მთავარი რეზიდენციის“ და ცენტრალური შპართველობის ცნებები ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში დიდად განსხვავდებოდნენ მათთვე დევებინდელი გავებისაგან. მართალია, მეფეს დედაქალაქიც („სახლი სამკვიდრებელი“) და მთავარი „საჯდომი“ სასახლეც გაანწილა, მაგრამ ცენტრალური შპართველობის აპარატი დაკავშირებული იყო მეფე ის პერსონას ან არა დედაქალაქთან და მთავარი რეზიდენციისთან. მეფის დედაქალაქში არყოფნის დროს, ცნტრალური აპარატი ფუნქციონირებდა არა დედაქალაქსა და მთავარი („საჯდომი“) სასახლეში, არამედ იქ, სადაც მეფე იმყოფებოდა. ამდენად, ცენტრალური შპართველობა ხორციელდებოდა იქიდან, სადაც ყოველ კონკრეტულ მომენტში მონარქი იმყოფებოდა. ცენტრალური შპართველობის აპარატი მთავარი რეზიდენციისთან დაკავშირებული იყო იმდენად, რამდენადც თვით მეფე უკელასე უფრო ხანგრძლივად იქ იმყოფებოდა. უკვე აქედან ჩანს, რომ სამეფოს დიდი მოხელეები წარმოადგენდნენ მეფის კარის და არა სახელმწიფოს მოხელეებს. უკეთ, ისინი იმდენად იყენენ სახელმწიფო მოხელეები, რამდენადც მეფის მოხელეებს წარმოადგენდნენ.

ამდენად „სასახლე“ და სასახლის აპარატი (resp. ცენტრალური შპართველობა) მოძრავი იყო და გადააღვილებოდა მეფესთან ერთად. ეს საკითხი უფრო კონკრეტულად წარმონინდება ქვემოთ, სასახლის უწყებებზე საუბრისას.

„სასახლის“, როგორც მონარქის რეზიდენციისა და შპართველობის ცენტრალური აპარატის აღვილსამყოფელის აღმნიშვნელი ტერ-

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 8; ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა. XI—XV ს. საკრთველოს სოციალურ-პოლიტიკური მტრონის საკოთხები, თბ., 1980, გვ. 132, 134.

<sup>5</sup> მტრონის და ამავი შემავალდომანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 24.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 47.

შინოლოგია ქართულ წყაროებში საქმიოდ მრავალრიცხვნად. V-X  
საუკუნეთა ძეგლებში მას ეწოდებოდა ტაბარი<sup>9</sup>, „პალატი<sup>10</sup>.  
X საუკუნიდან გვხვდება „დარბაზი<sup>11</sup>, „სრა<sup>12</sup>. ეს ტერმინები არსებობდნენ თითქმის მთელი შუასაუკუნეების მანძილზე. მათ  
ერთიმეორის გაქრობა არ გამოიწვევიათ.

ტერმინი „ტაბარი<sup>13</sup>“ მოღინიარეობს ძველი სპარსული თაჯა-  
გა-დან, რაც „სასახლეს“ ნიშნავს<sup>14</sup>. ქართულენოვან წყაროებში იგი  
„სასახლის“, „სახლი სამეუფოს“ და ეკლესის მნიშვნელობით იხმა-  
რება<sup>15</sup>. შართალია, ეს ტერმინი X საუკუნის შემდეგ ნაკლებად იხმარე-  
ბოდა „სასახლის“ მნიშვნელობით, მაგრამ იგი ჩვენთვის სინტერესო  
ხანაშიც გვაქვს დამოწმებული. „ისტორიათა და აზმათა“ იეტორი  
აღნიშნავს: „სისხლიულითა ცრემლითა შევიდეს ტაძრისა სამეუფო-  
სა“<sup>16</sup> „სამეუფო ტაძრის“ ციტირებულ აღილას მიწნეულია ისნის  
ციხე-სასახლე. ამ ტერმინს „სასახლის“ მნიშვნელობით იცნობს სულ-  
ხან-საბა თრბელიანი: „სახლი საუფლო. სახლი სალოცველი, განა შე-  
ცეთა“<sup>17</sup>.

„სახლის“ აღმნიშვნელი უაღრესიდ გაერცელებული იყო მთელი  
შუა საუკუნეების მანძილზე ტერმინი „პალატი<sup>18</sup>“. თავისი მნიშვნე-  
ლობით ეს ტერმინი ხევებით უდრის დასავლეთერიობულ palatium-ს.  
Palatium ორ palatia regia ერთდოულიდ წირმოადგენდა სასახლეს,  
კარს და მმართველობის ცენტრს. მეტის სახლის განვების გარდა palati-  
um-ში თვემოყრილი იყო მთელი აღმინისტრაციული მუშაობა ხა-  
ხელმწიფოს სამართვად<sup>19</sup>. Palatium იგივეა რაც aula, aula palatini,  
domus regia<sup>20</sup>.

„ტაძრისა და „პალატის“ სინონიმად გაიკვეული პერიოდიდან  
იხმარებოდა ასევე ტერმინი „დარბაზი<sup>21</sup>“, რომელსაც ი. ჯვარიშვი-

<sup>9</sup> ვ. ა. ნ დ რ თ ნ ი კ ა მ ვ ი ლ ი. ნაჩვევები ინანცულ-ქართული ენობრივი ურ-  
თაფრთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 378.

<sup>10</sup> ი. ა ბ უ ლ ა ძ ვ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 411.

<sup>11</sup> მ ტ რ ი ა ნ ი დ ა მ ა მ ა ნ ი შ ა რ ა ბ ლ ე ბ ლ თ ა ნ ი, გვ. 24.

<sup>12</sup> ს უ ლ ხ ა ნ ა ბ ა თ რ ბ ე ლ ი ი ნ ი, თბ., ტ. IV<sub>2</sub>, თბ., 1966, გვ. 13.

<sup>13</sup> Фюстель де-Кулланж, История общественного строя древней Франции, т. III, Спб, 1907, с. 166, 186.

<sup>14</sup> Du Cange, Glossarium mediae et infimae latinitatis, VI Band, Graz, 1954, გვ. 96—106; Фюстель де-Кулланж, История общественного строя, გვ. 168; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ი ი მ ვ ი ლ ი, ნაჩვევები სამხედრო საქმის სტანდან  
ფეფილურ საქართველოში, თბ., 1979, გვ. 58; ე. წ. „პალატ-ბანაკის“ შესახებ ის.  
მოქალაქეა ქართლისა, ძველი ქართული ფონგაფორული ლიტერატურის ძველები, ტ.  
I, თბ., 1964, გვ. 114; ს. კ ა ნ ა შ ი ა, საქართველო დრანდელი ფეფილინის გზა-  
ზე, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 217—219; საქართველოს სტანდანის ნაჩვევები, ტ.  
I, თბ., 1970, გვ. 656.

ლი მიიჩნევდა სპარსულ „დარგაზეპ“-იდან წარმოშობილად, რაც ხაზ-ლის კარს ან აღაყაფის კარს ნიშნავს<sup>14</sup>. სრულებით არა გამორიცხული ამ ტერმინის ეტიმოლოგიის დაკავშირება არმაზის ბილინგვაში მომდევნებულ ტეს- „ეზოსთან“ და ასურულ-ბაბილონურ tarbasu-სთანაა<sup>15</sup>. შესაძლოა, თვით ტეს წარმოადგენდა სპარსული „დარგაზეპ“-ის ფურქს. ტერმინი „დარბაზი“ უაღრესად გავრცელებული იყო X საუკუნიდან მოყოლებული. იგი „სასახლის“ მნიშვნელობით იხმარებოდა ძაღლების ხშირად და სულ სხვადასხვა ხსიათის წყაროებში, მაგრამ მან მაინც კერ განდევნა „სასახლის“ აღმნიშვნელი სხვა ტერმინები და განსაკუთრებით კი „პალატი“.

ზემოაღნიშნული ტერმინები ჩვენ გვაინტერესებს არა როგორც გარკეულ ნაეგბობათა, არამედ როგორც გარკვეული და წესებულ ების აღმნიშვნელები. სასახლეები, როგორც აღნიშნეთ კიდეც, საქართველოს მეფეებს ბევრი პეტრი, მაგრამ „სასახლე“ (ტაძარი, დარბაზი, პალატი), როგორც და წესებულ ება, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ერთი პეტრიდა და ეს „სასახლე“ მასთან ერთად გადაღილდა ერთი აღვილიდან მეორეზე, ერთი სასახლიდან მეორე სასახლეში<sup>16</sup>.

ამდენად, „სასახლე“ (ტაძარი, დარბაზი, პალატი) ერთიან მონარქიაში იყო მხოლოდ ერთი. ეს „სასახლე“ წარმოადგენდა მეფის უახლოეს გარემოცვას, სახელმწიფოს მართვის ცენტრალურ აპარატს. ამ გარემოცვას, მმართველობის ცენტრალურ უწყებათა ერთობლიობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია საქმაოდ კარგადაა მოღწეული წყაროებში.

„სასახლე“, როგორც დაწესებულება, აღინიშნებოდა ტერმინებით „ტაძარი“, „პალატი“, „დარბაზი“. იმავე ტერმინებიდანაა ნაწარმოები „სასახლის“ მერსონალის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია: „სახლეული“, „ტაძრეული“, „პალატის ერი“ და „დარბაზის ერი“. ეს ტერმინები, ისევე როგორც მათი ფუძეები (სახლი, ტაძარი, პალატი, დარბაზი), სინონიმებს წარმოადგენდნენ. ცხადია, ვათვალისწინებული უნდა გექონდეს თვით ამ ტერმინებით აღნიშნული სოციალური ინსტიტუტის განვითარების დინამიკა. მისი სხვადასხვა დონე განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

<sup>14</sup> ი. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის ძალობრ, წ. II, ნაკვ. II, გვ. 237.

<sup>15</sup> გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენციკლიკოსის მოაშე, XIII, თბ., 1942, გვ. 23; თ. ჩიქოვანი, მიერკავებასთა ხალხურ ნაფებობათა ძალობრიდან, თბ., 1967, გვ. 46.

<sup>16</sup> ნ. ბერებენაშვილი, საქართველოს ძალობრის საკონსტიტუციური კ. VII, თბ., 1974, გვ. 114; ქ. ჩხატარაშვილი, ნარკვენები, გვ. 54.

უძველესს ზემოაღნიშნულ ტერმინთა შორის „სახლეული“ წარმოადგენს. ტერმინი „სახლეული“ აღნიშნავდა ქატებორისს, რომელიც „სახლის“ კუთვნილი იყო, ხოლო „სახლი“, რომელიც მასთან დართხული აღნიშნა ი. ჯავახიშვილმა, იგივე იყო, რაც „გვარი“<sup>18</sup>. ი. ჯავახიშვილის ეს დასკვნა აღრეულ ეტაპს შეეხება. ძველი ქართული „სახლეულის“ ექვივალენტი იყო ტერმინი „მონა“<sup>19</sup>. „სახლეულის“ და „მონის“ ცნების აღმიშვნელიდ მინეულია ისევე „შინაური“ და „მსახური“<sup>20</sup>.

„სახლეულის“, „მონის“ საკითხს ძალშე დიდი მნიშვნელობა აქვს XI—XIII საუკუნეთა საქართველოს ცენტრალური მმართველობის, სასახლის პეტრონალის, პრობლემის გასარკვევად, ვინაიდან სწორედ „მონა-სახლეული“ წარმოადგენდა ჩვენთვის საინტერესო ხანის დასახელებული ინსტიტუტის წინამორბედს.

თვით ტერმინი „მონა“, ქართული „სახლეულის“ შესატყვევისი, ს. კავაბაძისა და გ. მელიქიშვილის მიერ მინეულია ძველი სპარსული taniya-დან წარმოშობილიდ<sup>21</sup>. მ. ანდრონიკაშვილს აღნიშნული ეტიმოლოგია საეჭვოდ მიაჩნია და სათანადო ლინგვისტური მონაცემების საფუძვლშე ასკვნის, რომ იგი წარმოშობილი უნდა იყოს ჩრდილო-ირანულიდან (სკეითურ-აღანურიდან)<sup>22</sup>. ტერმინი taniya წარმოშობილია p'mana-დან (სახლი)<sup>23</sup>, იგი აღნიშნულისამებრ, ზუსტი შესატყვევისია „სახლეულისა“ და მ. ანდრონიკაშვილის ეს მოსაზრება არ უნდა იყოს მართებული.

„სახლეული“, „მონა“ თავისი გენეზისით დაკავშირებულია „ნათესავთა“ ურთიერთდაყრობასთან<sup>24</sup>. ლიტერატურაში შემწინეულია ამ ტერმინის პოლისემინტიზმი, რასაც ხსნიან „სახლეულთა“ ფენის წარმომავლობის ბუნებით<sup>25</sup>.

„სახლეული“, თავისი განვითარების აღრეულ ეტაპზე პატრიარქალური საოჯახო მონობა იყო<sup>26</sup>. მისი მომდევნო საღებულო

<sup>17</sup> И. А. Джавахов. Государственный строй древней Грузии и древней Армении. Спб., 1905. с. 33.

<sup>18</sup> გ. მამული, კასპორიშვილი სახლეულის და სახლმშეიცვალის ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 54.

<sup>19</sup> ს. კავაბაძე, ქართული სახლმშეიცვალებრივის გენეზის საკითხები, სასტორო მომბეჭდები, წ. I. ტბ., 1924, გვ. 88—89.

<sup>20</sup> იქვე: Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 437—438.

<sup>21</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნაკვეთი, გვ. 99.

<sup>22</sup> Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 434.

<sup>23</sup> გ. მამული, კასპორიშვილი სახლეულის წარმოშობა. გვ. 54.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> გ. სოსელი, საქართველოს სახლეულის გენეზის და სახლმშეიცვალებრივი წარმომავლება „ვეფხსნულისნის“ მიხედვით, სოხუმი, 1938, გვ. 50.

2. ი. ანოლევა

შეფის „სახლეულის“ მნიშვნელობის ზრდა, რაც თვით „ხახულის“, „მონების“ მღვრმარეობაში უნდა ასახულიყო და აისახა კოლექტური გვაინტერესებს ამ შემთხვევაში შეფის „სახლეულის“ მნიშვნელობა და არა საერთოდ ამ ინსტიტუტისა.

სამეცნი სახლის „სახლუელი-მონები“ უკვეელია აღრიცდანევ ბერძნებით უფრო პრივილეგირებული იყვნენ, ვიდრე სხვა, ნაკლებ წარჩინებული სახლისა. მას შემდეგ, რაც მეცის სახლი „სასახლედ“ იქცა, სამეცნი სახლის „სახლუელი-მონები“ იქცევიან „სასახლისეულად“, რისი ზუსტი გამოხატვაცაა ტერმინი „ტაძრეული“. „ტაძრეული“, ნ. ბერძენიშვილის აზრით, იგივე „მსახურია“, ოღონდ „სასახლის“ შესახური და ამით იგი რანგით შალდა დგას სხვა შესახურებზე<sup>26</sup>. ს. კაჯაბაძეს, როგორც აღინიშნა, ტაძრეული-მსახურები მონებიდან მიაჩინდა წარმოშობილად<sup>27</sup>. ს. ჯანიშვილს აზრით, „ტაძრეული“ ძირითადად წარმოშობილი იყო „წვრილი ერისაგან“ და ზოგჯერ შესაძლებელია, გააზარებული მონებისაგანიც<sup>28</sup>. გ. მელიქიშვილი კარაულოს, რომ „ტაძრეულები“ ძველსობისური „კოსტანიების“ შეგისაღ სამეცნი რაზმების წევრები იყვნენ, თავისუფალი მიწათმოქმედნა და სამეცნი მიწებს პირობით ფლობდნენ<sup>29</sup>. რ. აზერნიშვილის მოსახურებით, „ტაძრეულები“ შეიძლებოდა გამოსული ყოფილიყვნენ როგორც თავისუფალი, ისე არათავისუფალი წრიდან, მათ შორის მონებიდანც<sup>30</sup>.

„ტაძრულის“ გენეზისი, თუ ვიმსჯელებთ სათანადო ტექნიკურ-ლოგის მიხედვით, უკვეელად „შონა-სახლეულებთან“ უნდა იყოს დიკი შირებული. „ტაძრული“ იგივე „სახლეულია“, მათ შორის განსხვავება „ტაძრისა“ და „სახლის“ „უფალს“ შორის განსხვავებაა და არა სემინტიცური. ცხადია, საზოგადოების სერტო ვოლუციის

<sup>26</sup> ପ୍ରଦୀପ କାମାନ୍ଦିଳା ଏବଂ ଶ୍ରୀ କଣତକାଳୀଙ୍କ ପ୍ରଦୀପଚନ୍ଦୁରୁକ୍ତ ଓ ଲୋକାଲ୍ପରକ-ଜ୍ୟୋତିଷେଷକ ହାତରେ ଅନୁରୋଧ କରିଥିଲେ ।

<sup>27</sup> ს. დავით აბგ. პარაული სახელმწიფო ბრძოლის კრიტიკი, გვ. 88—89.

<sup>28</sup> b. ଶ୍ରୀ କୃତ୍ତବ୍ୟାନ୍ତ, ପାଠ୍ୟବିଷୟ, ପ୍ର. 1, ଅନ୍ଦ., 1949, ୩୩, ୨୭୯.

<sup>30</sup> రు. ఎం స్వరూపరె, గాంధిగాంధీ మెట్ల వాస్తువును శ్రేష్ఠుసిన పాఠ్యమిత్రుకుటానికి, 1963, 23, 205-206.

კალობაზე იცელებოდა „ტაძრეული-შონის“ შინაარსი და სოციალური სტატუსიც. „ტაძრის“ „უფალი“ მეფე იყო და მისი „საქაფესტური“ (resp. „ტაძრეული“) ბუნებრივია, დიდ უფლებებს იძებნდა და მისი მწიფოში. უგვეველია, მათ ფაქტობრივ პრივილეგირებულ მდგრმარეობის უნდა გამოიწვია სოციალური წარჩინებიც.

ამ პრივილეგიებისა და წარჩინების საფუძველი მეფის პერსონასთან და სამეფო სახლთან სიახლოვე იყო.

ქველი ქართული სახლის სტრუქტურა „ეკსტათი მცხეთელის შარტვილობის“ მიხედვით წარმოაღვინა გ. მამულიამ<sup>31</sup>. მასში შედიონენ „სახლეული“ (მონა-მხევლები), „ნათესავნი“ და „თესნი“ (უღა-შეილი)<sup>32</sup>. მარჩაპანთან მიმავალ ეკსტათის „ნათესავებთან“ და „თვეუბთან“ ერთად „სახლეული“ მისტიროდამ<sup>33</sup>. ისინი მის familia-ს შეაღენდნენ და პიროვნულადაც ახლოს იყვნენ „უფალთან“.

ბუნებრივია, ასეთივე სტრუქტურა ქეთინდა სამეფო სახლსაც და მისი „ტაძრეული“ უაღრესად ახლობელი იყო მეფისათვის.

ნიშანობრძლივია, რომ დასავლეთ ეკროპაში სასახლის ოანამდებობათ უდიდესი უმრაველესობა განხითარების აღრეულ ეტაპზე სწორედ მეფის „სახლეულს“ familia-ს ეჭირა და მათი სოციალური წარჩინებაც მოვალეობით მოხდა. სენეშალები, კამერარიისები, მარშლები მეროვინგების კარზე მონები იყვნენ წარმოშობით<sup>34</sup>. მეროვინგების დროსვე მოხდა მათი წარჩინება. ყოფილი მთავარი (უფროსი) მონა, მაიორდომი (major domus) უდიდეს მოხელედ გადაიქცა, ხოლო მონა-მსახურები ცალკეული უწევების მეთაურებად<sup>35</sup>. ამგვარი მეტამორფოზით მეფის ხელისუფლების და მის პროპორციულად სასახლის (palatium) მნიშვნელობის ზრდით იყო შეპირობებული. თუ მეროვინგების დროს სასახლის შტატისა და ანტრუსტიონების შენახვა სასახლის ხარჯზე ხდებოდა, კაროლინგებმა მათ ბენეფიციუმები დაურიგეს. ამიერიდან „მსახური“ ლენის მფლობელად იქცეოდა და მას და მეფეს შორის სენიორალურ-ვასალური ურთიერთობა მყარდებოდა<sup>36</sup>. საკუთარი მსახურებისა და ანტრუსტიონების ვასალებიდ ქცევით კარლინგები ცდილობდნენ დასაყრდენი შეექმნათ მაგნატების წინააღმდეგ<sup>37</sup>.

<sup>31</sup> გ. ვ. მ. ტ. ლ. ი. კლასობრივი საზოგადოების წარმოშობა, გვ. 60.

<sup>32</sup> იქვე: იბ. ეკსტათი მცხეთელის მარტვილობა, მეცნი ქართული ავოგრაფიული დატრადიტურის ტელები, წ. 1, გვ. 34.

<sup>33</sup> ეკსტათი მცხეთელის მარტვილობა, გვ. 35.

<sup>34</sup> Н. Ф. Колесницикий, Феодальное государство, с. 23.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>37</sup> იქვე.

დააძლოებით ამგვარივე შინაარსისად მიზეაჩნია ჩევი ატარებულის „რეფორმა „ტაძრეულებისათვის“ კახეთის ბოძების შესახებ. ჯუანშერის ცნობით, „მოვიდა არჩილ კახეთიდ, და ყოველთვის მიზეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი“<sup>38</sup>.

რას ნიშნავს „ტაძრეულთა აზნაურ ყოფა“?<sup>39</sup>

ტერმინი „აზნაური“ უისლესი გამოკვლევით მომდინარეობს ძველი სპარსული \*ა-პა-დან, რაც „ცნობილს, განთქმულს“ ნიშნავდა<sup>40</sup>. შესაძლებლად ითვლება ამ ტერმინის დაკავშირება zana-სთან (კვარი, ტომი, მოდგმა) <sup>41</sup>. აქედან ტერმინი „აზნაური“, როგორც ჩანს, აღნიშნავდა „დაღვეაროვანს“ (родовытыи), „გვარის შეიღს“ და უპირისმატირებოდა „უაზნოს“<sup>42</sup>. რომელიც შესაბამისად უნდა აღნიშნავდეს „ითა გვარის შეიღს“, „უგვაროს“<sup>43</sup>.

ეინაიდინ ტერმინი „გვარი“, იგრევა რაც „სახლი“ (ი. ჯავახიშვილი), „აზნაური“, ცხადია, „სახლის შეიღს“ აღნიშნავდა, საგვარეულო არისტოკრატიის წარმოშალგენელი იყო. მისი წარჩინება თავისი „სახლის“ სიძლიერებები იყო დამოკიდებული და არა მეტის „წყალობაზე.“

„ტაძრეულთა აზნაურ ყოფა“ სწორედ წყალობაზე დამყარებული დომენიალური არისტოკრატიის შექმნის ცდას უნდა წარმოადგენდეს საგვარეულო არისტოკრატიის საპირისპიროდ. ეს არისტოკრატია მეფის (ერისმთავრის) „სახლეულია“ და, ამდენად, არ წარმოადგენს თვითონ „სახლის, გვარის შეიღს“. მის არ გააჩნია დასაყრდენი საეკუთარი ძლიერი „სახლის“, „გვარის“ სახით. „ტაძრეული“ მეფის შინაურია, მისი მონაა, რომელიც სენიცული „ბოძებით“ მის „ტაძრეულ აზნაურად“ იქცევა, ე. ი. დომენის ვასილად. სავსებით სწორია ნ. ბერძენიშვილი, როდესაც ფიქრობს, რომ „ტაძრეულის“ მიწაზე დასმა სამხედრო საშსახურის საადგილმატულო ურთიერთობაზე

<sup>38</sup> ქ ე ა ნ შ ე რ ი ი კ ე რ ე ბ ა კ ა რ ტ ა ნ გ ვ ა რ ე ბ ა ლ ს ა , ქ ა რ ტ ლ ი ს ც ხ ე რ ე ბ ა , I, გვ. 243.

<sup>39</sup> გ. ა ნ დ რ ი ნ ი კ ე რ ე ბ ა , ნ ა რ კ ე ვ ე ბ ა , გვ. 220.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 221.

<sup>41</sup> ი. ქ ა ვ ა ხ ი ვ ი ლ ი ი კ ე რ ე ბ ა , ქ ა რ ტ ლ ი ს ს ა მ ა რ ტ ლ ი ს ა ს ტ ი რ ი ს , წ. I, ტ ც., 1928, გვ. 191—192; А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто, Л. В. Черепин и др., Пути развития феодализма, М., 1972, с. 65; Г. А. Меликишвили, К вопросу о социально-экономическом строем древней Иберии (Картли), ВДИ, № 4, с. 191.

<sup>42</sup> შ დ რ . ა . ბ ო ვ ვ ე რ ა ბ ე , ქ ა რ ტ ლ ი ს ს ო ც ი ა ლ ე რ -კ უ რ ი მ ი კ უ რ ი ს ა გ ა ნ ე ბ ა ლ ი ს , გვ. 175. „უაზნი“ რომ „გვაროა“ (შესაბამისად „აზნაური“ „გვარიშვილი“), კარგად ჩანს ამ ტაძრისნის ბერძნეული შესატყვევილი მუსიკის. იხ. გვორგია, ტ. VII, თბ., 1967, გვ. 25 (ლამატება).



ორგანიზებას კულისხმობს<sup>43</sup>. ჩანს, აღრე ეს საშახური წევაგანი იყო თრგანიზებული.

ცხადია, „ტაძრეულები“, მათი „აზნაურ კოფის“ შემცვევა საშახური ურალ ამაღლდნენ და თუმცა ტერმინი „ტაძრეული“ შემდგომ ზაბაზიც გვაქეს, ისევე როგორც მისი სინონიმები (ერთ პალატისა, დარბაზის ერთ), ზაგრამ ეს ტერმინი უკვე არა „მონა-მკევალ“ „ტაძრეულს“, არამედ დომენის ვასალს, დომენის მსხვილსა და წერილ ფეოდალებს, ასევე მსახურებს იღნიშნავს. გარკვეული დროიდან კი სერთოლ სასახლეში მყოფთა ერთობლიობას.

არჩილ „მეფის“ ხანა (VIII ს.), სერიოზული მეტამორფოზის პერიოდიდ გვესახება სასახლის ორგანიზაციის მხრივ. ცხადია, იღნიშნული არ შეეხება დასავლეთ საქართველოს, რომლის შესახებ ჩვენ მასალები არ გავაძინა.

ამდენად, არჩილის რეფორმა ძირითადად კარილინგური ლონისძიების მსგავსად გვეჩენება, მაგრამ საქართველოს მნიშვნელოვანი თავისებურებებიც გაანიჭა. საქართველოში სამეცო ხელისუფლებამ ვერ შეძლო მოგაბო პატრიმონიალური მამულები და საქმაო წარმატებით ვერ დაუპირისპირა მას „ნაწყალობევი“. ამიტომაც, ძირძეელი საგვარეულო არისტოკრატია საბოლოოდ არისოდეს გატეხილა და მათთვის „ტაძრეულთა“ დაპირისპირებაც რადიკალური ეფუქტის მომზანი არ გამხდარა. ძველ საქართველოში, ისევე როგორც სომხეთში და ზოგ სხვა საზოგადოებაში, ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისში ცენტრალურ ხელისუფლების არ პერნია გადამწყვეტი მნიშვნელობა<sup>44</sup> და არისტოკრატიული ზედაცენი ყალიბდებოდა არა ცენტრალური აბარატიდან, მასახურეული პირების (resp. ტაძრეულების, ა. ა.) მიერ მემკვიდრეობითი უფლებების მითვისების გაზით, არამედ პირიქით, ეს სამხედრო-მსახურეული არისტოკრატია გამოდიოდა ძლიერი „სახლებიდან“<sup>45</sup>.

ასევეარმა მოხავალმა ვითარებამ სერიოზული გავლენა მოიცდინა ერთიანი ფეოდალური საქართველოს სასახლის კარის ორგანიზაციაზეც. XI—XIII საუკუნეების „ტაძრეული“ მხოლოდ მეფის დომენის ვასალებსა და მსახურებს როდი მოიცავს, არამედ სერთოლ კარზე შეიოფათ ერთობლიობას. ძველი ტერმინოლოგია იმ დიდგვარიანებსაც ასახავს, რომლებიც არ უნდა ეკუთვნონდნენ სამეფო დომენს, მაგრამ იმყოფებიან კარზე. საკუთრივ დომენის „ტაძრეულები“ კი უნდა იყვ-

<sup>43</sup> საქართველოს ძირითა, I, თბ., 1958, გვ. 121.

<sup>44</sup> Г. А. Меликишвили, К вопросу о социально-экономическом строев древней Иберии (Картли), с. 191.

<sup>45</sup> იქვე.

ნენ ხასები, ხასაგიანები (ხასი, ხახასო)⁴⁶. ჩვენი აზრით, სწორია ქართველი ტარანის „უფრო ნიღების, ე. ი. ხამეფის, დომენიალურს კი არ ნიშნავს... ამაგრეს უფრო ში, ხახახლის კარზე მყოფს («პრიდავორნის» და არა «დავუმასმებულებული» სამწუხაროდ იგი არ აღნიშნავს, რა კონკრეტული პერიოდი უნდა ვიგულისხმოთ მის დასკვნაში. ქ. ჩხატარაიშვილის დებულება უდავოდ სწორია ერთიანი მონარქიისათვის, მაგრამ შეუძლებელია მას დავეთანხმოთ წინარე ხინის ამგვარ კვალიფიციაში. აზიეთიარი ხაფურცელი არა ვაკეს, არჩილის რეფორმატორ „ტაძრულში“ ხოციალურად წარჩინებული წრე ვიგულისხმოთ ან მასში მაფის „სახლულის“ (resp. ტაძრულის) გარდა რაიმე სხვა კარეგორია დავინახოთ.

ამრიგად, თუმცა ტერმინი „ტაძრული“ ერთიანობის ხანაშიც ფუნქციონირებს, მაგრამ მისი შინაარსი მნიშვნელოვნად შეცვლილია. თუ არჩილის რეფორმატორ „ტაძრული“ მეცის „მონა-სახლულიაა“ (რომელსაც არ გაიჩინია მიწა და „ა წ ნ ა უ რ ე ბ ა“), ამ ხინიდან მოყოლებული იგი მეცის დომენის ვასალია და მსახური. XI—XIII საუკუნეში იგი უფრო ფართო მნიშვნელობასაც იძებს და საერთოდ სახახლის შტატის აღმნიშვნელად იჩმარება „პალატის ერისა“ და „დარბაზის ერის“ გვერდით.

ვინავლია, ამგვარსავე სერიოზულ შინაარსობლივ შეტამორცონის განიცდიან XI—XIII საუკუნეებში დამოწმებული, ძველიდანვე მომდინარე ტერმინები „მონა“, „შინაური“. ამ მეტამორფოზის ბუნება კარგად ჩანს ტერმინიდან „შინაური დარბაზის ერი“. „დარბაზის ერი“ და „ტაძრული“ ერთიანების შემცველი ტერმინებია⁴⁷. გინერიარების დღიულ ეტაპზე, ცხადია, ტერმინი „შინაური დარბაზის ერი“ უაზრობა უნდა ყოფილიყო, რადგან მეცის „ტაძრული“ (resp. დარბაზის ერი), საერთოდ ვკვლა „შინაური“, „მონა“, მიწა — აზნაურების მოკლებული ჩანს. ტერმინი „შინაური დარბაზის ერი“ შეიქმნა, უკველია, მას შემდეგ, რაც დარბაზის ერი საერთოდ სახახლის კარზე მყოფია ერთობლიობის და არა მხოლოდ მეცის ვასალებისა და მსახურე-

⁴⁶ „ლიხთ-ომერის და ქართველთა ხასაგიანი“ (ისტორიანი და აზმანი, გვ. 17) სწორედ დომენის აიდებულებს გულისხმობს. მ. ბ ე რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი აღნიშნავს, რომ „ხასაგიანი“ „ცალკე წრეა“, მაგრამ არა აქვს აღნიშნული რა წრეა ეს (იხ. შისი, საქართველო XI—XII ს.„, თბ., 1970, გვ. 91—93). ეფიქრობთ, ხასაგიანი უშუალო წინაპარი მეცის „სახლულია“ და ამიტომაცაა ის განსაკუთრებით ახლოს მეცესთან. ჩვენთვის ხანისტრების ხანისათვეს იგი სოციალურად წარჩინებულია, მაგრამ მაინც სხვა დეპულებისაგან ცალკე ისტენება.

⁴⁷ ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები, გვ. 50.

⁴⁸ ვ ა ხ უ შ ტ ა, ალექსა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 22.

შის აღმნიშვნელი გახდა. ამ პერიოდიდან, ჩვენი აზრით, უშინაული დარბაზის ერთ აღნიშნავს იმსავე, რასაც აღრე „ტაძრული“ (ვიწოდ მნიშვნელობით) ეწოდებოდა, ე. ი. სამეფო სახლის დომენიტინ აზრით, სულ პერსონალს სასახლეში. 6. ბერძენიშვილის აზრით, იგული ცნების გამოსახატვად იმმარტება ტერმინი „მონა“ XI—XIII საუკუნეებში.<sup>49</sup> ამიტომაცად, რომ „შინაური დარბაზის ერთ“, „მონა“ მეფისათვის ყველაზე უფრო მისანდო, ერთგულ კონტივენტად განიხილება, ყველაზე უფრო ახლოა შეფის პერსონალთან. დიფერენციაცია „შინაურებს“ შორისაც არის, როგორც ეს კარგად შენიშნა ქ. ჩხატარაშვილმა<sup>50</sup>. „შინაურთა“ დიფერენციაცია სავსებით მუნებრივი მოვლენაა. სამეფო სახლის დომენიდან კარზე უკუცველია დიდებულებიც იყვნენ („ჩხატარაშნი“), აზნაურებიც, მსახურებიც და გლეხებიც. მოუხედავად იმისა, რომ ყველა ისინი „შინაური დარბაზის ერთი“ იყვნენ, მათ შორის განსხვავება თვალსაჩინო უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ დაბილი რანგის „შინაურები“ იყვნენ სწორედ მეფის ფარეშები და სასახლის ნაკლებ საპატიო შოვალებითა აღმსრულებლები.

ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლებელია გამოიკითხოთ რამდენიმე დასკვნა:

1. XI—XIII საუკუნეების სასახლის პერსონალის აღმნიშვნელი ტერმინები „ტაძრული“, „დარბაზის ერთ“, „პალატის ერთ“, მოშლინირეობენ მეფის „მონა-სახლეულის“ (resp. ტაძრული) ინსტიტუტიდან.
2. აჩჩილ „მეფის“ რეფორმისდე საგარაულოა, რომ მეფის „ტაძრული“ მოკლებული იყო მიწის მფლობელობას<sup>51</sup> და მისი შენახვა სასახლეში ხდებოდა.
3. „ტაძრულის“ ინსტიტუტის კვოლუციის მომდევნო საფეხური უნდა ყოფილიყო მათთა მიწით შეწყალება და „აზნაურყოფა“. ეს შათ ვასძლიდ გადაქცევის მოასწოვებდა.
4. თვისებრივმა ცვლილებებმა „ტაძრულის“ ინსტიტუტში გამოიწვია ის, რომ ამ ტერმინით აღინიშნებოდა XI—XIII საუკუნეებში საერთოდ სასახლის შტატი (სინონიმები „დარბაზის ერთ“, „პალატის ერთ“), ხოლო საკუთრივ დომენის ვასალებისა და მსახურების აღსანიშნავად — „შინაური“, „შინაური დარბაზის ერთ“, „მონა“.

<sup>49</sup> ქ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკონხები, VII, გვ. 257, 266.

<sup>50</sup> ქ. ჩხატარაშვილი, ნაწყვევები, გვ. 52.

<sup>51</sup> შლა. ა. ბოგერძაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გვ. 208.

5. ტერმინ „ტანძრეულის“ (დარბაზის ერთ, პალატის ერთ) უკონფიგურაცია ამდენად, გამოიყოფა სამი ფაზა: 1) არჩილის ოფიციალურებრივ ამ ტერმინით აღინიშნებოდა მეფის „მონა-სახლეული“ ურთისეულობებისათვის; 2) ამტრიარქალურ *familia*-სთან ახლომდგრად ურთისეულის რეფორმირების დროის დანართისათვის; 3) XI—XIII საუკუნეებში აღინიშნავ მთლიანად სისახლის შრატეს, ხოლო დომენის ვაჟალებისა და შაპურების საერთოდ სისახლის შტატის გამოსაზრისით გამოსაზრისით იწმორება „შინაური დაზიანების ერთ“, „მონა“.

XI—XIII საუკუნეების სასახლის პერსონალის აღმნიშვნელი ტერმინები, როგორც იღვიშნეთ, არის „ტაძრეული“, „დარბაზის ერი“ და „პალატის ერი“. გაითვალისწინეთ, შეძლებისდავგარად, ამ ტერმინების გენუზისი და ეკოლოგია.

კულტურობთ, აუცილებელია წარმოვადგინოთ XI—XIII საუკუნეებთა სისახლის პერსონალის საერთო სურათი, სოციალური განშერევება, ცალკეული კარეგორიების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია.

თავიდანვე უნდა შეინიშნოს, რომ XI—XIII სიკუნძების სახახლის პეტრონალის, შტატის ზოგადი სეირთო სახელწოდება, განურნევდა და მიათ მიერ დაკავებული სამეცისკართა თანამდებობისა, სოციალური სტატუსისა და სხვა მინვნებულებისა მის „დარბაზის ერთი სეირი“, „პალატის ერთი“, „ტაძრებული“ ამ მხრივ საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს სახახლის ტერმინოლოგია ზედმინვენით უდევბა დახველეთვერთვის დროს. „დარბაზის ერთი“, „პალატის ერთი“ ზესტად იყიდვა, რაც *aulici, palatini*<sup>52</sup>. ორივე ეს ტერმინი ასევე ზოგადი მნიშვნელობისაა. *Palatini* არის ის, რიც *in palatio militans*<sup>53</sup>.

სამახლის მაღლილი რანგის „ერის“, თანამდებობის პირების აღსა-  
ნიშნავად იწმინდობოდა ზოგადი ტერმინები „კელისუფალი“<sup>54</sup>,  
„მოქელენი დიდებული“ და სუანი<sup>55</sup>, „კელისუფალი და გამგებელ-  
ნი საქმისთა“<sup>56</sup>. XIII საუკუნეში ამ კატეგორიის აღმიშვნელად  
გვხვდება „კეზიჩინი და მოურავნი“<sup>57</sup>. ი. ჯავახიშვილის აზრით, „კე-  
ლისუფალი“ ის მოხელე იყო, ვისც ბრძანების გაცემა „კელენისებო-“

<sup>52</sup> Du Cange, Glossarium, VI Band, gg. 107; Фюстель де Кулланж, *Фабиан*, gg. 169; *Фабиан*, g. 59; *Фабиан*, *Фабиан*, gg. 59.

<sup>12</sup> Du Cange, Glossarium, VI Band, ss. 107.

<sup>15</sup> ପର୍ମାଣୁନାଥ ପାତ୍ର ଏକମାନି ଉତ୍ତରାଜ୍ୟବିନ୍ଦୁଗାନ୍ଧୀ, ପୃଷ୍ଠା 26-27.

56 333, 33, 30.

<sup>87</sup> ქართული სამეცნიერო ძეგლები, II, გვ. 61, 89.

და”, ხოლო ეს ბრძანება „საქმისმოქმედებს” უნდა მოეცვანათ ზღვრულების. შევლევარის აზრით, ამ ტერმინებს შორის „არსებითი გამსხვევება უნდა ყოფილიყო“<sup>59</sup>. „საქმისმოქმედები“ მისი აზრში ჩატარებული ფოლნენ თრად — „დიდად“ და „მცირედ“<sup>60</sup>. წევნი აზრით, „ექლი-სუფალთა“ და „საქმისმოქმედთა“ ახეთი ღაპირისპირება ხელოვნურია და არც ღასტურდება არც ერთი წყაროთი. სიკელებში დაცული ტერმინი „საქმისმოქმედნი დიდნი და მცირენი“<sup>61</sup> ზოგადი ტერმინია და „დიდ საქმისმოქმედებში“, უაჭავლია „კელისუფალნიც“ იგულისხმებიან. ასევე, ღოკუმენტურ წყაროებში დაცული ფორმულა „კელისუფალთა და საქმისმოქმედთა დაშმრეციცეთ“<sup>62</sup>, არაფრით უინაარსობრივად არ განსხვავდება ფორმულისაგან „კელისუფალნი და მაკებელნი“, „ვეზირნი და მოურავნი“.

სასახლის მოხელეთა ერთ ნაწილს „კელოსანი“ ეწოდებოდა<sup>63</sup>. „კელისუფალთა და კელოსანთა“ ზოგადი ომშინიშვნელი ტერმინი „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით იყო „სასახლის დიდ ეპული ის“<sup>64</sup>. ეს ტერმინი სიტყვასიტყვით უდრის ღასტულებულობულ *principes palatii, viri magnifici*<sup>65</sup>.

სასახლის შტატში შედიოდნენ და „დარბაზის ერის“ კარიგორიას შეაღენდნენ შეინის მერემები, მეჯორეები, მანდატურები და მესამეობები<sup>66</sup>. სწორედ ღასტულებული „კელოსნები“ შეაღენდნენ „მცირე საქმისმოქმედებს“.

<sup>58</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძალისა, წ. II, ნაკ. I, გვ. 110.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> ქართული სამართლის ძაღლები, II, გვ. 11, 31. „კელისუფლი“ ი. გავაჩიშვილის სულ გვების სტულებით არ უკარს მხას მის მორცვე ღამოშებული თმამის გვლათისაღმის ბორცებული სიცელი. ვეინც ქახოთ ბრძანებათ... ოთხესდურთა, ნაცვალთა, გაფინის ცატესთვთა, კელისუფალთა, გზირთა და ყოველთა საქმის მოქმედთა“ (ქართული სამართლის ძაღლები, II, გვ. 26). ექვეთ „კელისუფლის“ და „საქმისმოქმედის“ ღამინისპირება კი არ ჩამოს, არმენი, ას რომ თვით „კელისუფლი“ ფულისმშება სხვებთან ერთად „საქმისმოქმედებში“. „კელისუფლი“, ისევე როგორც „საქმის მოქმედები“, თაღის შეიძლებოდა ყოფილურ და მცირებულ.

<sup>62</sup> ქართული სამართლის ძაღლები, II, გვ. 6, 9.

<sup>63</sup> იქვე, გვ. 53, 94.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>65</sup> Фюстель де Куланж, ღამახ. ნაშრომი, გვ. 172—173.

<sup>66</sup> ქართული სამართლის ძაღლები, II, გვ. 23; ი. ანთელა ა. „დარბაზი“ XI—XIII სს. საქმისუფლოში, მაცნე, სტრომის სერია, № 4, 1976, გვ. 151; მაგავის აზრისათვის ის. 6. მოშინევილის წერილი ქართულ სამკოთა ველიკომედი, ტ. 3, თბ., 1978, გვ. 379—380.

სახახლის „ხელისუფალ-საქმისმოქმედთა“ და „ხელოსანთა“ კან-  
და „დარბაზის ერში“ შედიოდა „უკელოთა დარბაზის ურთა“ პატე-  
გორია. „მეფის კურთხევის წესში“ აღნიშნულია: „პირულის მუსიკუ-  
ფალმან თაყვანისცეს (ახალკურთხეულ მეცეს, ი. ა.), შეორულა კათა-  
ლიკოზმან ... და შემდგომად კელოსახთა და უკელოთა დარბაზისერთა  
სრულიადთა“<sup>67</sup>. „კელოსნებს“ ზევით ჰყონდიდელი, თაბაზიგი, მანდა-  
ტურთუხუცესი, მინისპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთ-  
უხუცესი იხსენიებიან „თაყვანისმცემლებად“. მათ ქვემოთ დაწესებუ-  
ლებს, აქედან გამომდგნარე, „კელოსნები“ ეწოდებათ ციტირებული  
დოკუმენტის მიხედვით. ვინ არიან „უკელონი დარბაზის ერნი“?

ი. ჯვეიბიშვილი ფიქტობდა, რომ „უკელონი დარბაზის ერნი“  
წოდებათ წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ<sup>68</sup>. ი. სურგულა-  
ძის აზრით, „უკელონი“ მსხვილი ფეოდალები იყვნენ და მა საფუ-  
ძლით „უკელოდიც“ მონაწილეობდნენ პოლიტიკურ საქმიანობაში<sup>69</sup>.  
ეს განმარტება მოკლებულია პოზიტიურ შინაარსს. რას ნიშნავს მსხე-  
ლი ფეოდალის „უკელო დარბაზის ერთბა“<sup>70</sup>? ჩვენ საშუალება გვქონდა  
სათანადო წყაროებსა და ლიტერატურაშე დაყრდნობით კრულად შე-  
ვხებოდით „უკელო დარბაზის ერთა“ საკითხს. მიეცდით მა და-  
კნიადე, რომ „უკელო დარბაზის ერში“ იყულისხმება „დარბაზის  
ყმები“, ხისავიანები, სამეცნ დომენის წვრილი აზნაურები და მსა-  
ხურები<sup>71</sup>. ესაა ადარბაზის ერის“ ის კატეგორია, რომელიც წყაროებ-  
ში „ლაშქარისა“ და „სპის“ სახელწოდებით იჩენს თავს. ეს შესა-  
ნიშნავად ჩინს თეთრ „მეფის კურთხევის წესიდან“: „კვარისმტვრთვე-  
ლი შემოსილი, ძელი ცხორებისა ეტერთოს, მარჯუნით მეფისა დავს  
ტახტსა წინათ, ვიდრე ლა ა შ ქ ა რ თ ა თაყუანისცემამდე“<sup>72</sup>. ამ ფრა-  
ზის მოქავება ზემოციტირებული აღვილი სახელდებით ჩამოთვლილი  
დედოფლის, კათალიკისა და დიდი მოხელეების, შემდეგ კი „უკე-  
ლოთა დარბაზის ერთა“ თაყვანების შესახებ. ციტირებული აღვილი-  
დან ჩინს, რომ „თაყვანები და ძლუნისა შეწირვა“ უკანასკნელ რიგში  
„უკელოთა“ მართებთ. მათი თაყვანების შემდეგავთ, „კითაუ სრულქმნიან  
ძლნობა, შთამოვიდეს ჯუარისმტვრთველი“<sup>73</sup>. აშკარაა, რომ „ლაშ-

<sup>67</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 53.

<sup>68</sup> ი. ჯვეიბიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II,  
გვ. 241.

<sup>69</sup> ი. ს უ რ გ ე ლ ა ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 21.

<sup>70</sup> ი. ა წ თ ე ლ ა ვ ა. დარბაზი XI—XIII სს. საქართველოში, მაცნე, ასტონის  
ხედი, № 4, 1976, გვ. 157; მისავე, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პო-  
ლიტიკური ასტონის საეთნოგრაფია, გვ. 142—145; ეს მოსახრება ვაისიარა ქ. ჩ ხ ა-  
ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ მ ა, ის. მისი ნარკევები, გვ. 50.

<sup>71</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 53.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 54.

ქართა“ და „უკელოთა დარბაზის ერთა“ თაყვანებია ერთი და ოფიციალური ამდენად, „უკელონი“, წოდებათა წარმომადგენელი ან „მსხვილი ფეოდალები“ კი არ არიან, არამედ „ღ. ა შ ქ ა რ ნ ი“. ცირკულარი

მეფის კურთხევისას „ლაშქართა“ აქტიურობა ჩანს თამარის გაშე-  
ფებისას: „თაყვანისცეს, დალოცეს და აღიდეს სპათა შეცდიავე სამეფო-  
სათა“<sup>73</sup>. „სპა-ლაშქარი“ ფიგურირებს „ვეფხისტუასანში“: „დალო-  
ცეს და მეფედ დახვეს შეუემან და შისთა სპათა“ (46). „ლაშქარი“  
უაღრესად აქტიური და დიდნიშვნელოვანი ძალაა<sup>74</sup>. „ლაშქარის“  
გიორგი III-ს პრეტენზია წაუკენა: „უღონო იქმნეს ლაშქარნი ...  
მკადრებელნი [იტყოდეს] ესრეთ: „არა არს ღონე დარჩოშისა ჩუენისა  
თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“<sup>75</sup>. გიორგი III იძულებული იყო,  
„წარსცნა ზავნი და ფიცი“<sup>76</sup> და გაიღაშქრა.

ი. ჯვარისიშვილი წყაროებში დამოწმებულ „სპა-ლაშქარს“ სახე-  
ბით სამართლიანიდ უდაბებდა ტერმინებს milites, miles და თვლიდა  
რომ იგი რაინდული წრის, „მოყმეთა“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილი-  
ყო<sup>77</sup>. „მოყმები“, იგივე „ჭაბუკები“, სამეფო კარზე „ჭაბუკობათა  
შინა ინტებოლნენ“ და მეფის „გამზრდილთა“ ინსტიტუტს შეადგენ-  
დნენ<sup>78</sup>.

სწორედ ეს „მოყმე“-„დარბაზის ყმები“, ხასაგიანებთან და დო-  
მენის წვრილ აზნაურ-მსახურებთან ერთად შეადგენდნენ „ლაშქარს“  
— „უკელო დარბაზის ერს“ (შდრ. „აზნაურნი, მონანი, მოყმენი“<sup>79</sup>).  
იგივე კონტიგენტი „ტამრეულის“ სახელწოდებითაც ისესენება<sup>80</sup> (იხ.  
ქვემოთ მასახურთუხუცესის შესახებ). განვიხილოთ ამ კონტიგენტის  
შემადგენელი „დარბაზის ყმები“ („მოყმე-ჭაბუკების“) საკითხი.

„დარბაზის ყმა“ ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში პირველიდ „შა-  
ტიანე ქართლისაში“ ისესენიება: „წარმართა (ბაგრატ IV, ი. ა.) ტუ-

<sup>73</sup> ასტრიანი და ამშანი შარავანდულანი, გვ. 27.

<sup>74</sup> ქ. სახელი ი. ი. საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყო-  
ბილება, გვ. 137.

<sup>75</sup> ასტრიანი და ამშანი შარავანდულანი, გვ. 15.

<sup>76</sup> ქვე.

<sup>77</sup> ი. ჭავახიშვილი, ქართლი სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I გვ.  
61.

<sup>78</sup> ასტრიანი და ამშანი შარავანდულანი, გვ. 33; ერცლად ის. ი. ინკე ლ ა-  
ვა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტის საკონსები,  
გვ. 197—198. იქვე ბიბლიოგრაფია.

<sup>79</sup> ქ. ბაღრ ი ე კ, სენიორალური ხელისუფლების ზოგიერთი პალატური  
ნის ნისათვალი პარტულური ქართლში, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტო-  
რიის სეკონძები, I, თბ., 1970, გვ. 143; ნ. ბ ე რ ი ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს  
ისტორიის სეკონძები, VII, გვ. 88.

<sup>80</sup> ასტრიანი და ამშანი შარავანდულანი, გვ. 25.

<sup>81</sup> უცრო ტრცლად ის. კ. ჩ ხ ა ტ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვები, გვ. 58—62.

ლისად და მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმაზე ცხელოსნი დილმისა ველსა<sup>82</sup>. „დარბაზის ყმაზი“ ამირის სისახლის ფრთხულიდ მოსჩანანდ<sup>83</sup>.

თამარის გამეფების პირველსავე წელს ამირსპასალარად დაინიშნა სარგის მნარგრძელი. ამავე დროს ....წყალობა ყო ძისაცა მისისა ზაქარიას დაღოცებითა და ითაყუანა დარბაზის ყმად უმცროსი შეიღი მისი ივანე<sup>84</sup>.

„დაღოცების“ და „თაყვანების“ შინაარსს შეეხო ი. ჯავახიშვილი<sup>85</sup>, რომელსაც, სამწუხაროდ, შეუმნენერელი დარჩა ამ ორ ტერმინს შორის სხვობა და ზაქარიას „დაღოცება“ და ივანეს „თაყვანებას“ შორის გავლებული ზღვარი. აღნიშნულ საკითხს უფრო ნაყოფიერად შიუდგა შ. მესხია, რომელმაც საცხებით მართებულიდ დასკვნა, რომ „თაყვანება“, როგორც იზკვევა, პირველი საცხეური იყო სამეფო კაზ-ზე გამოჩენისა და მიღებისა, ხოლო შემდგომი საცხეური „დაღოცეა“ ყოფილი; მესამე საცხეურს კიდეც „შეწყალება“ წარმოადგენდა, რომელიც „დაღოცებისთან“ ან კიდევ „პოძებისთან“ ერთად შეიძლებოდა მომხდარიყო<sup>86</sup>. „დარბაზის ყმად“ „თაყვანება“, ისევე როგორც „დაღოცეა“, ჯერ როდი გულისხმობდა თანამდებობის ბოძებს<sup>87</sup>. ივანე გარკვეული, პირველი საცხეური იყო.

რას წარმოადგენდა „დაულოცველი“, მაგრამ „დარბაზის ყმად“ თაყვანებული პირი? ეს კატევორია, ჩვენი აზრით, ივივე იყო, რაც პავები, სამეფო სასახლის ახალგაზრდული დასი<sup>88</sup>. სწორედ ეს „დარბაზის ყმები“ შეაღევნდნენ დად სამეფოსკარო თანამდებობათა რეზერვს. ნ. ბერძნიშვილმა, როგორც შემოთაც აღნიშნეთ, საცხებით მართებულად დაუკავშირა ეს ინსტიტუტი „გაზრდას“, „გაზრდილობას“. იგი შენიშნავდა: „ივთანალილი იყო ამირსპასალარის შვილი და თვითონაც იყო სპასპეტი, ე. ი. ხელი შემკვიდრეობით აქვს მიღებული. ამავე დროს ის უეჭველია დარბაზის ყმად იყო, ვიღრე სპასპეტი გახდებოდა,

<sup>82</sup> გატიანე ქართლისა, გვ. 299.

<sup>83</sup> ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მსტარის საკონტენტო, გვ. 134—135.

<sup>84</sup> ისტორიანი ტა პებაზი შარევანლელთანი, გვ. 33.

<sup>85</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ა, ქართლი სამართლის ისტორია, წ. II, ნავ. I, გვ. 80—81.

<sup>86</sup> შ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური ვოთარება და სამოქალეო წყობა, გვ. 295—296.

<sup>87</sup> იქვე.

<sup>88</sup> ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მსტარის საკონტენტო, გვ. 139.

აქ იყო მისი გაზრდა (ით ისევე, როგორც ივანე შხარგრძელი ითაყვანის თამარში) ”<sup>89</sup>.

„დარბაზის“ კარშე „ყმად თაყვანებული“ „მოყვები“, სანტიკიური სამსახურისათვის ემზადებოლონენ და „საჭაბუკოთა საქმეთა შესრულებულების ზრდებოლონენ. თავის დროზე ნ. მარმა გაარკვია, რომ „მოყვე“ - „კაბუკი“ რაინდს (Витязь, ရყაპარ) ნიშნებს<sup>90</sup>. სწორედ „სარიანდო“ ზნე-ჩვეულებებს ეუფლებოლონენ ისინი სახახლები<sup>91</sup>. ამ „აღსრულაში“ უკველია, უპირველესი იდგილი „ლიმერობის“ ეპირია<sup>92</sup>. „სარიანდო“ - „საჭაბუკო“ საქმიანობიში დამსახურების შემდეგ „უკველო“ „დარბაზის ყმა-მოყვები“ სათანადოდ ჯილდოვდებოლონენ და სახახლები წინაურლებოლონენ - „კელია“ და ამ „კელის“ შესაცერ „წყალობის“ იღებლენენ. საამისოდ უაღრესდ შეაფითა თვით „დარბაზის ყმად თაყვანებული“ ივანე მხირგრძელის კარიერა. „უკველო დარბაზის ერის“ წარმომადგენლებს რომ „ლამერობა“ ევალებოლით, კარგად ჩანს თამარის ისტორიკოსის ცნობილი: „ამისდა შემდგომად წარვიღეს შეარგრძელნი, ძენი სარგისისნი და ვაჩამისნი, მოყმენი პირ-წაღმართნი, უხუცესნი ზაქარია და ზექარია დალოც ვილნი, ივანე და ხარგის დალოც ცველნი და ილაშქრეს ქვეყანას დეინისასა<sup>93</sup>. (ხახი ჩვენია, ი. ა.) სათანადო დამსახურების და თავის გამოჩენის შემდეგ ივანე მხარგრძელმა „დალოცვა“ და „კელიც“ მიიღო<sup>94</sup>. ცხადია, ივანეს მაგალითი ტიპიურია<sup>95</sup>.

„დარბაზის ყმის“ მსგავსი ინსტიტუტი დამახასიათებელი იყო და-  
საცლეთ ეკროპისათვისაც. წარჩინებული ახალგაზრდა აღრევე იწყებდა  
სამეცნიერო ცხოვრების (ცხალია, შეფის ნებართვით). იგი ჯერ  
aulicus ხდებოდა და გარკვეული სკოლა უნდა გაევლო, რომ რანგში  
მიაღლებულიყო. ეს სკოლა იყო სისახლის სამსახური (militia pa-  
latina)<sup>96</sup>. ამის შემდგომ მას უფრო მაღილ პატივში იყვანინენ და იგი

<sup>80</sup> 6. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკონსერვო, VII, კვ. 299.

<sup>90</sup> Н. Я. Марр. Вступительные и заключительные строфы Витяза в барсовой коже Шоты из Рустава. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. XII. Спб. с. XI—XV.

११ श. गोपालदास, अस्त्रिकाव्यल रा. मिसि ब्रह्मेश्वरसाह, अ., १९६६, पृ. २०९—  
२१४.

<sup>93</sup> ප්‍රාග්ධනයෙන් මේ ඇඟිප්තුවේ වැට්ටුවෙන් පෙනෙනුයි. 32- 39.

94 0320-33 54.

“ ସାହେବୁଙ୍କ ସାହେବୁଙ୍କରେବିଳି ପାରେଲିଲି ୱେଳେଲେବେଳିଲିଲି ତ୍ରୟାଳୁଶାଖିରମଣି । ଏହି ଜାଗି ପରିଦିଲା ଯୁଦ୍ଧମାନୀୟଙ୍କ ପାରେଲିଲି । ”

<sup>26</sup> Фюстель де Куланж, франц. библио., гл. 94, 176—177, 180.

procera, optimas διορθωτας<sup>97</sup>, γραμματων palatini-δων („παλαιστινων γραμμων“) proceres, optimas palatii-ს („სისხლის დიօრთულობა“) დანართო გადაღულობა.

გარეკვეული საცენტრობაი იყო დაწესებული კარზე დაწინაურები-სათვის მომსახულეთში<sup>95</sup>.

კონკრეტული მასალა საქმით კირვად წარმოგენის „დარბაზის ერის“ ზოგად კატეგორიაში შემავალი, „უკელო დარბაზის ერის“ შემაღლენილი „დარბაზის ყების“ როლსა და თუნეციებს.

„დარბაზის ერთი“, „ერთ პალატისა“, „ტიატრული“ მეფის უანლოე-  
სი გარეშოცვა იყო. აღნიშნულ კატეგორიაში შემავილი პირები შეაღ-  
ენდნენ მეფის „სახახლეს“, „დარბაზს“ და უაღრესად მნიშვნელოვან  
როლს ასრულებდნენ ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ცხოვრება-  
ში.

„დარბაზის ერი“, როგორც წყაროების ანალიზი გეორგიშვილებს, სოციალური დ ჭრელი კატეგორიია იყო. მასში შედიოდნენ როგორც წირჩინებული დიდგვარიანები, ისე წვრილი აზნაურები და მსახურები<sup>99</sup>. ტერმინი „დარბაზის ერი“ (resp. „პალატის ერი“, „ტიათრული“) იღნიშნავდა სასახლის შტატს მთლიანად, დიუკრენცირების გარეშე. „დარბაზის ერის“ დიუკრენცირება ხდებოდა არა სოციალური ნიშნით, არამედ „კელის“ ქონებით, სასახლის კარის მოხულეობისთვის დამოკიდებულებით. ცხადია, პრიატიკაში სოციალურ მდგომარეობას წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს არაა სასახლი სასახლის შტატის ამსახველ ტერმინოლოგიაში. ჩინს, თავისთვის იჯულისხმებოდა, რომ სამეფო კარის დიდი თანამდებობები დიდგვარიანებს დაეჭირათ, ხოლო მცირე, „საველოსნო“ ფუნქციები კი წვრილ ინაურებება და შასურებებს შეესრულებითა.

ამცნალ „ღრმბაზის ერთ“ არის სასახლის მოხელეთა, „კელოსანთა“ და „უკელოთა“ ერთობლიობა და არა „სახელმწიფო ღრმბაზის ნამდვილი წევრები“<sup>100</sup>, „სახელმწიფო საძრო“<sup>101</sup>.

<sup>27</sup> Ди Салле. Glossarium, VI, Band, 23. 107; Фюстель де Куллинан, *там же*, 23. 174.

<sup>98</sup> Сиасет-намэ, книга о правлении вазира XI столетия Низам ал-Мулька, перевод, введение и примечания Б. Н. Заходера. М—Л., 1949, с. 110—111.

<sup>99</sup> Ռ. ՅԵՐԱՎԱՆՅԱ, Համբարձում X1—XII Ա. Տայիրովութեան, 23, 156—157.

<sup>161</sup> ଏହି କାଣ୍ଡରେଲାଙ୍ଗୁ, XI—XV ଲିଖ. ସମ୍ବନ୍ଧିତ ପ୍ରକାଶନରେ ବ୍ୟାପକ ବିବରଣୀ ଦେଇଛି।



XI—XIII საუკუნეების საქართველოს ერთიანი ფეოდალური მმართველობის ნატესტის სასახლე ("დარბაზი", „პალატი"), რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს მთავარი პოლიტიკურ-აღმინისტრის უძინულებელ დაწესებულებას, თავის მხრივ წარმოადგენდა დაწესებულებითა (უწყებათა) კომ-პლექსს. ეს უწყებები იყო საწოლი-სალარო, საჭურჭლე, ზარდახანა, საჯეო კარი, საჯინიბო, საგამგეო, სალვინე და სხვ. სასახლის ამ უწყებებიდან ხდებოდა სახელი და მწიფოს. დომენისა და ოფიც სახელი და მხრივი მიმდევა. შპართველობის ამ სამი სხვადასხვა სფეროს ხელმძღვანელობა, როგორც ზემოთაც აღვნიშვნეთ, სასახლეში იყო წარმოდგენილი. მთავ ფუნქციებიც ჩრდილ ერთმანეთში იყო შეჩერდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი კითხირები არივითარ უცნაურობის არ წარმოადგენს. მოხელეთი ფუნქციების შეჩერება დამახსიათებელი იყო როგორც დახავლეთ ეკროპისათვის<sup>102</sup>, ისე ბიზანტიისა-ცისაც<sup>103</sup>. ამ მხრივ შედარებით განსხვავებულია საქართველოს მეზობელი მამადიანური აღმოსავლეთის ქვეყნები, სადაც სასახლისა (dârgahî) და სამოქალაქო შპართველობა (divan) მკვეთრად იყო განვითარებული და ცალკე ორგანიზებული<sup>104</sup>.

თავის დროზე ი. ჯავახიშვილმა დაწერილებით წარმოადგინა სახელის მოხელეების უფლება-მოვალეობაზ და მა საკითხთან ერთად შეისწავლა სახელის სათანადო უწყებებიც<sup>105</sup>. ვფიქრობთ, დიდმნიშვნელოვან შედეგებთან ერთად კვლევის ასეთ გზას არსებითი ნაკლიც ამლდა. სამოხელეო იერარქიის მიხედვით წარმოებულმა კვლევამ, ი. ჯავახიშვილს მხედველობიდან გამოიპარა სახელის ცალკეული უწყებების მნიშვნელობა. მიმტომაცაა, რომ „საწოლი-სალარო“ მან მსახუროւებულების სიხელისუფლოსთან დაკავშირებით შეისწავლა და ეს დაწესებულება არსებითად შეუფასებელი დარჩა, თუმცა ზოგადად შისი დიდი მნიშვნელობა კი არნაშნა<sup>106</sup>.

<sup>102</sup> Н. Ф. Колесников. Феодальное государство. М., 1957, с. 46.

<sup>103</sup> Г. Г. Литаврик, Византийское общество и государство в X—XI вв., М., 1977, с. 181—182.

<sup>104</sup> В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, Сочинения, т. I, М., 1963, 23—286; В. Гордлевский, Государство сельджуков Малой Азии, М.—Л., 1941, 23—137, 159; EI, vol. II, fasc. 28, Leiden-London, 1962, 23, 332; Б. Забадиев, История государства и правления XI века, Ташкент, изд., 1968, 23, 135—144; H. Horst, Die staatsverwaltung der Grosssgüden und Horazmshähs, Wiesbaden, 1964, 23, 16, 24, 73.

106 *Scio*, 22, 185—188.



„საწოლი-სალარი“ წარმოადგენდა სასახლის მირიან შემომატებული კურ უწყებას, სიღდანაც ხდებოდა შართვა, საღაც იქონიეროდა საშეფერო თათბირი („ვეზი ზირი ბაზი“). აქედან გამომდინარე, სწორედ „საწოლი“ იყო წმყვანი სასახლის უწყებრივ სტრუქტურაში. ა. კიკვიძემ სწორად შენიშვნა, რომ „საწოლი“ მეფის კაბინეტი იყო<sup>107</sup>, ქ. ჩხატარაიშვილმა კი აღნიშვნა, რომ „საწოლი“ იგივე იყო, რაც ეპროპის ფეოდალურ სახელმწიფოებში camera<sup>108</sup>. ფფიქტობით, ამ საკითხს არსებითი და საგანგებო შესწოვლა სჭირდება.

Camera-ს მნიშვნელობა და კინგის მიხედვით იყო domus, cubiculum, coenaculum, conclavis და იგი უდრიდა გალურ (ფრანგულ) chambre-ს<sup>109</sup>. იგივე მნიშვნელობისაა aerarium, fiscus, secretum, secreta regia<sup>110</sup>.

ამდენად camera წარმოადგენდა მეფის აპარტამენტებს, საღაც ის ცხოვრობდა, პენდა სასადილო ოთახი (conclavis) და ხაზინა (aerarium, secretum). ცხადია, აქვე იყო საკუთრივ საწოლი ოთახი (cubiculum).

მეფის camera-ში ინახებოდა ოქრო ზოდებში, ფული, ძვირფასი ნივთები, ოფიციალური დოკუმენტები, საგადასახადო რეგისტრები, შემოხავილ-გასიველის ინგარიშები, სამეცო ბრძანებულებათა ბირები<sup>111</sup>. Camera-ს ემსახურებოდა დაცვის საგანგებო შტატი (camerarii, cubicularii)<sup>112</sup>.

ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეთაურის „საწოლი“, თვისი სტრუქტურით და ფუნქციებით ძალზე უახლოვდება, როგორც აღნიშნული იყო, camera-ს.

სასახლის მრავალრიცხოვანი უწყებებიდან, როგორც შემოთაც აღინიშვნა, ხდებოდა სახელმწიფოს, დომენისა და თვით სასახლის მართვა. „საწოლი“ იყო სასახლის ის უწყება, საიდანაც სახელ მწიფო ს მართვა ხორციელდებოდა.

ერთადერთი წყარო, საიდანაც ასეთი დასკვნა გამომდინარეობს, „ხელმწიფის კარის გარიგებაა“. მიმომაც, საჭიროდ მიგვანია დაწვრი-

<sup>107</sup> ა. ვაკევაძე, ქართული სახელმწიფო დარბაზი და მისი დღიული კულტოსანობა, გვ. 220.

<sup>108</sup> ქ. ჩხატარაიშვილი, ნაჩვევანები, გვ. 53.

<sup>109</sup> Du Cange, Glossarium, II, Band, გვ. 45—51.

<sup>110</sup> Du Cange, Glossarium, VI Band, გვ. 386—388; ფისტელ დე კულანჯ, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

<sup>111</sup> ფისტელ დე კულანჯ, დასახ. ნაშრომი, გვ. 190—191.

<sup>112</sup> იქვე, გვ. 181.

ლუბით შევეხოთ ამ ძეგლის ყველა ცნობას „საწოლისა“ და „საღიროსა“  
შესახებ.

„ნებისმიერის კარის გარიგების“ ცნობით: „მსახურთუნველის გვარისა და შისის კელისა არის: სალარო, საწოლი, შესაწოლეთუნველესი, მოლარეთუნველესი, ფარეშთუნველესი, ციცხვთუნველესი, შენილეთუნველესი“<sup>113</sup>.

ესა საწოლისა და საღმროს დაცვისა და მომსახურების შეატით. მესაწოლეოუნცეს ექვემდებარებოდა შეიღასი სახლი მესაწოლე, რომელთაგან გლეხი (მსახური) იყო რვა სახლი<sup>114</sup>, ხოლო დანარჩენი აზნაური<sup>115</sup>. მესაწოლეების ერთი ნიშილი შეიღებული მეფის „წინამშობლს“<sup>116</sup>.

ი. ჯავახიშვილის აზრით, მესაწოლეები „საწოლის“ მოხელეები იყვნენ, რომელთაც სათავეში მესაწოლეოთუხუცესი ეღდათ<sup>117</sup>. ი. სურ-გულაძის განმარტებით, მესაწოლე მეფის საწოლის გამგება და ივივეა, რაც წინამშობლის<sup>118</sup>. ამ დასკვნებს, ჩვენი აზრით, დაზუსტება ესაქიროება. „მესაწოლეები“ და „წინამშობლები“ არ შეიძლება განვიხილოთ მოხელეებად“, როგორც ეს ი. ჯავახიშვილს მიაჩნია (ისინი „კელოს-ნები“ უნდა ყოფილიყვნენ) და არც „საწოლის გამგებად“, როგორც ი. სურგულაძე ფიქრობს. „მესაწოლეები“, როგორც სრულიად აშკარად ჩანს სათანადო მისაღიღან, მეფის პიროვნებისა და საწოლის მცველები იყვნენ. მესაწოლეების მცველობის ქ. ჩხატარიაშვილიც შენიშნავს<sup>119</sup>, ჰაგრამ არ განშარტავს რა სახის მცველები იგულისხმებიან აქ. „მესაწოლეები“ და „წინამშობლები“ მეფის ას ხელის მცველები იყვნენ, რაც ცხადია, განასხვავებთ მათ საერთოდ „მცველის“ ცნებისაგან. „სხვულის მცველი“, სულხან-ხაბას განმარტებით: „ესენი არიან კაცნი შეჭრულნი მარადის თანამყოფნი შეფერთა და მებატრონებთა თანა, რათა აზევინ იყალროს ბოროტი უფალთა ზედა<sup>120</sup>. „წინამშობლი“ დაღმსტურებულია „ვეფხისტყოსანშიც“ და სრულიად აშკარად „სხვულის

<sup>113</sup> ଶ୍ରୀରାମକୃତ ପାଇନାରାଜାଙ୍କ ମେହଲ୍‌ପିଂଚି, II, ପୃ. 63; o. ପରାମରିଷା ପରାମରିଷାଙ୍କ ମେହଲ୍‌ପିଂଚି, ପୃ. 36.

<sup>114</sup> න්‍යායෝතිය මෙහෙයුම් සංඛ්‍යාව, තොරතුරුවේ, 22- 53.

113 శ్రేణికులం పెద్దాటుల్ని మెగలిపి, II, పృ. 84; o. బెర్లిన్‌లో, ఫార్మాసియల్ ప్రాథమిక్ మెగలిపి, 22, 37.

<sup>114</sup> പ്രാർത്ഥനയ്ക്കുള്ള സമാധിക്കല്ലെ ദേവദാസം, II, 83. 85; o. സൗരാഷ്ട്ര മാനു, പ്രാർത്ഥനയ്ക്കുള്ള സമാധിക്കല്ലെ, 22. 38.

117. a. ఫంగ్ పోకిల్ వోల్ న, ఫెర్నాల్డ్ సెమిల్ ల్యాస్ పత్రికల్, ఫ. II, నెఱ. I,  
122. 186.

<sup>118</sup> ດ. ສັງເກດ ແລະ ດ. ສິວະກຳ ສາມືອງສາມືອງ ຖະແຫຼງ, ປ. 181.

<sup>120</sup> See E. L. Babbitt, *Some Aspects of the American Novel*, Vol. IV, pp. 1966-1977.

მცენარეს” (телохранитель) ნიშნავს. ხეარაზშვის შვილის მოსაქტურდ  
წასულმა ტარიელმა მონები წაიყვანა და უწუმრიად შევიდა სასიძოს  
კარიაშვილი გირავში:

კარიას კალთა ჩახლათული ჩავჭრა, ჩაეკარაბავე,

უმას ცერხთა მოფერდე, თავი სკეტსა შევეტავი.

წინა მწლოთა დაინახნეს, გლოვა მიხვდა საარავე (551)\*

„ვეფხისტყაოსნის“ „წინამწოლი“ ისაა, ვისაც კარავში მყოფი ხეარა-  
ზშვის შვილის სხეულის დაცვა ეკაღუბათ.

ამდენად, „მესაწოლეები“ და „წინამწოლეები“ მეფის სხეულის  
დაცვაა და ამავე დროს „საწოლის“ დაცვაც. მესაწოლეულებულები კი  
მეფის სხეულის მცველა მეთაურია და არა „საწოლის“ გამჯებელი  
მოხელე.

„საწოლის“ ემსახურებოდა ასევე „საწოლის მეკრე“ და „კარის  
დარაჯა“<sup>121</sup>. „საწოლის მეკრე“ და „კარის დარაჯა“, როგორც შევიძ-  
ლია დავისკვნათ, გარედან იცავლნენ „საწოლის“, მაშინ, როდესაც  
„მესაწოლეები“ და „წინამწოლი-მესაწოლეები“ საწოლს შიგნით უნდა  
იმყოფებოდნენ. „საწოლის მეკრე“ დაიდისტურებულია „ვეფხის-  
ტყაოსანშიც“ (358, 359). აქ იგი ტარიელის „საწოლის“ მეკარეა და  
სავსებით მართებულია ი. სურგულაძის დასკვნა, რომ „საწოლის მე-  
კრე“ მეფის გარდა სხვებსაც ჰყავდათ<sup>122</sup>.

სასახლეში, ცხადია, დაცვის სხვა კონტიგენტებიც იყო, ხოლო  
მეფის „საწოლისა“ და სხეულის მცველობა საგანგებოდ მესაწოლეუ-  
ლებულების სახელოდ ჩანს, რომელსაც მესაწოლე-წინამწოლები, საწო-  
ლის მეკარე და კარის დარაჯა ექვემდებარებოდნენ. ეს პირები ყო-  
ველთვის საწოლოთან ჩანან დაკავშირებულნი. დიდი დარბაზობის დროს,  
„საწოლის მეკრე ... ქვე ვერ დაჯდების; ითვალვენ და საწოლის წავა;  
და წინმწოლსაცა მიუვა ხეთვალები და მუნ სჭამენ“<sup>123</sup>. რით ითხსნება  
ასეთი წესის არსებობა?! ვთქიერობთ, იმით რომ სამეფო დარბაზობის  
დროს მეფის „საწოლი“ დაცვის გარეშე არ დარჩენილიყო, მულმივა-  
ყურადღების ქვეშ ყოფილიყო. დიდი დარბაზობის დროს სამეფო  
სუფრას მეჯინიბებიც უსხდნენ<sup>124</sup> და, ცხადია, საწოლის მეკარის იქ

\* აქ და ვალეგნ ქვემოთ გამოყენებულია „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიტი-  
ლე გვირემა.

121 ქართული სამართლის ქვემოთ გვ. 85; ი. სურგულაძე, ქართული  
სამართლის ქვემოთ, გვ. 38.

122 ი. სურგულაძე, სიხელმწიფოსა და სამართლის საქონხები, „ვეფხისტყა-  
ოსნის“ მიხედვით, თბ., 1977, გვ. 162—163.

123 ქართული სამართლის ქვემოთ გვ. 89; ი. სურგულაძე, ქართუ-  
ლის სამართლის ქვემოთ, გვ. 42.

124 ქართული სამართლის ქვემოთ გვ. 94; ი. სურგულაძე, ქართული  
სამართლის ქვემოთ, გვ. 48.

არღაშვება საწოლის დაცეის დიდი მნიშვნელობითა და შეცდინ  
აუცილებლობით უნდა აიხსნას.

მოლარეთუხუცესს, როგორც აღნიშნულია ი. ჯავახიშვილის მიხედვის ပი-  
ერ, „მოლარეები“ და „სალარო“ ექვემდებარებოდა<sup>125</sup>. ჩანს კამინის ერთ-ერთ მ-  
მოლარეთუხუცესი „ს ა ღ ა რ თ თ“ უფრო სი იყო, ეს კი იგი მას  
ყველა ს ა ღ ა რ თ ე ბი ე ქ ვე მ დ ე ბ ა რ ე ბ თ დ ნ ე ნ<sup>126</sup>. (ხაზი-  
ი. ჯავახიშვილისაა, ი. ა.).

ეს დასკვნა არ უნდა იყოს სწორი. როგორც ჩანს „ხელმწიფის  
კარის გარიგებილან“, სამეფო კარზე იყენენ „ზარდანის“ მოლარე და  
საღვინის მოლარე<sup>127</sup>. ისინი, ცხადია, არა მოლარეთუხუცესს, არამედ  
ზარადხანისა და საღვინის ხელისუფლებს ექვემდებარებოდნენ. ვინა-  
იდან დამოწმებული გვაქვს ზარადხანისა და საღვინის (ცალკე უწყე-  
ბების) მოლარეები, ჩვენ ვფიქრობთ, რომ „საღაროს მოლარეები“,  
მოლარეთუხუცესის ხელქვეითნა, იყივე „საწოლის მოლარეები“ უნდა  
ყოფილიყვნენ. საამისო დასკვნის საფუძველს „ეფუზისტუარსანი“ იძ-  
ლევა:

თინათონის ქმა მამისა ევფრა დალტურობა,  
აქვთ და კარის მიერიდა, — ქუნი მხილაც ცილაბა,  
მოლარე იმით, უბრძანა: „ძილი თუ ლეიძილობა“ (101)  
საწოლის მუკრე შემოდგა, მოლარე გაიცეანა შენ. (351)

თინათონი მამის „საწოლის“ კარს მივიღა და მოლარეს პეითხა, ძინავს  
თუ არა როსტევანს. ასევე, საწოლში „შემომდგრა“ საწოლის შეკრეს  
მოლარე გაძევის წერილის გადისაცემიდ. ეს მოლარე „შინაური მო-  
ლარე“. აქედან ცნადი ხდება, რომ მოლარე „საწოლთანაა“ და ავ-  
შირებული<sup>128</sup>. ჩვენი აზრით, „საწოლი“ და „საღარო“ ერთი უწყება  
იყო და მოლარეთუხუცესი მეთაურობდა იმ მოლარეებს, რომლებიც  
„საწოლაა“ და „საღაროს“ ემსახურებოდნენ.

რას წარმოადგენდა თეოთ „საღარო“?

ი. ჯავახიშვილის აზრით, საღაროში ინახებოდა ისეთი განძეულო-  
ბა, რაც „საგმარებლად სანიღადაგოდ“ არ იყო საჭირო და შეკრული-  
ილო. „საჭიროშელეში“ კი პირიქით, „საგმარებლად სანიღადაგოდ“ სა-  
ჭირო განძეულობა იყო შენახული<sup>129</sup>. „საჭიროშელე სანიღადაგო სახმა-

<sup>125</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლი ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ.  
184.

<sup>126</sup> იქვე.

<sup>127</sup> ქართული სამართლის მეგლები, II, გვ. 87; ი. სურგულაძე, ქართუ-  
ლი სამართლის შეგლება, გვ. 40.

<sup>128</sup> შერ. გ. სასეკლი, საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო-  
ებრივი წარმომედა კვეფისტუარსანის მიხედვით, სოხუმი, 1956, გვ. 148.

<sup>129</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლი ისტორია, წ. II, ნაკვ. I,  
გვ. 174.

რებული და სახარჯავი ხაშინა ყოფილა, სალარო კი ერთგვარი ხელი= ხლებელი, „შეკრული“, „სათავენოს შეგაქსად განკუთვნილი ხაშინა არის“<sup>130</sup>. ა. ამ „სათავენო“ ხაშინის გამგებლად მიაწინდა გრძელებული შევლევარს მოლარეთუხუცესი და შენიშნავდა: „განსტატურებული ურალების ლირსია, რომ სალარო მეტურჭლეთუხუცესს არ ექვმ- მდებარებოდა, არამედ მარტო საჭურჭლე“<sup>131</sup>. ამ დისკენის გაზიარება წევნ არ მიგვაჩინია შესაძლებლად. „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ (საიდანაც სარეგბლობს ი. ჯავახიშვილი) სავსებით მკაფიოდ ჩინს, რომ „სალაროში“ დაცული „სათავენო ხაშინის“, „შეკრული“ განძეულობის გამგებელი მოლარეთუხუცესი კი არ იყო, არამედ სწორედ მ ე ჭ უ რ- ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი. „კარის გარიგებაში“ აღნიშნულია: „დიდი არის მეტურჭლეთუხუცესი ... [.. და მისისა ქელისა] არის: ძე[ე]ლნი ქალაქ- ნი, ვაჭარნი, სავაჭრო ... რ ა ც ს ა ლ ა რ თ ს თ ქ რ თ ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი, ანუ ვ ე რ ც ხ ლ ი ს ა, ს ა ვ მ ა რ ე ბ ლ ა დ ს ა ნ ი ა დ ა გ ო დ ა რ უ ნ დ ა დ ა შ ე კ რ უ ლ ი ძ ე ს; ს ხ ვ ა მ ლ ა რ ი დ ა ჭ უ რ ჭ ე ლ ი, ჩ ი ნ უ რ ი დ ა ქ ი ა ნ უ რ ი ... ყ რ ე ლ ი ს ა ჭ უ რ ჭ ლ ე ს ა ძ ე ს დ ა დ გ ა ს“<sup>132</sup>. (ხაში წევნია, ი. ა.) ამ ცნობიდან სავსებით არაორაზროვნად გამომდინარეობს, რომ „სა- ლაროში“ დაცული იქროსა და კურცხლის ჭურჭელი, რომელიც „შეკრულია“, ისევე მეტურჭლეთუხუცესის ქელისა, როგორც ქალაქ- ნი, ვაჭარნი და „ს ხ ვ ა მ ლ ა რ ი დ ა ჭ უ რ ჭ ე ლ ი“, რომელიც საკუთრივ საჭურჭლეში ინახება.

ამდენად, „სალაროში“ დაცული განძეულობა არ იყო მოლა- რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი ს ქ ე ლ ი ს ა. ი გ ი მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ს ა ქ ვ ა მ დ ე ბ ა რ ე ბ თ დ ა.

მაშ რა იყო „სალაროში“ მოლარეთუხუცესის მოსაყითხი და „სა- კელო“?! ასეთს წარმოადგენდა დ ი დ ი ს ა ს ი გ ე ლ ე ს ა ხ ე ლ მ წ ი- ფ თ ბ ე ჭ ე ლ ი.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ იმ მონაკეცეთში, სადაც მოლარეთ- უხუცესზე საუბარი, ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი განძეულობაზე (სალაროში დაცულ განძეულობაზე საუბარია მეტურჭლეთუხუცესი- სადმი მიძღვნილ მონაკეცეთში), სამაგიეროდ კი „კარის გარიგების“ ავტორი ვრცლად მსჯელობს დიდ სასიგელე ბეჭედზე. ი. სურგულა- ძემ საესებით სწორად დაადგინა, რომ დიდი სახელმწიფო სასიგელე ბეჭედი ინახებოდა სალაროში და სიგელი დასაბეჭდად იქ მიპეონ-

<sup>130</sup> იქ 39.

<sup>131</sup> ა. ფ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის სტორი, წ. II, ნავ. I, გვ. 75.

<sup>132</sup> ქართული სამართლის მეგლები, II, გვ. 86; ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ქართული სამართლის მეგლები, გვ. 39.

დათ<sup>133</sup>. მოლარეთუხუცესს ეძღვოდა „საგასაბსნითე ბეჭედი“, რომ-  
ლითაც დაბეჭდილი იყო დიდი სასიგველე ბეჭედი<sup>134</sup>. გამსინდუშტრია; ქ  
სიგველი მწიგნობარს სალაროში მიჰქონდა, „საგასაბსნითუ ბეჭედი“<sup>135</sup>  
დაბეჭდილ „დიდ სასიგველე ბეჭედი“ მოლარეთუხუცესი გახსნიდა,  
სიგველს დაბეჭდავდნენ და დიდ სასიგველე ბეჭედსაც კვლავ დაბეჭდივ-  
დნენ მომავალ ხმარებამდის. ამ პროცედურაში სალაროს მოლარე და  
მეგოდრე მონაწილეობდნენ<sup>136</sup>. ნიშანდობლივია, რომ ზარალისა და  
სალვინესთან დაკავშირებით იხსენიება საანგარიშო გოლორი<sup>137</sup>, სიგვ-  
ლის დაბეჭდვის დროს კი მეგოდრე. ა. სურგულაძის აზრით, მეგოდრე  
შესაძლოა იყო იმ გოლორის შემნახველი, სადაც საბეჭდედ გამზადებული  
ზონაზე კავშირილი ლითონის ნატრები ეწყო<sup>138</sup>. ჩვენ ეს აზრი არ მიგვაჩინია-  
მართებულად. საანგარიშო გოლორებში ზარალისა და სალვინის უწ-  
ყებათა აღწერის, ანგარიშის ნუსხები ინახებოდა<sup>139</sup>. საფიქრებელია,  
რომ მეგოდრე, რომელიც მონაწილეობდა სიგველის დაბეჭდვის პრო-  
ცედურაში, ინახავდა ამ სიგველის დაბეჭდილ პირს სამეცნ არქივისათ-  
ვის. შეუძლებელია გაცემული სიგველის პირი სასახლეში არ ყოფილიყო  
დაცული. ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ „აფხაზე-  
თის მეფეთა დივანი“, რომელიც დაცული იყო „საჭურჭლეში“<sup>140</sup>. XIII  
საუკუნის ერთი ცნობით, სასახლეში დაცული იყო საგადასახა-  
ლო რეგისტრები<sup>141</sup>. ინტერესს იწვევს „ხელმწიფის კარის გარიგების“<sup>142</sup>  
ერთი ნაკლული აღვიღოც. ყოველდღიურად მწიგნობართუხუცესს  
ეკუთვნოდა 5 ფურცელი ქალალდი, სამი — საწოლის მწიგნობარს,  
ორი — ზარალისას და თითო — დანარჩენთ. რამ ეს დაწერონ და-  
მეჭერჭლეს ხაჯვით ყელსა“<sup>143</sup>. ი. სურგულაძე ამ საკითხთან და-  
კავშირებით რამდენიმე ვარაუდს გამოითქვამს: „მეჭერჭლე მათი დამ-  
ტარებელი იყო თუ შემკრები და შემნახველი“<sup>144</sup>. ვთქის რობთ, პარკით,

<sup>133</sup> ი. ს უ რ გ რ ლ ა ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 99.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 37, 188.

<sup>135</sup> იქვე, გვ. 37, 99.

<sup>136</sup> იქვე, გვ. 40, 41, 99.

<sup>137</sup> იქვე, გვ. 99.


<sup>138</sup> იქვე.

<sup>139</sup> С. Н. Джакашвили, О времени и условиях возникновения Абхаз-  
ского царства, Тбилиси, Г. II, тб., 1952; 324; გ. ბ ა დ რ ი ძ ე, ქართულთა სა-  
მეცნის პლატიფური სტრუქტურას სტრუქტურას სტრუქტურას, თსუ მრომები, ტ. 113 (V), тб.,  
1965, გვ. 252, ქართლი 162.

<sup>140</sup> სტრენის ორბერიანის „ცხოვრება ორბერლანთა“ ქველი ქართული თარგმა-  
ნები, ე. ცაგარენშვილის გამოცემა, თბ., 1978, გვ. 104—105; ი. გ ვ ე ხ ი ძ ვ ი ლ ი,  
ქართული სამართლის სტრუქტურა, ტ. II, ნაკვ. I, გვ. 134—135.

<sup>141</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 82; ი. ს უ რ გ რ ლ ა ძ ე, ქართული  
სამართლის ძეგლები გვ. 34.

<sup>142</sup> ი. ს უ რ გ რ ლ ა ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 92.



თოფრიით („ჩავკი“) აღჭურებილი მეჭურშელე შესანახად ქრებთა შტაგ-ნობართა ნაწერს. აյი აღნიშნულია კიდევ ტექსტში: „რამ ას დაწერა რომ“. ე. ი. თოფრიანი მეჭურშელე დაწერილი ქაღალდების შეკრები და შემნიხველი იყო.

კინაიდან „სალაროს“ განხეულობა, რომელიც „საჭურჭლისაგან“ განსხვავებით, „შეკრული“ იყო, ექვემდებარებოდა მეტურტლეთუზუ- ცესს, ეფიქრობთ, რომ საშეფო სიგვლია პირები, საგადასახიდო და საინგენიორო რეგისტრებიც საღარიში ინახებოდა და „საჭურჭლის“ „საინგრიში“ დაკუთრი ნაწილს წარმოადგენდა.

შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოლარეფაზუცესი იყო დიდი სახელმწიფო ბეჭდის მცველი და მას საღარიში დაცულ განძეულობაშე ხელი არ მიუწვდებოდა. ეს უკანასკნელი მეტურჭლეთ-უზუცესის სახელო იყო.

ამრიგად, შესაწოლეთუნეცესს და მის ხელვევითებს ევალებოდათ შეფის „სხეულის“ და „საწოლის“ დაცვა, ხოლო მოღარეთუნეცესს— დიდი სახელმწიფო სასიკედა ბეჭდის დაცვა. მოღარეები ფუნქციონირებდნენ საწოლშიც და არულებდნენ მომხსენებლის, ამბის მიმტან- მომტანის ფუნქციებსაც.

გარდა მესაწოლეთუხუცესისა და მოლარეთუხუცესისა, მსახურთუხუცესს ეძვემდებარებოდა საწოლის საფარეშო სამსახური — ფარეშთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მენილეთუხუცესი და მათი შტატი<sup>143</sup>. მოკლედ შეკვეთოთ აღნიშნულ სამსახურს.

ფარეშთუხუცესს ევალებოდა საწოლის მოწყობილობის მოვლა-პატრონობა. ეს იყო „კელის ნოხნი, სანთელი, ფანარი, შაშხალა“<sup>144</sup>. „გარევით ნაძღობი“ ცოცხით ფარეშთუხუცესს უნდა გაფრინდა მეფის საწოლი ტახტი და ნოხი, ხოლო „სხვთა ნოხთა“ ფარეშები წმენდნენ<sup>145</sup>. ფარეშთუხუცესს ევალებოდა სამეცო კარვის, ხარჯისა და ჩატრის<sup>146</sup> გაწყობა და „კაშმა“<sup>147</sup>.

o. ჯავახიშვილს „შენიშნული აქვს, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, იმ ოთახს, საცავს „ვაზირობა“ უწოდა ჩატარე-

143 n. గాగాకొకొల్ని, కోరులు సమారులు ఎంగులు, ప. II, నెడ్ర. I,  
23. 188—189.

<sup>144</sup> କେନ୍ଦ୍ରିକାଲୀଙ୍କ ବୈଧିକିତଳାଙ୍କ ମ୍ୟାଗ୍ରଲେବ୍‌ର, II, ୩୩, ୪୫; ଏ. ଶ୍ରୀ ହିତାଲାଙ୍କ ଓ ଜୀବନାଳୀଙ୍କ ମ୍ୟାଗ୍ରଲେବ୍‌ର, ୩୩, ୩୮.

145 *ocean.*

<sup>147</sup> ଜୀବନଶ୍ରୀଙ୍କ ସାମାଜିକତାଙ୍କ ପ୍ରଗଟ୍ଟଣା, II, ପୃ. 85; n. ଲେଖକ ଏବଂ ଡ୍ର. ଜୀବନଶ୍ରୀଙ୍କ ସାମାଜିକତାଙ୍କ ପ୍ରଗଟ୍ଟଣା, ପୃ. 38.

ბულიყო, ფარეშთუხუცესი „კაზმიედა“<sup>148</sup>. სამწუხაროდ, განცვეულებულ  
მკველეარს არ აღუნიშნავს, რატომ უნდა გაეწყო „სავაზირო“ ოთახი  
საწოლის მოხელეს, ფარეშთუხუცესს. ჩენი აზრით, იმიტომ „ვაზირობა“  
„ვაზირობა“ საწოლში მიმდინარეობდა (იხ. ქვემოთ).

ციცხვთუხუცესს და მის ხელჯეით ციცხეებს ევალებოდათ  
„აბანოს თბობა“, „სახლის გვა“, „შეშის კოდა“, „ცეცხლის ნოება“  
და სხვა<sup>149</sup>.

მენილეთუხუცესი „მენილების“ უფროსი იყო და „მის ებარა  
ხილის საქმე და ჭურჭელ-იარაღი“<sup>150</sup>.

საწოლის მომსახურებაში მონაწილეობას იღებდა „საღვინის“  
უწყებაც. „საღამოს შეღვინე ფანჯას მომტროს მიიღებს, მყინვარიან-  
ითა ჭურჭლითა, ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარსა დაპყრის და ჰელთა.  
მანდილი აქეს... და თუ მეფეებსა დამით მოეწყუროს, ბძინოს, რომე-  
ლიცა უნდა“<sup>151</sup>. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ეს აღვილი ეხმიანება  
იმ მონაკვეთს, „საღაც „საღვინეზე“ და მეღვინეთუხუცესის სახელოზეა  
საუბარი: „და ბოლოს სათიქარი რკინისა არის, დაიხობენ საღვინესა  
შიგან, საღვინის მოლარე მას ზედა დაპყიდებს და ფანჯისა მისაღებელი  
ჭელმანლილიცა მასევ ზედა ქიდავა“<sup>152</sup>. მეფის საწოლის ღვინით  
მომარავება ღამით, როგორც ჩანს, „საღვინის“ მოვალეობას შეაღვენ-  
და, ხოლო საღვინის მოლარე მისატან ჭურჭელს გააწყობდა<sup>153</sup>.

„ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, რომ მეფე „საწოლის“  
პატრიარქენტებში საუზმობდა. ამასე უნდა მიგვანიშებდეს: „რად  
ტაბაკი აიღონ“<sup>154</sup>.

სრული უკველობით შევიძლია აღვნიშნოთ, რომ „ს ა წ თ ღ ი ს“  
ა პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ ე ბ შ ი ვ ე ეწყობოდა „პურობა“ და „ხილობა“. „თუ  
პურობას ღამე შემოესწროს, სანთელი სასანთლითა და მისითა  
ნატითა თავ-თავის საფარეშოთა არის... და რა გაიყარნენ, თრი  
მაშიალა ჭყონდიდელს წაუძღვების და თეთოთ სამთა ვეზირთა... და  
იგინი ფარეშთ შეჭამალთა და ღვინოს მოსცემენ“<sup>155</sup>.

<sup>148</sup> ი. გავაჩივე ილ ი. ქართული სამართლის სტრუქტ. წ. II, ნაკვ. I, გვ. 199.

<sup>149</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, 85; ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. ქართული სა-  
მართლის ძეგლები, გვ. 39.

<sup>150</sup> ი. გავაჩივე ილ ი. ქართული სამართლის სტრუქტ. წ. II, ნაკვ. I, გვ. 189.

<sup>151</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 85; ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. ქართული  
სამართლის ძეგლები, გვ. 38.

<sup>152</sup> იქვე, გვ. 88; გვ. 41.

<sup>153</sup> იქვე.

<sup>154</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 85; ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. ქართული სამართ-  
ლის ძეგლები, გვ. 38.

<sup>155</sup> იქვე.

როგორც „კარის გარიგების“ ამ აღვიღილიდან ჩანს, სახლის უმაღლესი მოხელეები მეფესთან პურობდნენ „საწოლში“ და ამ ფარეშთუხუცესის შტატი ემსახურებოდა. იგივე ითქმის უნივერსიტეტი „და ავრევე ხილობას ტახტი ღლესცა მოექანმოს, მას შეგა იგი (ფარეშთუხუცესი, ი. ა.) ახლავს“<sup>156</sup>. „პურობა“ და „პილობა“ „ვეფხისტყაოსანშიც“ ჩანს:

დღე ერთ გარდახდა. პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა (56).

„ხელმწიფის კარის გარიგების“ სათანადო აღვიღილებიდან, რომ-ლებიც ზევით ვანებიხილეთ, აშკარად ჩანს, რომ მსახურობულებესა და მის სახელოს ევალებოდა მეფისა და სახელმწიფო ბეჭდის დაცვა, მეფის პერსონის მომსახურების და ეგვიპტის მისახურების დაცვა, მეფენ არ მიგვაჩნია შესაძლებლად დავისკვნათ, რომ მსახურობულებეს იყო საწოლისა და საღარის, როგორც უწყების გამგებელი. საწოლისა და საბლაროს კომბლექსში უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციები ეყრდნობა მეტერტლეთუხუცესს, რომელიც ზემოაღნიმნულებისამებრ, ვანაგებდა საღარიში დაცულ ვანძეულობას. უაღრესად დიდ როლს ასრულებდა საწოლში ასევე საწოლის მწიგნობაზი.

საწოლის მწიგნობაზი, რომელიც მწიგნობაზოთუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს ეკუთვნოდა<sup>157</sup>, როგორც ჩანს, უაღრესად დიდი პრეტო-გატივებით იყო იღებული. „კარის გარიგების“ ცნობით: „გელა-თისაგან კიდე საყდარნი და სხვანი მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიონი დასწინ არიან — კველა ჭყონდიდლის და საწოლის მწიგნობრის საქელოისა“<sup>158</sup>. მართალია, ამ ცნობაში ისისრულით როდია მოცემული ჭყონდიდლისა და საწოლის მწიგნობრის ფუნქციები, მაგრამ საინტერესო სხვა რამაც. საწოლის მწიგნობაზი ჭყონდიდელთან ერთად გამოღის „საეკლესიო დასის“ ხელისუფლად, რაც მის უაღრეს მნიშვნელობაზე მიუთითებს. საწოლის მწიგნობაზს; „კარის გარიგების“ მიხედვით, მართებდა „ზედამდგომელი მეტერტლე“. იგი, ა. კიკევიძის მართებული შენიშვნით, იყო საწოლის, როგორც მეფის კაბინეტის, გამგებელი და მეფის პირადი მდივანი<sup>159</sup>. ნიშან-დობლივია, რომ საწოლის მწიგნობრობა ღოკეუმენტების მიხედვით, ხშირად გაერთიანებული იყო საჭურჭლის მწიგნობრობასთან. თამარის გელათისაღმი ბოძებული სიგელი დაწერილია საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობაზე არსენ სამძიებაზის მიერ<sup>160</sup>; ასევე საწოლისა და

<sup>156</sup> იქვ.

<sup>157</sup> იქვ, გვ. 82; გვ. 34; ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის სტრუქტურა, წ. II, ნავ. I, გვ. 135—136.

<sup>158</sup> იქვ, გვ. 82; გვ. 34; ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის სტრუქტურა, წ. II, ნავ. I, გვ. 135—136.

<sup>159</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სახელმწიფო დარბაზი, გვ. 220.

<sup>160</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 26.

საჭურჭლის მწიგნობარი ნიკოლოზის შიერაა დაწერილი დავით ნარი-  
ნის გვლათისადმი ბოძებული სიგველი<sup>161</sup>. ის ფაქტი, რომ ცალკე სამა-  
როს მწიგნობარი არ ჩანს წყაროებში, უნდა ამაგრებდეს ჩვენის შრების მისი შესახებ, რომ საწოლი და სალარო ერთი უწყება იყო.  
ჩვენი აზრით, არც ცალკე საჭურჭლის მწიგნობარი არსებობდა და მის  
ფუნქციება საწოლის მწიგნობარი აღასრულებდა.

საწოლის მწიგნობრის კონკრეტული ფუნქციების მოცულობის  
შესახებ ჩვენ მასალები უკველად გვაყდია, მაგრამ მისი ძალაზე მნი-  
შვნელოვანი როლი კამათს არ უნდა იწვევდეს. ნიშანდობლივია, რომ  
მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის პირველი თანაშემწე სწორედ ს ა-  
წ თ ლ ი ს მწიგნობარი იყო. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საწოლის,  
როგორც სასახლის უწყების, წამყვან მნიშვნელობას. ამაზევე მივითი-  
თებს ზოგიერთი შემორჩენილი ცნობა საწოლის მწიგნობართა სოცი-  
ალური ვინაობის შესახებ. იერუსალიმის ერთი ხელნაწერის მინაწერში  
აღნიშნულია: ქვეღო, შფლ-ბლო ყო-ო, შეუნდევნ კ-ნი, ცოდვანი დი-  
დისა მონასტრისა ბერსა მო-ბლრთ მო-ღრსა ა ნ ტ თ ნ ი გ თ დ თ ბ რ ე-  
ლ ს ა. ესე წიგნი მარგალიტი ს აწ თ ლ ი ს მწ ი გ ნ თ ბ რ თ ა ს ა  
მისსა შინა დაეწერინა<sup>162</sup>. (ხაზი ჩვენია, ი. ა.) მინაწერის მიხედვით,  
ანტონი გოდობრელი ჯერ საწოლის მწიგნობარი ყოფილა, შემდევ კი-  
გელათის მოძღვართ-მოძღვარი. ეს ანტონი გოდობრელი არის ერთი-  
თავთერისთავთა სახლის შეილი, კერძოდ კი შეილიშვილი სავანის  
1046 წლის წარწერებში მოხსენიებული გიორგი ერისთავთერისთავი-  
სა<sup>163</sup>. თავის მხრივ ანტონი გოდობრელი, გოლიათის ძე იხსენიება  
დარკვეთის წარწერებში. თუ ქრისტოლოგის მიხედვით ვიმსჯელებთ,  
ანტონი გოდობრელი დავით IV აღმაშენებლის საწოლის მწიგნობარი  
უნდა ყოფილიყო.

წარწინებული სახლის შეილია თამარის გელათისადმი ბოძებული  
სიგველის დამწერი, საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობარი არსენ სამ-  
ძივარი.

როგორც აღნიშნული გვეთხდა „ხელმწიფის კარის გარიგების“  
დათარიღებისადმი მიძღვნილ ნაშრომში, ძეგლში მოხსენიებული სა-  
წოლის მწიგნობარი ინასარიძე ეკუთვნოდა წარწინებულ გვარს<sup>164</sup>.

<sup>161</sup> ი. ვ. ვ. გვ. 75.

<sup>162</sup> 6. მ ა რ ი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ.,  
1955, გვ. 49.

<sup>163</sup> დასავლეთ ხაქართველოს ლაპიდარული წარწერები. ნაკ. I, შეაღვენა და ვა-  
მოხა ჟად მოამზადა კ. სილოვანი, თბ., 1980, გვ. 58—63, 76, 77, სქლით 1.

<sup>164</sup> ი. ა ნ კ ე ლ ი კ ი, „ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებისთვის, მნა-  
თხიბი № 7, გვ. 160.

იგივე პირი უნდა იყოს დაეით ნატინის გელათისაღმი ბორებული სრ-  
გელის დამწერი, საწოლისა და საჭურჭლის შწიგნობარი, ნაფაფუზე დ.

საინტერესოა, რომ არსენ ჭყონდიდელ-შწიგნობარი მარტინ  
წყალობის დაწერილს მგელა აბულახტარისძისაღმი სხვებთან ერთად  
ამოწმებს „იშხნელ ყოფილი და აწ საწოლისა და საჭურჭლის შწიგნო-  
ბარი ანტონი“<sup>165</sup>. ეს პიროვნება მწიგნობართუხუცესის დაწერილს  
ამოწმებს ძალზე მაღალი რანგის პირებთან და სულაც არ მოჩანს და-  
მცრობილად. ჩანს, საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობრობა თუ მეტი  
არ იყო, ყოველ შემთხვევაში იშხნელობას უდრიდა. იშხნელის მაღალ  
იქრარქიულ პატივზე სიტყვის გაგრძელება კი აღარ მიგვაწინა საჭი-  
როდ.

ეს მასალა მოვიტანეთ საწოლის მწიგნობრების მაღალი სოცია-  
ლური წარმოშობის საილუსტრაციოდ, რაც, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნ-  
და იწვევდეს. თავის მხრივ კი აღნიშნული პირების სოციალური წარ-  
მოშობა გარკვეულ შტრიხებს მატებს საწოლის მწიგნობრის, როგორც  
თანამდებობის პირის, წარმოჩნდებასა და გავებასაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიან ჩვენ გამოვიდეს დასკვნა, რომ  
საწოლი და საღარი, როგორც სასახლის უმთავრესი უწყება, დღვეან-  
დელი ტერმინოლოგია რამდენიმეოთ, კოლექტიური მმართველობის  
ქვეშ იყო და იგი არ წარმოადგენდა მხოლოდ მსახურთუხუცესის სახე-  
ლოს.

„საწოლი-საღარის“, როგორც მეფის პირადი პარტიამენტების  
(საძინებელი, სახადილო), კაბინეტის, სახელმწიფო ბეჭდის საცავისა  
და განხეულის (ბეჟვე არქივის) საცავის კომპლექსის მართვაში მო-  
ნაწილეობდა სასახლის რამდენიმე „უხუცესი“ თავისი შტატის მეშვე-  
ობით.

1. საწოლის, როგორც სახელმწიფოებრივ უწყებას, მეფის კაბი-  
ნეტისა და კანცელარიის განავებდა საწოლის მწიგნობარი (მწიგნო-  
ბართუხუცესის-ჭყონდიდელის სახელო).

2. საღარის, როგორც განხეულის საცავს, განავებდა მეჭურჭლეთ-  
უხუცესი.

3. საწოლისა და საღარის, როგორც მეფის აღვილისაშეუცელისა  
და სახელმწიფო ბეჭდის საცავის დაცვას ახორციელებდნენ მესა-  
წოლეთუხუცესი და მოლაპრეთუხუცესი (მსახურთუხუცესის სახელო).

4. საწოლისა და საღარის მომსახურებაში მონაწილეობდა ასევე  
„საღვინის“ უწყება და „სამშარეულო“, რომლებიც ცალკე იყვნენ  
კარზე ორგანიზებულნი.

<sup>165</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 160.

აღნიშნული საკითხების განხილვის შემდეგ, ჩეენ შეგვიძლია მივ-  
გართოთ „ვეზირობის“ პრობლემის და იმ თემისის დასაბუთებას, რომეც უკა-  
სა წ თ დ ი დ ა ნ ს დ ე ბ თ დ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ თ ს მ ა რ თ ჭ მ შ ლ უ ი რ ი ს ა

სამისოდ მოვიტანთ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობა  
„ვეზირობის“ შესახებ: „და თუ ვეზირობა იყოს, მათ მოაქსენონ ჰყონ-  
ლიდელსა და ათაბაგსა<sup>165</sup>, ამირსპასალარსა, შექურჭლეთუხუცესსა,  
მსახურთუხუცესსა და ამილასორსა. ღაფინოს ორხოვა ფარიშთუხუ-  
ცესმა მომცრო და ზედ სასიაული დადგას. ღაფინოს შეფე მის ზედა ...  
მსახურთუხუცესმან „ბძანეთ“ თქვას. ჯალაბი გაიყაროს“<sup>167</sup>.

ურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ „ვეზირობის“ დისაწყისში  
მსახურთუხუცესი „იურეის“, მან უნდა თქვას „ბძანეთ“, რის შემ-  
დეგაც ჯალაბი „გაიყრება“. „ჯალაბი“ ი. ჯავახიშეიღლს მიანდა მეფი-  
სა და დარბაისლების სახლობად, ქალებად და ყმაწვილებად<sup>168</sup>. დაახ-  
ლოებით ისევე განშარტივს „ჯალაბს“ ი. სურგულაძეც<sup>169</sup>. ორივე  
მკვდევარი მართლია „ჯალაბის“ ცნების სერთოდ განსაზღვრაში,  
მაგრამ საფიქრებელია, რომ „კარის გარიგების“ ციტირებულ ადგი-  
ლის „ჯალაბი“ არა მეფისა და კარისკაცთა ოჯახებს, არამედ სასახლის  
ხელშინაურთ (ყელაბა) აღნიშნავს. ციტირებულ ტექსტშივე აღნიშ-  
ნულია, რომ ოთახი „სავაზიროდ“ ფარეშთუხუცესს უნდა გაემზადე-  
ბინა. ცხადია, მას ფარეშებიც ესმარებოდნენ და სწორედ ეს უნდა  
იყოს „ჯალაბი“ (შედრ. „მოჯალაბე“). ამას ისიც ამტკიცებს, რომ  
„ჯალაბის გაყრის“ ნიშანი მსახურთუხუცესს უნდა მიეცა, რომლის  
ხელშეითებაც სწორედ ეს „ჯალაბი“, ფარეშები შეაღვენდნენ.

ტერმინი „ჯალაბი“ იხსენიება „ვეფხისტყაოსანშიც“ და იქაც  
სრულიად გარკვეულად „საწოლთანა“ დაკავშირებული.

მეფე საწოლს შემოუდა სევდანი, ღალატის  
უკავათ გაიყარა, ფალანი ჩანს არ დატანილი (100)

როგორც ვხედავთ, როსტევანის საწოლშიც „ჯალაბია“ თავმოყრილი  
და მეფის სევდიანობის გამო „კველაბად გაიყარა“. „კვეთისტყაოსანსა“

<sup>165</sup> აქ, როგორც ჩანს, შემთხვევით გამორჩენილია მანდატუროთუხუცესი, რომელიც  
აღდგენილია ი. სურგულაძის გამოცემის ამირსპასალარს შემთვევა (იხ. ი. ს უ რ ა უ-  
ლ ა ბ ე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 49). ჩეენი ამირი, მანდატუროთუხუცესი  
ამირსპასალარზე წინ უნდა იხსენიებოდეს.

<sup>167</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 95; ი. ს უ რ ა უ ლ ა ბ ე, ქართული  
სამართლის ძეგლები, გვ. 49.

<sup>168</sup> ი. გ ა ვ ა ხ ი მ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I,  
გვ. 200.

<sup>169</sup> ი. ს უ რ ა უ ლ ა ბ ე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 201. ი. სურგუ-  
ლაძე იმავე უკვებს, რომ გამარა იგანის წევრებისა, გალაბი შეიძლება კარისკაცებიც  
ჯვრენ, იქვე, გვ. 22.

და „კარის გარიგებას შორის“ ზუსტი ტერმინოლოგიური დამტკიცებული ჩანს („კარის გარიგება“; „ჯალაბი გაიყაროს“; „ვეფხისტყაოსანი“; „ვეფელაბი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი“). „ვაჟუმანის შეუძლებელი ვეფხისტყოსნის“ სხვა აღიღებიდანაც ჩანს:

გაურა ბრძანეს, გაიყარნეს, გალაპაბა გათხელეს (722)

რა ფალაბი გაიყარა, უმა ვაზისა ეუბნების (723)

ამდენად, „ჯალაბი“ იყო ხელშინაური მსახურები და ისინი „საწოლთან“ იყვნენ დაკავშირებულნი.

„ვეზირობის“ დაწყების წინ „ჯალაბის გაყრა“ და სათანადო განკარგულების მსახურთუხუცესის შიერ გაცემა მიგვანიშნებს, რომ „ვეზირობა“ საწოლში მიმდინარეობდა. ამანევე მიგვითითებს ზოგი სხვა გარემოებაც. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობით, „ვეზირობის“ დროს „საწოლის მექრე კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კარით, ამ გამოუხშავს, კელთა არგანი აქვს, ქვე ზის და ვისცა უბრძანებენ, შემოიყანს“<sup>170</sup>. „საწოლის მექრე“, როგორც ზემოთ იყო ნაჩევნები, წარმოადგენდა საწოლის დაცვის შრატს და მესაწოლეთუხუცესის სახელო იყო. ცხადია, რომ ის კარი, რომლის გარეთ იღვა საწოლის მექრე და ზურგი პქონდა შემოქცეული, საწოლის კარი იყო. მასვე ევალებოდა „ვისცა უბრძანებდნენ, შემოიყანს“. ეს ფუნქციაც საწოლის მექრისა საწოლზე მიგვითითებს. კველა ცნობაში, საღაც კი საწოლის მექრე იხსენიება, იგი საწოლთანაა დაკავშირებული. ამაზე მიგვითითებს ამ მოხელის სახელწოდებაც. საწოლის მექრეს „ვეზირობაზე“ გამოძახებული პირები „სა წ თ ღ შ ი“ მე ჰ კ უ ა ვ დ ა.

საწოლისა და სილაროს სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა „ვეზირობის“ ამსახველი შემდეგი აღვილიც: „მე-საწოლეთუხუცესი, საღაროს კარის გამოსავალსა დღას გარეთ, მეფის ზურგით; მოლარეთუხუცესი საღაროს კართა შიგან დღას გამოსავალსა“<sup>171</sup>. ამ ცნობიდან დგინდება, რომ მეფის ზურგით იყო საღაროს კარის გამოსავალი. კარს გარეთ იღვა მესაწოლეთუხუცესი, ხოლო მის პირისპირ „საღაროს კართა შიგან ... გამოსავალსა“ მოლარეთუხუცესი მღვარა. აქედან გამომდინარეობს დასკენა, რომ საწოლი და საღარო უშუალოდ გვერდიგვერდ იყვნენ განლაგებულნი. „ვეზირობის“ აღწერას უშუალოდ მისდევს შემდეგი ცნობა: „საწოლისა ღმრთისმ-

\* 170 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 96, ა. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 50.

<sup>171</sup> იქვე.

შობელი თვით საწოლსა სკენებია<sup>172</sup>. ცხადია ავტორს „შემთხვევით როდი მოუთავსებია ეს ცნობა „ვეზირობასთან“. თათბირის შიძლი ნარეობის დროს საწოლის ღმრთისშმობელი „თვით საწოლში“, ჰუსიფაზული ძინებელში ყოფილა დასკენებული.

„ვეზირობის“ დროს, როგორც ცნობილია, უმაღლესი მოხელეების მონაწილეობით „იურვოდნენ“, „რაც სასაურეო იყოს“<sup>173</sup>. ცხადია, რომ სამეფო თათბირი, სახელმწიფო საბჭო უმნიშვნელოვანებს საკითხებს წარიდა ს ა წ თ ლ შ ი, სადაც ეს თათბირი მიმდინარეობდა.

ამდენად, ს ა წ თ ლ ი წ ა ჩ მ თ ა დ გ ე ნ დ ა ი მ უ წ ყ ე ბ ა ს, ს ა ღ ა ც ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ა ბ ჭ ი, ს ა ს ა ხ ლ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ი მ თ ხ ე ლ ე ბ ი მ ე ფ ი ს თ ა ნ დ ა ს წ რ ე ბ ი თ ი ღ ე ბ დ ნ ე ნ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ფ ი ე ბ რ ი ვ ა ქ ტ ე ბ ს ა დ ა გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ღ ე ბ ე ბ ს.

ი. ჯავახიშვილმა თავის დროზე შენიშნა, რომ არსებობდა მოძრავი სალარო და საწოლი<sup>174</sup>. „ცოტა არ იყოს უცნაურია, მაგრამ მინც საგულისხმიეროა, რომ საქართველოში მუდმივ და უძრივ სალაროს გარდა, მოძრავი სალაროც ყოფილა“<sup>175</sup>. ვინაიდან სალაროში ინახებოდა „შეკრული“ განხეულობა, უნდა ვიგარეულოთ, რომ ი. ჯავახიშვილის აზრით, მოძრავ სალაროს განხეულობა უნდა გადაიტანა.

ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ სამეფო სასახლე, როგორც დაწესებულება, მოძრავი იყო და მეფესთან ერთად გადაადგილდებოდა. ეს ეხებოდა სასახლის კველა უწყებას, მაგრამ ვინაიდან აქ საწოლსა და სალაროზე ვსაუბრობთ, შევეხოთ პირველ რიგში ამ უწყებას.

„ქარის გარიგების“ ცნობით: „სიკისტროსანი ჯორი ესრე მოკაზ-მული: კეხი კეკლუცად მოკაზმული, მოჭედილი... და სახურავი ხივე-დისა ... და შველასი სახლი მესაწოლე არის ... და შედასივე შუბოსანი ამა სიკისტროსა ჯორისასა მისდევენ, რა მეფე აიყაროს. და სალარო-სა წინათ იარების სიკისტრონი და ერთი ყათარი სხვა ჯორი სასა-გებლე ...“<sup>176</sup>

როგორც ცნობიდან ჩანს, სამეფო კორტექში მეზავრობის დროს უაღევ იყო გამოყოფილი საწოლი და სალარო, რომელიციც ჯორებშე იყო აქიდებული და შვიდასი შუბოსანი მესაწოლე იცავდა. ამას ერქეა

<sup>172</sup> ქართული სამართლის მეგლები, II, გვ. 97; ი. სურაჟული, ქართული სამართლის მეგლები, გვ. 50.

<sup>173</sup> იქვე.

<sup>174</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის სტრუქტურა, წ. II, ნაკ. I, გვ. 187.

<sup>175</sup> იქვე, გვ. 84.

<sup>176</sup> ქართული სამართლის მეგლები, II, გვ. 84; ი. სურაჟული, ქართული სამართლის მეგლები, გვ. 37.

„ბარეგი“ და გაღიზილვას, როგორც ჩანს, „ბარეგისუხუცესი“ ხელ-მძღვანელობდა<sup>177</sup>.

გასამრკევევია, რას ნიშნავს „სიკისტროსანი ჯარი“<sup>177</sup> უკრძალებულის ა. ჯავახიშვილმა ღიაღ დატოვა. ი. სურგულაძის აზრიში ჟარებულის „სიკისტრონი“-ს მნიშვნელობა გაურკეველია<sup>178</sup>. ორივე პკლევარის აზრით, სიკისტროსან ჯორქ“ მეფის ლოგინი ქეთნდა აკიდებული<sup>179</sup>. ეს აზრი ჩვენ არ მიგვაწნია მართებულია. „კარის გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ „სიკისტროსან ჯორქ“ მოქალაქებოდა „ერთი ყათარი სხვა ჯორქი სასაგებლე“ „ყათარი“ კი ქარავანს ნიშნავს. ნ. მარის განმარტებით, ესაა «вереница (обыкновенно десяти) верблюдов»<sup>180</sup>. სულხან-საბას მიხედვით „ყათარი“ არის სტრატელი ანუ „ჯორქ შეიდებული“<sup>181</sup>. ი. სურგულაძეს მოქვეს სხვა ცნობებიც, საიდანაც, ჩას, რომ „ყათარი“ ჯორქთა წყებია<sup>182</sup>. ქედან გამომდინარე, „სიკისტროსან ჯორქ“ მოქალაქებოდა „ყათარი ჯორქი სასაგებლე“, კ. ი. დაბლოვით 7—10 ჯორქი, რომელსაც ღოვინი („საგებელი“) ჰქონდა აკიდებული. ძევდან უნდა ვივარიულოთ, რომ შეუძლებელია „სიკისტროსან“ ჯორქსაც იგივე ჰქონოდა აკიდებული, რაც მის უკან მოშავალ მოელ ქარავანს.

წევნი აზრით, „სიკისტრონი“ ანუ „სიკისტროსანი“ დამახინჯებული „სიკრიტონია“. ტექსტში „სიკრიტნოსანი“ ჯორი, „სიკრიტონი“ უნდა გვეთნოდა. ქართულში „სიკრიტნოსანის-ს „სიკისტრონად“, „სიკისტროსანად“ დამახინჯება არაა ძნელი. ამგვარად, ჯორს მეცნის „სიკრიტონი“ უნდა პქონოდა აკიდებული და ამიტომაც იწოდებოდა „სიკრიტნოსან ჯორად“.

„სიკრიტონი“ არის ივენც ცხრეთი (σήκρετον), რაც სამღვიწოს, უწყებას ნიშნავს<sup>183</sup>. შინაარსით ის უდრის ლითინურ secretum-ს, რომელიც ასევე საწ თ ღ ი ს, ხაზინის მნიშვნელობით ინმარებოდა, როგორც ჟევით გვაძეს ნაწევნები.

<sup>177</sup> ගිංගු මෙහ්.: න. ජායා කිවි සැල න. ජායා මෙහ්ල පැමිතලුව පැවුණුව,  
F. 11, 5a, p. 1, pp. 187—188.

<sup>118</sup> ම. සුරාංසුලාද්‍ය, ජිත්තුලා සම්බන්ධ දෙපලුව, පි. 192.

<sup>180</sup> Н. Я. Марр, Вопросы Венгрийской и Венгерской, Тб., 1966, с. 219.

<sup>151</sup> Տղթեան-Տանից ռհմըլընուն, տե՛ս, թ. IV, էջ. 114, 262.

<sup>182</sup> a. සුද්ධිස්ථාන, ප්‍රධානුවල සම්බන්ධ දායාලුව, 22, 195.

ვეფიქრობთ, „სიკრიტნოსან ჯორს“ მეფის „სიკრიტნი“ ჰქონდა  
აკილებული, რაც როგორც ქვემოთ გამოჩენდა, საშეფო „კუჭირობის“  
პორტობილობა იყო. „კარის გარიგების“ ცნობით, „სიკრიტნოსფეროს“  
აკილებული ჰქონია: „დიდი მაურაში, რომელსა შიგან იტყვა „კუჭირობის“  
მომცრო უკათვესი ორხოვა, ერთი ლაიბი, ერთი სუნდუზი და ერთი  
სახთაული, ეს ერთს თხელს ლარის ბუღესა შიგან და ეგეთი მაფრა-  
შია შიგან იდგას“<sup>184</sup>. სწორედ აღნიშნული ნივთები იყო „სიკრიტნო-  
სან ჯორშე“. ყოველივე ეს მეფის ლოგინს კი არ წარმოადგენდა („სა-  
გვებელი“ „ყათარ ჯორს“ მიქეთნდა), არამედ „კუჭირობის“ დროს  
მეფის საჯდომ მოწყობილობას. მოვიტანოთ ცნობა „კუჭირობის“ აღ-  
წერილია: „დაფინოს თ რ ბ თ ვ ა ფარეშთაუკუცესმან მო მც რ თ და  
ზედ ს ა ს თ ა უ ლ ი დადგის. დაჯდეს მეფე მის ზედა. მოიღონ სუფრის-  
ნობი და მომრგვალებით დაფინოს პირისპირ“<sup>185</sup>. (ხაზი ჩვენია, ი. ა.).  
როგორც ვხედავთ, ორივე ცნობაში საუბარია მომცრო თრთვებშე,  
სახთაულზე, სუფრის ნობზე. „სუნდუზი“, რომელიც ისხენიება „სი-  
კრიტნოსანი“ ჯორის აღწერაში, მელქისედეკ კათალიკოსის XI ს.  
„დაწერილში“ დაბასტურებული „სუნდუსი“ უნდა იყოს. „სუნდუსი“  
ძეირფასი ქსოვილი ყოფილი, რომელიც ოქსინისა და სკარაბენგონ  
ერთად ისხენიება<sup>186</sup>. სწორედ ეს „სუნდუზი-სუნდუსი“ უნდა იყოს ის  
„სუფრის ნობი“, რომელსიც „მომრგვალებით ფენდნენ“ „კუჭირობის“  
დროის.

რა ქქონდა იყიდებული მოძრვის სალიტოს?! სალიტოში, როგორც  
ზემოთ ვკვთონდა ონიშნული, ინახებოდა „შეკრული“, „არა სანიადაგოდ  
სახმარი“ განქულობა და სახელმწიფო ბეჭედი. შეუძლებელია მეფეს  
გადაადგილების დროს „შეკრული“, „არა სანიადაგო“ განძი ეტარები-  
ნა და მის არც ყოფილდა ურთი ჯორი. მთულეტეს, რომ მსოლოდ  
ლოგინი („საგებელი“) მთელ ქაზაგისს მიქვინდა. ამიტომაც გამომ-  
დინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომ მოძრავი სალიტო იყო დიდი  
სახელმწიფო სასიკეთები ბეჭედი.

სამეცნ კორტევის მგზავრობისას და გადააღვილებისას, თან დაქვინდათ მეცნი „სიკრიტონი“ — მისი მოწყობილობა „ვეზიტობის“ დროს და დიდი სახელმწიფო ბჟეზედი (მოძრავი „საღარო“). მეცნის ლოგინთან ერთად მათ იკავუნენ მესაწოლე შემოსინები.

“**କେବେ କେବେଇଁରୁ ଯୁଦ୍ଧରେ ମାତ୍ର ନାହିଁ ଏକବର୍ଷାବ୍ଦୀରେ ପାଇଁଲାଗିଥାଏବେ, ଏହିଶବ୍ଦରେ କିମ୍ବା ଏକବର୍ଷାବ୍ଦୀରେ ମାତ୍ର ନାହିଁ ଏକବର୍ଷାବ୍ଦୀରେ ପାଇଁଲାଗିଥାଏବେ,**

<sup>184</sup> ଶ୍ରୀକରୁଳଙ୍କ ସମୀକ୍ଷାତରଳନ୍କ ପ୍ରେସ୍‌ଲେବ୍‌ଳ, II, 84; n. ଶ୍ରୀକରୁଳଙ୍କ ପ୍ରେସ୍‌ଲେବ୍‌ଳ, ଶ୍ରୀକରୁଳଙ୍କ ସମୀକ୍ଷାତରଳନ୍କ ପ୍ରେସ୍‌ଲେବ୍‌ଳ, ୩୩, ୩୭.

<sup>185</sup> *ibid.*, 83, 95; 83, 49.

<sup>186</sup> ქართული სამართლის ჩეკები, III, გვ. 21. ი. გ. გ. ა. ხ. შ. ი. მ. ხ. ლ. ი., მას ხედი ქართველი ერის მატერიალური კულტურის ძრობისათვის, ტ. III-IV, თბ., 1962, გვ. 172.

დებულობა კველგან, სადაც იმყოფებოდა და ბუნებრივია, რომ „სიკრიტონიც“ და სახელმწიფო ბეჭედიც მუდმივთან უნდა ქვეონოდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ „ხელმწიფის კარის გარემოების“ ცერემონიალი ერთნაირი ჩანს როგორც მეტის ძირითად სახახლეში ყოფნის, ისე გადაადგილების დროსაც. „ხილობა“, მავალითად, ერთნაირად უნდა შემდგარიყო, განუჩრიელად იმისა, სახახლეში იყო ეს, კარავში, ხარგაში თუ ჩაღრის ქვეშ<sup>187</sup>. საფიქრებელია, რომ სამგზავრო საწოლი ანუ „კარავი“ (კაბინეტი — სიკრიტონი, საძინებელი, სახალილო) ასევე განლაგდებოდა სალარის (სახელმწიფო ბეჭდის) გვერდით. იქვე უნდა ყოფილიყო, უკეთესია „კელესია“ და „ძელი ცხოვრებისა“, რომელიც „კელსა კარვით დგის და კარავი განაღმიცა სეფე იყო“<sup>188</sup>.

ამდღნად, სახახლის მთავარი უწყება „საწოლი-სალარი“, როგორც სახელმწიფო ბრძივი მართვის უწყება, სახელმწიფო საბჭოს („ვეზირობის“) სხდომის აღვილი და სახელმწიფო ბეჭდის საცავი, თავის ფუნქციებს ასრულებდა კველებან, სადაც მეტყველები მისი „სასახლე“, ყოველ კონკრეტულ მომენტში იმყოფებოდა.

კოველივე ზემონათქამი საფუძველს გვაძლევს აბლუბურად შე-  
ვხედოთ საწოლისა და საღარის უწყებას და მის როლს ირა მხოლოდ  
სისახლის, არამედ სიერთოდ სახელმწიფო ობიექტის ცხოვრების.

სამეცნიერო

სასახლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უწყებას „საჭურჭლე“ წარმოადგენდა. ი. ჯავახიშვილის განშარტებით, „საჭურჭლე“ სახელმწიფო ხაზინა იყო<sup>129</sup>. საფიქრობელია, რომ სამეფო კარზე მეფის ხაზინა და სახელმწიფო ხაზინა ცალ-ცალკე არ ყოფილა ორგანიზებული<sup>130</sup>. „საჭურჭლე“ ერთი იყო და იგი სამეფო ხაზინას წარმოადგენდა,

<sup>187</sup> ଶ୍ରୀରାତନ୍ତ୍ରିଙ୍କ ସମୀକ୍ଷାଲିଙ୍କରେ, II, ପୃ. 85; ଏ. ଶ୍ରୀରାତନ୍ତ୍ରିଙ୍କ ଶ୍ରୀରାତନ୍ତ୍ରିଙ୍କରେ, ପୃ. 38.

<sup>183</sup> იქვე, ვა. 97; გვ. 50. „ეკლესია კარგისა“, რომელიც დასკვნაშეული იყო „ძელი ცხოვრებისა“, კვარისმცტეროველის სახელი უნდა ფართოდიყო. „ძელი ცხოვრებისა“ მეცნიერით უჩადა გადაადგილებითა და როგორც სწორად შენობა ი. ჯავახიშვილმა, მას კვარისმცტევითოველ დაპატიჟებდა (ქართული სამართლის მუზეუმი, წ. II, ნაკვ. II, გვ. 206). აღსანიშვნევა, რომ კონსტიტუციის კანონის მიხედვით კანონი დალუმუშლა, კანონი კუთხით წარმოდგენილი იქნა შესიღობით (სატორისანი და აზნარი შეარგვანდესთან, გვ. 14).

<sup>189</sup> න්‍යායෝකිත්වාලා, ජාතිතුලා සංඝරිතුලා, ඩි. II, තොග, I, 83-170.

<sup>190</sup> ම . ම ත ග ද අ ප , සංජ්‍යානිකවුලත් සිග්‍රැස්ලුරු-පෙනල්ටිකුරු ම එම් පෙනෙහිදී , ප්‍ර . 152.

რომელიც იმავე დროს სახელმწიფო ხაზინაც იყო. ასე ჩამს ეს წევნი  
ხელთ არსებული წყაროების მიხედვით.

„საჭურჭლე“ და მისი გამკებული დამოწმებულია გიორგი შემაქაციანის  
ლესთან. ასოტ კურაპალატს ჰყოლია „სახლისა ჩუენისა შეჭრილე  
ქალი და ყოველი მონაგები ჩუენი ჩელთა მისთა იყო“<sup>191</sup>.

„საჭურჭლე“ ქუთაისის სასახლეში დამოწმებულია ბაგრატ III  
დროისათვისაც<sup>192</sup>.

XI—XIII საუკუნეების „საჭურჭლე“ რთული ორგანიზაციაა და  
თუ ასოტ კურაპალატის სახლის „მონაგები“ ერთ მეტურჭლე ქალს  
ეძარი, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ეს უწყება ფრიად გაზრდი-  
ლია.

„საჭურჭლე“, როგორც ი. ჯავახიშვილმა გაარკვია, „ჭურჭლის“  
საწყობს ნიშნავდა, „ჭურჭელში“ კი განძი, საგანძურო, სიმღილრე  
იგულისხმებოდა<sup>193</sup>. „საჭურჭლე“ მოჩანს გიორგი II-ის კარზე როცა  
თურქებმა იგი გააქციეს: „საჭურჭლენი დიღნი და სამსახურებელნი  
სამეფოთა ტიბრითანი ... იისუნეს იდგარიდ“<sup>194</sup>. ნიანია ერისთავმა „წა-  
რილო ქუთათისისა საჭურჭლე“<sup>195</sup>.

„საჭურჭლე“ XI—XIII საუკუნეთა წყაროებში უაღრესად ხში-  
რად იხსენიება. ჩვენ მათი აქ მოტანა არ მიგვაჩნია საჭიროდ. ვინაი-  
დან „საჭურჭლის“, როგორც დაწესებულების, სტრუქტურა აკვლა-  
ზე კარგად ჩანს „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, ერცლად შევეხოთ  
ამ ძეგლის მონაცემებს.

სასახლის „საჭურჭლე“, როგორც ცალკე თრგანიზებული უწყება,  
„ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობით ასევე ცალკე, კომპაქტურად  
როდი იყო განლაგებული. ამ უწყებისაღმი კუთვნილი ნივთეულობა ინა-  
ხებოდა როგორც საუკუნეთა „საჭურჭლეში“, ისე სხვა უწყებებში. სხვა  
უწყებებში შენახული და დაცული ნივთეულობა „საჭურჭლეს“ ეკუთ-  
ვნოდა და მეტურჭლეთუხუცესის სახელო იყო.

ზემოთ, სალაროზე საუბრისას, ჩვენ გავარკვით, რომ „რაც სა-  
ლაროს ოქროს ჭურჭლელი, ანუ ვერცხლისა, საგმარებლად სანიადავოდ  
არ უნდა და შეკრული სალაროსა აქს“<sup>196</sup>, ეკუთვნოდა არა მოლარეთ-

<sup>191</sup> გიორგი მერჩელა, ცხოვრება გრიგორ ხანცელისას, ძველი ქარ-  
თული ფოთიხურიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 297.

<sup>192</sup> С. Джанашиა, О времени и условиях возникновения Абхазского  
царства, с. 324.

<sup>193</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ.  
169.

<sup>194</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაეთისი, გვ. 319.

<sup>195</sup> მატრიც ქართლის, გვ. 316.

<sup>196</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 86; ი. სურაულაძე, ქართული  
სამართლის ძეგლები, გვ. 39.

უწყესის სახელოს და „სამორისა და საღაროს“ უწყების, თამაზ  
შექურჭლეთუწყესის სახელოსა და „სამორჭლის“ უწყების, ვაკე  
დასკვნა გამოვიტანეთ ჩევნ სისახლის სამეფო ორქიფის ფორმის მიერთებული  
მელიც ეკუთვნოდა „სამორჭლეს“ და ვფიქრობთ, დაცული იყო სა-  
ღაროში.

ანალიგიურ მდგომარეობას ვაწყდებით „სამორჭლისა“ და „სა-  
ღაროს“ უწყების დამოკიდებულებიშიც. „კარის გარიგების“ ცნობით,  
საკუთრივ „სამორჭლეში“ დაცული ყოფილი: „სხვად ლარი და ჭურ-  
ჭელი (ვ. ი. ის რაც საღაროში არ იყო შენახული, ა. ა.), ოქროსი და  
ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური, უსაღებ კიდევ უნიკალური, უსა-  
ღები ძეს და ღვას“<sup>197</sup>. (ხაზი ჩევნია, ა. ა.).

ციტირებული ცნობიდან ორი რამ ირკვევა. პირველი ის, რომ  
საკუთრივ სამორჭლეში „სანიადაგოდ სამშარებელი“ ლარი და ჭურ-  
ჭელი ყოფილი შენისული, შეორებ კი ის, რომ აქ ინახებოდა ყოველ-  
გვარი სახმარი ძვირფასი ჭურჭელი „საღვინე“ ჭურჭლის გარდა („უსა-  
ღებინო“).

საღ იყო დაცული სამორჭლის უწყებისაღმი კუთვნილი საღვინე  
ჭურჭელი?! „ხელმწიფის კარის გარიგების“ ის მონაკვეთი, საღაც  
„საღვინეშე“ და „მეღვინეთუწყესზეა“ საუბარი, საესებით შუქს-  
ფენს ამ სიკითხს. „სხვად საღვინე ჭურჭელი, სანიადაგო, უმეჯლიშო,  
საღვინეში ღვას და მეჯლიშისანი კიდევან ღვანან. და ბეჭედი მე-  
ჭურჭლეთუწყესია“<sup>198</sup>.

ი. ჯავახიშვილმა კითხვა დასვა, თუ საღ ინახებოდა „მეჯლიშისა-  
თვის“ განკუთვნილი ძვირფასი საღვინე ჭურჭელი და გამოიტქვა მო-  
საზრება, რომ იგი საღაროში უნდა ყოფილიყო დაცული<sup>199</sup>. ასე ესა-  
ხებოდა მის „კარის გარიგების“ ცნობა „მეჯლიშისანი კიდევან ღვა-  
ნან“. ამ მოსაზრების გაზიარების სამუალებას ციტირებული ცნობა არ  
იძლევა.

საღაროში, როგორც გარკვეულია, ინახებოდა დიდი სახელმწიფო  
ბატონი (მოღარეთუწყესის სახელი) და „მექრული“ განძეულობა  
(შექურჭლეთუწყესის სახელი).

საკუთრივ სამორჭლეში დაცული იყო „სხვად ლარი და ჭურჭე-  
ლი“, საღვინე ჭურჭლის გარდა („უსაღებინო“). საესებით ნათელია,  
რომ „სანიადაგო, უმეჯლიშო“ საღვინე ჭურჭელი ეკუთვნოდა საღვი-  
ნის უწყებას, ხოლო საღვინე შივე „კიდევან“ მდგარი „მეჯლი-

<sup>197</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, 86; ა. სურგულაძე, ქართული  
სამართლის ძეგლები, გვ. 39.

<sup>198</sup> აქვთ, გვ. 88, გვ. 41.

<sup>199</sup> ა. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის ძეგლები, წ. II, ნაკვ. I, გვ.  
191.

შის” ძეირფასი ჭურჭელი შეჭურჭლეთუხუცესის სახელო იყო და საჭურჭლის უწყებას მიეწერებოდა. ამ მნივან სიმპოზიატურია ფრთხია: „და ბეჭედი შეჭურჭლეთუხუცესისა”, რომელსაც ო. სურაუდა მარა აღიაღებს: „და ბეჭედი შეჭურჭლეთუხუცესისა [ძეს]”<sup>202</sup> მარტვილი აღუდვენდაც ნათელია, რომ „მეჯლიშის” ძეირფასი საღვინე ჭურჭელი საღვინეშივე იყო დაცული, მაგრამ იგი ცალკე („კილევან”) იყო გამოყოფილი საღვინის უწყების „სანიადგო, უმეჯლიშო” ჭურჭლისაგან და მეტ ურკლეთ უნუცესის ბეჭდით იყო და ან ეჭდილი.

საჭურჭლის უწყებას უნდა კუთვნებოდა ზოგიერთი სახის სამეურნეო საქონელიც. „კარის გარიგების” ცნობით, საწოლის ფარე-შეს მაშხალის ასანთებ ალყის ქოშ და სელის ზეთს „მეტყავენი და შეჭურჭლენი” აძლევდნენ<sup>203</sup>. ჩვენს კურადღების „შეჭურჭლენი” იყო რომენ. საინტერესო, რომ ფარეშებს ქოშს „სასაპოვნეთაცა” აძლევდნენ და სელის ზეთს „ქალაქით თაღებდნენ”<sup>204</sup>. საფიქრებლირა, რომ ქონი და სელის ზეთი („სამაშხილუ” და „სასაპოვნე”) საჭურჭლის უწყებას კუთვნიდა და მათი გაცემაც ხსნებული უწყების „კელოსნების” მიერ ხდებოდა. ცნადია, რომ ქონი და სელის ზეთი არ იყო დაცული არც საკუთრივ საჭურჭლეში, არც საღარიოსა და საღვინეში. ეს საქონელი წევნი აზრით „საგანმგეოს” უწყებაში უნდა ყოფილიყო დაცული. ამ საკითხს ერცლად შევეხებით „საგანმგეოზე” მსჯელობისას.

ამრიგად, საჭურჭლის ერთიანი უწყებისადმი კუთვნილი ნივთეულობა დაცული იყო რამდენიმე სხვადასხვა უწყებაში, მაგრამ იქაც ეს ნივთეულობა საჭურჭლის უწყებისადმი მიწერილი და შეჭურჭლეთუხუცესის განსაკვებელი რჩებოდა.

საკუთრივ საჭურჭლეში დაცული იყო ფული, როგორც სათანილო მასალებში დაყრდნობით ო. ჯავახიშვილმა გაარკვია<sup>205</sup>.

საჭურჭლის, როგორც სასანლის უწყების სტრუქტურა შემდეგნაირად გვესახება:

1. საკუთრივ საჭურჭლე, საღაც დაცული იყო ოქროს და ვერცხლის, „სანიადგო სახმარი” ჭურჭელი, ლარი და ფული.
2. „შეკრული” განმეულობა საჭურჭლისა და არქივი, რომელიც ინახებოდა საღაროში.

<sup>200</sup> ი. ს ურგულ ა ძ კ, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 41.

<sup>201</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გ. 85; ი. ს ურგულ ა ძ კ, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 36.

<sup>202</sup> იქენ.

<sup>203</sup> ი. გ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული სამართლის ძეგლები, წ. II, ნაკვ. I, გვ. 173. იქენ მოთხება სათანადო წარმოებში.

3. მეირფასი საღვინე ჭურჭელი, რომელიც დაცული იყო „საღვინეში“  
და მექურჭლეთუხუცესის ბეჭდით დაბეჭდილი.
4. სამეურნეო საქონელი — ქონი, სელის ზეთი და სხვ., ტოშებულებული  
ცული უნდა ყოფილიყო „საგანგეო“ უწყებაში.

სასახლის საჭურჭლეს, როგორც უწყებას, კუთვნოდა ასევე სა-  
ხელმწიფოს სხვადასხვა აღიღილას შენახული და დაცული საჭურჭლეე-  
ბი. ასეთად ჩანს მაგალითად დაეით აღმაშენებლის ანდერში მოხსე-  
ნებული „ატენისა საჭურჭლე“<sup>204</sup>, გიორგი III-ის მიერ უჯარმაში  
შექმნილი საჭურჭლე<sup>205</sup> და სხვ. ეს საჭურჭლეები სასახლის საჭურჭ-  
ლის, როგორც დაწესებულებების შემაღვნელი ნაწილი იყო<sup>206</sup>.

საჭურჭლე, როგორც უწყება, ამდენად გარკვეულ კომპლექსს  
წარმოადგენდა. მის სათავეში მექურჭლეთუხუცესი ედგა<sup>207</sup>, რომელიც  
შ. მესხის აზრით XIII საუკუნის დაახლოებით პირველი მეოთხედი-  
დან ვაშირის რანგში იქნა იყვანილი<sup>208</sup>. საფიქრებელია, ის უფრო  
ძლიერ იყო ვაშირი.

მექურჭლეთუხუცესი არ ყოფილი „სახელმწიფოს“ ფინანსთა მი-  
ნისტრი (ი. ჯავახიშვილი), რაღაც ჩეკონთვის საინტერესო ხანის სა-  
ქართველოში არ არსებობდა ცალკე სახელმწიფო ხაშინა. იგი მ ე-  
ფუ ი ს მოხელე, მეფის ფინანსთა მინისტრი იყო და ამღენადვე სახელ-  
მწიფო ხელისუფალიც.

ცენტრალური შმართველობის პარატის მოხელეებიდან და ხე-  
ლოსნებიდან მექურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ მექურჭლეთ-  
უხუცესის ანუ საჭურჭლის ნაცეკლი, შუქიფი, შუშრიბი და სასახლის  
მექურჭლეები („დარბაზს შეოფნი მექურჭლენი“)<sup>209</sup>. აღგილობრივი  
ხელისუფლების აბარატიდან მის განსავებელს შეადგენდა „ქალაქის  
ამირანი, მექურჭლენი ქილაქისანი“ და „ძეგლი ქალაქი, ვაჟარი,  
საგაქრო, რაც მეფისა სადაც წაგა ანუ მოგა“<sup>210</sup>. მოტანილი ცნობიდან  
ჩანს, რომ მექურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ არა ს ა ე რ-  
თ თ დ ვაჭრები და სავაჭრო, არამედ ის, რაც მ ე ფ ი ს ა იყო. ასევე,  
მისი სახელო იყო არა უველა ქალაქი, როგორც ი. ჯავახიშვილი ფიქ-

<sup>204</sup> ქართული ს-მართლის რეგლები, II, გვ. 20.

<sup>205</sup> ძარისანი და ამიანი შარავანდელთანი, გვ. 17.

<sup>206</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძარისანი, წ. II, ნუკ. I გვ. 172.

<sup>207</sup> იქვე, გვ. 67.

<sup>208</sup> უ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური კოსტება და სამისელეო წყობა, გვ. 74.

<sup>209</sup> ქართული სამართლის რეგლები, II, გვ. 86; ი. ს უ რ გ ე ლ ა ძ ე, ქართული  
სამართლის რეგლები, გვ. 39.

<sup>210</sup> იქვე.

რობდა<sup>211</sup>, არამედ „ძველი ქალაქი“, რაც ო. სურგულაძის მართვაშული და საფუძვლიანი განმირტყბით სა მ ეფ თ ქალაქებს ნიშნავს<sup>212</sup>. ქალაქის ამირანი“ შესაბამისად, სამეფო ქალაქების ამირები იყენებოდა ბუნებრივია, ნაშრომის ამ მონაკვეთში შევეხებით მხოლოდ იმ თანამდებობების პირებს შეჭურჭლეთუხუცესის სახელოდან, რომლებიც მმართველობის ცენტრალურ აპარატს წარმოადგენდნენ.

შეჭურჭლეთუხუცესის უახლოეს თანამემწეს წარმოადგენდა მისი „ნაცვალი“. „ხელმწიფის კარის გარიგების“ შინელვით მას ეწოდება „საჭურჭლის ნაცვალი“<sup>213</sup>, ხოლო „ისტორიათა და აზმითა“ ცნობით, „ნაცვალი შეჭურჭლეთუხუცესისა“<sup>214</sup>. ამ ნიუანსურში განსხვავებამ ტერმინოლოგიაში ო. ჯავახიშვილის საგანგებო ყურადღება მიიქცია: „გახაოცარია, რომ „კარის გარიგებაში“ ამ სახელწოდების მაგიერ ინსენიება მხოლოდ „საჭურჭლის ნაცვალი“, მაგრამ, უკიდველია რომ თავდაპირეველად, რასაც კირეველია, უნდა ყოფილიყო „ნაცვალი შეჭურჭლეთუხუცესის“ და არა საჭურჭლისა. უკანასკნელი სახელწოდება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როდესაც სიტყვის „ნაცვალი“ თავდაპირეველი მნიშვნელობა დაყირგა. „საჭურჭლის ნაცვალი“ ამასთანავე არც ისეთ დიდ მოხელედა ჩანს, როგორიც უნდა ყოფილიყო შეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი. საჭურჭლის ნაცვალს მაგ. „უფლება არა ქეონდა, რომ ვაშირობას დასტრებოდა“<sup>215</sup>. „საჭურჭლის ნაცვალი“ „ჩამომცრობილ“ „შეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლად“ მიაწნია დ. მუსხელიშვილს<sup>216</sup>.

„შეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალსა“ და „საჭურჭლის ნაცვალს“ შორის არ არის ისეთი შინაარსობრივი სხვაობა, რომ ჩვენ ამ სახელოს „დამცრობა“ ვიგულისხმოთ და იქნებან შორსმიმავალი დასკვნები გავაქეთოთ. „საჭურჭლის ნაცვალი“, ისევე როგორც „შეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი“ შეჭურჭლეთუხუცესის მოადგილეა. „კარის გარიგების“ მიხედვით, საჭურჭლის ნაცვალი პირველი პირია შეჭურჭლეთუხუცესის სახელოში ისევე, როგორც საგარიაულებელია „შეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი“. შეჭურჭლეთუხუცესი თავისი თანამდებობით იყიდვა „საჭურჭლის უხუცესია“. აქ რაიმე მკეთრი შინაარსობ-

<sup>211</sup> ო. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 178.

<sup>212</sup> ო. სურაბაძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 170.

<sup>213</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 86; ო. სურაბაძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 39.

<sup>214</sup> ისტორიანი და მიმართ შირვანის გვ. 48.

<sup>215</sup> ო. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 168.

<sup>216</sup> დ. მუსხელიშვილი, თბილისის მინისტრობის ინსტრუქტორის, საქართველოს რესოლუციის ხინაში, თბ., 1966, გვ. 216.

რივი სხვაობა არ ჩანს და მექურჭლეთუხუცესის ნაცვალისა და სპეციურ-ჭლის ნაცვალს შორის სხვაობაზე, ამ თანამდებობის დამტკიცებულების საზღარი ჩვენ საკითხის ხელოვნურ გართულებად გვეჩვენების. დ. ჯავა-ხიშვილის ზემოციტირებული მოსაზრებით, სპეციურჭლის ნაცვალი არც იხეთ დიდ შოხელედ ჩანს, როგორიც უნდა ყოფილიყო მექურჭლეთ-უხუცესის ნაცვალი. საიდან ჩანს ეს?! განსვენებული მკვლევარი ამ „დამცრობას“ ხედაქს „კაზის გარიგებაში“, რომლის მიხედვითაც სპეციურჭლის ნაცვალი ვაზირობას არ ესწრებოდა. სწორედ ეს ფაქტი მოაქვს მას მაგალითად სპეციურჭლის ნაცვლის დამცრობისა მექურ-ჭლეთუხუცესის ნაცვალთან შედარებით, მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებს — საიდან ვიცით ჩვენ, რომ ვაზირობა-თათბირს ესწრებოდა მექურჭლეთუხუცესის ნაცვალი?! ამგვარი ცნობა ი. ჯავახიშვილს არ მოაქვს და არცა საღმე დაცული. ცხადია, მექურჭლეთუხუცესის ნაცვლის ჩვენთვის უცნობი ფუნქციებით არ შევეძლია ვისაუბროთ სპეციურჭლის ნაცვლის დამცრობაზე.

ს. ერემიანის<sup>217</sup>, პ. ინგოროვეს<sup>218</sup> და ღ. მუსხელიშვილის<sup>219</sup> მურით, მექურჭლეთუხუცესის ნაცვალი იგივე თბილისის ამირთამშირა იყო. თითქოს ამ მურისავენ იხრება ი. სურგულაძეეც<sup>220</sup>. ამ მოსაზრებას სა-განგებოდ შევეხებით ქალაქის მმართველობის აპარატშე საუბრისას.

ჩვენი მურით, მექურჭლეთუხუცესის ნაცვალი იგივე სპეციურჭლის ნაცვალია. აქ მცირეოდენ ტერმინოლოგიურ სხვაობასთან გვაქვს საქმე და არა ამ კელის შინაარსის შეცელისთან, მის „დამცრობასთან“, რისი ღამადასტურებელი არც ერთი საბუთი არ გავვაჩნია.

სპეციურჭლის ნაცვლის კონკრეტული ფუნქციების შესახებ ჩვენ მასალები გვაქლია, მაგრამ, საფიქრებელია, რომ იგი, როგორც მექურჭლეთუხუცესის შემდეგ პირველი ხელისუფალი სპეციურჭლის უწყებაში, ფართო უფლებებით უნდა ყოფილიყო ღმერვილი. მექურ-ჭლეთუხუცესის კარზე არყოფნის დროს, ჩანს, იგი მარტივებდა მის ფუნქციებს, რაზეც ტერმინი „ნაცვალიც“ მიუთითებს.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, თავისი ძირითადი ფუნქციისა და კელის, მექურჭლეთუხუცესის მოაღვილეობის გარდა, სპეციურჭლის ნაცვალი ასრულებდა „პირის მწედის“ მოვალეობის სამე-ფო ღარბაზობაზე. მეფის პირის მწედის სამატიო პრივილეგია სპეციურჭ-

<sup>217</sup> С. Т. Еремян. Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках, научн. труды, Ерев. гос. ун-та, т. XXIII, Ереван, 1946, с. 339.

<sup>218</sup> პ. ინგოროვა, რესოւელიანა, თბ. ტ. I, თბ., 1963, გვ. 99.

<sup>219</sup> ღ. ვ. რ. ხ. ე. ს. ი. მ. ვ. ი. ლ. ი., თბილისის მინისტრობის ინსტრუმენტისთვის, გვ. 214.

<sup>220</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 92; ი. ს. რ. გ. რ. ა. გ. კ. ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 46.

ლის ნაცვალსა და მეღვინეთუხუცესს (ეწყების მეთაურს) ჰქონდათ ბოძებული. დარბაზში დროს პირის შედის მოვალეობის ამსრულებელი საჭურჭლის ნაცვალი ამირეჯიბთან და განმეოუხუცესთან ქრისტიანული კლებოდა სუფრაზე<sup>221</sup>. ეს მის დამცრობაზე კი არა, საქმოლ დრიდ ჰატიესა და პრივილეგიებზე მიუთითებს.

„კარის გარიგების“ მონაცემებით, მეტურჭლეთუხუცესის სახელო იყო „მუქიიფი“<sup>222</sup>. ეს „მუქიიფი“ უნდა იყოს საჭურჭლის მუქიიფი<sup>223</sup>, ვანაიდან კარზე იყენებ ასევე საღვინის მუქიიფი და საგანმეოს მუქიიფი<sup>224</sup>.

მუქიიფი არის ძლვენთ მნე<sup>225</sup> და როგორც დაღვენილი იქნება. სურგულაძეს, გვიან შუასაუკუნეებში მას ფერების ეწოდებოდა<sup>226</sup>. მუქიიფებს, ი. სურგულაძის აზრით, თავისი უხუცესი უნდა პყოლოდათ. ამ აზრის საილუსტრაციოდ მას მოაქვს 1545 წლის ერთი იმერული საბუთი, სადაც ილიშენულია: „მუქიიფთუხუცესი და მუქიიფნი“<sup>227</sup>. ჩვენი მხრივ შეგვიძლია დაგამატოთ, რომ „მუქიიფთუხუცესი და მუქიიფი“ დაღასტურებულია 1601 წლის ტყავიაძეთა სასისხლო სიკელშიც<sup>228</sup>. მიუხედავიდ ამისა, ჩვენ არ მიგვაჩინია შესაძლებლივ ამ მოვაინო მასაღით ვიმსჯელოთ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სტრუქტურაზე. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენიებული სამიავ მუქიიფი (საჭურჭლის, საგანმეოს, საღვინის) სამ სხვადასხვა უწყებას ეკუთხნიან და სეტკოა რომ მათ „მუქიიფთუხუცესი“ ჟყოლოდათ. ეს სახელო უფრო მოვგიანონ ხანაში ჩაის ჩამოყალიბებული.

მუქიიფის საქმიანობის გასარკვევად „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ძალზე შეიძირი ცინობებია შემონახული, ბაგრაშ მისი დაღვენილი შნიშენელობა, ძლვენთ ზექობა (მოგვიანოდ ფერებისობა) საშუალებას გვაძლევს ზოგადად მაინც წარმოვიდგინოთ ამ მოხელის ფუნციები. „დასტურლამაღის“ მიხედვით, არსებობდა ფერების აქტრანია. მის მოვალეობას შეაღვენდა „ქარხანაში“ შემოსული ფერების ანგარიშის წარმოება. ფერების ეძღვოდა სათანადო გასამრჯვოდ და ფერების წლიური ჯამის მეთერთმეტედი<sup>229</sup>.

<sup>221</sup> იქვ., გვ. 94; გვ. 48.

<sup>222</sup> იქვ., გვ. 86; გვ. 39.

<sup>223</sup> ი. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 184.

<sup>224</sup> იქვ.

<sup>225</sup> იქვ.

<sup>226</sup> იქვ.

<sup>227</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 189; ი. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 184.

<sup>228</sup> ს. კაჯაბაძე, სასისხლო სიკელების შესახებ, სასტურო მოამზე, წ. 11, ტც., 1924, გვ. 39.

<sup>229</sup> ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ძრობისთვის, ტ. I, თბ., 1952, გვ. 216—217.

XVIII საუკუნის დასაწყისის ქართლის სამეფო კარას ორგანიზაციული სტრუქტურა, ბუნებრივია, საერთობლად განსხვავდება XIX—XIII საუკუნეთა სამეფო კარისაგან, მაგრამ ცალკეულ ეპისტოლები ფუნქციები (ოლონდ განსხვავდებულ ორგანიზაციულ აღნიშვნები) ციტაციებით დამოდ ახლოს დგანან ერთმანეთთან.

როდესაც ვადარებოთ ერთმანეთს მუქიფისა და ფეშქაშნივისს, მხედველობაში გვაქვს მათი ფუნქციური სიახლოეს. ამავე დროს, გათვალისწინებული გვაქვს ისიც, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით დადასტურებულია საჭურჭლის, საგანმგეოსა და საღვინის მუქიფები, რომლებიც სათანადო უწყებების ხელმძღვანელობის ემორჩილებოლნენ. ფეშქაშნივისი კი ორი იყო, ერთი ქართლისა და ერთი კახეთისა<sup>230</sup>. თუ მუქიფთა დანაწილება უწყებრივია, ფეშქაშნივისთა მხოლოდ გეოგრაფიულია.

ვინაიდან მუქიფის ფუნქციას ძლვენის აღნუსხვა და სათანადო ანგარიშის წარმოება შეადგენდა, მნელი არა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ „ხელმწიფის კარის გარიგების“ სამი სხვადასხვა მუქიფის სამოღვაწეო ასპარეზი.

„საჭურჭლის მუქიფის“ სახელოს, უეჭველია, შეაღვენდა ისეთი ძლვენისა თუ შემოსავლის აღნუსხვა, რაც საჭურჭლეში შედიოდა. ისეთი კი შეიძლებოდა ყოფილიყო ძვირფასეულობა, თვალ-მარგალიტი, ლარი და სწო. მაგრამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ შოგიერთი რეალია. მეფის ვაჭართუხუცესი. უსენი თავის სტეროში საქმაოდ დიდი ძალაუფლებით იყო აღჭურვილი, როგორც მეფის მოხელე-„არიფი“. მისი ნებართვის გარეშე უცხოელი ვაჭრები საქონლს ვერ გახსნილნენ გასაყიდად, ხოლო „უტურფესთა სეფედ დასხმენ“ (1057). ე. ი. „უტურფესი“ საქონელი სა ს ე ფ ე თ დ, მეფისათვის საძლვოდ უნდა გადაღებულიყო. კუიქრობთ, ამგვარი წესი შორს არ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოს რეალური ცხოვრებისაგან. საფიქრებელია, რომ საჭურჭლის მუქიფის ფუნქცია ამგვარი ძლვენის აღნუსხვა უნდა ყოფილიყო. მუქიფისავე სახელო უნდა ყოფილიყო უცხო სახელმწიფოთაგან შემოსული ძლვენი და მეფის მოხელეებისა და გასაღებისაგან შემოსული ძლვენიც. ცხადია, ისეთი ძლვენი, რომელიც საჭურჭლის უწყებას განეკუთვნებოდა. საჭურჭლის მუქიფის აღსანუსხი უნდა ყოფილიყო ასევე მეფის მიერ გაცემული ძლვენიც. ნიშანდობლივია, რომ ფეშქაშნივისაც არა მხოლოდ შემოსული ძლვენი, არამედ ვას აცემი ძლვენიც ეხებოდა<sup>231</sup>. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის

<sup>230</sup> იქვე.

<sup>231</sup> ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის მტროსობრივის, ტ. 1, თბ., 1952, გვ. 216—217.

ცონიბით, მეფის ერთ-ერთ ფუნქციის „მეძღვნელთა კერივობანი მისა“ დაბელნი 232 შეაღენდა. საჭურშელის მუქითს, უკეთელია, შეეხებოდა მეფის მიერ ისეთი „მისაგვბლის“ გაცემა, რაც საჭურჭელებლის უკავშირებულია.

საჭურჭლის უწყებიდან და შეცურჭლეთუხუცესის სახელოდან კარზე იმყოფებოდა და ცენტრალური მმართველობის პარატის მოხელეს წარმოადგენდა მუშრიიბი. „კარის გარიგების“ ცნობით: „მუშრიბი, რაც ქაღაქთა საჭურჭლე შევა და ნავატრი რაც შევა სანელებელი, მასტავი და სამძინო წამოლი, საქმირი თუთუბო-ესეცა მუშრიბმანიცის და უსუცესთა მიათვლის<sup>233</sup>. მუშრიბის სახელო იღმოსავლეთში იყო ცნობილი და ეს ტერმინი ნახსენებია<sup>234</sup>. აღმოსავლეური მასალის საფუძველზე ვ. ბაზროლდი მსკვნის, რომ მუშრიბის ფუნქციას შეაღევნდა სახახლის (dārgah) ხარჯების კონტროლი<sup>235</sup>. სამანიდების სახელმწიფოში დამოწმებულია მუშრიბების ღივანი<sup>236</sup>. მუშრიბის ინსტიტუტი დამოწმებულია რუმის სასულტნოშიც<sup>237</sup>. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ დამოწმებულია მუშრიბის ფუნქციას, როგორც ი. ჯავახიშვილმა დაადგინა, შეაღევნდა ქაღაქში შესული საჭურჭლისა და ნავატრის ღინუსხეა<sup>238</sup>. გარდა „საჭურჭლისა“ და „ნავატრისა“, მუშრიბის მოვეკითხებოდა სხვადასხვა სანელებლებიც („ესეცა მუშრიბმანი იყის“). როგორც ჩანს, მუშრიბი იყო სახახლის ცენტრალური პარატისა და ქაღაქის დაგილობრივი პარატის ღამიავშირებელი მოხელე. სხვადასხვა სახის შემოსავალი მისი მეშვეობით შედიოდა სახახლის უწყებებში. ბაჟისა და ძლევნის სახით, ვიზრებისაგან,

“ ၁၁။ ပြောကြရိုးပါ မြေတွေမြေတွေ လျှောက်ပါ၊ ဒု. ၃၅၁; သဲ ပျောက်ပါ။ စဲ. ပျောက်ပါ။ နဲ့ ၄၄၄ အ-  
နဲ့ ၂၀၉ က, စာရေးတွေ့ချက် XI - XII စာရွက်ပြောပါ။ စဲ., ၁၉၇၀, ဒု. ၁၄၀. နှေ့နဲ့ အံ့ချုတ်,  
မြေတွေအား ဖြော်ပါ။ လေပူ ဖြော်ပါ။ အောင် မြေတွေ မြေတွေ၏ ဥပမာဏလုပ်ခွဲ့  
ပြောကြရိုးပါ။ ပြောကြရိုးပါ။ (ပါး၍, ၁၁: ၁၄၁). မြေတွေမြေတွေပါ လျှောက်ပါ။ ပြောကြရိုးပါ။

333 କେନ୍ଦ୍ରପ୍ରତିଲିଙ୍ଗ ସମ୍ବନ୍ଧରେ ମେହିନୀ, II, ୩୩-୩୬; ଏ. ଶ୍ରୀ କଣ୍ଠ ପାତ୍ର, କେନ୍ଦ୍ରପ୍ରତିଲିଙ୍ଗ ସମ୍ବନ୍ଧରେ ମେହିନୀ, ୩୩-୩୯.

<sup>235</sup> В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, Сочинения, т. I. М., 1963, с. 290.

236 សំណង ៩៣ ២៨៦

<sup>227</sup> В. Гордеевский, Государство сельджукидов Малой Азии, М—Л., 1941, с. 138.

<sup>238</sup> See also the discussion by G. R. Thompson, *Archaeological Theory and Practice*, 8, 11, fig. 2, 1, 32, 177.

როგორც ჩანს, იღვმდნენ სულ სხვადასხვა სახის საქონელს. ყოველიც ამას მუშრიბი „უხუცესთა მიათვლიდა“. ი. ჯავახიშვილიც ამისუფალს „უხუცესები“ ჟეიძლება იყო „საჭურჭლის უხუცესი“<sup>239</sup> და საჭურჭლის უსუცესის“ თანამდებობა არც აკარის გარიგებაში“ და არც სხვაგან დამოწმებული ჯერჯერობით არა ვეიქს. საფიქრებელია, რომ მუშრიბი ქალაქის შემოსავიღს მიათვლიდა თავისწერ უხუცესებს, კერძოდ კი სხვადასხვა უწყების მუქიფებს, რომელთაც სწორედ ამგვარი შემოსელის შენახვა-აღნუსხვა ვვალებოდათ. ქალაქში შესული „საჭურჭლე“, უაშეველია, მიეთვლებოდა საჭურჭლის მუქიფებს. სხვადასხვა სახის სამზარეულო საქონელი კი ჩვენი აზრით, საგანმცეოს მუქიფებს უნდა ჩაბარებოდა, რომელიც საგანმცეოს უწყებას მიეკუთვნებოდა. შეუძლებელია „სანელებელი, მასტიქი“ და სხვ. საჭურჭლეში ან საღაროში ყოფილიყო შენახული.

ამდენიდ, მუშრიბის ფუნქციას ქალაქის აღვილობრივი მმართველობის პატარიტის მიერ შეკრებილი შემოსაველის სახახლის პატარიტისათვის „მითვლა“ და სათანადო ინგარიშიანობა შეაღვენდა.

სასახლის ცენტრალური მნიშვნელობის პატარიტის უწყების, „საჭურჭლის“, „პელოსხები“ იყვნენ „დარბაზს მყოფნი შეჭურჭლენი“. მათი კონკრეტული ფუნქციების გარკვევა სათანადო მისაღლის უქოლობის გამო ძალშე ჭირს. საფიქრებელია, რომ ისინი წვრილმანი შემოსავალ-გასავლის ინგარიშს იწარმოებდნენ და მიმდინარე დაივალებათა აღმისრულებელნი იყვნენ.

„საწოლისა და „საღაროს“ უწყებაზე საუბრისას შევეხეთ შწიგნობრის სახელოს და გამოვთქვით მოსახრება, რომ საწოლის შწიგნობრი ისევე საჭურჭლის მწიგნობარიც უნდა ყოფილიყო. ამ მოსახრების უნდა ამაგრებდეს ის ფაქტი, რომ, „ქარის გარიგების“ ცნობით, საწოლის მწიგნობარს, „ხედამღებელი“ შეჭურჭლე ჟყავდა<sup>240</sup>. „ზარდაბენის“ მწიგნობრის ანილოგიით უნდა მიეიდეთ იმ დასკვნამდე, რომ საწოლის (და საჭურჭლის) მწიგნობარი საჭურჭლის ყოველწლიურ რევიზიას ახდენდა და ამ შემოწმების შედეგები, ისევე როგორც ზარდაბენის აღწერისა, „საანგარიშო კოლორში“ ინახებოდა.

### საჯინიბო-ზარადხანა

სასახლის უწყებრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი აღვილი ეკავა „საჯინიბოს“ და „ზარადხანის“ უწყებას, რომელიც მიმრიცხორის სახელო იყო და მისი მეშვეობით სამეფოს ამირსპასალარისა.

<sup>239</sup> იქვე, გვ. 178.

<sup>240</sup> ქართული სამართლის ტეგლები, II, გვ. 82; ი. სურაულიშვილი, ქართული სამართლის ტეგლები, გვ. 34.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ სათანადო აღგილიდან კარგად ჩაინა  
საჯინიბო-ზარდაბანის შიდასაუწყებო და სამოხელეო ორგანიზაციული  
მოვიტანოთ ეს ცნობა: „ამილაბორი ევზირი არის ამირსპასატშენი სუსტერ  
ამის კელის შეაბჯრეთუხუცესიცა. შეაბჯრეთუხუცესი და შეაბჯრენი  
და შესარტყლენი და საჯინიბოს შემავალი ყოველნივე ამილაბორის  
კელისანი არიან“<sup>241</sup>.

ამ ცნობიდან დგინდება, რომ ამირსპასალატის ვეზირის (მთად-  
ვილის, მრჩევლის, „ნაცვლის), ამირაბორის უშუალო განსავებელი  
იყო საჯინიბო და აბჯრი ი. ვინაიდან აბჯარი უშუალოდ ცხე-  
ნოსან ჯართან იყო დაკავშირებული, საესებით ბუნებრივია, რომ სა-  
ქართველოს სამეფო კარზე საჯინიბოსა და ზარალხანის „მოურნეობა“  
გაერთიანებული იყო და ამირაბორის ექვემდებარებოდა.

ტერმინი ამირაბორი (ამირ-ე ახტარ) ზუსტი შესატყვისია „მეჯინა-  
ბეთუხუცესისა“. ამირაბორი დამოწმებულია დიდ სელჩუკთა კარზე  
და მის განსავებელს სულტანისა და სასახლის ცხენების ზედამხედვა-  
ლია შეაღენდა<sup>242</sup>. დიდ სელჩუკთა კარზე ცალკე იყო ორგანიზებუ-  
ლი სულტანის იარალის საცავი ზარალ-ხანე, ზირპ-ხანე, რომელსაც  
სილადიარი ედგა სათვეში<sup>243</sup>.

საქართველოში, როგორც „კარის გარიგებიდან“ ჩაინა, საჯინი-  
ბოც და ზარალხანაც ამილაბორის სახელო იყო. საკუთრივ სამურევლის  
საცავს და მის შრატს სათვეში ედგა შეაბჯრეთუხუცესი, რომელიც  
ამილაბორის ხელქვეით მოხელეს წარმოაღენდა.

ი. ჯავახიშვილის მშრით, ამილაბორის ხელქვეითი უნდა ყოფილი-  
ყო „მეჯინიბეთუხუცესი“, რომელსაც თავის მხრივ თითქოს ექვემ-  
დებარებოდნენ საჯინიბოს ხელოსნები, მეჯინიბენი<sup>244</sup>. ეს მოსაზრება  
ვაზიარია და განვითარია პ. ინგოროვამ, რომელმაც მიინია, რომ  
მეჯინიბეთუხუცესი და ამირაბორი ამირსპასალატის მოადგილები და  
მეფის „მეორე და მესამე სპასერტინი“ იყვნენ<sup>245</sup>. ი. ჯავახიშვილს, რო-  
გორც ჩაინა, თავის მოსაზრება დამყარებული აქვს „ისტორიათა და  
აზმათა“ მონაცემებზე, სადაც ამილაბორიცა დასახელებული და მე-  
ჯინიბეთუხუცესიც. ამაზეევ უნდა ქვენდეს დაფუძნებული „მეორე და  
მესამე სპასერტის“ კონცეფცია პ. ინგოროვასაც.

<sup>241</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 86; ი. სურაულაძე, ქართული  
სამართლის ძეგლები, გვ. 40.

<sup>242</sup> ივე, გვ. 86; გვ. 40.

<sup>243</sup> იბ. 6. შენგავით, სელჩუკი და საქართველო, გვ. 136.

<sup>244</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გ.  
154.

<sup>245</sup> პ. ინგოროვა, რესოციელიანის ეპილოგი, თხ., ტ. I, გვ. 564.

ამირახორისა და მეჯინიბეთუხუცესის საკითხს შეეხო ნ. შრომია-  
შეიღილი, რომელმაც მეჯინიბეთუხუცესი ამიღიახორის ერთ-ერთ ხელ-  
ქვეშეთ მოხელედ მიიჩნია<sup>246</sup>, თუმცა საგანგებოდ აზ აფეხნიშენიშე  
მისალის საფუძველზე მივიღა ამ დასკვნიმდე. საფიქრებელია, რომ ასე-  
თი დასკვნის საფუძველს მისთვის, ისევე როგორც ი. ჯავახიშვილისა-  
თვის, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი წარმოადგენდა. მანვე, უნდა  
აღინიშნოს, რომ სამართლიანიდ გააქრიტიკა პ. ინგოროვას კონცეფ-  
ცია „შეორე და მესამე სამასპეტის“ შესახებ.

უკანასკნელ ხანს ამ საკითხს შეეხო შ. მესხია, რომელიც ისევე  
თვლის, რომ ამირახორი და მეჯინიბეთუხუცესი სხვადასხვა მოხე-  
ლებია<sup>247</sup>. ამ მოსაბრების წყაროს და საფუძველსაც „ისტორიათა და  
აზმათა“ ტექსტი შეადგენს.

ვფიქრობთ, რომ ჩეენთვის საინტერესო ხანაში აზ არსებულა  
ცალკე ამირახორისა და მეჯინიბეთუხუცესის თანამდებობები. ორივე  
ეს ტერმინი ერთსა და იმავე თანამდებობას, ინსტიტუტს აღნიშნავენ.  
ერთ შემთხვევაში ეს სახელო აღნიშნულია ტერმინ „მეჯინიბეთუხუცე-  
სით“, ხოლო სხვა შემთხვევაში ნახსენია „ამირახორით“, რომელსაც  
ზუსტად იგივე სემანტიკა ვააჩნია. ჩანს, „ისტორიათა და აზმათა“ ავ-  
ტორი აქ იმეორებს თავისი წყაროების ტერმინოლოგიის, სადაც, სა-  
ფიქრებელია, ზოგან ამიღიახორი ეწერა, ზოგან მეჯინიბეთუხუცესი.

ნიშანდობლივია, რომ მეჯინიბეთუხუცესი აზ ისენიება არც  
„მეფის კურთხევის წესში“ და არც „ხელმწიფის კარის გარიგებაში“. „მეფის კურთხევის“ წესის მიხედვით, ამირსპასალიაზე ახლავან ამირ-  
ახორი და შეაბჯრეთუხუცესი<sup>248</sup>. „ხელმწიფის კარის გარიგების“ არც  
ერთი მონაკვეთი აზ იძლევა იმის საშუალებას, რომ მეჯინიბეთუხუცე-  
სის ცალკე სახელოს არსებობა ვიკარაულოთ. საწინააღმდეგო თეზისს  
მომხრებს ამ შემთხვევაში საბუთიდ აზ გამოიადგებათ „კარის გარი-  
გების“ ტექსტის ნაკლელოვანება. შეგვეძლო მართლაც დაგვეშეა, რომ  
მეჯინიბეთუხუცესის ფუნქციების ამსახველი მონაკვეთი „კარის გა-  
რიგების“ ტექსტს იკლია, მაგრამ აზის იდგილები, სადაც ეს სახელო,  
თუ ის არსებობდა, უცილო ბლად უნდა გვქოთ ნოდა და ას-  
ტურებული მოვიტანოთ ეს იდგილები: 1. „აღსკებისა მიმოსპასა-  
ლარი [მოსაყითხავი] ამიღიახორისა; ამიღიახორი — შეაბჯრეთუხუ-  
ცესისა; შეაბჯრეთუხუცესი — ზარდახინის უხუცესისა“<sup>249</sup>. 2. „ამი-

<sup>246</sup> ნ. შოშიაშვილი, XII—XIV ს. საქართველოს სახელმწიფო სამართლა  
მტრობისა და რესოციელოვანის ზოგიერთი საკითხი, ცისკარი, № 9, 1965, გვ. 123.

<sup>247</sup> უ. შესხვა, საშინაო პლიტიკური ეკოსტება, გვ. 104—105.

<sup>248</sup> ქართული სამართლის ტეტრები, II, გვ. 51.

<sup>249</sup> ა. სურაულაძე, ქართული სამართლის ტეტრები, გვ. 34.

ლახორი ვეზირით ამირსპასალარისა და ამის ქელის [და] შეწყვეტილუხუცესიცა<sup>250</sup>. 3. „მეაბჯრეთუხუცესი და მეაბჯრენი და მეხარტყენი და საჯინიბოს შემავალი ყოველი ამილრხორის პელისანი ან<sup>251</sup>. ციტირებულ აღგილებს არაფერი იკლია და აქ მეჯინიძეთუხუცესის სახელოს მოუხსენებლობა მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ასეთი სახელო არც არსებობდა, უკეთ, ის იგივე იყო, რაც ამილახორობა. „ხელმწიფის კარის გარივების“ იმ მონაკეთში, სადაც სამეცნ დარბაზიბაზეა საუბარი, განსაზღვრულია მეაბჯრეთუხუცესის, ზარალხანის უხუცესის, მერემეთუხუცესის, მეჯინიძეებისა და მერემე-ების დღომისა და ჯდომის აღგილი, მაგრამ არაფერია ნათქამი მეჯი-ნიძეთუხუცესზე<sup>252</sup>. ცხადია, სადაც მეჯინიძეები და მერემეებიც კია დასახელებული, მეჯინიძეთუხუცესიც იქნებოდა. არ არის კი იმიტომ, რომ მეჯინიძეთუხუცესი იგივე ამილახორია. ამ უკანისენელის აღგი-ლი კი განსაზღვრულია „კარის გარივების“ სათანადო აღვილის.

როგორც ჩანს, ამირახორი და მეჯინიძეთუხუცესი ერთი და იგივე სახელო იყო და „მეფის კურთხევის წესში“ და „ხელმწიფის კარის გარივებაში“ მეჯინიძეთუხუცესის მოუხსენებლობა მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას.

შევეხოთ „ისტორიათა და აზმათა“ მონაცემებს, რომელიც სა-უუძლად დაედო ზემოდასახელებულ მეელევართა მოსაზრებებს ამი-რახორისა და მეჯინიძეთუხუცესის ცალ-ცალკე სახელოების არსე-ბობის შესახებ.

„ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში დასახელებულია გიორგი III-ის ამირახორი სუმბატის ძე ლიპარიტ<sup>253</sup>. ამირახორი ლიპარიტ სუმბატის ძე შეიღია გიორგი III-ის მანდატურთუხუცესის და ამირსპასალარის სუმბატ ივანეს ძე ორბელისა, რომელიც ლიპა-რიტის ამირახორად მოსაზრიების დროს უკავ სუმბატ სეიშონქშინი-ლი“ იყო<sup>254</sup>. მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი სუმბატის შემ-დევ გახდა ამირახორ ლიპარიტ სუმბატის ძის უფროსი ძმა ივანე სუმბატის ძე ორბელი<sup>255</sup>. ამდენად უფროსი ძმა ივანე მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარია, ხოლო მომდევნო, ლიპარიტი კი ამი-რახორი.

ლიპარიტ სუმბატის ძის შემდევოში შოხსენიება „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში ორბელთა ცნობილ ამბოხების დროს მიუკუთვნება:

<sup>250</sup> იქვ, გვ. 40.

<sup>251</sup> იქვ.

<sup>252</sup> იქვ, გვ. 46—48.

<sup>253</sup> სტრანინი და აზმანი შარავანდელთანი, გვ. 9.

<sup>254</sup> იქვ, გვ. 7; ვ. მეს ხია, საშინო პოლიტიკური კოთახება: გვ. 14—15.

<sup>255</sup> ვ. მეს ხია, დასჭ. ნაშრომი, გვ. 15—16.

„წარსრული იყვნეს სპარსეთის ქართლის ერისთავი სუმბატას მე-<sup>1</sup> რიტ, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელინ-ეს კორეგი საგანვე იყვნეს კელისუფალინა”<sup>256</sup>. „სპარსეთის წარსრული შემთხვევაში გიორგი III-ემ ცხადია, მაშინვე გადააყენა და წყარისში რჩებულია აჯანყების ჩამახვითა შორის ისხენიება მეჯინიბეთუხუცესი ჭია-ბერი”<sup>257</sup>.

„ისტორიათ და აზმათა“ მოტანილი აღვილები მეკლევართ აძლევთ საფუძველს დასკვნან, რომ ამირახორობა და მეჯინიბეთუხუცესობა სხვადასხვა სახელოა. მათი აზრით, სპარსეთის წავიდნენ ქართლის ერისთავი და ამირახორი ლიპარიტ სუმბატის ძე და თითქოს მასი სელექციით შეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე. ის ფაქტი, რომ აჯანყებული ლიპარიტ სუმბატის ძე დასახელებულია ქართლის ერისთავიდ და არა ამირახორიდ, წყარის ნაკლულოვანებით არის ასწილი და შითითებულია, რომ ორბელია ამბოხებამდე ლიპარიტი თრბელს ამირახორობის ცერივინ წარითმევდა<sup>258</sup>. შ. შესხია ფიქრობს, რომ „ივანე თრბელი ... დაწინაურდა და მას მანდატურითუხუცესობა და ამირსპასალორობა ებოდა, დაუჯვრებელია, რომ სწორედ ისეთ დროს ივანეს ძმის ლიპარიტს ჩამირახორობა დაეკარგა”<sup>259</sup>. ფურქრობთ, რომ აქ ჩვენ ლიპარიტ თრბელის მიერ ამირახორობის დაქარგვისთან და ამდენად მის დამცრობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე. ეს მართლაც, როგორც შ. შესხია აღნიშნავს, ორბელია ამბოხებამდე დაუჯვრებელი იქნებოდა. საქმე ისაა, რომ ამირახორ ლიპარიტ თრბელს მიუღია ქართლის ერისთაობა, ხოლო მისი ყოფილი თანამდებობა, ამირახორობა (resp. მეჯინიბეთუხუცესობა) გადააუციათ მისივე ძმისწულისათვის, მანდატურითუხუცეს და ამირსპასალის ივანე თრბელის შვილისათვის ქავთარ ივანეს ძალათვის. ცხადია, თანამდებობითა მიგვარი გადანაწილება არ შეიძლება ჩაითვალის ლიპარიტ სუმბატის ძმის დამცრობად. მანდატურითუხუცესისა და ამირსპასალის ივანე თრბელის შეიღია ქავთარ ივანეს ძე ბიძის კელშე, ამილაბორობაზე იქნა შეწყალებული, ხოლო ლიპარიტ თრბელს, ჩანს ამ თანამდებობის საერმენსაციოდ, ქართლის ერისთავის მაღალი თანამდებობა ებოდა. ვფიქრობთ, აქ არც ლიპარიტ თრბელის ინტერესები იყო შეღანული და არც საერთოდ თრბელთა სახლისა. მოულოდნელი და დაუჯვრებელი აქ არაფერდ ჩანს.

<sup>256</sup> სატოქიანი და ამინი შარავანდულთანი, გვ. 19.

<sup>257</sup> ეჭვე, ზორ. შ. მეს ხია, ლასახ. ნამრობი, გვ. 105.

<sup>258</sup> შ. მეს ხია, ლასახ. ნამრობი, გვ. 154.

<sup>259</sup> ეჭვე.

საფიქრებელია, რომ სწორედ ზემოაღნიშნულის გამო არ მცოდება აჯანყებული ღიაპატიოტ თრბელი მიღლახორიად, არამედ მსოლოდ ჭირო-თლის ერისთვეად. მიღლახორი ანუ მეჯინიბეთუხუცესი ამ ჭრობულების მისივე უფროსი ძმისწული, ქავთარ ივანეს ძეა.

ქავთარ ივანეს ძე პ. ინგოროვკამ აბულეთისძედ მიიჩნია<sup>260</sup>, ეს მოსაზრება საფეხბით დამაჯერებლად და საბუთიანად უარყო შ. მესხიამ<sup>261</sup>. მიავე ტროს, მან ქავთარ ივანეს ძე მიიჩნია მანდატურთუხუცეს და ამიტსაბადორ ივანე თრბელის უმცროს (ღიაპატიოტის მომდევნო) ძმად და არა შვილად<sup>262</sup>. სამისოდ იგი დაეყრდნო სტეფანოს თრბელიანის ცნობის, სადაც ქავთარ თრბელი ივანეს „უმრწემეს ძმად“ იხსენიება<sup>263</sup>. ქავთარ თრბელიანი კიდეც რომ ძმა იყოს ივანე და ლიპარიტ თრბელებისა, ეს ხელს სრულებით ვერ შეუშლიდა ჩვენს ზემომოტანილ მოსაზრებას. ქართლის ერისთვეად ღიაპატიოტ სუმბატის ძის გამომის შემდევ ამიტახორობა შევძლო მის ძმისწულსაც და მის უმცროს ძმისაც. მიუხედავად მისა, ვენიდა შევნიშნოთ, რომ სტეფანის თრბელიანის ცნობაშე დაყრდნობით ძნელი უნდა იყოს ქავთარის მიჩნევა ივანე და ღიაპატიოტ თრბელების უმცროს ძმად. „ისტორიათა და აზმათა“ მიხედვით, ქავთარი ივანეს ძეა, ხოლო იგი რომ ივანე და ღიაპატიოტ თრბელების ძმა ყოფილიყო, ცნადია იგი ქავთარ სუმბატის ძე და უნდა ყოფილიყო დასახელებული.

ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღიაპატიოტ სუმბატის ძის ქართლის ერისთავეად განდღომის შემდევ ამიტახორი ჯიხდა მისი ძმისწული ქავთარი ივანეს ძე, რომელიც „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში მეჯინიბეთუხუცესად არის დასახელებული.

თრბელთა აჯანყებისთანივე, როგორც აღინიშნა, ვიორები III მეჯინიბეთუხუცესობა უბოძა თვითსახვე „გაზრდილ“ ჭიაბერს. ნიშანდობლივია, რომ ჭიაბერის მეჯინიბეთუხუცესობის პერიოდში „ისტორიათი და აზმანი“ ხევრონდ არ ასახელებს ამიტახორს. პ. ინგოროვკას<sup>264</sup> და შ. მესხიას<sup>265</sup> ამიტახორიად მიჩნიათ ვინმე ივანე, რომელიც თანამდებობის გარეშე ისსენიერა ტექსტში<sup>266</sup>, მაგრამ, ასეთივე დამკვებით ეს ივანე შეგვიძლია რაიმე სხვა თანამდებობის პირიად (მაგ. მე-

<sup>260</sup> პ. ინგოროვა, რესთერანის ეპილოგი, თხ. 1, გვ. 623.

<sup>261</sup> შ. მესხია, სამინათ პოლიტიკური კოთარება, გვ. 104, სქოლით 4.

<sup>262</sup> იქევ.

<sup>263</sup> სტეფანის თრბელიანის „ცნოვტუბა თრბელიანის“ ძეები ქართული თარგმანები, გვ. 51.

<sup>264</sup> პ. ინგოროვა, რესთერანის ეპილოგი, გვ. 577.

<sup>265</sup> შ. მესხია, სამინათ პოლიტიკური კოთარება, გვ. 154.

<sup>266</sup> ისტორიათი და აზმანი შემავალებონი, გვ. 25.

აბეგრეთუნუცესად) მივიჩნიოთ<sup>267</sup>. „ამირახორობის“ თანამდებობა და მის სახელდებით შეღობელს „ისტორიათა და აზმათა“ კატეფორუ სტენელებს მხოლოდ მას შემდევ, რაც ჭიაბერმა დატოვა მეჯვნეობულებულესის თანამდებობა. როდესაც ჭიაბერი მინდატურთუნუცესად დაინიშნა, „უბოძა (თამარმა, ი. ა.) ამილახორობა გამრეკელსა თორელსა“<sup>268</sup>.

ვფიქრობთ, ნათელია, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ანონიმ ავტორს ერთი და იგივე თანამდებობის აღსანიშნავიდ ნახმარი იქნა ორი, საესებით ერთიმეორის შემცველი ტერმინი. ასეთ დასკვნას მხარს უჭერენ „მეფის კურთხვის წესისა“ და „ხელმწიფის კარის გარიგების“ მონაცემებიც. ამ თანამდებობის აღსანიშნავიდ „პროტოსტრატორიც“ იხმარებოდა<sup>269</sup>.

ჩვენს დასკვნას ამაგრებენ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებიც, რომლის მიხედვით, შეჯინიბეთუნუცესი იგივე ამილახორია: „ამილახორი ... არა არს გუარი, გაიხანა წესი შეჯინიბეთუნუცესობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსი, ხოლო გუარი ზედგინიდე არს“<sup>270</sup>.

არსებული მისაღა საფუძველს გვაძლევს დასკვნათ, რომ ამილახორი იგივე შეჯინიბეთუნუცესია.

ამირახორის ანუ შეჯინიბეთუნუცესის სახელოს, როგორც შემოთ ციტირებული „კარის გარიგების“ ცნობიდან ჩანს, „ყოველი საჯინიბოს შემავალი“ ექვემდებარებოდნენ. ასეთები უნდა ყოფილიყვნენ მეჯინიბები და მერემეები. შერემეებს თავისი უნუცესი ჟყადათ, რომელსაც მერემეთუნუცესი ეწოდებოდა, მის თანაშემწეს კი სარემოს ნაცვალი<sup>271</sup>.

შეჯინიბები უკლიდნენ, როგორც ჩანს „ჯინიბებს“, ხოლო ჯინიბი (პუნქ, მარქაფი), სულხან-საბას განშორტებით „გვარიანი და კუთილი“<sup>272</sup>, ე. ი. ჯიშიანი და გახედნილი ცხენი იყო. მერემეების საქმიანობა კი „რემით“, ე. ი. „უმწყსა ცხენით“, „უკედი ცხენით“<sup>272</sup> განისაზღვრებოდა.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მთლიან ნათლიან არ ჩანს სარემოს ნაცვალი ამირსაბასაღარის სახელოა თუ მანდატურთუნუცესისა. „მოკითხვის“ წესის მიხედვით შეიძლება სარემო და მისი

<sup>267</sup> ოვანე რომ ამილახორი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, იქნად ჩანს, რომ იმ მეგინიბეთუნუცესის და მსახურთუნუცესის შემდევ იჩინება. შეუძლებელია ამილახორი მოკითხვისათვის მერემინიბეთუნუცესის შემდევ, თუ მეჯინიბეთუნუცესი ამილახორის ხელმწიფით იყო. საფეხურებელია, რომ ოვანე მისთლაც მეტაზრეთუნუცესი შეიძლება იყოს.

<sup>268</sup> ისტორიანი და აზმათი შეავანდებათან, გვ. 33.

<sup>269</sup> ვ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური ეთარება, გვ. 125.

<sup>270</sup> ვ ა ხ ე ტ რ ი, აღწერა სამეცნიერო საქართველოსა, გვ. 34.

<sup>271</sup> ა. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის მტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 155.

<sup>272</sup> სულხან-საბა ირგელიანი, თხულებანი, ტ. IV<sub>2</sub>, გვ. 344.

<sup>273</sup> ივ30, ტ. IV<sub>2</sub>, გვ. 344; ტ. IV<sub>1</sub>, გვ. 11.

ნაცვალიც განმეოთუხუცესის სახელოდ ჩაითვალოს<sup>273</sup>. ჟინაიდან  
საჩემო ცხენაშენი იყო<sup>274</sup> მართლაც არაა გამორიცხული, რომ იყო  
სასახლის სამეურნეო უწყებას (საგანმცევოს) მიეკუთვნებოდა, რადგან გადატრით რაიმეს თქმის საფუძველი ჯერჯერობით არ ჩაინ. შერემე-  
ები და რემა მოიხსენიება გიორგი III-ის სიგელში, სადაც ის სოფელ  
აკარის ფილიდებულებს „ერთი ტაიჭი შეგუინახოს თორმეტითა რემი-  
თა მათ რემითა დაცვამდე“<sup>275</sup>. ტაიჭი დაკოდილი ცხენია<sup>276</sup> და ისვევ  
არაბულ ცხენაც (tačik)<sup>277</sup> ნიშნავს. „ქვე-ნაბამი“, „ნასუქალი“ (და-  
კოდილი) არაბული ტაიჭი „ვეფხისტყაოსანშიც“ (55) გვხედება. რე-  
მაში, როგორც ჩაინ, ცხენების მოშენება ხდებოდა, ხოლო მათი „და-  
ცვის“ (გახედვნის?) შემდეგ ისინი მეჯინიბების ხელში გადაღილ-  
ნენ.

გიორგი III-ის შემოციტირებულ სიგელში „მეჯორეებიც“  
მოიხსენიებიან. მეჯორეები „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ არ ჩა-  
ნან, მაგრამ იქ მოიხსენება „სიკრიტნისანი ჯორი“ და „ყათარი ჯო-  
რი“. ცხადია, რომ სამეფო კარზე ეს სამსახურიც იყო (შურ. ასორი,  
ახორისალარი-მეჯორე).

ამირაბორ-მეჯინიბეთუხუცესს ექვემდებარებოდა მეაბჯრეთუხუ-  
ცესი, ხოლო მეაბჯრეთუხუცესს თავის მხრივ ზარალხანის უხუცესი<sup>278</sup>.  
ზარალხანა „ვეფხისტყაოსანშიც“ იხსენიება:

პოვეს ერთი ზარალხანა, აბჯრისათვის სახლიდ ქმნილი (1354).  
„აბჯრის სახლში“ ანუ ზარალხანაში დაცული იყო იარალი, ცხენის  
აქანიშულობა, დიდი დროშა და სხვ<sup>279</sup>. ზარალხანა და მისი მეაბჯრეები  
საკრიტოდ დიდი სახელოს მფლობელ მეაბჯრეთუხუცესს ექვემდება-  
რებოდნენ. ზარალხანის უხუცესი კი, თუ წევნს ხელთ არსებული  
მასალით ვიმსჯელებთ, მაინცდამაინც დიდ მოხელედ არ ჩაინ. XIII  
საუკუნის დოკუმენტებში ჩაინ მეაბჯრეთუხუცესი ივანე, რომელიც  
ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის ძმა იყო და სურამელთა  
დიდი სახლის შეიღია<sup>280</sup>. ზარალხანის უხუცესი კი დამოწმებული  
გვიავს დავით ნარინისა და მისი ვიკის ვასტანების ერთ საბუთში, საი-  
დინაც დგინდება, რომ ზარალხანის უხუცესი ვასტანგ თულასძე „მე-

<sup>273</sup> ი. სურალაძე გვ., ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 86.

<sup>274</sup> იქვე.

<sup>275</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 23.

<sup>276</sup> სულხან-ხანა ორბელიანი, თხ. I-V<sub>2</sub>, გვ. 344.

<sup>277</sup> გ. ანდრონიკ გიორგი ი. ნატევები, გვ. 375.

<sup>278</sup> ა. გიორგი ი. ნატევები, ქართული სამართლის ძეგლები, წ. II, ნაკ. I, გვ.  
155.

<sup>279</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 87; ი. გიორგი ი. ნატევები, ნაკ.  
გვ. 155.

<sup>280</sup> იქვე, გვ. 39, 40, 42, 66.

თუმე „აშნაური“ ყოფილა<sup>281</sup>. შართალია, ეს ორი შთხელა ერთიანდა—  
ლად არ მოღვაწეობდნენ და მათი შოქმედების გეოგრაფიული კუთხით  
ლიც განსხვავებულია, შავრამ შეაბჯრეთუხუცესის სურველის მარტ  
ლის შეილობა ერთ შემთხვევაში და ზარადნანის უხუცესის „თემის  
აშნაურობა“ მეორეში, საკმაოდ თვალითად გვიჩვენებს სოცია-  
ლურ განსხვავებასც.

ზარადნანიში ჩანან ზარადნანის შეჯინიბე, ზარადნანის მოღარე,  
რომლებიც შეფის ცხენს პაზმაგლენები<sup>282</sup>. აქვე მოღვაწეობდნენ მისრა-  
ტულთუხუცესი და ისირატულებიც, რომლებიც შეფის ცხენის მოკაზ-  
მვაში ღებულობდნენ მონაწილეობას. მათი კონკრეტული ფუნქციები  
არ ჩანს. ზოგი მკვლევარის „აზრით, ისინა თითქოს ცოდნისა—  
ნებ“<sup>283</sup>.

ამირახორისა და მეაბჯრეთუხუცესის „მუახლეებად“ „ხელმწიფის  
კარის გარიგება“ ასახელებს აჩუქჩა და ამირჩქარს<sup>284</sup>.

ამირჩქარი სპეციალურ ლიტერატურაში გამშარტებულია როგორც  
შიკრიკთა, მაღლემსრბოლთა უფროსი<sup>285</sup>. ამგვარი დასკვნა სავსებით  
მისაღები ჩანს. მას თითქოს შხარს უჭერს ვანუშტის ცნობაც, რომ  
შიკრიკები ამილახორის კვლისანი იყვნენ<sup>286</sup>. „ხელმწიფის კარის  
გარიგების“ ამირჩქარს ა. გამყრელიძე აღარებს მიქელ პანარეტოსის  
„ტრაპიზონის ქრისიკაში“ მოხსენიებულ ამირჩანტარიოსს (ამირცან-  
ტარიოსს), რომელიც თავის მხრივ სელჩუკთა ამირჩაუშს უნდა უკავ-  
შირდებოდეს<sup>287</sup>.

უფრო რთულად დგას „აჩუქჩა“ საეითხო. „ხელმწიფის კარის  
გარიგებაში“ მოხსენიებული „აჩუქჩი“ და „ამერით აჩუქჩი“ პ. კეპი-  
ლიძეს<sup>288</sup> და მის კვალდაკვალ ი. სურგულიძე<sup>289</sup> „ჩუხჩერახის“ თანა-  
მდებობის აღმნიშვნელ ტერმინად მიაჩნიათ. იმ სიტყვების მსვავსება  
არ უნდა იძლეოდნენ ამგვარი დასკვნის საფუძველს. „ჩუხჩერეხის“  
თანამდებობა, თვით დასახელებულ მკელევართა აზრით, უაღრესად

281 ს. კავაბაძე გ. თულაძეთა სიცელი დავით ნაზრინის მიერ მიცემელი, სა-  
სტორონ მომზე, წ. 1. ტც., 1925, გვ. 238—239.

282 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 87.

283 ა. სურგულიძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 182.

284 იქვე, გვ. 40.

285 იქვე, გვ. 172.

286 ვ. ა. ხ. მ. ტ. ი. ილწერა სამუშაოს საქართველოსა, გვ. 21.

287 შიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრისიკა, ალ. გამურელიძეს გამცემა, მა-  
სალება საქართველოსა და კავკასიის სტრატეგიას, ნეკ. 33, თბ., 1960, გვ. 71.

288 ქ. კავაბაძე გ. სურგულიძე, ამირანი შარავანდიდანი, (ცდა ტექსტის ღე-  
ლებისა), თბ., 1941, გვ. 15—16.

289 ა. სურგულიძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 196—198.

საპიტიო და მნიშვნელოვანი იყო. „ხელმწიფის კარის გარიგების“ „აჩუხნი“ და „ამერით აჩუხნი“, რომელიც კ. ეკელიძე „ამირჩუხნიად“ აღადგენს, წერილი მოხელე ჩანს. „აჩუხნი“ ამირჩქარულზეა კი რემეთუხუცესთან ერთად იხსენიება, როგორც ამილაპორისმა ჯული მეტენია კულტურული მემკვიდრეობის „მუხლე“, ე. ი. მათი ხელქვეითი. „ამერით აჩუხნი“ (ამირჩუხნი?) „კარის გარიგების“ სხვა აღვილის ზარალხანის უხუცესთან და მის შემდეგ იხსენიება<sup>290</sup>, რაც მის მაინცდამინც დიდ თანამდებობაზე არ მიუთითობს.

XII—XV საუკუნეთა წყაროებში დასახელებულ უაღრესად საბატიო და დიდ თანამდებობის, „ჩუხნიარეხობას“ ჩვენ ვერ მივიჩნევთ „ხელმწიფის კარის გარიგების“ „აჩუხნიად“ და „ამერით აჩუხნიად“, რომელიც ამირჩქარისა, შერტეთუხუცესისა და ზარალხანის უხუცესის გარემოცვაში ჩანს და არ უნდა ეკუთვნოდეს სასახლის კარის მოხელეთა უმაღლეს ეშელონს.

ზარალხანის რევიზია და კონტროლი, როგორც „კარის გარიგებიდან“ ჩანს, წელიწადში ერთხელ ხდებოდა და მასში ამილაპორი, შეაბჯრეთუხუცესი, ზარალხანის უხუცესი და მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის ხელქვეითი ზარალხანის შწიგნობარი მონაწილეობდნენ, ხოლო ანგარიში „სააგარიშო კოდორში“ ინახებოდა<sup>291</sup>.

### საგანმგეო

სასახლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანების უწყებას, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ და სხვა მასალებიდანაც ირკევვა, საგანმგეო წარმოადგენდა.

საგანმგეოს შეეხო ი. ჯავახიშვილი, რომელმაც ეს უწყება სავსებით მართებულად დაუკავშირა მანდატურთუხუცესის სახელის, მაგრამ ამასთანავე აღნიშნა: „რა დაწესებულება იყო „საგანმგეო“, ამაზე არავითარი ცნობები არ მოგვეპოვებათ“<sup>292</sup>.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის წყაროებში გაბნეული ცნობების, მათი აღრინდელ თუ მოვიანო ანალოგიებთან შედარებისა და ცალკეულ შკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინების საფუძველზე, დღეს შესაძლებელია საგანმგეო უწყების მეტნაკლებად სრული სურათის წარმოდგენა.

<sup>290</sup> ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ქართული სამართლის მაგლები, გვ. 41.

<sup>291</sup> ივენ., გვ. 40; ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნავ. I, გვ. 157.

<sup>292</sup> ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნავ. I, გვ. 166.

საგანმეო ი. სურგულაძის განშირტებით არის администрativnyi დвор, распорядительный двор<sup>293</sup>. ეს განშირტება, მიუხედავად, მისა რომ ძირითადად სწორია, სრულად მაინც ას გამოხატავს გვ. მეტყველების არსა და მნიშვნელობას, მის პოზიტიურ შინაარსს.

საგანმეო და მისი მთართველი განმეორულების, როგორც უკვე შენიშნა ი. ჯავახიშვილმა, მანდატურთუხუცესის სახელოს მიუკუთვნებოდა. „მოკითხვის“ წესის მიხედვით, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ საგანმეოს შემდეგი სტრუქტურა ჩანს: „განმეორულებისი (მოსაკითხევია, ი. ა.) — საგანმეოსა მუქითა; საგანმეოს უხუცესი (ი. სურგულაძის მიხედვით საგანმეოს მუქითი) — მეჯამეთუხუცესისა; მეჯამეთუხუცესი-სარემოს ნაცვლისა“<sup>294</sup>. მოტანილი ტექსტის საფუძველზე რაიმე დასკვნების გამოტანამდე საჭიროა შევვხოთ ზოგიერთ ბუნდოვან საკითხს. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ციტირებულ აღვილას წერია როგორც საგანმეოს მუქითი, ისე საგანმეოს უხუცესიც. ი. ჯავახიშვილმა ისინი სხვადასხვა მოხელეებად მიიჩნია<sup>295</sup>. ი. სურგულაძემ ინალოვიური აღვილების მიხედვით საგანმეოს უხუცესი საგანმეოს მუქითად ჩაახსერო. ტექსტის საერთო მონაცემების საფუძველზე ი. სურგულაძის ჩახსერება სწორი ჩანს, მაგრამ საფიქრებელია ისიც, რომ საგანმეოს მუქითი ივივე იყო, რაც საგანმეოს უხუცესი. სარემოს ნაცვალზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

ტექსტიდან ჩანს, რომ საგანმეოს სათავეში მანდატურთუხუცესის სახელოსადმი მიუკუთვნებული განმეორულებული იდგა. სამწუხაოოდ, ჯერჯერობით წევნის ხელთ არსებულ XI—XIII სს. არც ერთ წყაროში, გარდა „ხელმწიფის კარის გარიგებისა“, ამგვარი სახელწოდების მოხელე დაღსატურებული არაა. სამაგიეროდ, ზოგ სხვა წყაროში თავს იჩენენ ტერმინები „საგანმეო“ და „განმეო“. „საგანმეოსა წუენისა მოურავნი“ დასახელებულია ლაშა გიორგის სიელში შიომლებისადმი<sup>296</sup>. ამავე რიგისა უნდა იყოს კიდევ უფრო ადრე, დავით IV აღმაშენებლის ანდერძში დასახელებული „მენი“<sup>297</sup>. 6. ბერძენიშვილმა უურალება მიაქცია ამ ტერმინებს და ისინი მეფის სახისო მამულების მართვას, დომენს დაუკავშირა<sup>298</sup>. თუ დავით IV

<sup>293</sup> ი. ს უ რ გ რ ა ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 187.

<sup>294</sup> იქვე, გვ. 34; ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 81.

<sup>295</sup> ი. გ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი, ქართული სამართლის მტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 166.

<sup>296</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 36.

<sup>297</sup> იქვე, გვ. 17.

<sup>298</sup> 6. ბ ა რ გ რ ა ძ ე ვ ი ლ ი, საქართველოს მტორის საქონები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 344—345.

აღმაშენებლის „მუხრანის მგენი“ ადგილობრივი აპარატის მოხელეები არიან, ასეთებიდ კერ მივიწინევთ „საგანმგეოს მოურავებს“<sup>299</sup>. მ. ბერძნიშვილი ფიქრობს<sup>300</sup>: „მგენი“ ანუ „განმგები“ ცენტრალურ მმართველობასაც ჰყავდა უძველია და ადგილობრივსაც. ღომენის ადგილობრივი მმართველობის აპარატი, რომელსაც შექლებისდავარად დაწერილებით სათანადო ადგილის შევეხებით, წევნი აზრით, ექვემდებარებოდა ცენტრალური აპარატის, სასახლის საგანმგეოს მოურავებს. მოურავი აქ არა კონკრეტული მოხელის, არამედ ზოგადად „მოურნის“, შერუნველის, საქმისმოქმედის აღმნიშვნელია.

საგანმგეოს შინაარსისა და სტრუქტურის დაწესტებება, ვფიქრობთ „განმგენის“ და განმგენის უცეს მნიშვნელობის დაღვენით უნდა დავიწყოთ.

„გამგე“ სულხან-საბა თრბელიანის განმარტებით, გამრიგებელია, გამრიგეა<sup>301</sup>, იქედან გამომდინარე, განმგეთუხუცესი გამრიგებელთა, გამრიგეთა უხუცესს უნდა ნიშნოვდეს. იმავე სულხან-საბას ცნობით, ქართული „გამრიგის“ ბერძნული შესატყვისი იყონომოსია<sup>302</sup>.

ეს ცნობა საშუალებას გვაძლევს, მხოლოდ „კარის გარიგებაში“ მოხსენიებული განმგეთუხუცესის ფუნქციებს ჩავწევდეთ და მისი საქმიანობის ისპარეზი მეტ-ნაკლებად გვითვალისწინოთ.

პეტრიწონის ტიპიკონის მიხედვით „განმგენის“ იგივეა რაც „ეპიტროპოსნი და იყონომოსნი, რომელ არიან აპარატინი“<sup>303</sup>, თავის მხრივ აპარატი განმარტებულია, როგორც ეპიტროპოსი, იყონომოსი<sup>304</sup>. ვიორგი მთაწმინდელის მიხედვით, ეპიტროპო-განმგებელია<sup>305</sup>.

ჩეებს ჩელთ არსებული მასალის მიხედვით განმგენი იგივეა რაც ეპიტროპოსი, იყონომოსი, აპარატიდი.

პეტრიწონის ტიპიკონის ქართული და ბერძნული ეკრსიების ტერ-მინლოგიურმა შედარებამ, ს. ყაუხეჩიშვილი მიიყვანი იმ დასკენმდე, რომ ტიპიკონის ბერძნულ ეტრისაბაში ნახმარ ერთ სიტყვას — ჰპატებია. ქართული ვარსია უფარდებს ორ ბერძნულ ტერმინს „იყონომოსნი და ეპიტროპოსნი“ და ორ ქართულ განმარტებას: „მოურნეთითვს და მოლუაწეთა“<sup>306</sup>. ასევე, ბერძნული ტექსტის ინიციატივური ქართული ტექსტის „იყონომოსსა“ და „აპარატს“<sup>307</sup>.

<sup>299</sup> გ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, გვ. 66.

<sup>300</sup> სულხან-საბა თრბელი იანი, თხ., 1V<sub>1</sub>, გვ. 136.

<sup>301</sup> იქვე, გვ. 330.

<sup>302</sup> ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971, გვ. 153.

<sup>303</sup> იქვე, გვ. 147, 173.

<sup>304</sup> ვიორგი მთაწმინდელი, ცხოვრებად ითვალისწინები, თბ., 1946, გვ. 26, 99.

<sup>305</sup> გორგეგა, ტ. V, თბ., 1963, გვ. 271.

<sup>306</sup> იქვე.

მოტანილი მისალის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ გან-  
შევთ უხუცესი იგივეა, რაც ეპიტ როპოსთა (Festivitatem  
ნომისთა, აბარმაღლთა, მოურნეთა, მოლუაწეთა) უხუცესი, მათი შეთაუ-  
რი. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ტერმინ „განმგეოთუ უხუცე-  
სით“ გამოხატულია ეზოს მოძღვრის თანამდებობა. განმ-  
გეთუხუცესი მეფის ეკონომოსთა ხელმძღვანელი, ეზოსმოძღვარი  
უნდა იყოს.

ტერმინი „ექოსმოძღვარი“ დადასტურებულია ქართველი ოთხთავის უძველეს რედაქციებში და შეესაბამება ბერძნულ ტერმინებს ტერმინის, — მართველი, განვითარებელი, მუსურვე ისჯინის — მმართველი, განვითარებელი; ასევე — მეფის კარის, ეზოს განვითარელი<sup>307</sup>. ასეთივე მნიშვნელობა „ექოსმოძღვარის“ ღაცდგინა ს. ყაუხჩიშვილმა<sup>308</sup>. არმაშის ბილინგვასთან დაკავშირებით აღნიშნულ საყითხს ვრცლად შეეხო გ. წერეთელი, რომლის მიხედვითაც ეზოსმოძღვარი ეპიტროპოსს, იკონომოსს შეესატყისება<sup>309</sup>. გ. მელიქიშვილი ეზოს მოძღვარის ვისიმე ეზოს (მეურნეობის) გამგებლად, გამგედ, მართველ, მმართველ ანუ ეპიტროპოსად მინიჭება.

ესოსმოძღვრის აღნიშნული მნიშვნელობა, დადგენილი არმაზის ბილინგვისა და ქართული ოთხთავის უძველესი რელაქციების მიხედვით, არავითარ ეჭვს არ შეიძლება იწყევდეს, მაგრამ ესოდენ შორეული მასალა რამდენად შეგვიძლია გამოვიყენოთ წევნთვის საინტერესო პერიოდის კვლევისას?

ჩამს, ამ ტერმინის ძირითადი შინაარსი ივიყვ დაზუნილა, ვინაიდან „დიდი სკულპტარონის“ შინედვით „ეზომსმოძღვარი“ ივიყვა, რაც „კუთხომოსი“<sup>311</sup>. ამ ტერმინს იცნობს სულხან-ხაბა თრბელიანი, რომლის ცნობით ეწოსმოძღვარი „საგანგიოთა გამგებელია“<sup>312</sup>. ამავე აზრისაა ვაჟუშტი ბაგრატიონიც<sup>313</sup>. ვფიქრობთ, „საგანგიოთხა“

<sup>307</sup> А. Г. Шанидзе, Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина «*θεοίαλθεστρουκόν*» «эзюисмодзгуари» в древнегрузинском, *Бај. Անհ. Ձաբ. եզօն. Յութից. 1941, Ը. II, № 1—2, էջ. 181—182.*

308 ს. კაცე ხერი ვილი ა, ანდო შერძნული წარწერები ანგაზილან, საქ. სსრ მეცნ. აკად. მარტი, რ. II, № 1—2, 1941, გვ. 174.

<sup>319</sup> 8. ශ්‍රී ගම්බල සෑලු, මහින්දාස් තොටෝ, රැකිංජුව් මින්මිඩ්, ර. XIII, ම්ද., 1943, 23.

<sup>210</sup> ଶାକାରତ୍ୟୁଦୀନ ପିତ୍ରମହାତ୍ମା କଣକପ୍ରସାଦ, I, ପ. 646—647. ଏହି ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କଥାରେ ଉଚ୍ଚତାରେ ଆବଶ୍ୟକ ହେଉଥିଲା.

<sup>311</sup> ලංකා සුදුලයෝගිත්වා, අං., 1975, පෙ. 565.

<sup>313</sup> სულხან-სამა ოჩიბელიანი, ობს., 1V<sub>2</sub>, გვ. 79.

<sup>313</sup> Հ Յ Շ Ա Յ Ի Ռ Ո, ՀԵՂԻ ԲԻ ՆԵՐԱԿԱՎԱՐ ՏԱՐԱԾՈՒՅՈՒՆՆԵՐ, էջ. 22.

და „საგანმგეოს“ შორის არაა შინაარსობრივი სხვაობა, ისევე როგორც მის გამგებელს, განმგეთუხუცესს და ეზოსმოძღვარს შორის. ამდენად, თუ ამოვალთ სათანადო ტერმინების შინაარსისთვის განმგეთუხუცესის (resp. ეზოსმოძღვრის) განსაგებელი მეფის სასახლისა და დოშენის მეურნეობა უნდა იყოს. იგივე უნდა იყოს „ს ა გა ა ნ მ კ ე თ“, რომელიც განმგეთუხუცეს-ეზოსმოძღვრის განსაგებელთა ერთობლიობას აღნიშნავდა.

ზემომოტანილი მასალიდან ვაჩკვეული დასკვნების გამოტანისას, ცხიდია, ყოველთვის მხედველობაში უნდა ვიქონით ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე შინაარსის ერთი და იგივე ტერმინები სხვადასხვა დროს სხვადასხვა რანგის ხელისუფალს აღნიშნავდნენ. არშაზის ბილინგვის ეზოსმოძღვარი, მეფის ეზოს გამგებელი-მმართველი იერარქიული ბევრად მაღლამდგომი ჩანს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის განმგეთუხუცეს-ეზოსმოძღვარზე. XI—XIII საუკუნეების უაღრესად მაღლორგანიზებულ ქართულ სამეფო კარზე ახალი სახელოები წარმოიშვა, ორგანიზაციული სტრუქტურა სხვაგვარად მოეწყო, ვიდრე ეს აღრეულ პერიოდებშია დადასტურებული. ამიტომაც ჩვენ შევვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ფუნქციურ და არა იერარქიულ-ორგანიზაციულ სიახლოებზე და ტრადიციაზე. ნიშანდობლივი და გასათვალისწინებელია ისიც, რომ დროთა განმავლობაში სხვადასხვა მოხელეთა შორის ფუნქციების გადანაწილებაც ხდებოდა. ამა თუ იმ მოხელეს ჩამოსცილება ან ემატებოდო ან ემატებოდო აქა თუ ის განსაგებელი. ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში ამგამი მეტამორფოზები ყოველთვის ნათლად როდია წარმოიჩნილი. ამიტომაცა, რომ მოგვიანო წყაროები, მაგილითად ვახუშტი, ერთსა და იმავე ფუნქციებს მიაწერს სხვადასხვა მოხელეებს. მიუხედავად ამისა, გარკვეული პოზიტიური მასალის ამოქრება ასეთ ვითარებაზიც შესაძლებელია.

ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეების არშაზის ბილინგვის ეზოსმოძღვარი, როგორც აღინიშნა, ძალზე დიდი მოხელე იყო. მის შესატყვისად ჩანს აქემენიდურ, პართულ და სახანურ ხანაში დამოწმებული *hazārapāti*-ათასისთავი<sup>314</sup>, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად მეფის დაცვის ახორციელებდა (ცხადია, პაზარაპეტის ფუნქციებიც დროთა განმავლობაში ცვალებიდი იყო). გ. მელიქიშვილის აზრით, შესაძლებელია ეზოსმოძღვარიც ასრულებდა სამეფო დაცვის

<sup>314</sup> საქართველოს სტატისტიკური ნარკევები I, გვ. 647—648. პაზარაპეტის ფუნქციებზე სხვადასხვა დროს ხ. P. Phrahi, Наследие Ирана М., 1972, გვ. 139; სუევ. გ. ა რ ა ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, სოციალურ-ეკონომიკური ტერმინლოგია III საუკუნის სასახტაო რანგის ეპიგრაფულ ძეგლებში, თუ შრომები, ტ. 121, (VII), თბ., 1968, გვ. 239—240.

რაზმების ხელმძღვანელობის ფუნქციებს<sup>315</sup>. ამ აზრს ღრასტურებულის უკანასკნელ ჩანს შენიშნული მისაღაც. მ. მაისურაძემ „წმინდა დოკუმენტის წამების“ მიხედვით დააღვინა ეზოსმოძღვრის კილევული მუნიციპალიტეტის შენელობა ჯისტიციალარია<sup>316</sup>. ეს ტერმინი იგივეა რაც ლათინური cubicubarius და ზედმიწევნით უდრის „მესაწოლეს“ (тенохранитель).

როგორც ჩანს, მეფის კარის სამეურნეო განსაკვებლის გარდა, ეზოსმოძღვარი დაცვის ფუნქციასაც ახორციელებდა და „მესაწოლე“ (მესაწოლეთა მეთაური?) იყო.

წევნივის საინტერესო პერიოდისათვის საქართველოს სამეფო კარზე ეზოსმოძღვარ-მესაწოლეს აღარ ვხვდებით. მეფისა და საწილის დაცვა ცალკე სახელოს, მესაწოლეთუხუცესის ხელშია, როგორიც მსახურთუხუცესს ექვემდებარება. სახახლის აპარატის სტრუქტურის დანაწევრების და გართულების, ჩანს გამოიწვია ცალკე დაცვის სახელოს შექმნა და ეს ფუნქცია ჩამოსცილდა ეზოსმოძღვარ-განმგეთუხუცესს. მიუხედია იმისა, ეზოსმოძღვარ-განმგეთუხუცესი ცერემონიალუბის დროს ისრულებდა ზოგიერთ ფუნქციას, რაც მის ძველ საქმიანობაზე, მეფის დაცვაზე მიგვითითებს. ამასთან, მის ხელში იყო მეფის უშიშროების ზოგიერთი მხარეც.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიედვით, განმგეთუხუცესს აქვემდებარებოდა საგანმგეოს მუქიფი და მეჯამეთუხუცესი.

საგანმგეოს მუქიფი, როგორც ჩანს, ისრულებდა ისეთსავე ფუნქციებს საგანმგეოში, როგორც მისი კოლეგა საჭურჭლის მუქიფი საჭურჭლები (იხ. ზემოთ). მისი გამსაკვებელი უნდა ყოფილიყო ნიტურალური სახით შემოსული ძღვენი, სახახლის სურსათ-საბოვავე, გვიანდელი ტერმინოლოგია რომ კინძროთ — „ქარხანა“<sup>317</sup>. კფიქრობთ, აქვე შედიოდა მუშრიბის მიერ ქალაქში მოქრებილი სამარხო, მასტაკი, თუთუბო და სხვა. საგანმგეოს მუქიფზე საუბარი „კარის გარიგების“ ნაკლებ აღვილის: „...ცოცხალი მუქიფს პელთ მიაბარონ; და რა თავი მოკეცოთნ საკლიესა“<sup>318</sup>.

საგანმგეოს ეკუთვნოდა მეჯამეთუხუცესი, რომლის სახელო იყო: „ნიკოზი, ზეთი, საწებელი, მუზაფარი, წველა, მექირე, კმელი თევზი... ყოველი მეჯამხეჩე ღიასახლისი, კარავი სამხარეულოსა და

<sup>315</sup> საქართველოს იურიდიკის ნაჩენევები, I, გვ. 648.

<sup>316</sup> მ. მ. ი. ს. უ. რ. ა. ძ. გ. ტერმინ „ეზოსმოძღვარის“ მნიშვნელობასთვის „წმინდა და რომის წამების“ მიხედვით, მოვალთავი, VII, თბ., 1980, გვ. 129.

<sup>317</sup> იხ. ი. ს. უ. რ. ა. ძ. გ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის 1, გვ. 181—188.

<sup>318</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 83; ი. ს. უ. რ. ა. ძ. გ. ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 36.

უერცხლო ჭურჭელი, სპილენძისა და შეშისა<sup>319</sup>. როგორც ვხვდათ, საგანგეოს მოხელეებს საკვები პროდუქტები, სურსაფერმუგადა ებარათ. დ. მეგრელის მართებული შენიშვნით, მეჯამეუტემუცველები სახელოში მოხსენიებული „წველა“ ყველი უნდა იყოს. მანვე გარკვია „მეკამბეჩე დისახლისის“ მნიშვნელობა, რომელიც „დასტურლამაღიც“ იხსენიება და ამ ძეგლის მიხედვით სუფრანის სახელო იყო<sup>320</sup>.

მეჯამეთუხუცესის სახელო, ბუნებრივია, გულისხმობს მეჯამეუბაც, რომლებიც ტექსტში არ არიან დაღისტურებული<sup>321</sup>, მაგრამ ისინი უკველად უნდა ვიგულისხმოთ.

„კარის გარიგების“ მიხედვით, მეჯამეთუხუცესის სახელო ყოფილია „კარიავი სამზარეულოსა“. ამ ცნობის ი. ჯავახიშვილის კურადღება მიიქცია და მან იღნიშნა: „ქართულ წყაროებში ჯერ არავითარი ცნობები არ არის იღმონებილი იმის შესახებ, თუ რომელ მოხელეს ექვემდებარებოდა მუდმივი „სამზარეულო მეფისა“<sup>322</sup>. კუტერობთ, იმის დადგნანი არ უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებულ სირთულეს. სასახლის სამზარეულო, უკველია, იგივე მოხელეს ექვემდებარებოდა, რომელსაც „კარიავი სამზარეულოსა“, ე. ი. მეჯამეთუხუცესის, მისი მეშვეობით განმეოთხუცესს და ამ უკანასკნელის სახით მანდატურობულებეს. ამაში სხვა მოძრავი უწყებების მავალითიც გვარწმუნებს, მოძრავ „საწოლს“ („კარიეს“) იცავდნენ მეფის მესაწოლეთუხუცესი და შესაწოლევები, ე. ი. ისინი, ვინც ემსახურებოდნენ ამ უწყებას სასახლეში. იგივე შეიძლება ითქვას ფარეშთუხუცესზეც. სეთოვავ მდგომარეობა გვაქეს „კარვის კალესის“ მიმართაც (იხ. ზემოთ). ცხადია, არც სამზარეულო შეიძლება იყოს ამ მხრივ გამონაკლისი. როგორც „უძრავი“, იხე „მოძრავი“ სამზარეულო გულისხმობს შეარეულებს, რომლებიც „კარის გარიგებაში“ არ იხსენიებიან, მაგრამ, ცხადია, ეს ამ მხრივ დაბრკოლებას ეერ შექმნის. მეფის სამზარეულო რომ საგანმეობი შედიოდა, იქიდანაც ჩანს, რომ პურობა-დარბაზობაზე შექმნიანდი განმეოთხუცესს უნდა „მოეღო“, იმ მოხელეს, ვისაც მეჯამეთუხუცესის მეშვეობით სამზარეულო ექვემდებარებოდა და მასზე პასუხს ავებდა.

მეფის პეტსონის დაცვას, ცხადია, მხოლოდ მსახურთუხუცესის სახელო მესაწოლეთუხუცესი როდი ახორციელებდა. დაცული უნდა

<sup>319</sup> იქვე.

<sup>320</sup> დ. მეგრელი ა. დ. უკონალური მეტრნომის მტკორისან (დიასახლის), საქართველოს ფილატერი ხანის ისტორიის საკრებულო, I, გვ. 98.

<sup>321</sup> დ. მეგრელი ა. დ. ლამაზ. ნაშრომი, გვ. 102.

<sup>322</sup> ი. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის მტკორი, წ. II, ნაკვ. I, გვ. 166—167.

უოფილიყო მეფის სამშარეულოს უშიშროებაც და საფიქროებელია, რომ განმევთუხუცეს-ეზოსმოძღვრის ფუნქციას ესაცემშედგენს. სამწუხაოოლ, არ გავააჩნია ცნობა, ვის ექვემდებარებოდას ჭიშნისტომ რომელიც სამეფო პურობა-დარბაზობაზე უშიშროების სამშახურს წარმოადგენდა, მაგრამ საეპისტოდოა, რომ იგი მანდატურთუხუცესისა და განმევთუხუცეს-ეზოსმოძღვრის სახელო იყო. სამეფო პურობა-დარბაზობის ცერემონიალი მიჰყავდა მანდატურთუხუცესს და მის სახელო ამირევების, ხოლო საგანმგეოს უწყება უწრუნელყოფდა სუფრის. ბუნებრივია, ამავე უწყებისა უნდა ყოფილიყო ჭაშნაგირიც.

მანდატურთუხუცესის სახელო და სახახლის უწყება „საგანმგეო“, რომელსაც ებარა მთელი სამეურნეო საქმიანობა, საკუთრივ სასახლეში, როგორც ჩანს, განაგებდა ასევე სამეფო დომენსაც. „საგანმგეოს მოურავებს“, რომლებიც წარმოადგენდნენ ცენტრალური აპარატის მოხელეებს განმევთუხუცეს-ეზოსმოძღვრის (და საბოლოო ჯამში მანდატურთუხუცესის) მეთაურობით, ემორჩილებოდა დომენის აღვილობრივი მმართველობა. ასევე სამუშაოების წარმოება სამეფო ზერებში და სხვ.

თუ „საწოლიდან“ ხდებოდა სახელმწიფოს პოლიტიკური მართვა, „სა გ ა ნ მ გ ე ო“ მართავდა დომენს. საბოლოო ჯამში, ჩანს მანდატურთუხუცესის ხელში იყრიდა თავს ასევე ს ა ს ა ს ლ ი ს, როგორც დაწესებულების, მართვა და ღისციანინარული რეჟიმი<sup>323</sup>.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ მიგვააჩნია სწორად მედევართა დასკვნა<sup>324</sup>, თითქოს მსახურთუხუცესს ებარა მეფის კერძო შეურნეობა, იყო იყო მეფის სისისო მამულების გამგებელი და „სასახლის მინისტრი“. ასეთს მანდატურთუხუცესი წარმოადგენდა, რომელიც მეფის სისისო მამულების, სასახლისა და დომენის შეურნეობის მართვას აწარმოებდა ეზოსმოძღვანელურუცესის და მისდამი დაქვემდებარებული „საგანმგეოს“ მეშვეობით. ასენას თხოულობს ერთი საკითხი. „კარის გარიგების“ ცნობით, მსახურთუხუცესის სახელო იყო „ცხოვარნი ყოველი და მატყლნი“<sup>325</sup>. სავარაუდოა, რომ ვაზირის რანგში იყვანამდე, მეფის საწოლი — საღაროს დაცვისა და

<sup>323</sup> ი. ხაბაშის „ცემისა“ და „გამარსებას“ შესახებ: ი. სურგულ აძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 92—93; ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 757. „გამარსვაში“ ბისანტიუმი იხ. Г. Г. Литаврин, Византийское общество и государство, с. 182.

<sup>324</sup> ი. ფავანები და ლასახ. ნაშრომი, გვ. 183; საქართველოს ისტორიის ნარკევები, III, გვ. 359; 646; ი. სურგულ აძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 184 და სხვ.

<sup>325</sup> ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 84; II, ი. სურგულ აძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 37.

შომსახურების ხელმძღვანელი შახურთუხუცესი, რომელსაც საწილია და სალაროს საფარეშო მომსახურებიც ებარა, მანდატურთუხუცესი ცესის სახელო იყო. ფუნქციების გადანაწილების დროს, შახურთუხუცესის ლია, მას შერჩია „ცხოვარნი“ და მატყლია“. შახურთუხუცესის სხვა „სამეურნეო“ ფუნქციები არა ცნობილი.

ამდენად, საგანმგეო წარმოადგენდა სასახლისა და ღომენის მართვის უწყებას, სასახლის სამეურნეო დაწესებულებათა კომპლექსს, რომელსაც სათავეში მანდატურთუხუცესის სახელო განმეორუხუცესიერისმოძღვარი ედგა.

დასამვებად შიგვაჩნია, რომ საგანმგეოს, როგორც ღომენის მართვის უწყებას, შეიძლებოდა მიყუთვნებოდნენ მონადირები, ტყისმცემები და მონადირეთუხუცესი<sup>326</sup>. სამწუხაროდ, რამეს დაბეჯითებით შტკიცება აქ არ შეიძლება. სავარაუდო კი რამდენიმე გარემოებაა. სამეურ ტუკები და ნაკრძალები უშველად ეკუთვნოდნენ ღომენს. ამასთან, ნინადირევი უნდა შესულიყო საგანმგეოში, რომ ის მეფის სუფრაზე მოხვედრილიყო. მონადირები სწორედ ამ უწყებას ამარავებდნენ ნანადირევით. ამასთან ნიშანდობლივია, რომ თამარის ერთ სიკელში ისსენიება „აჯამეთის აბარმადნი“<sup>327</sup>, ე. ი. იკონომოსები. იქვე, მათ შემდეგ „ტყისმცემულთუხუცესებიც“ ისსენიება. ამიტომ საფიქრებელია, რომ აჯამეთის სამეურ ნაკრძალს იკონომოსები და მათი ხელქვეითი ტყისმცემულთუხუცესები განავებდნენ, ე. ი. საგანმგეოს აღვილობრივი აბარიაზი და მათი ხელქვეითი ტყის დაცვა ამ სიკითხს უფრო ვრცლად აღვილობრივი აბარატის შესახებ საუბრისას შევვეხით.

განმეორუხუცეს-ეზოსმოძღვრისა და საგანმგეოს საკითხთან დაკავშირებით, ეფიქრობთ აუცილებელია განვიხილოთ „ჩუხჩერახის“ სახელო.

„ჩუხჩერახის“ საკითხს შეეხო ი. ჯავახიშვილი, რომელმაც ეს სახელო საპატიოდ შინიჩნია, მაგრამ სათანადო მახალების უქონლობის გმო, მას არსებითად არ შეხებია<sup>328</sup>.

საგანმგებოდ და ვრცლად შეეხო „ჩუხჩერახის“ საკითხს კ. კეკელიძე<sup>329</sup>, რომელმაც ეს თანამდებობა დაუკავშირა სამხედრო საქმეს, „იირაღს“. „ჩუხჩერახის“ ფუნქციების დადგენისას მან მოისველია ბიბლიური ტექსტების პარატექიზაცია და დასკვენა, რომ ჩუხჩერახი

<sup>326</sup> მათხე იბ. ქ. ჩხარარი ი. ნარკევები, გვ. 176—184.

<sup>327</sup> ქართული სამართლის მეცნები, II, გვ. 26.

<sup>328</sup> ი. ჯავახი ი. ნარკევლი სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, გვ. 197.

<sup>329</sup> კ. კეკელიძე, სტორიანი და აზმანი შარავანდულიანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), თბ., 1941, გვ. 11—17.

უნდა ყოფილიყო, „წინაშრობოლი“ — „წინამდევი“ მოხელე და შეცის  
სხეულის დაცვის უფროსი. ეს მოსაზრება მთლიანად უწინუებული  
გაიზიარა ი. სურვულაძე<sup>330</sup>.

„ჩუხჩარების“ სახელოს მოხსენება მიუძღვნა შ. ბალრიძემ,  
სამწუხაროდ, მთლიანი ტექსტი არ დასტამბულა, ხოლო თეზისე-  
ბის მიხედვით<sup>331</sup> მისი მოსაზრება ასეთია: „ჩუხჩარები შეფის საბო-  
ლიციო-სადამსჯელო დაცვის უფროსია; იგი დაკავშირებულია „და-  
ცვითი ხასიათის“ სამხედრო საქმესთან. შეკლევარმა სცადა გაეთქმუ-  
შინა ტერმინის ეტიმოლოგიაც და იგი ირანულ „ჩუხას“ (პატრულს)  
დაუკავშირა. შ. ბალრიძემ გაუმართლებლად მიიჩნია XII—XIV სს.  
საქართველოში არსებული სახელოს გააზრება ბიბლიურ ინსტიტუ-  
ტებთან შექმნიური შედარების გზით.

ჩუხჩარებშე თავისი მოსაზრება წამოაყენა პ. ინგორიშვამ<sup>332</sup>,  
რომელმაც ეს თანამდებობა მიიჩნია შეფის პირადი სპასპეტობის აღ-  
მნიშვნელოდ და დაუკავშირა იგი „ეზოთუხუცესის“ სახელოს. პ. ინგო-  
როვის მოსაზრება, არსებულთაგან ყველაზე უფრო საყურადღებოა,  
მაგრამ ვალიკრობთ, მას ზოგიერთი კორექტივი სჭირდება, რაზეც  
ქვემოთ ვისაუბრებთ.

ჩუხჩარები იხსენიება „ისტორიათა და აშშათა“ ტექსტში. ვიორგი  
III-ის გარდაცვალების აღწერისას იხსენიებით: „ვაშირი ანტონი და  
ამირაპესალარი უყბასარ და სხუანი ქელისუფალნი: ყუთლუ-არსლან  
შეჭურტლეთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუ ხ ა რ ხ ი, ჭიაბერი  
შევინიბეთუხუცესი ...“<sup>333</sup> ასეთ კონტექსტში ჩუხჩარების მოხსენიე-  
ბა ცხალს ხდის მის უაღრეს იერაზექიულ პარივეა და შდგომარეობას.  
„ისტორიათა და აშშათა“ ტექსტში ჩუხჩარები იხსენიება ასევე სხვა  
იღვილასაც: „(ებობა) შახურთუხუცესობა ვარდანს დადიანს, ჩუხ-  
ჩარებობა მარუშიანსა“<sup>334</sup>. ციტირებული აღვილი შეტანილი აქვს  
„კარის გარიგებაში“ მის ანონიმ ავტორის<sup>335</sup>.

ზემოთ აღნიშნული გვეონდა და აქც გვსურს გვიმეოროთ,  
რომ უაღრესად მაღალი და სპატიო სახელო ჩუხჩარებისა, არ შეიძ-

<sup>330</sup> ი. სურვულაძე, კარხული კულტურული და ქართული სამართლის სტურის  
საკონები, თურ შრომები, ტ. V, თბ., 1961, გვ. 327—328; გისივე, ქართული  
სამართლის ძეგლები, გვ. 196—198.

<sup>331</sup> შ. ბალრიძე, „ჩუხჩარების“ სახელო უკოდაცერ საქართველოში. თურ  
საქართველოს სტურის კოცერტის III სამეცნიერო სესია, ოქტომბერ, 1970, გვ. 12.

<sup>332</sup> პ. ინგორიზ უკა, რუსთველისნ ეპილოგი, თხ., ტ. I, გვ. 564.

<sup>333</sup> ისტორიათი და აშშათა შერვენდოფანი, გვ. 25.

<sup>334</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>335</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 92; ი. სურვულაძე, ქართული  
სამართლის ძეგლები, გვ. 46.

ლება იყოს „კარის გარიგების“ აჩუხჩი, ამერით-აჩუხჩი (პ. კაპელი-  
ძე, ი. სურგულაძე), რომელიც ზარდაბინის უხუცესის ხელშევითად  
და მეაბჯრეთუხუცესის „მუახლედ“ ჩანს.

გარდა „ისტორიათა და ისმათა“ და „კარის გარიგების“ უქმებისა  
ტისა, წუხჩარეხი XIII საუკუნის „მეფის კურთხვის“ წესშია დამო-  
წმებული. ი. ღოლიძის გამოცემაში წვენივის საინტერესო აღვილი  
ამგვარადაა მოცემული: „ეზოთ-უხუცესია, წუხჩარეხსა, მეაბჯრეთ-  
უხუცესია სამეფო ფარი და ლახტი პქონდეს და ქარქაში; უკანა  
უდაც შეფესა“<sup>336</sup>. სწორედ ციტირებულმა აღვილმა მისცა სამუ-  
ალება პ. კაპელიძეს, წუხჩარეხის სამხედრო მოხელეობა ემტკიცებინა:  
„ამრიგად, „წუხჩარეხი“ მეფის კურთხვის დროს მოქმედობს ისეთ  
პირთა წრეში, რომელთაც წევულებრივ ომიანობასთან, ლაშქრობას-  
თან აქვთ საქმე, თან ის უშუალო დამოკიდებულებაში იმყოფება  
სამხედრო იარაღთან“<sup>337</sup>. მკვლევართა აზრით, „მეფის კურთხვის“  
წესის ციტირებულ აღვილს ისსენიება სამი მოხელე — ეზოთუხუ-  
ცესი, წუხჩარეხი და მეაბჯრეთუხუცესი, რომელთაც სამეფო ფარი,  
ლახტი და ქარქაში მიაქვთ სამეფო კორტეჯის მსელელობისას. ასე  
ფიქრობს პ. კაპელიძე, როგორც ეს ცხადიდ ჩანს მისი ნაშრომის ციტი-  
რებული აღვილიდან. ასეთივე აზრი გამოსჭივების ი. ჯავახიშვილ-  
თან<sup>338</sup>, ი. სურგულაძესთან<sup>339</sup> და შ. ბალრიძესთან<sup>340</sup>.

„მეფის კურთხვის“ ციტირებულ აღვილს ისსენიება არა  
სამი სხვადასხვა მოხელე (ეზოთუხუცესი, წუხჩარეხი, მეაბჯრეთ-  
უხუცესი), არამედ მსოლლო ერთი, როგორც ეს სავსებით სწორად  
შენიშნი პ. ინგოროვევამ<sup>341</sup>. როგორც დგინდება, ეზოთუხუცესი იგივე  
წუხჩარეხია, რომელიც ცერემონიალუბის დროს მეფის პირადი მე-  
აბჯრეთუხუცესის (აბჯრისმტკირთველის) მოვალეობას ასრულებდა.  
პ. ინგოროვეს ეს თეზისი დასაბუთების გარეშე აქვს მოტინილი.  
ამისთან, მის ეზოთუხუცესი-წუხჩარეხი მიაჩნია მეფის პირად სპას-  
ბეტად, მეფის საღროშოს სარდლად. ამ აზრს წევნ ვერ გვიშიარებთ.

ამდენად, „მეფის კურთხვის“ წესით“ მეფის ფარი, ლახტი და  
ქარქაში მიპქონდა ერთ მოხელეს — ეზოთუხუცეს-წუხჩარეხს, მეფის

<sup>336</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 51.

<sup>337</sup> პ. კაპელიძე, სტურიანი და აზმანი შეაჩვენდესთანი, გვ. 15.

<sup>338</sup> ი. გავახიშვილი, ქართული სამართლის სტურია, წ. II, ნაკვ. I,  
გვ. 197.

<sup>339</sup> ი. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 197—198.

<sup>340</sup> შ. ბალრიძე, „წუხჩარეხის“ სახელი ცეობალურ სკართველოში,  
გვ. 12.

<sup>341</sup> პ. ინგოროვევა, რესთურებანის კპილიკა, თხ. 1, გვ. 564.

მეაბჯრეთუხუცესს და არა სამ სხვადასხვა მოხელეს. დაკარგუ-  
თოთ ეს თეზისა.

„მეფის კურთხევის“ წესში, გარდა იმ მეაბჯრეთუხუცესსა,  
რომელიც მეფის უკან მიღიოდა და მისი იარაღი მიქეუნდა, მაგრა  
ხელებულია კიდევ ერთი მეაბჯრეთუხუცესი. ეს ფაქტი შეუნიშნავთ  
დარჩათ მკალევრებს, გარდა პ. ინგოროვებისი. ამ უკანასკნელმა კი ის  
აღიღილი, სადაც „მეორე“ მეაბჯრეთუხუცესი იხსენიება, სრულებით  
უმართებულოდ „მეჯინიბეთუხუცესად“ ჩაასწორა<sup>342</sup>. მეჯინიბეთ  
უხუცესი, როგორც სათანადო აღგიღას ვეცადეთ დაგვესაბუთებინა,  
იგივე ამირაბორია, ეს უკანასკნელი იხსენიება ტექსტში და ამიტო-  
მაც პ. ინგოროვებს ჩასწორებას არც ტექსტი და არც სამოხელეთ  
სტრუქტური არ უწყობს ხელს.

როგორც აღვინიშნეთ, მკალევრებს „მეფის კურთხევის წესში“  
ორი მეაბჯრეთუხუცესის მოხსენების ფაქტი შეუმნინველი დარჩათ.  
ი. ჯავახიშვილი შენიშნავს: „თუმცა მეფის იბჯრის მტეირთველი  
შენახულ წყაროებში მოხსენიებული არ არის, მაგრამ უკვეველია,  
რომ ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს ... მეფის კურთხევის  
დროს ... მეფის იბჯრის მტეირთველის მოვალეობას მეაბჯრეთუხუ-  
ცესი ასრულებდა და სამეფო ფარი, ლაბტი და ქარქაში მის ეჭირა“<sup>343</sup>.  
როგორც ვხედავთ, ი. ჯავახიშვილი იბჯრისმტეირთველად მიიჩნევს  
იმ მეაბჯრეთუხუცესს, რომელიც მეფეს ედგა უკან. ცხადია, რომ  
მის ვერ შეუნიშნავს მეორე მეაბრჯრეთუხუცესის არსებობა ტექსტში.

საკითხის ნათელსაყოფად მოვიტანოთ მთელი კუპიური „მეფის  
კურთხევის წესიდან“: „ამირსპასალაორი, კრმალ-შემორტყმული,  
მარჯუენით კერძო ჟყვებოდეს (მეფეს, ი. ა.) და სამეფო კრმალი ორ-  
თავე წელთა ზედა ეტვრთოს. ეგრეთვე იმიღაბორი და მეაბჯრეთ-  
უხუცესი (პ. ინგოროვები: მეჯინიბეთუხუცესი) კრმალ-შემორტყმუ-  
ლივე, ამირსპასალაორის კერძო ვიღოდენ. ხოლო ჭყონდიდელი და  
ათაბაგი მარცხნით მეფისა ვიღოდენ და სხუანი მთავარნი... ეზოთ-  
უხუცესსა, ჩუხჩიარებსა, მეაბჯრეთუხუცესსა სამეფო ფარი და ლაბტი  
ქეონდეს და ქარქაში, უკანა უდგეს მეფესა“<sup>344</sup>.

სრულიად აშკარაა, რომ ტექსტში იხსენიება ორი მეაბჯრეთ-  
უხუცესი. ერთი უკან უდგას მეფეს, ხოლო მეორე ამიღაბორთან  
ერთად ამირსპასალაორს მიპყვება. ამირსპასალაორი, ტექსტის მიხელ-  
ვით, მეფის „მარჯუენით კერძო“ მიღიოდა, ხოლო ამიღაბორი და

<sup>342</sup> პ. ინგორეთუხუცესი, რესოუტენის ეპილოგი, თხ. I, გვ. 564.

<sup>343</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის სტორი, წ. II, ნავ. I,  
გვ. 154.

<sup>344</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 51.

შეაბჯრეთუხუცესი ამირსპასალარის „კერძო ვიდოდენ“, ე. ი. სამირც  
მეფის მარჯვნივ. შეუძლებელია, ერთი და იგივე შეაბჯრეთუხუცესი  
სი მეფის მარჯვნივ, ამირსპასალარის შხარეს შღარიყო უფრატევები  
დროს მეფის უკან ეს ფიზიურადაც შეუძლებელია და სასწარიცხვა  
ამ მხრივ საესებით ნათელ და არაორანჩოვან, ზუსტ შითითებებს  
იძლევა. ისლა დაგვრჩნია დავასკვნათ, რომ შეაბჯრეთუხუცესი, რო-  
მელიც ამილახორთან ერთად ამირსპასალარის „კერძო ვიდოდა“,  
იყო კარის მოხელე, ზარადხანის შმართველი შეაბჯრეთუხუცესი, რო-  
მოლო მეორე, რომელიც მეფეს უკან მიქვებოდა, მეფის პირადი  
აბჯრისმტკირთველი, რომლისთვისაც შეაბჯრეთუხუცესობა „კელი“  
კი არ იყო, არამედ ცერემონიალუბის დროს ს ა პ ა ტ ი ო მ ო ვ ა ლ ე ო-  
ბ ა. მის ძირითად საქმიანობას, „კელს“ შეაღენდა „ეზოთუხუცე-  
სუხნიარებობა“.

მეფის ფარის, ლიხტისა და ქარქაშის მტვირთველი სამი სხვადა-  
სხვა პირი კი არა, ერთი რომ იყო, ნათლად იდამტურებდა მისი მხო-  
ლობით რიცხვში მოხსენიება. „მეფის კურთხვის წესის“ ტექსტი  
ძალშე კარგად იცავს რიცხვში შეთანხმებას: „ჯუარისმტკირთველ-  
მან ა ა ს უ ე ნ ი ს“; „კათალიკოზმან დ ა პ ბ უ რ ი ს“; „კათალიკოზ-  
მან ჯუარი დ ა ს წ ე რ ი ს“. ასევე დაცული მრავლობითიც: ამირ-  
სპასალარი, ამილახორი და შეაბჯრეთუხუცესი „ვ ი დ თ დ ე ნ“;  
ჰუნდიდელი და ათაბაგი „ვ ი დ თ დ ე ნ“; „წ ა რ ვ ი დ ე ნ კ ი კ ე ლ-  
ნ ი“. ჩვენთვის საინტერესო აღვილის კი სწერია: „ეზოთუხუცესსა,  
ჩუხნარებსა, შეაბჯრეთუხუცესსა სამეფო კარი და ლიხტი პ ქ ი ნ-  
დ ე ს და ქარქაში; უკან უ დ გ ე ს მეფესა“. მხოლობითი რიცხვი  
(„ჰუნდეს“, „უდგეს“) მიღვითითებს, რომ მეფეს სამი მოხელე კი  
არა, მხოლოდ ერთი ედგა უკან — მისი პირადი შეაბჯრეთუხუცესი  
ეზოთუხუცეს-ჩუხნარები .

ცხადია, რომ ტექსტში ეზოთუხუცესს და ჩუხნარებს შორის სა-  
სვენი ნიშანი — მძიმე არაა საჭირო.

ეზოთუხუცესი-ჩუხნარები რომ ერთი თანამდებობაა, საამისო  
საბუთად პ. ინგოროვამ მიუთითა გიორგი VIII-ის 1453 წლის სი-  
გელშე, სადაც „ეზოს ჩუხნარები“ იხსენიება. ეს საბუთი მართლაც  
აღისტურებს ამ აზრს. სამწუხაროდ, პ. ინგოროვას მხედველობილან  
გამოირჩნია სხვა საბუთები, რომლებიც ამზგრებენ ამ დასკვნას.  
ზოგი საბუთი ყურადღებიდან გამოიპარვია შ. ბადრიძესაც. იგი ფიქ-  
რობს, რომ ჩუხნარების სახელო XII—XIV საუკუნეებში არსებობ-  
და<sup>245</sup>. სინამდვილეში, ეს სახელო დოკუმენტურად გვიქვს დადას-  
ტურებული უფრო გვიანაც და ამიტომაც ქრონოლოგიურ ჩარჩოდ

<sup>245</sup> ვ. ბ ა დ ჩ ი დ კ, „ჩუხნარების“ სახელო ფერადურ საქართველოში, გვ. 12.

XII—XIV საუკუნეების დღება არ მიგვაჩინია მართებულად. ნიშნავია, რომ დოკუმენტურ წყაროებში დაღასტურებულ ეჭვის ჩატარების „არ განიხილავს ქ. კმპელიძე“. არ ასახელებული მართლის ი. სურგულიძე. მოვიტანოთ სათანადო დოკუმენტები.

1. 1365 წლით დათარიღებულ ერთ სიგელში იხსენიება ეზოს ჩუხერა რახი პიპო, რომელსაც ებოძა „გორს ქისიყელისეული მამული“<sup>346</sup>.

2. 1425 წელს მეფე ალექსანდრე გორის მოურავს და ეზოს ჩუხერა რახი ავთანდილ ზერდგინიძეს, ზერდგინსა და თაყას უბოძებს ყმას<sup>347</sup>.

3. 1429 წელს მეფე ალექსანდრეს სიგელი ეძლევათ ეზოს ჩუხერა რახი სა და გორის მოურავს ავთანდილ ზერდგინიძეს, მოლარეთუხუცეს თაყას და ზერდგინს<sup>348</sup>.

4. 1430 წელს მეფე ალექსანდრეს სიგელი ეძლევათ ეზოს ჩუხერა რახი ავთანდილს და მის მმისწულობრივობის<sup>349</sup>.

5. 1453 წელს გორგი VIII სიგელს აძლევს ეზოს ჩუხერა არა სა და გორის მოურავს ზევდგინს<sup>350</sup> (ამ საბუთს ასახელებს პ. ინგოროვევი).

6. XV საუკუნით დათარიღებულ მაღნარაძეების სახისხლო სიგელში, კარის სხვა მოხელეებთან ერთად (მეაბჯრეთუხუცესი, ეჯიბი, მოლარეთუხუცესი და სხვ.) იხსენიება „ჩუნჩერახი (ჩუნჩუხი) ვაკაშელ ამუნასკირი“<sup>351</sup>.

არ არის გამორიცხული, რომ შეგავსი მასიალა კიდევ იყოს და ჩვენც გამოგვებარა მხედველობიდან.

როგორც ვხედავთ, ტერმინი „ჩუხერახი“, „ეზოთუხუცესი ჩუხერახი“ და „ეზოს ჩუხერახი“ დაღასტურებულია XII—XV საუკუნეებში ნარატივული და დოკუმენტური მისალით.

ვართულის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეს ტერმინი დაღასტურებული უნდა გვქონდეს XI საუკუნის წყაროებშიც. „მატიანე ქართლისა“ აღნიშნავს: „მასვე უამია წარვიდა ჩახახი ფალელი საბერძნეთს ... მიერთო ბერძნეთა“<sup>352</sup>. ეს „ჩახახი“ ვაგებულია საკუთარ სახელად, მარიამისეულ ნუსხაში გვაქვს „ჩახახი“; ჭალაშვილი-

<sup>346</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 100.

<sup>347</sup> იქვ., გვ. 118.

<sup>348</sup> იქვ., გვ. 119—120.

<sup>349</sup> იქვ., გვ. 121—122.

<sup>350</sup> იქვ., გვ. 132—133.

<sup>351</sup> ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორო მომსჯე, წ. II, ტც., 1924, გვ. 21.

<sup>352</sup> მატარე ქართლისა, გვ. 292.

სეულში „ჩანჩუხი“; თემიტრაზისეულში „ერისთავმან შავშეთის ჩანჩუხში“. იგივე პირი იხსენიება სუმბატ ღავითის ქცოთან: „ჩანჩახამან, ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ციხე წეფოთისა“<sup>1</sup> და კიბრის ტებში გვიძეს: „ჩანჩახი, ჩანჩუხი.“

სესხებული პიროვნება დაღისტურებულია, როგორც ჩინჩები, ჩანჩიხი, ჩანჩინი, ჩანჩიხი. არაა გამორიცხული, რომ ჩვენ აქ დამიშინ-ჯებული „ჩუხხარები“, „ჩუნჩარები“ გვერდეს (შერ. მიღნარიძეების სიგელის „ჩუნჩუხი“). შაშინ იქნებოდა „ერისთავი შავშეთისა ჩუხხა-რები ფალელი“<sup>254</sup>. ჩვენი იხტიო, შავშეთის ერისთავი ფალელი ჩუხხარები იყო, მაგრამ ვამორიებთ, ეს მხოლოდ ვარაუდია და ჯერ-ჯერობით ამის მტკიცება არაა შესაძლებელი.

ჩევნ ზემოთ შოვიტანეთ კ. პეტრელიძის, პ. ინგოროვების, ი. სურ-  
გულაძის და შ. ბაღრაძის მოსაზრებინა ჩუქჩიარების ფუნქციების  
შესახებ. კინერთობით, ჩევნთვის საინტერესო პერიოდში „ეზოოუნუცე-  
სი ჩუქჩიარები“ არც მეტის სხეულის მცველთა უფროსი იყო და არც  
პირადი სახასპერტი. მეტის სხეულის დაცვას მესაწოლეოთუხუცესი ამორ-  
ციელებდა, ხოლო მეტის ღომენიდან გამოსულ შეიარაღებულ ძალებს  
შეახროთუხუცესი სარდლობდა. ეს ფუნქციები შესაძლოა თამარის  
მეფობის დახასწაულში ჩამოსცილდა ჩუქჩიარების.

ვახტაშები ბაგრატიონის ცნობით, ჩუქჩერახი იყო ის მოხელე, რომელსაც როსტომის დროს სუფრახი ეწოდა<sup>355</sup>. ჩუქჩარების ფუნქციების შესახებ იყო პეტ ცნობის გვაწვდის: „ჩუქჩერახი, ამის კეღლისა იყო: მზარეულთუსუცესი, შეტაბლენი, შზარეულნი, შეპურენი, შერწყულნი, შვოსანნი, შეშწყობრენი, ბუკტიაბლაკთა და სხუათა შეე-მცელნი“<sup>356</sup>.

ვანუმშეის ამ სიცხვებით კონტრეტულ ცნობის არ უნდვენ იმ საბუთოთ, რომ იგი „მოვევიანო წყაროა“. მისითან, მისი ეს ცნობა ფაქტობრივად დამისინჯვებულადაა გაეცემული და გადმოცემული მკვლევართა მიერ და ამ სიცუმეების იცნიორებულია.

პ. კერძოდ აღნიშვნას: „ვახუშტი საძირბელ თანამდებობას უკავშირებს „შიარეულს“ ამ სიტყვის წვეულებრივი, დღევანდველი გაგებით. მაგრამ მცუნური ბატონიშვილი ცდება. ეს თანამდებობა, არც იძლენად პატარა და უმნიშვნელო ყოფილა, რომ შესაძლებელი იყოს მისი გაიგივება „შიარეულთან“, რომელიც, როგორც გარევაზ-

223 ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତମ ଏ, ପ୍ରଥମାଂଶୁ ଓ ଉଚ୍ଚପ୍ରକାଶ ପାଞ୍ଜାବାନିରାଜତା, ଫର୍ମଲଙ୍କ ପ୍ରଥମାଂଶୁ, I, 23, 385.

334 „ჩანჩხის“ ღ. კლდიშვილი უკავშირებს სოფ. ჩანჩხის. იხ. მიხი, გაცელ-პოცონ-ტეთა საგვარეულოს იტრინისათვის, მაცნე, № 3, 1979, გვ. 84.

335 గాంధీజీ, అ

256 C. G. CAL

ლია, „მევამეთუხუცესის“ ხელქვეითი თანამდებობა ჭავათი 157  
ი. სურგულიასის აზრით: „ვახუშტი „ჩუხჩარების“ განმარტავს რო-  
გორც მზარეულს, სამზარეულოს მუშაქს, საჭმლის უწყვეტისადა  
ბელს“<sup>357</sup>.

ნელი არა მივიღეთ დასკვნამდე, რომ მკალევარები ვახუშტის-  
თვითონ მიაწერენ „ჩუხჩარების“ მზარეულობის და მერე თვითონვე-  
ედაღვებიან მას ამის გამო. ვახუშტის ცნობაში არაფერია ნათქვამი  
ჩუხჩარების მზარეულობაზე, სამზარეულოს მუშაკობაზე. იგი სავსე-  
ბით ნათლად აღნიშნავს, რომ „მზარეულოთუხუცესი, მეტაბლენი,  
მზარეულინი“ და სხვანი იყვნეს „ჩ უ ნ ჩ ე რ ა ხ ი ს კ ე ლ ი ს ა“, ე. ა.  
მის საგანმგებლოს შეაღვენდნენ. აქედან სრულებით აზ გამომდინა-  
რეობს, თითქოს ვახუშტი „მზარეულიად“ მიიჩნევდეს ჩუხჩარებს.  
მოვიტანოთ ვახუშტის ანალოგიური ცნობები: „ბაზიერრთუხუცესი,  
ამის კელისა იყო: სრულიად ბაზნი, ბაზიერი, მებაღლენი,  
ძიღლი“<sup>358</sup>. ცხადია, აქედან აზ გამომდინარეობს, რომ ბაზიერთუხუცესი  
მებაღლე ან ბაზიერია. იგი გარკვეული სახელოს მფლობელია, რო-  
მელშიც ბაზიერები და მებაღლენი შედიან. მოვიტანოთ სხვა ცნო-  
ბაც: „ხუროთმოძღვარი, ამის კელისა იყო სრულიად კელოსანნი  
და შენობა-ხსისახლეთა და ეკლესიათა, კიდთა და ფუნდუკთა“<sup>359</sup>. აზც  
აქედან შევვიძლია ვავაკეთოთ დასკვნა, რომ ხუროთმოძღვარი თვით  
იყო შენებელი ხელოსანი.

შევავს ფორმულია („ამის კელისა“, „ამის კელისა“) გვხვდება  
„ხელმწიფის კარის გარიგებაშაც“: „ზეარნი ამიდ არიან და შინდა-  
რურთუხუცესის კელისანი“<sup>360</sup>. ე. ი. ზვრები შინდარურთუხუცესის  
სახელოა. განა შევვიძლია დაისაკვნათ ამ საფუქველზე, რომ შინდა-  
რურთუხუცესი ზერის მუშაკია!

ცხადია, ჩუხჩარების აზ ყოფილა აზც მზარეული და მზარეულთ-  
უხუცესი და აზც მეტაბლე თუ ბუკ-ტაბლაკთა მცემელი. ის იყო სა-  
ხელოს მფლობელი, რომელშიც აღნიშნული სამსახურები შედიოდა.

მიუხედავად იმისა, ვავიზიარებით თუ აზა ვახუშტის მონაცემებს  
ჩუხჩარების თაობაზე, შეუძლებელია მას შივაწეროთ აზრი, თითქოს-  
ეს სახელო რაღაცა შეფ-მზარეულის შევავსი იყო.

ამისთვის, ვახუშტის ცნობისთვის დასპირისისპირებლიად აზც გავაჩი-  
ნია რაიმე საფუქველი, გარდა ბუნდოვანი „კონტექსტებისა“, საღაც-  
ერთი მოხელე სამალაა გაგებული.

357 ე. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ისტორიის და მამანი შეჩავანდეოთანი, გვ. 14.

358 ი. ს უ ჩ ჩ უ ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 198.

359 გ ი ხ ვ ტ ი, აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 22.

360 ივებ, გვ. 23.

361 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 82.

ჩუხჩიერახის სახელო მოიხსენიება „შაპ-ნამეს“ ქართულ კულტურულ მუზეუმში, კერძოდ კი „როსტომიანში“:



რამონელია ჭირელზედა, მით დაიწყეს ზედ განვინა  
გამარტეს, მერმე დადგეს, ღარიფანი გამუცნა;  
„აქ მოსულიან ერანელნი“, — ნიფას კაცმან მოაქსინა,  
ფუცბლავ კაცი გაატრინა ჩუხჩიარესა გრძოს წინა:  
„შეღამდეს, წალი ჯაშურია, ჰევიანალ გათრითხილებული,  
კარგად გაშინევ ლაშქარი, კაცი ხარ სახელდებული“<sup>362</sup>.

პ. პეპელიძის აზრით, „ჩუხჩიარესი“ გიზო გარკვეული სამხედრო საქმიანობის ამსრულებელია, მას „შაპრეულის“ ფუნქციასთან, ყოველ შემთხვევაში, არაფერი საერთო არ უჩანს<sup>363</sup>. ჩუხჩიარესის „შაპრეულობაზე“ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ეს ტექსტი სხვა მხრივაა საინტერესო. სპარსული „შაპ-ნამეს“ სათანადო დაფილია „ჩუხჩიარესი“ შეესატყვისება „წობანი“, ხოლო „წობანი“ (მწყებარი), პ. პეპელიძე<sup>364</sup> და მის კვალდაკვალ შ. ბადრიძემაც<sup>365</sup> „მცენელი“ მიიჩნიეს. ვფიქრობთ, ასეთი გაგება ერთადერთი და აუცილებელი სულაც არაა. ქირთულ ტექსტებში „მწყემსი“ და „მწყესა“ ხშირად იხმარება მოურავის, მოურნის მნიშვნელობით. პეტრიაშვილის მონასტრის წინამძღვარი იყო „მწყემსად ძმათა“<sup>366</sup>, ხოლო თანამდებობით მისი მომდევნო „მწყემსები“ არიან „მოურნენი და მოლუაშენი“ — იყონომისები და ეპიტროპოსები „რომელ არიან გამგენი და აბრმალი“<sup>367</sup>. „ლოცვაა დადგინდებასა მთავართასა“. ს მიხედვით „მწედობით და მორჩილებით მწედობით მწედობით მწედობით იყავ“<sup>368</sup>.

გვიანშუასაუკუნეების საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დაღმატებულია გადასახადი „წობანნებეგი“<sup>369</sup>. ამ ტერმინს სხვა მნიშვნელობაც ქვეონია. ს. კაჯაბაძე მას განმარტავს, როგორც ისტორიული მონასტრის მიმდევარი და მონასტრის მიმდევარი<sup>370</sup>.

362 შაპ-ნამეს ქართული კერძობი, ტ. II, ტუ., 1934, გვ. 64.

363 პ. პეპელიძე, სპარსული და აზერბაიჯანული, გვ. 15.

364 ტექსტი, სექტომ.

365 შ. ბადრიძე, „ჩუხჩიარესის“ სახელო ფულაბური საქართველოში, გვ. 12.

366 ა. შანაძე, ქართველთა მონასტრით ბულგარეთში, გვ. 78.

367 ტექსტი, გვ. 97.

368 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 54.

369 აბ. И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI-начале XIX вв., Л., 1949, გვ. 270—271; პ. კ რ ც ი ა, წობანნებეგო-ქოდავი — სარგალე, აღმოსავლერი ფილოლოგია, II, 1972, გვ. 171—175.

370 С. С. Кахабадзе, Грузинские документы института народов Азии, М., 1967, с. 507.

ვფიქრობთ, ქართული ვერსიის აეტორს „შაპ-ნაშეს“<sup>371</sup>, „ჩონანი“ გაუგია არა როგორც „მცველი“, არამედ როგორც მოურავე მოურავე, ბოქაული აფრასია მეფისა. ნიშანდობლივია, რომ „როსტოკშიანი ჩობანი ანუ ჩუნჩერახი ვიზო იწოდებოდა „სახელდებულ“ კაცად. „სახელდებული“ კი სახელგანთქმულს, გამოჩენილს, სახელოვანს ნიუნაცეს<sup>372</sup>. ცხადია, რომ ასეთი კაცი „მწყემსი“ და „მცველი“ კი არა, ბევრად უფრო მეტია.

ჩუხჩიარებ ვიზო „ჯაშუშად“ ვაგზავნა არ შეიძლება შინეული იქნეს მის „მცველობად“. „ჯაშუში“ ანუ „დაშუში“ იგივე „შტოვარია“<sup>373</sup>. „ისტორიათა და აზმათა“ ცნობით: „ამის შინა თვე ივანე (მხარეგრძელმა, ი. ა.), მდგომარ მსტორ თბა სა შინა, ინილნა ლაშეარნი შორს“<sup>374</sup>. აქედან არ გამომდინარეობს რაიმე დასკვნა ივანე მხარეთვრძელის „ქელზე“.

„როსტომიანის“ ტექსტში „ჩუნჩერახის“ დამოწმება სხვა მხრივაც საინტერესოა. ამ ძეგლის გაღვენვა XV—XVII საუკუნეებში მიმდინარეობდა<sup>375</sup>. ე. ი. ამ დროს „ჩუნჩერახი“ ცოცხალი ტერმინი ყოფილა. შეუძლებელია ეს ტერმინი „როსტომიანში“ გაჩენილიყო, თუ ის იმდროინდელი საზოგადოებისათვის გასაგები არ იქნებოდა.

პ. პეტლიძემ განუშრის თითქოს „შეცდომა“ ჩუხჩიარების შესახებ, ასსნა ბიბლიური ტექსტებით, საღაც მცველთა უფროსი „შარეულთუხუცესად“, „ქონდაქარიად“ იწოდებათ<sup>376</sup>. ეს მართლაც ასეა, მაგრამ საეჭვოა, ვასტერის ბიბლია დასტირებობდა ისეთი სახელოს ფუნქციების გაღმისაცემად, რომელიც დოკუმენტურადაა დადასტურებული XV საუკუნის წყაროებში და თუ „როსტომიანი“ ვამსჯელებთ, XVI—XVII საუკუნეებშიც ცოცხალი ტერმინი იყო. ვანუშრის მიხედვით, ეს სახელო როსტომის მეფობამდე არსებულა და შემდეგ დაურქმევიათ მისთვის „სუფრახი“. ეს მოვლენა ვანუშრის ანლო ხანებში მოხდა. შეუძლებელია იგი ვამოევონებინა შას, ან მის ასასნელად ბიბლია გამოეყენებინა.

ჩუხჩიარები ანუ „ეზოთუხუცესი ჩუხჩიარები“ („ეზოს ჩუხჩიარები“) ჩვენ მიგვაჩნია იგივე მოხელედ, რაც ეზოსმოძღვარი-განმეოთუხუცესია (ცხადია, ჩვენთვის საინტერესო, ერთიანობის ხასიათისათვის).

ტერმინი „ეზოთუხუცესი“ სემანტიკურად სავსებით ფარავს „ეზოსმოძღვარს“ (შდრ. მწიგნობართმოძღვარი-მწიგნობართუხუცე-

<sup>371</sup> შაპ-ნაშეს ქართული ვერსია, II, გვ. 613.

<sup>372</sup> ი. დ. კობიანე, დაშუში, აღმოსავლეური ფილოლოგია, II, გვ. 65.

<sup>373</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდულთანი, გვ. 77.

<sup>374</sup> ი. დ. კობიანე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, ობ. 1952, გვ. 226—238, იქვე ბიბლიოგრაფია.

<sup>375</sup> კ. კვაველიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდულთანი, გვ. 16—17.

სი), ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ შევეცადეთ დაფიცებით  
თებინა, იგივეა რაც განმგეოთ უხუცესი. თუ ამ უკანასკნელი ტერიტორიას  
რეკონსტრუქციას მოვანდენთ, უნდა მივიღეთ დასკვნამდე, რომ უკუცესი  
მგეოთ უხუცესი კარის (ეზოს, სასახლის) განმგების უხუცესია, ხოლო  
იგივეა ეზოსმოძღვარი-ეზოთუხუცესი.

სულხან-ხაბას და ვახუშტის ცნობებით, რომლებიც ჩვენ ზემოთ  
მოვიტანეთ, ეზოსმოძღვარი „საგანგიოთა განმგებელია“. სულხან-ხა-  
ბას ხამოთელილი აქვს კიდევც რა „საგანგიოქიბია“ ეს: „სახაბაზო,  
სამშარეულო და მისთანანი“<sup>376</sup>. ვახუშტის მიხედვით ნუ ხელი არ ეს ს  
აქცემდებარება შზარეულები, მეპურენი და სხვ.

ა. სურგულაძეს, რომელიც არ ენდობა ვახუშტის ცნობის ჩუხ-  
ჩარებისა და სუფრაჩის იგივეობის შესახებ, თვით მოქაქს მასაღები  
და ასაბუთებს, თუ რა დიდი შნიშვნელოვანი მოხელე იყო სუფრაჩი.  
სუფრაჩის საჩლოობდნენ ჯარებს, მნიშვნელოვან როლს ასრულებდ-  
ნენ ქეყნის ცხოვრებაში<sup>377</sup>. ცნობილი შადინან ბარათიაშვილი, ლუარ-  
საბ II-ის გამზრდელი და დიდი გავლენის მქონე კაცი, თანამდებობით  
სუფრაჩიი იყო<sup>378</sup>. სუფრაჩი იყო ბიძინა ჩოლოყაშვილი. სუფრაჩის  
ხელქვეითი, „დასტურდამიალის“ მიხედვით იყო თუშმალი, ანუ შზა-  
რეულთუხუცესი<sup>379</sup>. სულხან-ხაბას მიხედვით, სუფრაჩიც და თუშმა-  
ლიც, მისი ხელქვეითი, მატაკარიანდ იწოდება. ცხალია, რომ მის ლაფ-  
სუსი მოსკვლია. მატაკარიანი, როგორც ჩანს სუფრაჩის სინონიმი უნდა  
ყოფილიყო<sup>380</sup>. საშუალო საარსული ორთაკარ ინტენდანტს ნიშანავს,  
ხოლო იგივე ტერმინი სომხურში მოურავს, რწმუნებულს, შნეს, ეკო-  
ნომს<sup>381</sup>. სუფრაჩი ბიძინა ჩოლოყაშვილი ზოგ წყაროში „მატაკარიანდ“  
იწოდება<sup>381</sup>. ამ ტერმინის სემანტიკაც ეზოსმოძღვარ-განმგეოთუხუ-  
ცესთან, ჩუხჩარებთან მივყავართ.

ეზოსმოძღვარ-ეზოთუხუცეს-განმგეოთუხუცესის ფუნქციები ერ-  
თიანობის ხანის შემდეგ, ჩანს დაიყო. ამიტომაცაა, რომ ეზოსმო-  
ძღვრის კელიდან ქარხნის ნაშირის სახელო წარმოიშვა, ხოლო სუფ-  
რის მოშანურება ჩუხჩარება-სუფრაჩის შერჩა. მიუხედავად ამისა,  
მათი ფუნქციები შემდევგაც ახლო იდგა ერთმანეთთან. ამგვარი ორ-  
განიშაციული მეტაფორმოზები, როგორც აღნიშნული გვქონდა,  
ხშირი იყო.

<sup>376</sup> სულხან-ხაბა ორბელიანი, თხ. I, 17, გვ. 79.

<sup>377</sup> ა. ა. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ა-  
ტორისათვების, I, გვ. 197—198.

<sup>378</sup> ბაზი განკარგილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II,  
გვ. 394; შეტ. ა. სურგულაძე, დასხ. ნაშრომი, გვ. 198.

<sup>379</sup> ა. ა. სურგულაძე, დასხ. ნაშრომი, გვ. 195—197.

<sup>380</sup> ლანც ბატონიშვილი, კალმარბა, ქ. ტევდიძის და ა. ბარაშიძის ჩედექციით,  
თხ., 1936, გვ. 35.

<sup>381</sup> ა. ა ნ დ რ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები, გვ. 256.

<sup>381</sup> ა. ქრონიკი, ტ. III, თხ., 1967, გვ. 315.

წევნთვის საინტერესო ხანისათვის კი ეს სხელო (ეზოუბუკ-სი-ჩუხჩარები) ერთიანი ჩანს. ეს თანამდებობის პირი გაიავებდა მეფის „სავანშევოს“ (სავანგიოს) და ამავე დროს სარულებრი პირთვების შეძლებულების მოვალეობასაც. საფიქტურელია, რომ ეს უკანასკნელი საპატიო პრივილეგია ეზოსმოძღვარ-ჩუხჩარებს შემორჩა იმ დროიდან, როდესაც მეფის ეზოსმოძღვარი გაიავებდა დომენის სამხედრო ძალებსაც და მეფის პირად დაცვისაც (ამასე ის. ზემოთ).

კანტერის ცნობიდან ვიგებთ მავევე ჩუქმიარების უაღრესად საპატიო და მნიშვნელოვანი პრივილეგიის და ფუნქციის შესხვებს: ის ყოფილა „ბუკტაბლაკთა და სხუათა მცემელთა“ ხელმძღვანელიც.

ტაბლავი იგივე ნაღორაბა, ანუ ნობა, ნობათი<sup>382</sup>. ნობათით მსვლელობა მეცის პრივილეგიის წარმოადგენდა. სამეფო კორტექს წინ მოუძღვდა „ზარი მეცეთა“<sup>383</sup>. „ხელმწიფის ქარის გარიგების“ ცნობით: „დიდი ღრუშა ააბან და მენობათ ენი წინათ... მივა მეცე და მენობათ ენი აღარა სცემენ ნობათს ათავს 384. ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის ხელმძღვანელობა ხაშს უსვამს ეზოთურცეს-ჩუხჩარე-ხის როლს.

თვით ტერმინ „ჩუქჩიარების“ ეტიმოლოგია ჯერჯერობით არ შეიძლება დადგენილი ჩაითვალოს. შ. ბაღრიძის ვარაუდი ირანული „ჩუხხის“ შესახებ საგულისხმოა, მაგრამ ამ საკითხს ჯერ კიდევ სჭირდება კვლევა. ჩუქჩიარებში შეიძლება ეტი მთლოვიური და „მცველი“ იყვალისხმებოდეს. ერთ-ერთი მნიშვნელობა ეზოსმოძღვრისა ხომ ჯობიერულად ასე — მესაწოლე იყო, მაგრამ ეზოსმოძღვრი ჩუხჩერაბი ჩევნთვის საინტერესო პერიოდისათვის ჩამოცილებული იყო ამ ფუნქციას. ის ხელმძღვანელობდა „ეზოს“, კარის საგანმდევოს, განმგებს და სამეფო კუთნომოსისა და მეფის პირადი მემკვრეთუხუცესის ფუნქციებს აღმართულებდა<sup>55</sup>.

სამართლებრივი

„ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით სასახლის დაწესებულებად ჩანს ე. წ. „სააჯო კარი“. ძეგლში აღნიშნულია: „ჰყონდიდელი ორმანისათვის დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობილთა და

၃၇၂ ပြ ၆၅-၁၁၈၁၊ ၁၄၄၅၈၆။ အနံ၊ ၁၁၁၄။ ၁၉၁၄၊ ၂၃၁၅၉၈။ ၁၉၁၅၊ ၂၃၁၀၃၀။

<sup>253</sup> ජ්‍යෙෂ්ඨ සංඝාතලාභ මේමලාපිටිය, 11, 23, 50.

294 *ed30*, 23-80.

ქვრივთა და მიშმლავრებულთა მონიკითხავს. და კოველი [...] სიწოლის მწიგნობარი გვერდს უზის; და ზარდახანის შეღწევისას გაგზინის და მისი პირით მოაქსენებს (ი. სურგულაძე: შეკრულების რაც ვის რა ჭირს“<sup>386</sup>.

ამ ცნობიდან უკველად დგინდება, რომ „სააჯო კარის“ აღვილ-მდებარეობა სისისლეში იყო, სადაც ცალკე უწყებად იყო გამოყოფილი სსენიბული „სააჯო“, რომლის „შიგან“ კუნძილელი იჯდა ორშაბათობით.

„სააჯო კარის“ სავითხს თავის დროზე გრულად შეეხო ი. ჯავახიშვილი<sup>387</sup> და ი. სურგულაძის მართებული შენიშვნისა არ იყოს, მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას შემდეგ ბევრი არაფერი შემატებია<sup>388</sup>.

ი. ჯავახიშვილმა საგანგებო დაწესებულების, „სააჯო კარის“ ჩამოყალიბება დავით IV აღმაშენებლის სახელს დაუკავშირა<sup>389</sup>. სა-ამისოდ მან დამოწმა დავითის ისტორიკოსის შემდეგი აღვილი: „სლვათა შინა თვესთა სამეფოსათა სიმრავლითა სპათათი და სიმაღლითა სლვისათა ვერ აღვილად მიემთხუელიან მონიკითნი და დაჭირებული და მიშმლავრებული, განაღა ვიეთლამე რომელთა საჭიროდ უკმდის განკითხვა და შეწევნა მეფობრივი, ნუ უკუ და ვინმე აღვიდის ბორცუსა ზედა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ წესა, ვითარეცა ზაქე ... ამისთვის დავდგინნეს კაცნი მართლად მცნობელი და განმქითხვარი მონიკითანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა“<sup>390</sup>.

ამ ცნობიდან შეუძლებელია დაღვინდეს „სააჯო კარის“ დაარსება. „კაცი მართლად მცნობელინი“, რომლებიც დაუდგენია დავითს, არ შეიძლება მიერჩინოთ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად და მის თანამემწევებად. ციტირებული ცნობიდან გამომდინარეობს, რომ და-ვით IV აღმაშენებელს აღვილობრივ დაუდგენია „კაცნი მართლად მცნობელინი“, რომ „შეკირევებულებს“ მიეღოთ „კურნება“. ე. ი. მას აღვილობრივი სისამართლო სისტემის გარკვეული რეორგანიზაცია მოუხდენია. ამ ცნობაში აღვილობრივი „საშველო სამრებლოები“ უნდა იგულისხმებოდეს. ჩვენ არ მიგვაჩინია შესაძლებლად, რომ და-ვითის ისტორიკოსს ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა და მისი

<sup>386</sup> ქართული სამართლის ძევლები, II, გვ. 81—82; ი. სურგულაძე, ქართული სამართლის ძევლები, გვ. 34.

<sup>387</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძევლები, წ. II, ნაკვ. II, 223—224; გილოვანი, ქართული ერთს ისტორია, ტ. II, თბ., 1965, გვ. 217.

<sup>388</sup> ი. სურგულაძე, ქართული სამართლის ძევლები, გვ. 88.

<sup>389</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძევლები, წ. II, ნაკვ. II, 223—224.

<sup>390</sup> ცხოვრება მეცენ-მეცნია დავითისი, გვ. 354.

უახლოესი თანაშემწებისათვის, უბრალოდ „კაცნი მართლაც ბეჭნა ბეღნი“ ეწოდებინა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აღნიშნული ყრწმიანულობა თავიდ უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანია ადგილი ბრივი სასამართლო სისტემის რეორგანიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ ეს ცნობა არაუერს გვეუბნება „სააჯო კარის“ შესახებ.

მიუხედავიდ იმისა, რომ დავითის ისტორიკოსის აღნიშნული ცნობა აღვილობრივ სასამართლო სისტემას უნდა შეეხებოდეს და იგი არ გამოღვება „სააჯო კარის“ შესასწავლიდ, ამ უკანასკნელის ორგანიზაციაში დავით აღმაშენებელს თავისი წელილი ქქება მეტანილი მის შემთხვევაში შეტანილი სიახლე უნდა იყოს იქ ჰყონდიდებლ-მწიგნობართუხუცესის დასმა<sup>291</sup> და არა საერთოდ ამ უწყების ჩამოყალიბება<sup>292</sup>.

„სააჯო კარი“, როგორც სასახლის უწყება, უკმცელია არსებობდა და დავით IV აღმაშენებლის მეფობამდე გაცილებით დორე. სისახლე, როგორც სახელმწიფო ბრივი დაწესებულება, მართლმსახულების უმაღლესი ორგანო იყო და სწორედ აქვდან ახორციელებდა მეცე ამ თავის უმნიშვნელოვანებს პრეტორგატივის. მკვლევართა აზრით, „სააჯო კარში“ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის დასმიდე, მეცე თვითონ არსებდა სისახლის სასამართლოში შემოსულ ყველა საქმეს<sup>293</sup>. ეს შეუძლებელია ასე ყოფილიყო. უკშეველია, მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის „სააჯო კარში“ დასმიდეც მეცე თვითონ მხოლოდ უმნიშვნელოვანებს საქმეებს არსებდა შეუძლებელია, თუნდაც დავით აღმაშენებლამდე სამეფო კარი ისე პრიმიტიულად ყოფილიყო თრგანიშებული, რომ ყველა საქმეები მეცეს ერჩია. საამისო მაგალითად არ გამოღვება ბაგრატ IV-ის ცნობილი სიცელი თბილისათა და მიუნაძორელთა დავით შესახებ<sup>294</sup>, რადგან ეს სადაც საქმე ორ სახელგანოქმულ მონასტერს შეეხებოდა და ამიტომაც მოიწვია მის გასარჩევად მეცემ საგანგებო სასამართლო.

დავით IV აღმაშენებელმა, ჩეკენი აზრით, ჩატარა ორი ღონისძიება. ერთი იყო აღვილობრივი სასამართლოს რეორგანიზაცია, რა-

<sup>291</sup> 6. ბ ე ჩ ა ე ნ ი შ ე ი ლ ი, საეპიკო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს იტორის საკოთხები, ტ. III, თბ., 1966, გვ. 40. „კაცნი მართლაც მცნობელნი“ 6. ბერძენიშვილის კერძოდებულ მიაჩინა.

<sup>292</sup> ვლრ. ივ. ჭავახიშვილი, კართული სამართლას ძრუნვა, წ. II, ნაკვ. II, გვ. 224.

<sup>293</sup> ი. ჭავახიშვილი, კართული სამართლას ძრუნვა, წ. II, ნაკვ. II, გვ. 224; საქართველოს იტორის ნიტევები, III, გვ. 222.

<sup>294</sup> კართული სამართლას ძეგლები, II, გვ. 8—9.

ჭეც საუბრობს დავითის ისტორიელის „მართლად მცნობელნი ჰაცნი“<sup>224</sup> სთან დაგავშეიტყოთ, და მეორე — სამეფო სასახლის „სააჯო კარზე“<sup>225</sup> მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლისა და მისი ხელქვეითების გვადამისათვეს რომლებიც მეფისაგან დელეგირებული უფლებით კვირაში ერთ დღეს (ორშაბათს) განიკითავდნენ „შეჭირვებულებს“.

ი. ჯავახიშვილმა და მის კვალდაკვალ სხვა შევლევარებმა<sup>226</sup> „სააჯო კარი“ მიიჩნიეს უმაღლეს სასახლაციო სასამართლო, სახელმწიფოს უზნენაეს სასამართლო ორგანოდ. უკვევლია, რომ ეს ასეც იყო, მაგრამ, ჩენი აზრით, ამგვარ დასკვნაში „სააჯო კარის“ მნიშვნელობა და ფუნქციები დავიწროებული უნდა იყოს.

ტერმინი „აჯა“, როგორც თვით ი. ჯავახიშვილმა გაარკვია, უფროსისადმი წარდგენილ კედლებასა და თხოვნას ნიშნავდა და წულულებრივ იგი ეწოდებოდა მეფის სახელზე დაწერილ ვედრებას, სანიკრისა და მოსხენების წიგნებს<sup>227</sup>. ზემოთ, სათანადო აღვილას აღნიშნული ვექონდა, რომ „აჯა“ მეფისადმი მიმართების ფორმაც იყო. ტერმინ „აჯას“ ი. ჯავახიშვილისაუე მიერ დადგენილი მნიშვნელობები (კედლება, საჩივარი, მოსხენება), ნათელს ხდიან, რომ არ შეიძლება „სააჯო კარი“, მნილოდ აჯა-საჩივრის გასარჩევ უწყებად მიეპინით, როგორც ი. ჯავახიშვილი ასკვნის<sup>228</sup>.

ჩვენი აზრით, „სააჯო კარის“ ანუ „საცელის“ კარის<sup>229</sup> შეშვეობით შეღიოდა სასახლის აღმინისტრიციაში ყველა სახის აჯა-იქნებოდა ეს „შეჭირვებულთა“ საჩივარი თუ რამე სხვა სახის აჯა-მოხსენება.

„სააჯო კარი“, როგორც უმაღლესი სასამართლო და „შეჭირვებულთა“ აჯა-საჩივრების განსაკითხავი ორგანო, ჩანს მოქმედება თრშეაბათობით. ეს დღე იყო გამოყოფილი საჩივარი-აჯების განსაზიდველად. დანარჩენ დღეებში კი საფიქრებელია, რომ „სააჯო“ უწყებაში სხვაგვარი „აჯების“ განსილვა ხდებოდა.

ასეთი უნდა ყოფილიყო „აჯა-მოსხენებები“ მამულისა თუ თანამდებობის ბოძების შესახებ.

გვიანდელი მასალიდან კარგად ჩანს „სააჯო კარის“ ამგვარი მნიშვნელობა. „მოგვიდეგით კარისა და მამულის თხოვნასა გვიანდება“<sup>230</sup>.

<sup>224</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძრობა, წ. II, ნაკვ. II, გვ. 224; საქართველოს ძრობის ნაჩენებები, III, გ. 222.

<sup>225</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძრობა, წ. II, ნაკვ. II, გვ. 479; მას კვეთ, ქართული სისხლა-მოლიქობა, ანუ ღიპლომატია, ტუ., 1926, გვ. 95—96.

<sup>226</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძრობა, წ. II, ნაკვ. II, გვ. 479.

ნით და ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქუები<sup>398</sup>. ასეთ  
მოგუილეგით კარსა და სათარხნოსა წყალობისა წიგნიაშურავი  
აჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუებისა თაობაზე  
აჯა-მოხსენებები მიმულის თუ სხვა სახის ბორების თაობაზე  
წერილობითი უნდა ყოფილიყო, რაღვან მისი მირთმევის შემდეგ  
მეცე მოიკითხებდა ხიშის ვითარების და ისე ვისცემდა სიკელს:  
ამიტომაცაა ჩვეულებრივი ფორმულა „მოკითხული ვქენით“<sup>400</sup>.

გვიანდებისაუკუნების მისალებიდან ჩანს, რომ „აჯა-მოხსენების“  
მისართმევად „კარს მიდგომა“ იყო საჭირო. საამისოდ კი არსებობდა  
სასახლის სპეციალური უწყება „სააჯო კარი“. სავსებით დოგიურია  
დავასკვნათ, რომ „აჯა“ ანუ „ვედრება“, თხოვნა, „სააჯო“ უწყებიდან  
მიერთმეოდა მეცეს და მის უმაღლეს მოხელეებს.

აჯა-მოხსენება დადასტურებულია ჩვენთვის საინტერესო ხინა-  
შიც. შიომღვიმისაღმი სასეფო გლეხის ბორების საკითხი ანტონ  
ჭყონლიდელმა თამარს „ეაჯა“ და „მოაქსენა“<sup>401</sup>. მანაც ისმინა „პაჯაი  
და მოქსენებ [იი]“. ასევე „პადრია და მოაქსენა“ თამარს ჭიაბერმა  
შიომღვიმისაღმი ვაჭრების ბორების საკითხი<sup>402</sup>. როგორც „აჯა“,  
ისე „პადრება“ მეცისაღმი მიმართვის ფორმები იყო, ხოლო „მოქსე-  
ნება“ „აჯის“ დასაბუთებას წარმოადგენდა. ღაშა ვითრებიმაც ისმინა  
„პაჯაი და მოქსენებაი ... სულა ქართლის ერთითავისაი“<sup>403</sup>.

სამწერაოდ, ჩვენთვის საინტერესო პერიოდიდან დაცული  
ვააქვს ცნობები მხოლოდ ისეთი პირების „აჯა-მოქსენებებზე“ (ან-  
ტონ ჭყონლიდელი, ჭიაბერი და სხვ.), რომელთაც უმუალოდ მეცის-  
თვის შეეძლოთ „აჯა“ მიერთმიათ. ცხადია, ასეთი პრივილეგია ძალ-  
ძე ვიწრო წრეს პერნდა. სხვადასხვა სახის „აჯა-მოხსენებები“ კი  
უამიერელია ძალზე ბევრი იყო და მისითან სულ სხვადასხვა რანგის  
„მოაჯევებისაგან“. ამგვარი „აჯები“ საფიქრებელია, იხილებოდა  
კარის სხვადასხვა რანგის მოხელეების მიერ და მათი უმეტესი ნიჩი-  
ლი აღიათ, ვერ იღწევდა მეცემდე და კარის უმაღლეს მოხელეებამდე.  
„აჯა“, რომელიც საჩივარის, თხოვნის თუ მოქსენებას აღნიშნავ-  
და, ამისთან მეცისაღმი მიმართვის ფორმიც იყო. ამიტომ საფიქრებე-  
ლია, რომ სამეცე ხელისუფლების აღვილობრივი ადარიატის შეტყო-

<sup>398</sup> ოკუმენტები საქართველოს სოციალური სტრუქტურის, ტ. I, 6. ბენდენ-  
შეილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 5.

<sup>399</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>400</sup> ოკუმენტები საქართველოს სოციალური სტრუქტურის, ტ. I, გვ. 26, 27 და  
სხვ.

<sup>401</sup> ქართული სამართლის ტეგები, II, გვ. 30.

<sup>402</sup> იქვე, გვ. 29.

<sup>403</sup> იქვე, გვ. 35.

გინებები და მოხსენებები ასევე „აჯა-მოქსენების“ სახით შემოღობდა კარჩე. ადგილობრივი ხელისუფლება, ბუნებრივია, შუდმიც კაეშირიშინ უნდა ყოფილიყო ცენტრთან, სახალესთან. მას ცენტრალური შემოქმედი თვის ორგანოსათვის პერიოდულად უნდა „მოექსენებინა“ ბრიტანიის განსაგებლის მღვმომარეობა და „სასაურუო“, ეს კარგად ჩანს „კეცხის-ტყაოსნიდანაც“:

ლაშეართა და ღიღებულთა ალაშერები, მატრონობი;  
დაბაზე კაცა გაგრძენიდა და ამბევს მასა სერიძი,  
წევისა სეურდა ჩემ მავირ, უკასოსა ძღვენსა სძლენობდი. (154).

ავთანდილის ამ დარიგებიდან შერმადინისაღმი კარგად ჩანს, რომ აკანდილის, როგორც ადგილობრივი ხელისუფლის (ის ამავე დროს ცენტრალური მმართველობის მოხელეც იყო) მოვალეობას ცენტრში „წიგნის“ გავზავნა, თავისი განსაგებლის მდგომარეობის პერიოდული შეტყობინება შეაღვენდა. სპეციალურ ღირებიატურაში დაღვენილია, რომ თვით მეფესთან პირად აუდიენციაზე მყოფ პირს შეუე უშეალოდ არ მიმართავდა, არამედ ამირეჯიბის, საწოლის შეიგნობრის ან ეჯიბის მეშვეობით<sup>104</sup>. ცხადია, ასეთი ეტიკეტის დროს ადგილობრივი მმართველობიდან გამოგზავნილ „წიგნებს“ „აჯა-მოხსენების“, „კადრების“ ფორმა უნდა ჰქონოდათ. მის შინაარსს ჯერ შედარებით დაბალი რანგის მოხელეები გაეცნობოდნენ, შემდეგ ისინი თავიანთ უფროსებს მოახსენებდნენ და ამგვარი გზით აღწევდა ის მეუღლე. ეს რომ ასე უნდა ყოფილიყო, კარგად ჩანს „ხელმწიფის კარის გარიგების“ ჩევნოვის საინტერესო აღგილიდან. „სააჯო კარში“ მჯდომი ჭყონდიდელი პირადად როდი ნახულობდა „შეჭირვებულ“ მოხელეებს. იგი საწოლის შეიგნობართან ერთად იჯდა და ზარიად-ხანის შწიგნობარს აგზავნიდა „აჯის“ მოსამენად. „მოაჯეები“ ზარიადხანის შწიგნობარს მოახსენებდნენ თავიანთ სათხოვარს, ის კი თავის მხრივ ჭყონდიდელს მოახსენებდნა. ცხადია, რომ „სააჯო კარში“ მჯდომი ჭყონდიდელი უშეალოდ მისაწედომი არ ყოფილი და „მოაჯეები“ პირადად მას ვერ ახსენებდნენ თავიანთ აჯას, არამედ ზარიადხანის შწიგნობრის მეშვეობით. ბუნებრივია, თვით მეფე უფრო ძნელი მისაწევლომი იყო „მოაჯეებისათვის“.

სრული საცუმველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ყოველგვარი სახის აჯა-მოხსენებები ამგვარი სუბორდინციით აღწევდა მეფემდე. სხვაგვარად ძნელი უნდა ყოფილიყო „ღვთისსწორ“ მეფემდე მიღწევა, მითუ-

\* მის საუცხოო მავალითა არისანის „აჯა-მოქსენება“ შეუძლებელი ნიანი გრიფილ მოხატებლის ძალ საქმეზე. ის. ი. ცინცა ძ. ღ. დავით მეფის სდელი, საქართველოს არქივი, წიგნი II, თბ., 1927, გვ. 16.

<sup>104</sup> ა. კიკიძე, კართული სახელმწიფო დარბაზი, გვ. 223.

მეტეს რომ მხოლოდ „კრისტესსწორი“ შეუნდიდელიც უშავებდა როდი მოიხსენებდა „აჯაბს“.

ამდენად, სააჯო კარი ჩვენ გვესახება არა მხოლოდ „კრისტესსწორი“ საძელაციო სისამართლოდ, არამედ სისახლის ისეთ უწყებადაც, სიღდანაც ცენტრალურ აღმინისტრაციაში შედიოდა ყოველგვარი „აჯაბ“, საჩივარი იქნებოდა ეს, თხოვნა თუ „წიგნი“-მოხსენება.

ორშაბათობით „სააჯო კარი“ შეუნდიდელ-მწიგნობართუქუცე-სის განკარგულებაში იყო, მაგრამ ვინ განაგებდა საერთოდ ამ უწყებას, ვინ ემსახურებოდა მას?!?

ჩვენი აზრით, ასეთს ამირეჯიბი და ეჯიბები შეადგენდნენ.

ი. ვაკებისიშვილს დადგენილი აქვს, რომ ამირეჯიბი მეფის მომსხვენებელი იყო, „მის დიდმნიშვნელოვანი საქმეები უნდა ბარებოდა“ და ასეთივე ფუნქციებს ასრულებდნენ ეჯიბებიც<sup>405</sup>. ვარდა იმისა, რომ ამირეჯიბი და ეჯიბები აუდინციებზე ცერემონიებისტერის ფუნქციებს ასრულებდნენ<sup>406</sup>, ამ სახელოსადმი კუთვნილი პირები მეფესთან „ურვის“ უპირატესი უფლებით საჩვებლობდნენ. „ამირეჯიბს ყოველგან გზას აქვს საურავისა, სადა გინდ იყოს მეფე ... ყოველგან მივა და იურვის“<sup>407</sup>.

ნიშანდობლივია, რომ მწიგნობართუქუცე-შეუნდიდელსაც „მართებდა“ ზედამდგომელი ეჯიბი<sup>408</sup>.

ვფიქრობთ, ამირეჯიბი და ეჯიბები, რომლებიც მეფის „მომსხვენებლები“ იყვნენ, სხვა საქმეთა შორის, სწორედ „აჯა-მოხსენებებს“, სხვადასხვა სახის „სააჯოს“ მოხსენებლენენ სახელმწიფოს მეთაურს. ასეთი „სააჯო“ კი „სააჯო კარში“ იყრიდა თავს. ამირეჯიბის სახელოს, ეჯიბების ფუნქცია, როგორც მეფის მომსხვენებლებისა, „ყველებისტყაოსნითაც“ დადასტურებულია<sup>409</sup>. „სააჯო კარში“ შემომავალი ინფორმაცია შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობისაც ყოფილია და ვფიქრობთ, ამიტომაც პქონდა ამირეჯიბს განსაკუთრებული უფლება „ყველგან ... საურავისა“ მეფესთან.

ჩვენს მოხაზულებას უნდა ამაგრებდეს ისიც, რომ არც ერთი უწყება, დამორჩილებული ამირეჯიბისადმი, თითქოს არ ჩანდა. შეუძლებელია ისეთ დიდ მოხელეს, როგორც ჩვენს ხელთ არსებული შახალე-

<sup>405</sup> ი. ჭ. ა. ხ. ი. ვ. ვ. ი. ი. ქართული სამართლის მტრის, წ. II, ნავ. I, გვ. 162—163.

<sup>406</sup> იქვე.

<sup>407</sup> ქართული სამართლის მეგლები, III, გვ. 83.

<sup>408</sup> იქვ. გვ. 82.

<sup>409</sup> ი. ჭ. ა. ხ. ი. ვ. ვ. ი. ი. ქართული საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, ტ. II, 1965, გვ. 34—36; მისამართ, სახელმწიფოსა და სამართლის საკონსაკი ვიცხისტურისის მისელვით, გვ. 158.

შის მიხედვით ამირეჯიბი იყო, არც ერთი უწყება უმუალო განხვა  
ღორბაში არა ქვონოდა. მეფის მთავარი მომხსენებლობა საკარისათვა  
„მოსახსენებლის“, ინფორმაციის მიღებისაც გულისხმობს. ჩაწერილი იყო  
ეჯიბი „სააჯო კარიღან“ იღებდა ამ „მოსახსენებელს“ და სწორედ  
ეს იყო მისთვის ჩაბარებული „დიდმნიშვნელოვანი საქმე“.

საფიქრებელია, რომ სააჯო კარიში შემოსული „აჯა-მოხსენებე-  
ბი“, უწყებების მიხედვით კლასიფიცირდებოდა. ის რაც მეფისათვის  
იყო წარსადგენი, მეფეს მოახსენებდნენ, ხოლო სხვა სახის „სააჯოებს“  
უმიღლეს მოხელეებს: ჰყონლიდელს (მას თავისი ეჯიბი ჰყავდა),  
მანდატურთუხუცესს, ამირსპასალარს და სხვ. როგორც ჩანს, იყო  
ისეთი შინდენელობის აჯა-მოხსენებებიც, რომლებიც სახელმწიფო  
საბჭოს სხდომაზე — „ეეზირობაზე“ განიხილებოდა. ამ საკითხს სათა-  
ნიდო აღვილას შევეხებით.

ამდენად, ჩვენი აზრით, „სააჯო კარი“ წარმოადგენდა სასახლის  
იმ უწყებას, სადაც თავს იყრიდა ყველა სახის აჯა-მოხსენება. ამ  
უწყებას განაცემდა ამირეჯიბი. ორშაბათობით „სააჯო კარი“ დათ-  
მობილი პქონდა ჰყონლიდელ-მწიგნობართუხუცესს, რომელიც „მო-  
აჯეთა“ გატკვეული კატეგორიის, „ობილთა და ქვრივთა და მიმ-  
ძლავრებულთა მონიკართა“ საქმეებს განიხილავდა. „მოაჯეებს“ შო-  
რის დიდი განსხვავება იყო სოციალურადაც და „აჯის“ შინაარსის  
შინედრითაც. თუ „ზოგის „აჯა“ მიმძლავრებისაგან დაცვას ითხოვდა,  
სხვანი, მამულის ბოძებას, პრივილეგიებს „იაჯდნენ“. ცხადია, რომ  
პირადად ჰყონლიდელი განიხილავდა ქვრივ-ობოლთა, მიმძლავრებულ-  
თა „აჯებს“, ე. ი. იმ კატეგორიისას, რომელიც სამირთალს საჭირო-  
ებდნენ და რომელიც ჰყონლიდელის იერაზექიულ პატივსაც შევერე-  
ბოდა. ჰყონლიდელი, ჩვენი აზრით, სააჯო კარში ჯდებოდა იმავე  
უფლებით, რა უფლებითაც მას ხელი მიუწვდებოდა „საჭურჭელეზე“  
და „კევლა საურავზე“.

კოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ  
„სააჯო კარის“, როგორც სასახლის უწყების შინდენელობა ბევრად  
უფრო დიდი იყო, ვიდრე ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია წარმო-  
ლენილი. „სააჯო კარი“ უნდა ყოფილიყო არა მსოლოდ უმიღლესი  
სააპელაციო სასამართლო, არამედ ყოველგვარი „აჯის“, წერილო-  
ბითი იხოვნა-მოხსენებებისა და აღმინისტრაციული მიმოწერის თავ-  
შესაური უწყება. „სააჯო კარის“ ასეთი ფუნქცია კარგად ხსნის  
ამირეჯიბის, როგორც მოხელის მაღალ მდგომარეობასაც, მის მეფის  
„მომხსენებლობასაც“ და იმასაც, თუ რის საფუძველზე იყო სწორედ  
ეს მოხელე და მისი შტატი „აჯა-მოხსენებათა“ მეფისათვის „მეაღრე-  
ბელი“. ეს უწყება, როგორც ამირეჯიბისაღმი დაქვემდებარებული,  
ცხადია მანდატურთუხუცესის სახელოში შედიოდა.

ცალკე „სააჯო“ უწყების არსებობა სამეცო კარზე ჩავნისეს საინტერესო ხინის საქართველოში, ხაზს უსკამს ცენტრალური მშენებობის მაღად ორგანიზაციის. თუ გავითვალისწინები ჩრდილო რომ „სააჯო კარზ“ უმაღლესი სასამართლო იმსტანციის როლშია მარტივი და, ცხადად წარმოგვიდგება „სააჯოს“ აღვილი სახალის უწყებრივ სტრუქტურაში.

### საღვინე

სასახლის ცალკე უწყების წარმოაღენდა „საღვინე“, რომელსაც სათავეში მეღვინეოთუხუცესი ედგა<sup>410</sup>. სასახლეში, რომელიც უწყებათა და როგორც ხანს, სათანადო ნაგებობათა კომპლექსს წარმოაღენდა, საღვინეს თავისი ნაგებობა უნდა პქონოდა. ეს ხანს „ხელმწიფის კარის გარიგების“ იმ აღვილიდან, საღაც ახალწლის დღესასწაულზეა საუბარი: „საღვინეთ წინ ქვე დასმენ [მეფესა] მაღლა სკამითა“<sup>411</sup>.

საღვინის უწყების სტრუქტურა „მოკითხვის წესის“ მიხედვით ასეთი იყო. „პირის მეღვინე, მეღვინეოთუხუცესი (მოსაკითხავია, ი. ა.) — საღვინის მუქიფის [ა.]“<sup>412</sup>. საღვინის სხვა მოხელე-კელოსნები „პარის გარიგების“ „მოკითხვის წესში“ არაა დაღასტურებული. თვით ტექსტში კი ჩანან „მეღვინენი“, „საღვინის მოღარე“<sup>413</sup>.

ინტერესს იწვევს საღვინის მუქიფის „მოსაკითხავი“ „პირის მეღვინე, მეღვინეოთუხუცესი“. ი. ჯავახიშვილის აზრით, მეცის „პირის მწდე“ და „პირის მეღვინე“ სხვადასხვა მოხელე უნდა ყოფილიყო<sup>414</sup>. საღვინებელია, რომ ეს ორი ტერმინი ერთსა და იმავე მოვალეობის ასახიეს. მეცის პირის მწდეებად „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ჩანან საჭურჭლის ნაცვალი და მეღვინეოთუხუცესი. ცხადია, „პირის მეღვინე“, რომელიც მეღვინეოთუხუცესთან ერთად უნდა მოეკითხა საღვინის მუქიფს, იგივე „პირის მწდე“ — საჭურჭლის ნაცვალია.

მეღვინეოთუხუცესის შემდეგ, საღვინის უმთავრეს მოხელედ საღვინის მუქიფი ჩანს, რომელიც უეჭველია, საჭურჭლისა და საგანმგეოს მუქიფის მსგავსად, ღვინის ძლევნასა და საღვინის შემოსავალგაბავალს განავებდა. იგივე მოხელე, მანდატურითუხუცესის სახელო

<sup>410</sup> ი. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის მტრია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 190.

<sup>411</sup> ქართული სამართლის მეცნიერი, II, გვ. 80.

<sup>412</sup> იქვე, გვ. 81.

<sup>413</sup> იქვე, გვ. 82, 88.

<sup>414</sup> ი. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის მტრია, წ. II, ნაკვ., I გვ. 194.

პირველთან ერთად „იურეოდა“ ზერის სამუშაოებს<sup>415</sup>, ე. ი. ჩედი  
შეცველობასა და შეცველობას ახორციელებდა, ანგარიშს აწარმოვა-  
ლა.

„საღვინის მოლარე“, როგორც ი. ჯავახიშვილმა გაარკვაა, „მი-  
ლვინის“ ქონების მცველი იყო<sup>416</sup>. საღვინის მოლარეს და შეღვინებს-  
უვალებოდათ მეფის მომსახურება საწოლში და საღვინის მოლარისა-  
ვე „კუდრი“ იყო სათანადო ჭურჭელიც<sup>417</sup>.

საჭურჭლის უწყებაზე საუბრისას აღნიშნული გვეთნდა, რომ  
საღვინები ინახებოდა მეჭურჭლეთუხუცესის უწყებისაღმი კუთვნი-  
ლი ძირითადი საღვინე ჭურჭელი, რომელიც მეჭურჭლეთუხუცესის  
ბეჭდით იყო დაბეჭდილი.

გვინდა შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც, ჩვენი აზრით, არა-  
სწორადა გავეძლო. ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ შეღვინები ის  
მოხელეები იყვნენ, რომლებიც ღვინის ულუფის სწერდნენ<sup>418</sup>. ეს  
თეზისი განვითარა მ. ბერძნიშვილმა და აღნიშნა, რომ „შეღვინენი  
აქ კრებენ ღვინის ულუფის, „საღაც მეფე ღვინ“<sup>419</sup>. მეღვინე აქ წარმო-  
ჩენილია ფისკალურ მოხელედ — მეულუფედ, რომელსაც კონკრეტუ-  
ლად ღვინის ულუფის აერება ევალუება. ეს აზრი დამყარებულია „ხელ-  
შეწიფის კარის გარიგების“ სათანადო აღვილის არასწორ ინტერპრე-  
ტაციის: „თვით ჭური ღვინო ზვართაგან — შეღვინეთუხუცესისა  
და თვთო — უმცროსი შუქიფისა; და საღვინის მოლარე შეზრეთა-  
გან აიღებენ ღვინოს, ვითარი ზვარი იყოს, ანუ მეზერე; შეღვინენი  
საკრეფელისა და სოფლისაგან იშოებენ, და საღაც მეფე ღვინს და ღვი-  
ნის ულუფა დაწერონ“<sup>420</sup>. ციტირებული აღვილიდან სრულებით არ  
ნაის, რომ ღვინის ულუფის შეღვინები წერდნენ, ან ისინი კრებდნენ  
შეს. აქ საუბრით იმაზე, თუ სად „იშოებენ“ შეღვინენი ღვინოს თ ა-  
ვი ა ნ თ თ ვ ი ს. კარის ყველა დიდსა და პატარი მოხელეს თავისი  
ულუფა ანუ რაც ით ნი ჰქონდა გამოყოფილი. მათ შორის იყო  
ღვინის ულუფაც, ე. ი. ღვინის ის რაციონი, რაც ეკუთვნოდა ამა თუ  
იმ მოხელეს მისი რანგის შესაბამისად. ციტირებულ აღვილის მითი-  
თებულია, რომ მეღვინეთუხუცესის ულუფა იყო თითო ჭური „ზვარ-  
თაგან“; თითო უმცროსი (ჭური, ი. ა.) საღვინის მუქიფის ყოფილა;  
საღვინის მოლარის ულუფა იმით განისაზღვრებოდა, „ვითარი ზვარი

415 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 88.

416 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 192.

417 ი ქ ვ ვ.

418 ი ქ ვ ვ, გვ. 193.

419 მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში გვ. 137.

420 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 88.

იყო". მცირე ხელოსნებს, მეღვინეებს დადგენილი ულუფა „წევითაგენ“ არ პქონიათ. ისინი ღვინის ჩაციონს იღებდნენ იმ ულუფაზენ, რომელ საც „წერდნენ“ მეფის დგომის დროს იმა თუ იმ სოფელში მეტად მეტად კი ამ ჩაციონს არა მეღვინენი, არამედ უკეთესობის ის ხელისუფალი, ვისაც მეფის კორტეჯის სურსათ-სანოვაგით მომარიაგება ევალებოლათ. იმდენად, მოტანილ ცნობაში არაფერია ნათევამი არც მეღვინეების და არც საერთოდ საღვინის უწყების ფისკალურ ფუნქციებზე. საუბარია მხოლოდ იმაზე, თუ სად „იშოებენ“ მეღვინენი თავიანთთვის ღვინის რაციონს. აქედან ცხადია, რომ მეღვინენი არ აღვენდნენ ღვინის ულუფის შემოსავლის აღწერასა და დავთარს<sup>421</sup>. საერთოდ საეჭვოა, რომ „ულუფის შემოსავლის“ აღწერა და დავთარი არსებულიყო. ულუფი ანუ რაციონი წარმოადგენდა ერთდროულ გამოსალებს მეფის კორტეჯის გამოსაკეთებად და ივი, ბუნებრივია, საამისოდ იხარჯებოდა. მის კრებდნენ იქ „სადა მეტე დგის“. მიტომაც მ. ბერძნიშვილის დასკვნა, რომ ულუფა შედმივი გამოსალები იყო, არაა სწორი. ის თვითონაც შიუთითებს, რომ მისი დასკვნის შესახებ „წყაროები ... დუმან“<sup>422</sup>.

მეღვინეების ფუნქციები კარგად ჩანს „კარის გარიგებიდან“: „მანდილი ... რა დამტკერიანდეს, გარეცხვა უნდა. საფარებოს მიიღებს მეღვინე და ერთი მაშრაპას ღვინოს მიართომს, გარეცხენ და [სა] ღვინესვე მიიღებენ“<sup>423</sup>. მეღვინენი წვრილი პელოსნები იყვნენ, საღვინის იარაღსა და მანდილებს აღვენებდნენ თვალყურს, მათ სისუფავეს, ღვინო შიქონდათ საწოლში და სხვ. მათი ფისკალური ფუნქციების შესახებ არაფერია ცნობილი.

საღვინის უწყების შეთაური მეღვინეთუხუცესი, მართალია არ ეკუთვნოდა სასახლის მოხელეთა უმაღლეს ფერის, მაგრამ საეჭვოდ საბატიო კელის მფლობელი იყო. როგორც კარის მოხელე და წარნინებული, ივი ზოგჯერ ასრულებდა სამხედრო ფუნქციებს და დავალებებსაც. ეს ჩანს „ისტორიათა და აზმათა“ ერთი ცნობილან, რომელიც დამანჯებულია მოღწეული. „ისტორიათა და აზმათა“ აღდგენილ ტექსტში აღნიშნულია: „ვინაცა გუწან პირეველითგანეე წარმწყმედელი თავისა, აწცა გამტანელი ტაოსეკარისა, ვაშლოვანისა და სხუათა ციხეთა მრავალთა, წარვიდა ქუეყანისა შეპარმენისასა, და

<sup>421</sup> ი. გავახიშვილი, ქართული სამართლის ძროჩია, წ. II, ნოვ. I, გვ. 193.

<sup>422</sup> გ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, გვ. 137.

<sup>423</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 88; ი. გავახიშვილი, დასტანიშვილი, გვ. 192.

სხმივარი სხეთა აზნაურის შვილებითა, რომელთა თანა იყო მეღვნეობა უხუცესიცა, სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა<sup>424</sup>. ეს ტაქტი საერთოდ დამიხინვებულიადა მოღწეული. აღდგენილი ტეპერიტურული ხელვით, აჯანყებულ გუშან ტაოელთან ერთად და მის მხარეზე აზოვის ლან სამძივარი, სხვა აზნაურის შვილები და სეფე „მეღვნეოთუხუცესიცა, სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა“. გაუგებარია ეინ მეღვინეოთუხუცესიზე საუბარი, ან რას ნიშნავს კლარჯეთისა და შავშეთის სეფე-შვილობა.

ციტირებული მონაკვეთის აღდგენისა და დაზუსტებას ხელი მოკერდა რ. კიკნაძემ, რომელმაც ფარსალინ გორგოვანიძის თხზულების საფუძველზე ნათელი გახადა, რომ ტექქსტში მოხსენიებული სამძივარი გუშანის მომხრე კი ორ იყო, არამედ იგი სამეფო სელისუფლებაში გააგზავნა გუშანის წინააღმდეგ სარგის თმოვალთან ერთად<sup>425</sup>. რ. კიკნაძის აზრით, მათვე გაატანეს „მეღვინეოთუხუცესიცა სეფე-შვილად კლარჯეთისა და შავშეთისა“<sup>426</sup>. მკელევარი ფიქრობს, რომ მეღვინეოთუხუცესი გაუგზავნიათ გუშანის აღვილშე „სეფე-შვილად“<sup>427</sup>.

რ. კიკნაძის მიერ ფარსალინ გორგოვანიძის თხზულების საფუძველზე ტექქსტის ჩატარებას საფსხვით მხარს უჭერს ვახუშტი, რომელიც აღნიშნავს: „ამ ფასს განდგა გუშან, წარიტაცია ტაო, კარი, ვაშლოვანი და ციხენი შრავალი... ამისა მცნობმან თამარ წარგზავნა სარგის თაოგველი, კახ სამძივარი და აზნაური“<sup>428</sup>.

ნათელია, რომ სარგის თმოვალი, კახ სამძივარი და მეღვინეოთუხუცესი თამარს გაუგზავნია გუშანის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ტექქსტში მაინც რჩება ბუნდოვანი აღვილი: „სეფე-შვილად შავშეთისა და კლარჯეთისა“. რ. კიკნაძის აზრი, რომ მეღვინეოთუხუცესი გუშანის აღვილშე გაუგზავნიათ, ლოგიკურია კონტექსტის მიხედვით, მაგრამ „სეფე-შვილის“ თანამდებობა დამოწმებული არაა და გაუგებარია რას უნდა ნიშნავდეს იგი ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის. ჩვენი აზრით, ტექქსტში საუბარია არა „სეფე-შვილშე“, არამედ „სეფე მეღვინეოთუხუცესშე“, ე. ი. შეფის მეღვინეოთუხუცესზე. ჩაც შეეხება სიტყვას „შველი“, აյ უნდა გვქონდეს „შველა“, „შუელა“. მართლაც, Mm ნუსხებში გვაქვს „სეფე-შველად“. „სეფე-შვილი“ გვიანდელი, არასწორი ინტერპრეტაცია უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ტექქსტში უნდა ყოფილიყო საუბარი იმაზე, რომ თამარმა სარგის

<sup>424</sup> ა. ტორიანი და აზმანი შარვანდელთანი, გვ. 55.

<sup>425</sup> რ. კიკნაძე, ფარსალინ გორგოვანიძე და „ა. ტორიანი და აზმანი შარვანდელთანი“, გვ. 86—88. იქვე საფოთის ბიბლიოგრაფია.

<sup>426</sup> იქვე.

<sup>427</sup> იქვე, გვ. 86, სქოლით 30.

<sup>428</sup> ე. ა. ტ. ტ. ი. ალექსანდრე სამეცნისა საქართველოსა, გვ. 179.

თმოგველთან და კახა სამძირართან ერთად, გუშანის წინაიღმდებ  
გავზავნა „მეღვინეოუჩუცესიცა სეფე, შეულად შავშეთისა და კარ-  
ჯეთისა“. ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, რომ სარგის მმარტვული  
კახა სამძირარი და სეფე მეღვინეოუჩუცესი თამირში ჟოგზევით ეცვა  
შეთისა და კლარჯეთის „შუელად“, რაც კონტექსტითაც და მარიამი-  
სეული ნუსხის „სეფე-შეელითაც“ გამართლებული ჩანს. ტერმინი  
„შეელა“ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში სხვა ოდგილისაც და-  
მოწმებული. მირ-შირმინში თამირს სამხედრო დამირება სოხოვა და  
თამირში „უბრძანეს იმედი შუელისა“<sup>429</sup>. თამირშა გაგზავნა კადეც  
დიდი ლაშქარი მირმირმანის „შუელად“<sup>430</sup>.

ვფიქრობთ, სეფე მეღვინეოუჩუცესი სარგის თმოგველთან და  
კახა სამძირართან ერთად შავშეთ-კლარჯეთის „შუელად“ იყო გაგ-  
ზავნილი და არა „სეფე-შეელითაც“.

აღნიშნული ცნობა საინტერესო და საყურადღებო იმ შერივაც,  
რომ ფეოდალური კარის თავისებურებებს წარმოგვიჩნის. თითქოს  
სამხედრო საქმისაგან შორს მყოფი მეღვინეოუჩუცესი მოლაშქრედ  
გვევლინება, მაგრამ სწორედ ეს იყო შესასუეუნოებრივი საზოგადო-  
ების თავისებურება და აქ მოულოდნელი არაფერია.

\* \* \*

სასახლის უწყებრივ სტრუქტურაში შედიოდა, უკველია შეტ-  
ნაკლები მნიშვნელობის სხვა უწყებებიც, ცალკეული სამსახურებიც  
(მაგ., სამკერვალო და სხვ.). მათ შესახებ ცნობები ძალშე მცირე ან  
სულ არა ვაძეს და, ბუნებრივია, რაიმე არსებითის თქშა მათ შესახებ  
დღესდღეობით ძნელია.

სასახლის, როგორც დაწესებულების უწყებრივი სტრუქტურის  
შესწავლამ, ვფიქრობთ თვალნათლივ წარმოგვიჩნია ის როული, დანა-  
წევრებული და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული პატრატი, რომე-  
ლიც მართავდა სახელმწიფოს, დომებსა და თვით სასახლეს. ცხალია,  
უკვე საკითხის კვლევა სრული ვერ იქნება, ზოგი თვალსაზრისი  
კარგახანს კიდევ ვერ ვაცდება პიპოთეზის თუ დასაშვები ვარაუდის  
ფარგლებს, მაგრამ ის დასკვნებიც, რაც დღეისათვის შეგვიძლია  
გამოვიტანოთ, საკმაოდ მრავლისშეტყველია.

<sup>429</sup> ისტორიანი და მიმართ შარავანდელთანი, გვ. 64.

<sup>430</sup> იქვე.

სახახლის უმთავრეს უწყებებად წარმოგვიღება საწოლო-სახლო-რო, საჯიაიძო-ზარალებანა, საგანმცენ, სიჭურულე, სააჯო კატა, საიდანც ხდებოდა როგორც ზოგადსახელმწიფო ეპიდემიული ნისა და სახახლის პოლიტიკური და სამეურნეო მართვა. უკუდაბადებები უწყებები, თავიანთი ხელმძღვანელობითი და შტატით შედიოდნენ სამეცნი კარის უმაღლეს მოხელეთა კომპეტენციაში, რომლებიც მე-თვალყურეობდნენ, განაგებდნენ ცალკაულ დარგებს. ზოგიერთი უწყება (მაგ. საღარო-საწოლი) „კოლექტიური“ მმართველობის ქვეშ იყო.

სახახლის უწყებრივი სტრუქტურის წარმოდგენის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია უკვე ვისაუბროთ მეცნის კარის უმაღლეს მოხელეებშე, სახელმწიფოს მეთაურის უანლოეს თანაშემწებებშე, რომლებიც მისი სახელმწიფო საბჭოს, „ვეზირობის“ მონაწილეობის იყვნენ.

### 3. მინისტრური მასრთალობის უაღღებელი მოხალისი

საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის ორგანოს, სახახლის (დარბაზის, პალატის) მოხელეთა უმაღლეს ეშელონს შეადგენდნენ მმართველობის ცალკაული დარგებისა და უწყებების ხელმძღვანელები, „კარის უხუცესები“. მათი უშუალო თანაშემწეობითა და მემკეობით მართავდა სახელმწიფოს მთელი აღმინისტრაციული სისტემის სათავეში მდგრძი მონაბეჭი.

სახახლის „უხუცესთა“ ინსტიტუტი ჩვენს ისტორიოგრაფიაში სამართლიანდაა დაკავშირებული ძეგლისძეველ ქართულ „უხუცესთა“ ინსტიტუტთან და აქვთ უკავშირი წარმოშობილია მიწნეული ე.წ. „ვაზირთა“ თანამდებობაც<sup>431</sup>. თვით ტერმინ „ვაზირის“ და ე.წ. „სავაზიროს“ წარმოშობის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებებია ვამოთქმული<sup>432</sup>.

ი. ვაევახიშვილის აზრით, ვაზირის თანამდებობა სავაზირულო გიორგი III-ის დროიდან<sup>433</sup>. ნ. ბერძენიშვილის<sup>434</sup> და შ. მესხი-

<sup>431</sup> ე. ლორთქი ი. ნიკე, ქართული ფეოდალური მონაბეჭის კარის მოხელენი, მისალები საქართველოსა და კოვანის ისტორიისთვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 68—69.

<sup>432</sup> ა. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 120; ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო დეოდალურ საქართველოში, გვ. 39; შ. შესხივი, სამინის პოლიტიკური კონტექსტი წუთბა, გვ. 12—70 (ქვე ერცერი ბიბლიოგრაფიი).

<sup>433</sup> ა. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 120.

<sup>434</sup> ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 39.

ას<sup>435</sup> თვალსაზრისით „ვაზირის“ ინსტიტუტის დამკეილუბის ხინა უნდა იყოს დავით IV აღმაშენებლის შეფობა და პირველ „ვაზირიად“ უნდა განვიხილოთ ცნობილი გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის „კელის“, მისი მნიშვნელობის გათვალისწინებას და დავით IV აღმაშენებლის როლს ამ დიდმნიშვნელოვანი სახელოს შექმნა-ჩამოყალიბებაში.

ი. ჯევახიშეიღილის კონცეფციის საფუძველს შეაღვენს თვით ტერმინ „ვაზირის“ დამოწმება წყაროებში. ნ. ბერძენიშვილისა და შ. მესხის თვალსაზრისი კი ემყარება მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის „კელის“, მისი მნიშვნელობის გათვალისწინებას და დავით IV აღმაშენებლის როლს ამ დიდმნიშვნელოვანი სახელოს შექმნა-ჩამოყალიბებაში.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გარკვეული თვალსაზრისით ორივე შეხედულება სწორია. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლი, თავისი ქელის შინაარსით, მართლაც „ვაზირია“ და ეს უდავოდ უკავშირდება დავით IV აღმაშენებლის ხანას. მიუხედავად მისია, ერთია შინაარსი, მეორეა მისი აღმნიშვნელი ტერმინი. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლი მეფის მრჩეველი, უახლოესი თანამშრომელი და უპირესესი მოხელე ტერმინ „ვაზირის“ გარეშეც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ ტერმინს როდი მიუნიშებია მისთვის უმაღლესი სამოქალავო პრეროგატივები. ამ ნახსენები ტერმინით უბრალოდ გაოთიხახვა ის შინაარსი, რაც მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის, მის სახელოს დავით IV აღმაშენებლის დროიდან ქვენდა. არც გიორგი ჭყონდიდლი და არც სვიმონ ჭყონდიდლი, დავითის თანამედროვენი, არ იწოდებაან „ვაზირებიად“ წყაროებში. მოღწეულ წყაროებს სავსებით შეეძლოთ დაეცვათ ეს ტერმინი, იგი რომ არსებულიყო. ვიმეორებთ, ეს არავთარ შემთხვევაში აზრს არ უცვლის თვით მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს შინაარს, მის განსაკუთრებულ მდგომარეობას დავით IV აღმაშენებლის დროიდან.

სხვა უმაღლეს ხელისუფალთა „ვაზირად“ წოდებას, ე.წ. „სავაზიროს“ შინაარსისა და ხამოყალიბების საკითხს სათანადო აღვილას შევეხებით.

### მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლი

მწიგნობართუხუცესის სახელო, როგორც სათანადო შესალის საფუძველზეა გარკვეული ჩვენს ისტორიოგრაფიაში<sup>436</sup>, პირველად XI საუკუნის წყაროებიდან გვიჩვეს დადასტურებული. ღრმულის კრებაზე

<sup>435</sup> შ. მესხია, ძლევად საქართველი, თბ., 1972, ვ. 33.

<sup>436</sup> ი. გავახიშვილი, ქართული სამირთლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, ვ. 124—125; ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 6—11.



დასახელებულია „მწიგნობართუხუცესი მეფისა“ ეფოვმე<sup>437</sup> მეტაზე და საუკუნის მასალაში კნედიგთ ლიპარიტ ლიპარიტის ძის მწიგნობართუხუცესის უხუცესს<sup>438</sup>. მწიგნობართუხუცესი ისევნიება 1085 წლის ერთ მინა-წერში<sup>439</sup>.

ი. ჯავახიშვილმა და ნ. ბერძენიშვილმა საგანგებოდ შეისწავლეს ეს საქოთხი<sup>440</sup> და მიუიღნენ იმ დასკვნამდე, რომ დავით IV აღმაშენებლის მეფობის გარევაულ პერიოდიმდე მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდლობა ცალ-ცალკე არსებობდა. ნ. ბერძენიშვილის სათანადოდ არგუმენტირებული დასკვნით, მწიგნობართუხუცესები, იმ სახელოს ჭყონდიდლობასთან შეერთებამდეც სასულიერო პირები იყვნენ<sup>441</sup>.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგახანია შესწავლილი და შეფასებულია მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის სახელოს შექმნის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ცენტრალიზაციის, მისი გაძლიერებისა და წინსელის საქმეში<sup>442</sup>. სათანადოდა წარმოჩენილი დრო და პირობები ამ სახელოს ჩამოყალიბებისა.

მწიგნობართუხუცესის სახელო ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს. მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, ეს სახელო შეიძლებოდა არსებულიყო ბაგრატ III-ის კარზეც<sup>443</sup>. კვიქრობოთ, მწიგნობართუხუცესის სახელო ბევრად უფრო ძირინდელი უნდა იყოს თვით ბაგრატ III-ის ხანაშეც. სახელმწიფოს არსებობა სამეფო კანცელარიის არსებობასაც გულისხმობს. მცხეთის IV საუკუნის წარწერაში „მხატვართუხუცესის“ სახელიც კია დასახელებული<sup>444</sup>. A priori შეიძლება ითქვას, რომ იმ სახელმწიფოში, საღაც „მხატვართუხუცესი“ არსებობდა და სადაც ნართვა ხორციელდებოდა, შეუძლებელია მწიგნობრები და მათი უხუცესიც არ ყოფილიყვნენ. იმაზევე მიგვითოთებს ქართული ტერმინი „მწიგნობართმოძღვარიც“ (IV მეტეთა, 12, 10), რომელიც სემანტიკურად სავსებით ფარიგს „მწიგნობართუხუცესს“. სხვა საკითხია, იერარქიულად რა ადგილი ეკავა მწიგნობართუხუცეს-მწიგნობართმოძღვარს, რა რანგის მოხელე იყო იგი.

<sup>437</sup> მ. საბინი, საქართველოს სამოსე, ს33, 1882, გვ. 616.

<sup>438</sup> მატანდ ქართლის, გვ. 305.

<sup>439</sup> ქრონიკები, I, გვ. 232.

<sup>440</sup> ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 124; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6—11.

<sup>441</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9—10.

<sup>442</sup> ივე, გვ. 32—33; საქართველოს სატრიის ნაჩენები, III, გვ. 217—218.

<sup>443</sup> საქართველოს სატრიის ნაჩენები, III, გვ. 217, სერია 2.

<sup>444</sup> თ. ფარესიშვილი, ბერძნერლი წარწერები საქართველოში, თ3., 1951, გვ. 155.

დავით IV აღმაშენებლის დროს მოხდა მეფის „ხელშინაგრის“ მოხელის, მწიგნობართუხუცესის აღზევება, მისი მაღალ ტრადიციულ პატივში აუვანა, რამაც ამ ხელისუფლების ავტორი იჩვენდი და სიძლიერე უნდა უშრუნველესდე<sup>445</sup>.

მწიგნობართუხუცეს-ჰუნდიდლის მსგავს სახელის არ იცნობდა მეზობელი ქრისტიანული ბიზანტიი, სადაც გარკეული მიზეზების გამო, არ წარმოშობილი არქიეპისკოპოს-კანცლერის მსგავსი სახელ-მწიფოებრივი სახელო<sup>446</sup>. სამიგიროდ, მასთან ახლომდგომი ინსტიტუტი დამოწმებული გვაქვს დასავლეთ ეკროპაში.

საფრანგეთში დამოწმებულია თანამდებობა „უმაღლესი კანცლერისა“ (summus cancelarius), რომელიც ჩვეულებრივ რეიმსის არქიეპისკოპოსი იყო<sup>447</sup>. ინგლისის მეფის სასახლის მთავარი მოხელე «Constitutio Domus Regis» მიხედვით კანცლერი იყო<sup>448</sup>. ინგლისის კანცლერი ჩვეულებრივ კანტრებერის არქიეპისკოპოსს წარმოადგენდა. დიუ კანქს მოცემული აქვთ ნუსხა საფრანგეთისა და გერმანიის კანცლერებისა, მოყოლებული ფრანკთა იშპერიიდან, საიდანაც ჩანს, რომ ისინი სისულიერო პირები, აბატები, ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები იყვნენ<sup>449</sup>.

როგორც ვნედავთ, საქართველო, თავისი ფეოდალური სტრუქტურით და მმართებელობის ტიპითაც, ახლოს დგას შუალაუკუნეობრივ დასავლეთ ეკროპასთან.

ი. ჯავახიშვილის აზრით, მწიგნობართუხუცესობა და ჰუნდიდლობის შეერთება მოხდა 1103—1110 წლებს შორის<sup>450</sup>. გორგი მწიგნობართუხუცესი რუის-ურბნისის კრებაზე დასახელებულია უბრალოდ „მონაზონად“, ხოლო 1110 წელს იგი უკვე ჰუნდიდლადაც ჩანს. აქედან მკვლევარმა დაისკვნა, რომ ამ ორი სახელოს შეერთებაც მითითებულ წლებს შორის უნდა მომხდარიყო. ეს თარიღი მიღებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ეფიქრობთ, ამ საერთოს გადასინჯვა უნდა სჭირდებოდეს. დღეს დადგენილია, რომ რუის-ურბნისის კრება

<sup>445</sup> ნ. ბართვენაშვილი, საქართველო, გვ. 33.

<sup>446</sup> А. П. Каждан, Византийская культура, М., 1968, с. 61.

<sup>447</sup> Н. Ф. Колесников, Феодальное государство, с. 83.

<sup>448</sup> იბ. გ. ჩამარტივაშვილი, „ხელშიფის კარის კანისტრულა“, კორის პედაგისტურის პრომები, XIII, თბ., 1969, გვ. 213—228.

<sup>449</sup> Du Cange, Glossarium, II Band, გვ. 45—51.

<sup>450</sup> ი. გავახივაშვილი, ქართველი ურის ისტორია, ტ. II, გვ. 197; მისვე, ქართველი სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკ. I, გვ. 125; რ. მეტრეველის აზრით, ეს 1103—1104 წე. მოხდა. იბ. მისი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 50; გ. ს. ივ. გ. განკუნაობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 245.

ჩატარდა არა 1103 წელს, არამედ 1105 წელს<sup>451</sup>. გარდა ამისა, ჩვენ არ გავვაჩინია მყარი საფუძველი, უარყოთ გიორგი მწიგნით მომდევნობის ცესის ჰყონდიდლობა 1105 წლისათვის, რუს-ურბანისის კრებას ჩატარების დროისათვის. ის ფაქტი, რომ გიორგი რუს-ურბანისის კრების „ძეგლისწერაში“ სახელდებით ჰყონდიდლად არ ისტენიება, არ გამორიცხავს ამ დროისათვის მის ხსენებულ იერარქიულ პატივში ყოფნას. „მონაზონია“ მოსხენიება არ ნიშნავს იმას, რომ ასეთად წოდებული არ შეიძლება მაღალი საეკლესიო ონამდებობის პირი იყო. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში იხსენიება „მონაზონია“ მონაზონია „შეიძლება მწიგნობართუზუცესი „სვიმეონ ბელიელ-აღვავრდელი“. ცხადია, რომ „უბრალოდ მონაზონი“ მაღალი იერარქიული პატივის მქონე ეპისკოპოსისათვისაც შეიძლებოდა ეწოდებინათ და უწოდებიათ კიდევ. ნიშანღობლივია ამ მხრივ შიომღვიმის XIII საუკუნის ერთი საბუთიც, საღაც „მწიგნობართუზუცესი ვანირი მონაზონია“<sup>452</sup> დასახელებული. ცხადი უნდა იყოს, რომ ეს „მონაზონი“ ჰყონდიდლია და არა უბრალო ბერი. ამიტომაც, რუს-ურბანისის კრების „ძეგლისწერაში“ მოსხენებული „გიორგი მონაზონი და მწიგნობართა უზუცესი“<sup>453</sup> ჰყონდიდლი უნდა იყოს. ამას ორი გარემოება გვაფიქრებინებს. რუს-ურბანისის კრებაზე დავით IV აღმაშენებელმა ფაქტობრივად ბრძოლა გაუმართა მისთვის არასასურევლ იერარქებს, ბევრი მათგანი გადააყენეს და „უცხო ყვენეს მღღულობისაგან“. ცხადია, ასეთი უაღრესი მნიშვნელობის კრებაზე მეტეს მაღალი სასულიერო იერარქი უნდა ჰყოლოდა „თუაღად“ და არა „უბრალო მონაზონი“, თუნდაც თავისი მწიგნობართუზუცესი გიორგის ჰყონდიდლობას თვით კრების მიმდინარეობისათვის უნდა დაეწინია კვალი. მეტეს ყველაზე უფრო რუს-ურბანისის კრებაზე უნდა დასჭირებოდა გიორგი მწიგნობართუზუცესის მთავარეპისკოპოსობა. ამას უბრალოდ მოვლენათა ლოგიკაც მოითხოვს. ამასთან, უაღრესად ნიშანღობლივია, რომ „ძეგლისწერაში“ გიორგი მწიგნობართუზუცესი იწოდება როგორც „მეუფე“: „ღირსისა მეუფე ის ა ჩუენისა და თუაღად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუზუცესისა მრავალმცა ...“<sup>455</sup> კფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ „მეუფე“ შეიძლება მხოლოდ

<sup>451</sup> ე. გაბრიელ ვილი, რუს-ურბანის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978, გვ. 14—20.

<sup>452</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 17.

<sup>453</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 160.

<sup>454</sup> ე. გაბრიელ ვილი, რუს-ურბანის კრების ძეგლისწერა, გვ. 195.

<sup>455</sup> ციტ.

6. ბერძნების შეკლის აზრით, ვორგი მწიგნობართუსუცეს უნდა დაიღეს განდა XII საუკუნის 10-იან წლებში ითანხ სუნველზის შემდეგ<sup>456</sup>. საფიქრებელია, რომ ითანხ შემდეგ შეყონდიდლობა კაორგი მწიგნობართუსუცეს უკვე 1105 წლისათვის, რეიის-ურბისის კრების ჩატარების დროისათვის უნდა პეტონდა მიღებული.

გიორგი მწიდენობართუსუცეს-ჭყონდილელი ამ ორი თანამდებობის პირების გამარტინიანებელი იყო, უაღრესად თვალსაჩინო, არაორდინარული პიროვნება და საჭიროდ მივგანინია შეკვერდეთ მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საქითხზე.

დაეკით აღმაშენებლის სატორიკოსის ცნობით: „ოვესთს ყოფილია მიიცუალა გიორგი ჭილიძის დიდები; თავ-აღვა სიყრმითვანთა პატრინისა შეახვერებათათუს; და პატივთა დიდითა წარმოვზავნა მონსტრურსა ახალსა და მუნ დაემარჩა. რომელი იღლოვა ყოველმან სამეცნიან და ოკუ შეფერხან, ვითა მამა და უშერესცა მამისა“<sup>457</sup>.

ამ ცნობამ თვეის დროზე თ. კორლანის უურადლება მიიქცია. შისი აზრით, გიორგი ჭყონდიდელი „მონისტერსა ახალსა“ (კელითს) დამატება, გიორგის მეფესთან ნათესაობის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო<sup>458</sup>. ამ თვეშისს შესაძეგრებლად თ. კორლანიმ ერთი აღვილიც მოიტანა დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან და დაასკვნა, რომ ჭყონდიდელი დავით აღმაშენებლის დედის ძმა უნდა იყოს. სამწუხარით, თ. კორლანის ინტერპრეტაცია არაა სწორი. როგორც ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა, გიორგი ჭყონდიდელი არა მეფის, არამედ სვიმონ ბელიელ-ალავერდელის დედის ძმა იყო<sup>459</sup>. მთულედავად მიხსა, თ. კორლანის მოსაზრება ჭყონდიდელის მეფესთან შესაძლო ნათესაობის შესახებ უაღრესად საყურადღებოა. სამეფო საძვალელ გამიზნულ მონასტერში მწიგნობართუზუცეს-ჭყონდიდლის დამატება არ შეიძლება არ ჩაითვალოს სამისო მეაღმი და არაორაზროვან მოწმობად. ნ. ბერძენიშვილმა საეჭვოდ მიიჩნია გიორგი ჭყონდიდელის კელათში დამატება: „მონისტერსა ახალსაში“ მაინცდამიანც კელიათის დანახვა არც ისე გადაჭრით შეიძლებათ“<sup>460</sup>, აღნიშნავან, განსკვნებულმა შეკლუვარში ყურადღება გაამისხილა იმაზეც, რომ XIII საუკუნეში შიომღვიმეში ვნედებით გიორგი ჭყონდიდელის მწირევოს<sup>461</sup>. ამასთან, მკლევ-

456 5. డ్రాఫ్ట్ నోట్ కొను, సామాన్యం, 32, 337.

<sup>457</sup> ახორციელდა მეთებულ-მეთასის თავითისა, ა. 337.

458 ଶୁରୁଳକ୍ଷଣ ପାତ୍ରଙ୍କିତି

459 ស. ៩២៧ ត. ៩៦៣ រ. ៣០៧ ស. លានីវិទ្យា ១២ ៣៤-៣៥

460 630

461

კატეგორიულად უარყო გიორგი ჰყონდიდლის დაღი-  
გავლენა მისი გვარტომობით და ეს გავლენა მწიგნობართუნეულობას ა-  
ნელი შენებას და მის პირად დიდბუნებოვანებას დაუკირიცხულა  
ცხადია, არც მწიგნობართუნეულესის კვლის ბუნება და არც გიორგი  
ჰყონდიდლის პირადი ღირსებები არ შეიძლება გამოღეს მისი დიდ-  
გვარიანობის და მეფესთან ნათესაობის საწინააღმდევო საბუთად.  
გიორგი ჰყონდიდელი მეფის ნათესავიც შეიძლებოდა ყოფილიყო,  
დიდბუნებოვანიც და მწიგნობართუნეულესის კვლის წარმატებით  
აღმასრულებელიც. არათუ გიორგი ჰყონდიდელი, არამედ უკელა  
ჰყონდიდელ-მწიგნობართუნეულესი, რომელიც კი ჩვენთვის ცნობილია  
სათანადო სისრულის მასალით, უაღრესად წარჩინებული გვარი-  
შეიღები იყვნენ, მაგრამ ეს როდი უშლიდათ ხელს მწიგნობართ-  
უნეულესის თანამდებობის მიღებაში.

6. ბერძნიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ახალი მონასტერები“, სადაც გიორგი ჭუონდიდელი დაკრძალეს, საეჭვოა გელათი ყოფილიყო, არ უეძღვება გაეზიაროთ. „ახალი მონასტერები“ რომ ნამდვილად გელათი იყო, ამას შესანიშნავად მოწმობს ლაშა გიორგის დროინდელი შემატიანე. მისი ცნობით „დემეტრე შეუე ბელტის ციხეს მიიცვალა და გელათს წარიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერს ა“<sup>463</sup>. გელათს, როგორც ჩანს, „ახალი მონასტერის“ სახელი კარგახანს შერჩენია: „(თამარი) დამარხეს ახალსა მონასტერს ა გელათს“<sup>464</sup>.

გიორგი ჭყონდილელის გელათში დაქრძალვის უარსაყოფად არ გამოღვება ცნობა შიომღვიმეში მისი შწირველის არსებობის შესახებ. 1260—1270 წწ. ერთ საბუთში მართლაც ისხვნიება „გიორგი ჭყონდილელის მწირველი ნიკოლოზ“<sup>465</sup>, მაგრამ არა გვვონია ეს რაიმეს გვაძლევდეს ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის. იმავე შიომღვიმეში შთელი სამწირველო არსებობდა კვირიკე კახთა მეფისა<sup>466</sup>. შიომღვიმის კრებულში გამნაკუთრებული დამსახურებისათვის სიცოცხლეშივე სამწირველო გაუჩინა ბატილი აღავერდელს<sup>467</sup>. შიომღვიმეში სიცოცხლეშივე მწირველი კვავდა გარდაცვალუბის შემდეგ გულათ-

462 *o. f. o.*

<sup>463</sup> ლომი კონტაქს დროინდელი შემარიანებული გვ. 367.

<sup>465</sup> ഫൈത്താലൻ സമീക്ഷകളിൽ ചേരുന്നു, III, 23: 169.

400 សំណង់ ១៦៧

467 ପିତ୍ତା, ୧୩, ୧୭୫,

ში დაკრძალულ ლაშა გიორგის<sup>468</sup>. არაუერია მოულოდნელი ტა ჰელი-ოცარი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლისათვის, რომელიც მოულოდნელი კომპეტენციაშიც შიომღვიმე შედიოდა, იქ მწირველი გაეჩინათ. ეს სულაც არ გულისხმობს ახეთი პირის იმავე მონასტერში დაკრძალვის. ამასთან, შიომღვიმე არ ყოფილა „მონასტერი ახალი“.

ამდენად, „ახალი მონასტერი“, საღაც გიორგი ჭყონდიდელი დაიმარხა, უკიდველად გელათი უნდა იყოს. ეს კი მართლაც მხარელის-მთქმელია გიორგის მაღალი მდგომარეობის შესახებ, რომელიც მხო-ლოდ მწიგნობართუხუცესობით არ შეიძლება აიხსნას.

გარეუელ შტრიხებს ჩევნოვის საინტერესო საკითხს მატებს შათე ურპაელის ერთი ცნობა, საღაც დავით აღმაშენებლის ძმი „თოტორშე“ ისხენიება<sup>469</sup>. ა. აბდალაძემ დააღვინა, რომ დავითის ძმიდ მოსხენიე-ბული თოტორშე, სხვა არავინაა, თუ არა ცნობილი თევდორე, გიორ-გი ჭყონდიდელის დისტული, რომელიც ლიპარიტის ძეთა ამოწყვეტის შემდეგ თრიალეთ-კლდეკარს მართავდა<sup>470</sup>. ცნადია, თევდორე მე-ფის ძმა არ ყოფილა, მაგრამ შეუძლებელია მისი ამგვარი მოსხენიე-ბა მხოლოდ მისი ბიძისა და თუნდ თვით თევდორეს დიდი დამსახუ-რებით აიხსნას.

გიორგი ჭყონდიდელის გელათში დაკრძალვა, მისი დისტულის თევდორეს მეფის ძმად მოსხენიება და თრიალეთ-კლდეკარის მფლო-ბელობა, ჭყონდიდლის მეორე დისტულის სეიმონის მწიგნობართუხუ-ცეს-ჭყონდიდლობა და ბელიე-ალავერდელობა, დამაჯვრებლიდ მოუთავებს ამ ოჯახის გამსაჯუთრებულ სიახლოევზე სამეფო საგვა-რეულოსთან.

არაუერია მოულოდნელი იმაშიც, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ქელი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლობა, დავით აღმაშენებელს მიენდო არა მხოლოდ უაღრესი სახელმწიფო ბრივი ნიჭით დაჯილ-დოებული, არამედ ნათესავრადაც მასთან ახლომდგრმში პირისათვის. საღლეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალის შიხედვით, თავს ვერ ვიდებთ იმის გამორჩევას, კონკრეტულად რა ნათესაობა იყო მეფესა და ჭყონდიდელს შორის, მაგრამ მოტანილი ფაქტები აშკარად მეტ- ყელებენ ამის სასარგებლოდ.

<sup>468</sup> ქართული სამართლა ქველები, II, გვ. 36.

<sup>469</sup> ლ. დ ა ვ ლ ი ა ნ ი ძ ე, მთე ურმაველის ცონბები დავით აღმაშენებლის შესა-ხებ, საქართველო ჩისტაველის ხანში, თბ., 1966, გვ. 248.

<sup>470</sup> ა. ბ ბ ლ ი ძ ე, დავით აღმაშენებელის უძმის თოტორშეას გამო, ვაცნუ, სატორის სერია, № 1, 1978, გვ. 96—99.

მწიგნობართუხუცესის სახელოს ჩამოყალიბებისა და მისთან დაკავშირდებული შირებული ტრადიციების ფასათვალისწინებლად უაღრესად მოუზრიარებელებით გიორგი ჭყონდიდლის დისტულისა და მისივე თანამდებობის შემცვიდრის სვიმეონის საკითხი.

გიორგი მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდლის გარდაცვალების შემდეგ (1118 წ.) მწიგნობართუხუცესობა მიიღო სვიმეონ ბედიელ-ალავერდელმა<sup>471</sup>. დაეთის ისტორიების ცნობით: „განმეგბლად და ზედამხედელად ყოველთა საქმეთა მანდაურთა (შარვანში, ა. ა.) ამინა მწიგნობართუხუცესი თვისი სვმონ, ჭყონდიდლი მთავარებისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი“<sup>472</sup>. ნ. ბერძენიშვილის მართებული დასკვნით, 1118—1125 წწ. ჭყონდიდის არქიეპისკოპოსად ვიდაც სხვა პირი ყოფილა<sup>473</sup>. დაეთი აღმაშენებლის 1123 წლის ანდერშეიც სვმონ მწიგნობართუხუცესი ბედიელ-ალავერდელად ისსენიება და არა ჭყონდიდლად<sup>474</sup>. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ჩეუნთვის უცნობი ჭყონდიდლი არ ყოფილა დაეთი აღმაშენებლისათვის სასურველი პირი, თორემ მწიგნობართუხუცესიც ის იქნებოდა<sup>475</sup>. ვფიქრობთ, საყითხის ასე დასმა არ უნდა იყოს მართებული. შეუძლებელია დაეთი აღმაშენებლისათვის აზრისასურველი პირი ჭყონდიდლი გამხდარიყო და ისიც რუსი-ურბინისი კრების შემდეგ, როდესაც მეფემ უავე ხელასხმული და ეპიკომპოსტობის „მამულობით მფლობელი“ პირები გადაიყნა. რ. მეტრეველის აზრით, უცნობი ჭყონდიდლი გაელენიანი პირი ყოფილა და დავთ აღმაშენებელიც ამიტომ ვერ წასულა მისი ჭყონდიდლად კურთხევის წინააღმდეგ<sup>476</sup>. შემდეგ რ. მეტრეველმა აზრი შეიცევალა და მიიჩნია, რომ სუმეონი ჯერ ჭყონდიდლი იყო და შემდეგ გახდა ბედიელ-ალავერდელი<sup>477</sup>. ამის საუკუნეები მას მისცა დაეთის ისტორიების ცნობის თავისებურმა გავებამ. შირვანის ლაშქრობის ალწერის დროს, ისტორიების აღნიშნავს, რომ დავთის გამევებლად დაუტოვებია მწიგნობართუხუცესი და ჭყონდიდლი სვმონ, „მაშინ ბედიელ-ალავერდელი“. ე. ი. შირვანში გამევებლად დატოვების დროს („მაშინ“) სუმეონი „ბედიელ-ალავერდელი“ და მწიგნობართუხუცესი ყოფილა,

<sup>471</sup> ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო, გვ. 11.

<sup>472</sup> ცხოვრება მეუკო-მეუქისა დაეთის, გვ. 345.

<sup>473</sup> ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო, გვ. 11.

<sup>474</sup> ქართული სამიროლის ძეგლები, II, გვ. 17.

<sup>475</sup> ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო, გვ. 11.

<sup>476</sup> რ. მეტრეველი, დავთ აღმაშენებელი, გვ. 51.

<sup>477</sup> რ. მეტრეველი, შინაერთობრივი ბრძოლა, გვ. 248—249.

ხოლო იმ დროისათვის, როდესაც ისტორიკოსი თავის თხზულებას წერდა, უკვე ჰყონდიდელიც. ეს ტექსტი ასევე აქვს განვითარებული მრავალი ძენიშვილს. რ. მეტრეველის აზრით, „მაშინ ბედიელ-ალავერდელი“ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სუმეონს ბედიელ-ალავერდობა ახალი მალებული პქონდა. ვთიქრობთ, ტექსტის ამგვარი გაგება სავჭეოა. მშეარაა, რომ სუმეონი ჰყონდიდლობის გარეშე ერთხანს მწიგნობართუსუცესი იყო.

დავით აბარქენებლის სურვილის წინააღმდეგ ჰყონდიდლის ეპარქიის მიზაცება, ისიც რუს-ურბნისის კრების შემდეგ, როცა ულიოსნი „გარდამოსთხოვნების საყდართაგან“, ჩვენ გამორიცხულად მივგვაჩინია. უცნობ ჰყონდიდელს, რა გავლენიანი კაციც არ უნდა ყოფილიყო იგი, შეუძლებელია დაევინა, მაინც დამაინც ჰყონდიდლობა მინდით. ბოლოსდაბოლოს შეიძლებოდა მისთვის სხვა რომელიმე ეპარქია მიეცათ, რომელიც საეკლესიო ოვალსაშრისით არ ჩამორჩებოდა ჰყონდიდს.

საფიქრებელია, რომ გიორგი ჰყონდიდელის გარდაცვალების დროს სუმეონი ხელდასხმული იყო ბედიელ-ალავერდელიდ და გინაიდან უკვე შართავდა ორ უმნიშვნელოვანებს ეპარქიის და პქონდა არქიეპისკოპოსის იერარქიული პატივი, იმ მომენტში აღარ ჩაუთვლიათ საჭიროდ მისთვის, მაინც დამაინც ჰყონდიდიც მიეცათ. მთავარი ის იყო, რომ იგი მწიგნობართუსუცესიც იყო და არქიეპისკოპოსიც. ჰყონდიდის ეპარქიის განთვაისუფლების შემდეგ, რომელიც საეპართულოა დავითის მისაწილ და არა მოწინააღმდევ პირს ეჭირა, მას ეს საეპისკოპოსოც მისცეს.

იმ პერიოდში, როცა მწიგნობართუსუცეს-ჰყონდიდლის შეერთებული სახელოს შექმნა ახალი ამბავი იყო და სათანადო ტრადიციები ის-ის იყო ყალიბდებოდა, ამგვარი რამ მოუღოდნები არ ირის. გაცილებით უფრო მოულოდნებოდ და დაუშვებლად მივგვაჩინია დიდების ზენიტში მყოფი მეფისათვის მწიგნობართუსუცესისათვის განკუთვნილი ეპარქიის „მიტტეცება“ მისი ნების წინააღმდევ.

ჰყონდიდის ეპარქიის მიღების შემდეგ, ნ. ბერძენიშვილის აზრით, სუმეონს თითქოს თავი უნდა დაენებებინა ბედიელ-ალავერდელობისათვის<sup>478</sup>. სამწუხაროდ, არაა მოტანილი ამის დამამტკიცებელი სათანადო მასალა. თუ მწიგნობართუსუცეს-ჰყონდიდლების შემდგომი ხანის პრაქტიკით ვიმსჯელებთ, სუმეონს ჰყონდიდლობასთან ერთად ბედიელ-ალავერდელობაც უნდა შეენარჩუნებონა. თითქმის კველა ჰყონდიდელს ორ-ორი და ზოგჯერ სამი ეპარქიაც კი პქონდა.

478 ნ. ბერძენიშვილი, საეპისკო, გვ. 11.

ვფიქრობთ, მწიგნობართუხუცესობისა და ჰყონდიდლობის შეკრობის ტრალიცია საბოლოოდ სკმეონის ზეობაში ჩამოყალიბდა და ასე ვრძელდებოდა ეს ვიღრე ბასილი ჰყონდიდლუ-უჯარმელამზე რიცხული საჭიროდ მიგვაჩინია შევეხოთ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლური სოციალური ვინაობის საკითხს.

პირველი მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის გიორგის მაღალი სოციალური სტატუსის შესახებ ჩვენ სიტყვას აღარ ვავარძელებთ. არ მიგვაჩინია საჭიროდ ზედმეტად გავუსვათ ხანი ასევე მისი დისტულის, სკმეონ ჰყონდიდლისა და ბედილ-აღავერდელის სოციალურ მდგომარეობასაც.

XII საუკუნის 60—70 წლებში მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლად ჩინს ქობულისძეთა წარჩინებული გვარის შეიღლი ითანე<sup>479</sup>, რომელმაც სკმეონის შემდეგ მიიღო ეს სახელო. ამ პირის ქობულისძეთა გვარისაუმი კუთვნილება, ვფიქრობთ კომენტირების გარეშეც ნათელს ხდის მის დიდგვარიანობას, მაღალ სოციალურ წარმოშობის.

გიორგი III-ის მეფობის მიწურულს ჩანს წყაროში და შემდეგ თამარის მეფობაში უაღრესად თვალისინო როლს ასრულებს მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდლი ანტონი გლონისთავისძე. ანტონ გლონისთავისძე თამარის მეორე<sup>480</sup> ისტორიკოსთან იწოდება „გლონისთავისძელ“<sup>481</sup>. ნ. ბერძნიშვილის ერთ ნაშრომში იყი „გლონისთავისძელაა“ მოხსენიებული<sup>482</sup> და ასევე „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომის შ. ბალრიძის მიერ დაწერილ მონაკვეთშიც<sup>483</sup>. ვფიქრობთ, ამ პირის გვარისახელის „გლონისთავისძელ“ გავება ხელს ვერ შეუწყობს მისი ვინაობის გარკვევას.

ანტონ გლონისთავისძე უაღრესად წარჩინებული სახლის შეიღლი ჩანს, ვინაიდან იყი მეფის მიერ „გამზღვდილად“<sup>483</sup> და „გუარტომად ჭაბუკად“<sup>484</sup> იწოდებოდა. „ჭაბუკა“, როგორც აღნიშნული გვქონდა სათანადო გმირებულევებზე დაყრდნობით, რაინდს, მაღალი წრის წარმომადგენელს ნიშანეს და ანტონის „გუარტომად“ სიჭაბუკე მისი საგვარეულოს წარჩინებულობის აქარი მანიშნებელია.

ზოგიერთი მონაცემით, რასაც თავის ღრივე ნ. ბერძნიშვილმა მიაქცია ყურადღება<sup>485</sup>, შეგვიძლია დავაღვინოთ, რომ გლონისთავის-

<sup>479</sup> ნ. ბერძნებულების შესახური, გვ. 30.

<sup>480</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფებისა თამარისი, გვ. 122—123.

<sup>481</sup> ნ. ბერძნებულების შესახური, გვ. 12.

<sup>482</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევბი, III, გვ. 296, 307, 311.

<sup>483</sup> ისტორიის და არანი შარიანის გვერდულობანი, გვ. 32.

<sup>484</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>485</sup> ნ. ბერძნებულების შესახურის ისტორიას საკონკრეტო, ტ. IX, თბ., 1979, გვ. 172.

ქეთა გვიარი თითქოს „წირქუალელ-გლონისთავისძე“ იყო. XV საუკუნის აბდენიმე დოკუმენტში ისხვნიება მწიგნობარი (მურიბი) რატი, რომელიც იწოდება წირქუალელისძედ და წირქუალელ გლონის თავისძედ<sup>456</sup>. 6. ბერძენიშვილმა ყურადღება გამახვილა ჩრდილოებულ მექანიზმების აზრები: ანტონ ჰეკონდიდელი მწიგნობართაუცუცესი იყო, ხოლო რატი წირქუალელისძე-გლონისთავისძე მწიგნობარია<sup>457</sup>.

ანტონ მწიგნობაძეთუხუცეს-შეყონდიდელი, წევნი აზრით იყო  
დახავლეთ საქართველოს და, კერძო, რაჭის დიდებულთა სახლიდან.

ნიშანდობლივია, რომ წირქუალელისძეები იხსენიებიან ნიკორ-წმინდელის დაწერილში. გათ საფლავები აქვთ ნიკორწმინდაში და უამისმეტირველს აუკრიბენ იქ<sup>458</sup>. ამავე რევიონთან უნდა იყენეს და-კავშირებული ოქტოს ჯვრის წირქურაში შობსენიებული წირქუ-ალელებიც<sup>459</sup>. წირქუალელისძეთა სამეფო შონასტერში (ნიკორწმინ-და) დამაზრხაც უაღმრესად მრავლისმთქმელია.

სრულიად აშკარად აღნიშნული რეგიონისაკენ მივყავით თამარის შეორე ისტორიკოსთან დაცულ ცნობის კახაბერიძეების მიერ ანტონ ჭეთიშვილების ორი ძმის მოკვლის შესახებ, რასიც ზუთი კახაბერიძის ექსორიი გამოიწვევია<sup>150</sup>. ცხადი უნდა იყოს, რომ აյ სამამულო დავის საფუძველზე წარმოშობილ კონფლიქტთან უნდა გვეკონდეს საქმე.

თამარის მეორე ისტორიაში დაცული გვარი ანტონ ჭყონლილელისა — გლონისთავისქე, ასევე კავშირში ჩანს რაჭისთან, კერძოდ კი გეოგრაფიულ პუნქტთან გლობლასთან. გლობლის შიცხოვრის ხატის წარწერაში აღნიშნული ყოფილია: „წო გი გლონისათ, გლონისა მოიჭედა შელისა გიგას პტრო“<sup>191</sup>. ჩვენს ყურადღებას იქცევს არა ხატის წარწერაში მოხსენიებული პირი, არამედ გლობლის სახელწოდება „გლონი“, „გლონის წმინდა ვიორგი“. აშენება, რომ გლობლის სახელწოდება გლონი ყოფილი და გვარსახელი გლონის თავის ძე საფხებით გამომდინარეობს მისგან.

აღნიშვნულ ფაქტებს ემატება ერთი პატარა, მაგრამ საყვრილებო დეტალიც. ვახუშტის თხზულების ხელნაწერის თ ნუსხის აშიაწე

486 ქართული სპარსელის ძეგლები, II, ვ. 131, 133, 136.

487 6. තුරු දෙ නිෂ්පාල ර, සංඝන්තවුදුලාස මැතුරුහිස සායනත්බඩ, ර. IX, 23.

488 ජාතිකුල සම්බන්ධූලී මුද්‍රාපති, III, පි. 27, 33.

<sup>459</sup> Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959,

<sup>490</sup> କେନ୍ଦ୍ରିୟମା ମୋହନ-ମୋହନ ପାତ୍ର ଅଧିକାରୀଙ୍କ, ପୃ. 131.

„სხვა ხელით“ მიწერილი ყოფილი შემდეგი ცნობა: „(თამარმა) კუნძული და მდინარი უხუცესად დააგინა ანტონი გველი ა ნი, კი ბრძენი და გონიერი“<sup>492</sup>. ჩვენთვის უცნობია ეინაა მინაწერის აუქტორი, ან რა მისაღვა პეტონდა მის ხელთ ანტონ ჭყონდიდელი „გველი კუნძული გველოვანიდ მიერნია, მაგრამ თვით ამგვარი აზრისა თუ ტრადიციის არსებობა უაღრესად ნიშანდობლივია. მინაწერის აეტორის ცნობის სასარგებლობ თითქოს გარკვეული გვოგრაფიული არეალიც და გლობისთვისძიდიან „გველონის“ მიღების შესაძლებლობაც მიუთითობს.

კფიქრობთ, მოტანილი მისაღვა ერთი მხრივ წარმოგვიჩენს ანტონ ჭყონდიდელის სოციალურ ვინობას, მის წარჩინებულობას, ხოლო შეორე მხრივ საკმაოდ მკაფიოდ მიუვითოთებს იმ რეგიონშიც, ხაილანაც შინი სეგვარეული წარმომავლობდა.

მკელევართა მიერ ერთხმადაა ოღიარებული ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს „მიმტაცებლის“, კათალიკოს მიქელ მირიანისძის დიღგვარიანობა და ამრა მის პოლიტიკურ მოღვაწეობასაც უკავშირებენ<sup>493</sup>. კფიქრობთ, მიქელ მირიანისძის პოლიტიკური გეზის ასასნელად მისი დიღგვარიანობა არ გამოვეადგება. არც ერთი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი, მეტ-ნაკლებად, არ იყო მიქელ მირიანისძეზე „უგვარო“.

სამწუხაროდ, კონკრეტული მისაღვა გვაქლია სხვა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლების სოციალური სტატუსის ხაილუსტრაციონი, მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ასევე მწიგნობართუხუცესი, რომელიც ერთხმის კითალიკოსიც იყო<sup>494</sup>, ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი და ვინმე თევდორე, არ უნდა ყოფილიყვნენ ამ მხრივ განსხვავებული ჩვენ მიერ განხილული მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლებისაგან.

კფიქრობთ, საკმაოდ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლები თავითათი სოციალური სტატუსით ძალშე მაღალი პირები იყვნენ და არისტოკრატიულ საგვარეულოებს მიეკუთხნებოდნენ. სამეფო ხელისუფლების უერთგულესი სახელოს შექმნა-ჩამოყალიბება არ მომზარია სოციალური წარმოშობის იგნორირების, მართველობაში რაიმე „ახალი“ ფენების მოზიდვის ხარჯზე.

<sup>492</sup> ე ა ხ ე მ ტ ი, აღწერი სამეცნისა საქართველოსა, გვ. 172, სქოლით 2.

<sup>493</sup> ი. ა. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტობის საკონტენტო, გვ. 217—226; ზ ი ს ი ვ ე, მიქელ მირიანის ე და 1184—1191 წწ. პოლიტიკურ ქრისტიან საქართველოში, სასტორია ქრისტული, ტ. VII, თბ., 1977, გვ. 148—157. იქვე ბიბლიოგრაფია.

<sup>494</sup> 6. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საფაზიანო, გვ. 23.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლების ხელისუფლების „წარმოჩენის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ ის ტიტულები და ეპიტეტები, რომლებითაც ისინი ისხენიებიან.“

სამეცნიერო ღიტერატურაში აღრევე მიეკუა ყურადღების წილება ნობართუხუცეს-ჭყონდიდლების ტიტულს „პროტოპერტიმოსი“.

პროტოპერტიმოსად (პროტოპერტიმოსად) იწოდება ანტონ გლონისთვისძე<sup>495</sup>, ბასილი ჭყონდიდლელ-უჯარმელი<sup>496</sup>, „წიგნი სა-აქიმო“-ს მინაწერში მოხსენიებული ჭყონდიდლი<sup>497</sup>. სადღეისოდ გარკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ პროტოპერტიმოსი საპატიო ტიტული იყო, რომელიც მიეკუთხებოდა სახელმწიფოს უპირველეს მოხელეს და საქართველოს სინამდვილეში მხოლოდ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლს. ცხადია, ეს „ხაზს უსვამდა საქართველოს ამ დიდობობელის განსაკუთრებულ მდგომარეობის ფეოდალური მონარქიის შპართველობის სისტემაში“<sup>498</sup>.

სამწუხაროდ, სამეცნიერო ღიტერატურაში სათანადო ყურადღება არ მიქცევია მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლების ერთ წოდებულების, რომელიც ბევრად უფრო ნათლად წარმოაჩნის ამ სახელოს როლსა და მნიშვნელობას, ვიღრე თუნდაც პროტოპერტიმოსის ტიტული. მხედველობაში გვაქვს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის „ქრისტეს სწორად“ წოდება.

„ქრისტეს სწორად“ იწოდება ანტონ გლონისთვისძე შიომლების კრებულის „დაწერილში“, რომელიც თამარის შიომლვამისადმი ბოძებულ სიგელს ერთვის<sup>499</sup>. იგივე წოდებულებას ეხედებით არსენ ჭყონდიდლის შევლა აბულახტარისძისადმი ბოძებული დაწერილის ხელითვაში: „ესე ვითა ქრისტეს სწორად არსენი ჭყონდიდლ მთავარეპისკოპოსა და მწიგნობართუხუცესა შეუწყილებია მგელია ... დამიმტკიცებული ვარ მეცა, გლაბაკი ქრისტეს შიერ ქართლისა ვათალიკონი არსენი“<sup>500</sup>. თავი რომ დავინებოთ ჩეულებრივ ფორმულას „გლაბაკი“, ფაქტია რომ „ქრისტეს შიერ“ კათალიკოსი მწიგნობართუხუცესს „ქრისტეს სწორად“ უწოდებს.

ცხადია, მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდლის „ქრისტეს სწორად“ წოდება არ იყო ოფიციალური ტიტული, როგორც ვთქვათ პროტო-

<sup>495</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 30; კ. ვაჩე იშვილი, უინცა სის შენებლის გამოსახულების შესახებ, საქ. სრ. მეცნ. ფალ. მომსახ. ტ. XXXII, № 3, 1963, გვ. 750.

<sup>496</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 159.

<sup>497</sup> წიგნი სააქტომ, ღ. კატეტრემილის ვამ., თბ., 1936, გვ. 3.

<sup>498</sup> შ. მესხია, საშინო პალტიკური ეთარება და სამოხელეო წყობა, გვ. 100.

<sup>499</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 32.

<sup>500</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 159.

იპერტიმოსობა, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში, ოფიციალური  
პირების შეირ ამგვარი რაშის დაწერა უაღრესად მრავლისმთქმელი და  
საგულისხმოა. მართალია, ჩეკინთვის საინტერესო საქითხთაში ჩეკინთვის  
არაფერი აქვს საერთო, მაგრამ არ შეიძლება არ გაგვიხსეულის. ამის  
თვით როშის პაპებიც კი შეიღინდ ქრისტეს და წმინდა პეტრე მოცი-  
კულის მოადგილეები იყვნენ. შეიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლების  
„ქრისტეს სწორია“ მოხსენიება შიომღვიმის კრებულისა და რაც მთა-  
ვარია, უშიოდლესი სასულიერო იქრისტეს, კათალიკოსის შივრ თვალ-  
ნათლივ გვიჩვენებს როგორ აფასებდნენ და რა ღონებზე იყვნებდნენ  
„ფასტიი მონაზონის“ სიხროს ჩეკინთვის საინტერესო პერიოდის ქარ-  
თულ საზოგადოებიში, კერძოდ XIII საუკუნეშიც, მის პირველ ნახე-  
ვარში.

შეიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის „ქრისტეს სწორობა“, უეპვე-  
ლია მოტანილია მეფის „ღვთისსწორობის“ მიბაძვით. „ღვთისსწორ“  
მეფეს, გარკვეული წრის აზრით, „ქრისტეს სწორი“ უმაღლესი მოხე-  
ლე პყრედა. მს წოდებულებაში მეფესა და ჭყონდიდელს შორის აუცი-  
ლებელი დისტანციაც დაცულია და ამ უკანასკნელის მნიშვნელობა,  
როლი ხაზგასმულია.

შეიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის, როგორც საეკლესიო იერაზ-  
ქის ხელისუფლებისათვის დამახსიათებელი ჩანს ის, რომ მათ, რო-  
გორც ჩანს, ერთდროულად რამდენიმე ეპარქია ემორჩილებოდათ.  
ასეთი იყო ჩეკინი აზრით, სუმეონ ბედიელ-ალავერდელი და ჭყონდი-  
დელი, რომელსაც, ვფიქრობთ, არ უნდა დაეტოვებინა ბედიისა და  
ალავერდის კათედრები ჭყონდიდის ეპარქიის მიღების შემდეგ.

როგორც წყაროებიდან ჩანს, ანტონ გლონისთავისძეს, გარდა  
ჭყონდიდისა, ქეონია სამთავისი და კისისსკეცვი<sup>501</sup>. გარდა კათალიკო-  
სობისა და ჭყონდიდლობისა, მიქელ მირიანისძე იყო სამთავნელი და  
მიწყვერელი<sup>502</sup>. ასეთივე მდგრმარეობა ჩანს ბასილი ჭყონდიდელ-  
უჯარმელის შემთხვევაშიც<sup>503</sup>. აზა ვამორიცხული ისიც, რომ XIII  
საუკუნის შიომღვიმის ერთ საბუთში მოხსენიებული ბასილი ალავერ-  
დელი, რომელსაც სამწირველის უჩენს კრებული, ბასილი ჭყონდი-  
დელ-უჯარმელი იყოს.

6. ბერძენიშეიღია ყურადღება მიაქცია სხვადასხვა გეოგრაფიულ  
რეგიონში მცხოვრი საეპისკოპოსოების ერთი პირის ხელში გაერთია-  
ნების ფაქტს (ბერძია-ალავერდი, სამთავისი-აწყური-ჭყონდიდი) და  
იგი საესებით სამთავროიბად დაუკავშირა სამეცნ აღმინისტრაციის

<sup>501</sup> ცხოვრება მცხვეთ-მერიისა თამარისა, გვ. 123.

<sup>502</sup> იქვე.

<sup>503</sup> ფილიალმწერელი, გვ. 253.

გამიეროთიანებელ პოლიტიკას<sup>504</sup>. საამისოდ მოტანილ მაგალითებს შორის დიდელ-უჯარშელობაც ემოწმება.

სამეცნიერო ღიტერატურაში აღნიშნულია ის ფაქტი, რომ მწიგნობართუხუცესის შემდეგ ჭყონდიდელი აღმა ინსენიება ვაზაზირის შინაარსით. ნ. ბერძნიშვილის აზრით, ეს წყაროთა ნაკლულობით აისხვნება<sup>505</sup>. შ. მესხის ბასილი უკანისკენელ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესიდ მიაჩნდა<sup>506</sup>. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, სიცოცხლის ბოლოს ბასილი არც ყოფილიყო ჭყონდიდელი, არამედ შეოლოდ მწიგნობართუხუცეს-უჯარშელი.

დღესდღეობით მიღებული აზრით, ბასილი მწიგნობართუხუცესის სიკვდილით დასჯა 1265 წელს უნდა მომხდიაიყო<sup>507</sup>. ამაზე უაღრეს, 1259 წლის ზაფხულში მონილოთა წინამდებარება აჯანყდა დავით ნარინი<sup>508</sup>, რომელიც ძველი გარემონტის დამარცხების შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადაეიდა. საღაც მეფედ იქნა დაღვენილი<sup>509</sup>. ცხადია, ცალკე დასავლურქართული სამეფოს შექმნის შემდეგ ბასილი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი ველარ იქნებოდა. ჭყონდიდის ეპარქია დავით ნარინის მწიგნობართუხუცესს, დასავლეთ საქართველოს სამეფოს მოხელეს უნდა დაეჭირა. მართალია, ასეთი პირი დატატურებული არაა, მაგრამ ამაზე მივითითებს „ხელმწიფის კარის გარიგება“, დავით ნარინის კარზე შედგენილი. ძეგლში ისენიებიან დავით ნარინის მოხელეები — საწოლის მწიგნობარი ინასარიძე, ამირეჯიბი ქობულისძე<sup>510</sup>. დავით ნარინის სიგელებში ვხვდებით საჭურჭლისა და საწოლის მწიგნობარს<sup>511</sup>, ზარალხანის მწიგნობარს<sup>512</sup>. უკველია, რომ დავით ნარინის საწოლისა და საჭურჭლის, ასევე ზარალხანის მწიგნობარიც ჰყოლია. ბუნებრივია, რომ მას მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელიც ჰყოლოდა, რომლის სახელოშიც სხენებული მწიგნობრები შედიოდნენ.

<sup>504</sup> ნ. ბერძნები მიმდინარეობს საქართველოს ატონის საეპისკოპო, VII, გვ. 29, 90.

<sup>505</sup> ნ. ბერძნები მიმდინარეობს საქართველო, გვ. 29.

<sup>506</sup> შ. მესხის პოლიტიკური კოსტება და სამოხუცურ წყობა, გვ. 26, 71, 77.

<sup>507</sup> ნ. ბერძნები მიმდინარეობს საეპისკოპო, გვ. 28.

<sup>508</sup> ქამთააღმწერელი, გვ. 227—229; კუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიკნარის გმოც., თბ., 1974, გვ. 51.

<sup>509</sup> საქართველოს ატონის ნაკეცები, III, გვ. 570.

<sup>510</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 90; ა. ანთელავა, „ხელმწიფის კარის გარემონტის“ დათარილებისათვის, მნათობი, № 7, 1980, გვ. 160.

<sup>511</sup> იქვე, გვ. 75.

<sup>512</sup> იქვე, გვ. 73; ს. კაკაბაძე, თელამეთა სიცელი, გვ. 238—239.

შევეხოთ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის, როგორც მოხველის  
ფუნქციებსა და კომპეტენციას. ჩვენი ამოცანა გააღვილებულია რეალგანზე  
ა. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი და უკინასენელ ხანს შ. შექმნასწერების  
ლობდნენ ამ საკითხებს. მიუხედავად მისა, შესაძლებელია ზოგიერ-  
თი მოშენტის დაზუსტება თუ გარკვეული მოსახრების გამოთქმა.

მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის ფუნქციების ვასარკვევად  
ა. ჯავახიშვილმა მიმართა დავითის ისტორიკოსის ერთ ცნობას, რო-  
მელიც ვიორგი ჰყონდიდლს შეეხება: „კაცი სრული ყოვლითა ხიე-  
თითა სულითა და ქორცასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა,  
განწრახი, სკანი და ფრთხილი, თანააღმრღდილი აღმზრდელი პატრონი-  
სა და თანაგამყაღელი ყოველთა გწათა, საემეთა და ღუაწლთა მის-  
თა“<sup>513</sup>. ეს ცნობა კონკრეტულად ვიორგი ჰყონდიდლს შეეხება და  
მისი ღვაწლის დახასიათებას წარმოადგენს, მაგრამ ბევრი რამ  
მწიგნობართუხუცესთა საერთო ნიშანთვისებად უნდა ქცეულიყო.  
ნიშანდობლივია, რომ „სიბრძნე და გონიერება“, „სკანი“ გვხვდება  
ანტონ გლონისთავისძის შესახებ ცნობაშიც: „ბრძენი და გონიერი,  
პატრონითათვს სკანი და ერთგული“<sup>514</sup>. თვით ვიორგი ჰყონდიდლის  
დასწული და კელის შემკვიდრე სემეონი მიჩნეულია: „მიმსგავსებუ-  
ლი ვიორგი დედის ძმისა თვისია, კაცი ყოვლითურთ სრული და  
ბრძენი“<sup>515</sup>.

უმკველია, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ტერმინლოგია  
მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის შესახებ („ბრძენი“, „გონიერი“,  
„სკანი“) დამოკიდებულია დავითის ისტორიკოსის ციტირებულ  
ცნობაზე. თამარის ისტორიკოსი ცდილა დაეხატა ისეთივე მწიგ-  
ნობართუხუცესის სახე (ანტონ გლონისთავისძისა), როგორც დავითის  
მწიგნობართუხუცესი ვიორგი ჰყონდიდლი იყო. როგორც დავით  
აღმაშენებელი იქცა ეტალონად შემდგომი შეფეხბისათვის, ჩანს პირ-  
ელი მწიგნობართუხუცესიც ასეთი ყოფილა მისი კელის შემკვიდ-  
რებისათვის.

ცხადია, ვიორგი ჰყონდიდლის შესახებ მოღწეული ცნობის  
უშენიშვნოდ ვავრცელება ყველა მწიგნობართუხუცესზე და, მათ  
შორის, ანტონშეც არ შეიძლება.

სამეცნიერო ლიტერატურში ვარკვაულია, რომ მწიგნობართ-  
უხუცეს-ჰყონდიდლის კომპეტენციას „ყოველი საურავი“ შეადგენდა  
და მისი ეს უფლება მეფის, „მამობით“ იყო დასაბუთებული<sup>516</sup>.

<sup>513</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 336.

<sup>514</sup> ისტორიანი და აზმანი შარაუინდებლთანი, გვ. 33.

<sup>515</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 345.

<sup>516</sup> ა. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის მტორი, წ. II, ნავ. I,  
გვ. 129; ნ. ბერძენიშვილი, სავაზირი, გვ. 38.

უეჭველია, რომ „მეფის მამობა“ ჰყონდიდელისა გიორგი ჰუონ-დიდელის სახელთან ღაევეშირებული ტრადიციის გამოიხატებულ შემ-გორუ „ისტორიათა და აზმათა“ ივტორი, ისე „კარის ჭარბულების ჩატულებას და ბევრი შტრიხი ჰყონდიდლობის კელისა, მოცემული დასახელებულ ძეგლებში, სწორედ ამ უკანისკენელიდან უნდა მომდინარეობდეს. წვენ ზემოთ შოვიტანეთ „ისტორიათა და აზმათა“ ცნობა ანტონ ვლონისთვისის შესახებ, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიის ტექსტზე უნდა იყოს დამოკიდებული. აქედანევ უნდა იღებდეს სათავეს „კარის გარიგების“ ცნობაც „მეფის მამობის“ შესახებ.

კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა მწიგნობართუხუცეს-ჰუონ-დიდლის „ყოველი საურავი“, ან რა სისრულისა იყო ის?! ი. ჯავა-ხიშვილმა გაარკვია, რომ ჰყონდიდელს არ ჰქონდა უფლება მეფის გარეშე „საურავისა“, რისი დარღვევაც ბასილი მწიგნობართუხუცესს სიცოცხლის ფასად დაუკვდა<sup>516</sup>. აქედან გამომდინარე, მწიგნობართუხუცესს მხოლოდ მეფესთან ერთად და მისი დასტურით შეეძლო „ურვა“. მთელი მისი წელისუფლება მეფისაგან იყო დელეგირებული.

მწიგნობართუხუცეს-ჰუონდიდელი, როგორც მეფისა და კარის უპირველესი მოხელე, ახორციელებდა ცენტრალური აბარატის ყველა უწყების კონტროლს და თავის ხელშვეითების მეშვეობით რევიზიას უკეთებდა მეფის ქონებას — საჭიროდესა და ზარალდებას; თავისი შტატის მეშვეობით ამზადებდა და ფიქსაციას ანდენდა სახელმწიფო საბჭოს („კარიობის“) დაღვნილებებისა და გადაწყვეტილებებისა.

ცალკეულ უწყებებზე საუბრისას ყოველივე ეს, ეფიტობათ, შესაძლებელი სისტულით გამოჩნდა. საფიქრებელია, რომ მწიგნო-ბართუხუცეს-ჰუონდიდლის მწიგნობრები ანდენდნენ სახალის ყველა უწყებისა და სამსახურის რევიზიას და კონტროლს. ნიშანდობლივია, რომ თვით ძალების რეგისტრაციისაც კი მწიგნობარი ანდენდა<sup>517</sup>.

სამეფო საქონებლის რევიზრაცია და რევიზია-კონტროლი, რომელსაც ახორციელებდა მწიგნობართუხუცეს-ჰუონდიდლის სახე-ლო, საშუალებას იძლევდა ამ კელის მფლობელს შეეღწია ყველა უწ-

<sup>516</sup> ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

<sup>517</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 89. მწიგნობართუხუცეს 1 აკონტრო-ლო უწყებებზე იხ. საქართველოს ასტორის ნაბეჭები, III, გვ. 638, 640.

უებასა და სამსახურში არა როგორც ამ უწყებათა მმართველს, არამედ როგორც სამეფო კონტროლიორს.

ჩევნი აზრით, სწორედ ეს იყო სამეფო „სახლისში ქანცხვის მწიგნობართუხუცესის მხრივ. ცხადია, მწიგნობართუხუცესის უძულოდ არ მართავდა ცენტრალური პარატის უწყებებს. მათ თვეიანთი სამმართველო აპირაცი და ხელშძლეანელებიც მყავდათ. მწიგნობართუხუცესს მათ უწყებებშე ხელი „მეფის მამობით“, მეფის საქონებლის დაცვისა და კონტროლის უფლებით მიუწვდებოდა.

მწიგნობართუხუცეს-ჰუნდიდლის უმნიშვნელოვანეს პრეტოგატივის „ქვრივ-ობლები და უღონონი“ შეაღვენდნენ<sup>518</sup>. წყაროებში ეს მომვნეტი ხაზებსმითაა გამოყოფილი მწიგნობართუხუცესის სახელოსთან დაკავშირებით. ჰუნდიდლები იწოდება „საღმრთოთა შეჯურითა მართლმსაჯულიად“, „ხელისამპყრობელიად უღონოთა და ქურივთა“<sup>519</sup>. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მინელვით, ჰუნდიდლები „ომოლოთა და ქვრივთა და მიმდღვრებულითა მონივითა განიკინებეს“<sup>520</sup>. აქედან კარგად ჩანს მწიგნობართუხუცესის მართლმსაჯულებითი ფუნქციები და ისიც, თუ რა სფეროს შეეხება იყო.

მწიგნობართუხუცეს-ჰუნდიდლის კომპეტენციას, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, შეაღვენდა: „გელათისაგან კიდე საყდარინი და სხვანი მონისტერინი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონი და რაც საეკლესიაონი დასნი არიან“<sup>521</sup>.

ვფიქრობთ, ამ ცნობას დიდერენციირებული მიღობა ესაჭიროება. ი. ჯავახიშვილის აზრით, „მწიგნობართუხუცესს ეკითხებოდა უკელა საქმეები ეკლესიებისა და მონასტერებისა, სამღვდელოებისა და მოწესეთა შესახებ“<sup>522</sup>. ასეთ საქმეებად მას მიაჩნია „შეუვალობისა და სხვადასხვაგავირი უპირატესობის მინიჭებისა თუ წართმევის“<sup>523</sup> საკითხები. ეს შეუძლებელია ასე ყოფილიყო. ერთი იმიტომ, რომ უკელა საქმეები კათალიკოსის ხელისუფლების კომპენტენციას შეაღვენდა და მეორე ის, რომ მწიგნობართუხუცესის უფლება და პრივილეგია არ იყო და ვერც იქნებოდა შეუვალობის ბორება თუ წართმევა.

მწიგნობართუხუცესის სახელოსა და კომპეტენციას შეაღვენდა სამეფო მონასტერები და მათი მართვა-გამგეობა.

<sup>518</sup> ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128; ნ. ბერძენიშვილი, სავაჭირო, გვ. 39.

<sup>519</sup> წერნი საქართველო, გვ. 3.

<sup>520</sup> ქართული სამართლის ქავლები, II, გვ. 81.

<sup>521</sup> იქვე, გვ. 82.

<sup>522</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის სტურია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 132.

<sup>523</sup> იქვე, გვ. 133.

ამ მხრივ საყურადღებო და მრავლისმთქმელი მისაღის მომცემის  
შიომღვიმის მონასტრის მდგომარეობა. დავით აღმაშენებლის ანდერ-  
ძის მიხედვით, შიომღვიმე „სვიმეონ ბერიელ-აღავერდებულის“ სახლში  
შევეღრებულ, რაცა საქმე და საურიავი მათი იყოს, იგზ მურტყოდის,  
რომელსა წვენ ვერ შივიწინეთ ... თუ მისსა დაგიღსა ამითვე წესითა  
სხუა მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურვოდის<sup>524</sup>. მავევ დოკუმენტ-  
ში აღნიშნულია: „გარეშე მონაშენისა მწიგნობართუხუცესისა სახა-  
ურეოსა“<sup>525</sup> ნურინ განდღასო. ი. ჯავახიშვილის აჩრით, შიომღვი-  
მის პრივილეგიები „აზაჩევეულებრივი უპირატესობა“<sup>526</sup> იყო. ისევე  
მიიჩნევს ბ. ლომინაძე, რომელიც ხაზს უსვამს შიომღვიმის გამორ-  
ჩეულობას<sup>527</sup>. ვფიქრობთ, აზაჩევეულებრივი იქ აზაფერია, რადგან  
თვით ბ. ლომინაძისავე აღნიშნით, შიომღვიმე სამეფო მონასტერი  
იყო და როგორც ასეთი, განსაკუთრებულად პრივილეგირებულიც-  
ანდერძმი შიომღვიმეს დავით აღმაშენებელი ასენებს, როგორც  
„ეკლესიისა ჩემისადა“, „ჩემსა ეკლესიასა შინა“. სწორედ ამ უფლე-  
ბით მართავს შიომღვიმეს მწიგნობართუხუცესი. XIII საუკუნეშიც:  
„ერთა დიდსა და მეტეთა შორის სანატრელსა დავითს ენება, შიო-  
მღვიმის „მოურავეად“ [მწიგნობა] რთუხუცესი ვაზირი მონაშონი  
ჯდეს“<sup>528</sup>.

შიომღვიმის შეუვალობაც არ შეიძლება ჩაითვალოს „აზაჩევეუ-  
ლებრივ უპირატესობად“<sup>529</sup>. შეუძლებელია სამეფო მონასტერი კათა-  
ლიკოსის „შესავალი“ ყოფილიყო.

სავსებით დასაბუთებულია ბ. ლომინაძის აჩრი, რომ სწვა სამეფო  
მონასტრებიც (დავით-გარევი, ანჩის საარქიმიონდრიტო) მწიგნობართ-  
უხუცესის განსაკუბელს შეადგენდა<sup>530</sup>. ამაზევე უნდა მიუთითებდეს  
ანტონ გლონისთავისძის საეკლესიო მშენებლობა მღვიმესა და კლარ-  
ჯეთში<sup>531</sup>.

ამღნად, მწიგნობართუხუცესის „საურავს“ შეაღვენდა სამეფო  
მონასტრების განგება და ეს უკშეველია შედიოდა „სახლის საურავში“.  
საბოლოო ჯამში ხომ სამეფო მონასტრები მეფის ქონებას შეაღვენ-  
დნენ.

<sup>524</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 17.

<sup>525</sup> იქვე.

<sup>526</sup> ი. ჯავახიშვილი ლიახ. ნაშრომი, გვ. 133.

<sup>527</sup> ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, თბ., 1953, გვ. 38.

<sup>528</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 160.

<sup>529</sup> ი. ჯავახიშვილი, ლიახ. ნაშრომი, გვ. 133.

<sup>530</sup> საქართველოს სტრატეგის ნაჩენევები, III, გვ. 638, სქმლით 5.

<sup>531</sup> ცხოვრება მეფეთ მეურსა თამარისი, გვ. 137.

„ნებლივიდას კარის გარიგების“ ციტირებულ ცნობასთან დაკავშირებით, განმარტებას ითხოვს დავითის ისტორიკოსის ერთ-ერთ ძეგლის ლიც: „მონასტერი და საეპისკოპოსონი და ყოველი ეკლესიურ დარგისა ღოცვისა და ყოვლისა საეკლესიოსა განვებისა და ობიექტის კარით მიიღებდან, კითა კანონისა უციომელსა ... კეთილ-წესიერებასა ღოცვისა და მართვისა“<sup>532</sup>. ეს ცნობა თავისი შინაარსით ექმაურება „კარის გარიგების“ მონაცემებს „რაც საცელესიონ დასწინ არიან“ მწიგნობართულუცების სახელოსადმი მიეუთვების შესახებ.

დავითის ისტორიულის ცნობამ, თუ იგი გარკვეულად აზ იქნა გააშრებული, მხოლოდ გაოცება შეიძლება გამოიწვიოს. ღოცვისა და მარხვის, საეკლესიო განვების წესი და რიგი მონასტრებსა და საკისეროებს თითქოს სასახლის კარიღიან უნდა მიეღოთ. ღოცვა-მარხვის წესები ამ დროისათვის ჩამოყალიბებული იყო და პრეტერიკითაც ცნობილი. დაუკვერებელია საქართველოს სამეფო კასს წირვა-ღოცვისა და მარხვის ახილი წესების შემუშავების ფუნქცია ეტვირთა და ისიც კომსტანტინოპოლის ლიტურგიის შემთხვების შემდეგ.

კვირიობთ, ამ საკითხის ანსნის თამარის შეორე ისტორიკოსის მონაცემები უნდა იძლეოდნენ. აბუბექრის წინააღმდეგ გასაღაშქრებ-ლად თამარმა ჯარის შეკრა ბრძანა და ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ „კეზირობა-გამორჩევაში“ ანტონ ჭყონდიდელს დაავალა: „მიუმცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადე-ბელი ღამის თვევანი და ლიტანიამიანი იღესრულებოდიან ყოველსა აღვილა“<sup>533</sup>.

სასახლის კარიდან ლოცვა-მარწვის წესების მიღება სწორედ ძმენის გითარებას უნდა გულისხმობდეს. საუბარი შეეხება ლაშქრის გიმარჯვებისათვის ლამისთვებსა და ლიტანიობას, და არა საერთოდ საკულტო ლოცვა-მარწვის, რომელსაც უკუკველია ისედაც მისღვე- დნენ ეკლესია-მონასტრებში. ცხადია, ძმენის ექსტრაორგანიზაცი- ლონისძიებანი სხვა შემთხვევებისთვისაც შეიძლებოდა ჩატარებუ- ლიყო (მაგ., მეცნის ივანე მურავიას ლროს).

მწივნობართუსულეს-ჰყონდიდელს სწორედ ამგვარი პრიმენებების დაყვანა ევალებოდა კველა ეკლესია-მონასტრისდე და საეპისკოპო-სომდე. იგი კვრ ჩაერეოდა ეპისკოპოსის ფუნქციებში.

ამდენად, თუ შევაჯვებოთ ზემონათქვაის, მწიგნობართუებულესია და საწოლის მწიგნობრის უშუალო კომპეტენციას შეაღენდნენ სამეცნ მონასტრები. მათივე ფუნქციას წარმოადგენდა საგანგებო პრძანებულებების დაზიანა ყველა კლეისია-მონასტრებში, რომელიც

ପାଦ ପ୍ରକାଶନୀରେ ମୁଦ୍ରଣ-ମ୍ବାଲ୍‌ଗ୍ରହିତ ଲାଭଗତୀର୍ଥ, ପୃ. 352.

<sup>512</sup> ପ୍ରେସର୍ଟା ମେଲ୍‌କ୍ରେଟ-ଶ୍ରୀତିଳା ନାଥର୍ମହାନ୍ତିର, ୩୩. ୧୨୩.

ჭყონდიდელს, ცხადია არ ექვემდებარებოდნენ. აქ იგი, როგორც მწფის მოხელე და მავე ღრუს საეკლესით იქრანქი, მეტყეს მზიდან გადამცემდ ჩანს მოღოლო.

ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ მწიგნობართუხუცესი კონტროლს უწევდა სასახლის კარის უწყებებს. ასეთივე ფუნქცია პქონდა მას სამხედრო უწყების მიმართ. ამასთან, მის უშუალო მოვალეობას წარმოადგენდა ლაშერის წვევის წიგნების შედგენა<sup>534</sup>. ეს მოვალეობა მკვლევართ მიანით იმის მანიშნებლად, რომ მწიგნობართუხუცესს ლაშერიც ექვემდებარებოდა<sup>535</sup>. „მაშასადამე, კანონით მწიგნობართუხუცესს და არა ამირსპასალარს უნდა დაეგზავნა ლაშერის წვევის წიგნები და ჯარის შეყრის ბრძანება გაეცა“<sup>536</sup>.

ვფიქრობთ, ლაშერის წვევის წიგნების დაგუშავნაში არ ჩანს მწიგნობართუხუცესისაღმი ჯარის დამორჩილება და არც იგი იძლეოდა საამისო ბრძანებას. „ისწრაფედ დაწერიდ და მიმოდალევით ბრძანება, რათა მსრაფლ შემოკრბეს მექედრობა“-თ<sup>537</sup> ივალებს „ვეზირთბაზე“ თამარი ანტონ გლორისთვისძეს. ტექსტიდან კირგად ჩანს, ვინ იძლევა ბრძანებას და რა ევალება ჭყონდიდელს. ჯარის შეყრის ბრძანება მნილოდ მეფეს შეეძლო გაეცა’ და არა მწიგნობართუხუცესს ან ამირსპასალარს. „დიწერა“ კი სრულიად ბუნებრივია, ევალება იმ უმაღლეს მოხელეს, რომელსაც მწიგნობრები ექვემდებარებიან. მეფის ბრძანების „მიმოდალება“, როგორც ჩანს, უკვე ამირსპასალარის სახელოს ფუნქცია იყო, „ბრძანება და წიგნები ქროდა მაღლმსრბოლოთა“-თ<sup>538</sup>, აღნიშნებს თამარის მეორე ისტორიების. მაღლმსრბოლები კი, როგორც გარკვეულია, ამირსპასალარის სახელოში შედილნენ.

ამდენად, ლაშერაზე და სათანადო უწყებებზე მწიგნობართუხუცესს ხელი მიუწვდებოდა საერთო კონტროლის თვალსაზრისით. იყო არ იძლეოდა ლაშერის წვევის ბრძანებას, რადგან არც მას და არც რჩ თქმა უნდა ამირსპასალარს საამისო უფლებამოსილება არ გააჩნდათ.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი კ. წ. „საგანიოროს“ თავმჯდომარე იყო<sup>539</sup>. აღნიშნული მოსახრება არ შეესაბამება სინამდვილეს. „ვეზი-

<sup>534</sup> ცხოვრება მეტეთ-მეცისა თამარის, გვ. 125.

<sup>535</sup> ა. ვაკე ი შვილ ი, დასახ. ნამრობი, გვ. 131; შ. მ გ ს ხ ი ა, დასახ-ნამრობი, გვ. 97.

<sup>536</sup> ა. ვაკე ი შვილ ი, დასახ. ნამრობი, გვ. 131.

<sup>537</sup> ცხოვრება მეტეთ-მეცისა თამარის, გვ. 125.

<sup>538</sup> იქვე, გვ. 134.

<sup>539</sup> ა. სუ ჩ გ უ ლ ი კ კ, საქართველოს ხეხელმწიფოს და სამართლის საერთხები „კეთების ტყოსნის“ მიხედვით, გვ. 144.

რობა” სრულიად გარკვეული თანამდებობის პირების თათხებით გვის  
შეფეხსთან და მსოლოდ მასთან. ერთადერთი წყარო, საღაც „ვეზიო-  
ბის“ ცერემონიალია აღწერილი, ეს აჩის „ხელმწიფის კარის გარემონტი-  
ბა“, რომელიც საქმიალ მეაფით მონაცემებს გვაწვდის ამის შესახებ.  
„ვეზიორობის“ უაღრესი შნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ შეფეხ  
სათანადო მოწყობილობა — „სიერიტონი“ ცველგან თან ასლდა სა-  
ხელმწიფო ბეჭედთან ერთად. აქელან ცხადი უნდა იყოს, რომ „ვეზი-  
ორობის“ მოწვევა, შასზე თავმჯდომარეობა, შეფის და არა შწივ-  
ნობართუხუცეს-ჭყონლიდლის პრეროგატივას შეაღვენდა. არც შწივ-  
ნობართუხუცესს და არც სხვა უმაღლეს მოხელეებს არ შეეძლოთ მე-  
ფის დამწრების გარეშე „ვეზიორობა“ მოეწვიათ და გაღაწევამდილება-  
ნი მიეღოთ. სწორედ ამგვარი რამ მოიხსევა ჩვენი აზრით, ყუთლუ-  
არსლანმა „კარივის“ სახით (ამაზე ქვემოთ) და ეს მეფის საკუთარი  
პრეროგატივების სელფონად აღიქვა. ასევე „თვინიერ შეფისა საურა-  
ვის“ ქმნისათვის დაისაჯა სიკვდილით ბასილი მწივნობართუხუცესი.

ამდენად, მწივნობართუხუცესი — ვაზირი გვეხსახება ცენტრა-  
ლური მმართველობის უპირველეს მოხელედ, კველა უწყების სამეფო  
კონტროლითორებიდ, რომელიც სათავეში ედგა მწივნობართა შტატს;  
უმუალოდ ვანაგებდა სამეფო მონასტრებს; თავმჯდომარეობდა უმაღ-  
ლეს სამეცნიერო სასამართლოს. მწივნობართუხუცესი ერთდროულად  
იყო როგორც სამეფო სანლის, ისე სახელმწიფოს მოხელე და ამ  
ხელისუფლებაში საჯარო და კერძო საწყისები დიუქრენცირებუ-  
ლი არ ყოფილა.

ისტორიოგრაფიაში დადგენილად ითვლება, რომ მწივნობართ-  
უხუცესი არ იყო დაკავშირებული სამიწო მფლობელობასთან და იგი  
არაფერს იღებდა თავისი თანამდებობისათვის, მაშინ, როდესაც ამირ-  
სპასალარი, მანდატურთუხუცესი და სხვანი სათანადო ქვეყნებს  
იღებდნენ დროებით მფლობელობაში<sup>440</sup>, უნდა აღინიშნოს, რომ თვით  
შეყონდიდი და სხვა ეპარქიები (სამთავისი, აღავერდი, ბედია) თავის-  
თავიდ წარმოადგენდნენ საეკლესიო ბენეფიციუმს და სწორედ ისინი  
ეძლეოდა მწივნობართუხუცესს თავისი თანამდებობისათვის<sup>441</sup>. ის კი  
ცხადია, რომ მწივნობართუხუცესის ბენეფიციუმებს არ შეიძლებოდა  
ქქონლათ „გამქეილრების“ ტენდენცია საერთ „კარის უხუცესთა“  
„სახელო“ ქვეყნების მსგავსად.

440 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 217, 354.

441 ასეთი პირი გადატირ გამოსცევის ნ. ბერძნიშვილთან: „ცეკვილიულს სამა-  
ტო ქონება არა აქვს მწივნობართუხუცესისათვის, თუ მარტევის სამწუხა-  
ვის განვიხილეთ ასეთად“ (საქართველოს ისტორიის საეთხები, VII, გვ. 79).

მანდატურითურიცესი



მანდატუროსუბუცესის სახელო ერთ-ერთი ყველაზე კუთხირიშიშვილი გნელოვანი და საბატიო იყო საქართველოს სამეფო კარზე. ამ ინსტიტუტის შესახებ არსებულ მასალებს თავის ღროშე თავი მოუყარა ი. ჯავახიშვილმა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მანდატუროსუბუცესი ობერცერემონმაისტერის, სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის უფროსის მსგავსი სახელო უნდა ყოფილიყო<sup>542</sup>. მის თანამდებობრივ ნიშანს იქნოს სამანდატურო არგანიზარმოადგენდა<sup>543</sup>. მკელევარები აღნიშნავენ მანდატუროსუბუცესის „საპოლიციო-ზედამნედველობით“ და ზოგიერთ „სამეურნეო“ ფუნქციასაც სამეფო ზერების დამუშავების დროს<sup>544</sup>.

„საგანმცენს“ უწყებაზე კაუბრისას შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ სწორედ ეს უწყება მირთავდა სამეფო სახლის ღომებს, სახასო ქონების და მისი მეთაური ეზოსმოძღვარ-ჩუხჩარეგი ანუ გამცემუხუცესი სამეფო ეკონომისი იყო. საგანმცენს უწყება, როგორც გარკვეულია, შედიოდა მანდატურთუხუცესის სახელოში. აქედან გამომდინარე, მიეკვიდით იმ დასკვნამდე, რომ სწორედ მანდატურთუხუცესი იყო სამეფო ღომენისა და სასახლის მმართველი, სასახლის „მინისტრი“ და არა მსახუროთუხუცესი, როგორც აქამდე იყო მიღებული. ეს, ცხადია, არ გამორიცხავს მანდატურთუხუცესის „საპოლიციო-ზედამხედველობით“ ფუნქციებს.

შანდატურთუხუცესის სახელოს ამგვარი გაეყბა, კუიქრობთ კარგად უნდა სისიდეს იმ ფაქტსაც, თუ რატომ განტვებდა ეს შოხელე სამეფო პურობა-დაზღაპობის ცერემონიალს, რატომ „იურკვებდა პურის წინობას“. უნაღია, მისი ეს საპატიო ფუნქცია უშუალო კავშირში იყო პირველ რიგში „სამეფო სახლის“ გამგებლობასთან და არა საპოლიტიკო, ან ფოსტისა და მიმოსვლის უფროსობისთან.

შანდატუროუბუცესის სახელო ახლოს იდგა ოღმოსავლურ-მუსულ-  
მანურ მირბართან (ämire bar) — სახახლის მირასთან<sup>545</sup>. უნდა

157-160. ගැංච්ඡල සාම්ප්‍රදායක, ශ්‍රී ලංකාව සඳහා ප්‍රතිඵලිග, ඩී. එම්. තුන්සි, 1, 33.

543 of 392, 23. 157.

545 3. ინგრ. ტერმინი, მისამართი მანდატურთუხლევესის პარალელური სახელშოთვა იყო (ჩუთვალისანის ეპილოვი, ვ. 562); იხ. ასკე ჯ. გიუნაშვილი, О происхождении термина *Amirbag-i*, Филологические заметки, Тб., 1978, с. 18.

აღინიშნოს, რომ ეს სახელო დასავლეთურობულ „მითორდომთან“ და „პუალცურაფთანაც“<sup>546</sup> ანლოა. სხვა შეგვის შედარებების დროსაც აღნიშნული გვაქვს და იქაც გვსურს გავიმეოროთ, რომ მანდატურობა უხუცესი უაჭერლია ფუნქციურად იდგა ახლო აღნიშნულ ჩინწილურებთან. ჩევნ არ ესაუბრობთ მათ იდენტურობაზე.

მანდატურობულების თანამდებობისა და მისი სახელდებით მფლობელის დასახელება პირებისად გთორგი III-ის შეფობის მიწურულს გვხედება ნარატიულ წყაროებში<sup>547</sup>. უკანასკნელ ხანს შ. მესხიაშ ეპიგრაფიული მასალის მოშვერიებით დაადგინა, რომ ეს სახელო ისხენება უკვე XII საუკუნის დამდეგასც და მისი შემოღება დავით IV აღმაშენებლის სახელს დაუკავშირა<sup>548</sup>. ტერმინი „მანდატური“, როგორც თავის დროზე ი. ჯავახიშვილმა შენიშნა, უკვე ბავრატ IV-ის და გთორგი II-ის დროინდელ წყაროებშია დადასტურებული<sup>549</sup> და საფირჩებელია, რომ იგი მანდატურობულების არსებობის მანიშნებელიცაა. დავით IV აღმაშენებლის დროს ამ სახელოს ჩიმოყალიბებული სახე უნდა მიეღო, როგორც შ. მესხიაც შენიშნავს<sup>550</sup>.

მანდატურობულების სახელოს, გარდა საგანგეოს უწყებისა, ეკუთვნილა „ხაივო კარი“ და ამირეჯიბის სახელო, რომელსაც თავის მხრივ ეჯიბები, მესტუმრებები და მერიგები ექვემდებარებოდნენს. ეჯიბებისა და მესტუმრებების ფუნქციები (მოხელეთა და სტუმართა წყვევა, მათი „მოურნეობა“) თვალისათვის მიგვანიშნებენ, რომ ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მასპინძელ“ უწყების, სახელოს მიეკუთვნებიან, რაც დამატებით უსვამს ხასს ჩვენს დასკვნის მანდატურობულების სახელოს შინაარსის შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მანდატურობულების სახელოს, თაოქმის ყოველთვის ამირსპასალარის სახელოს შემდეგ განიხილავთ<sup>551</sup>. ამგარი მღვიმეარეობაა დამახასიათებელი ცნობილი გუნიაფალის წარწერის ცნობების შესწავლისათვისაც<sup>552</sup>. ლ. მუსხელიშვილმა

<sup>546</sup> ი. ფისტელ დე-კულანჯ, Францкая монархия, с. 205—227.

<sup>547</sup> ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

<sup>548</sup> შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური გოთარება და სამოხელეო წყაბა, 23. 20—21.

<sup>549</sup> ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157—158.

<sup>550</sup> შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

<sup>551</sup> ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164—165.

<sup>552</sup> ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150; ი. სურგულაძე, საქართველოს სტუმარის ნარკვენების III ტანი.

ბერძენიშვილი, მანდატურობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საქონები, III, გვ. 160—161; პ. ინგორაშვილი, რუსთველანის ეპილოგი, გვ. 569; ი. ბაქრაძე, XIII ს. წარწერა ვრცელულდან, საქართველოს სახ. მენეუმის მომბე, XVII—B, 1953, გვ. 224 და სტკ. ნაშრომები.

თავის დროზე მოუთითა, რომ მანდატურთუხუცესი იშირსპასალარი უწინ უნდა იჩენიებოდეს<sup>554</sup>. კფიქრობთ, დ. მუსხელიშვილის ქადაგი, აღრე გაკურით გამოიქმული ი. ჯავახიშვილის მიერ (რომელიც მეტად დეგ თვითონ აღარ დაუცავს)<sup>555</sup>, სავსებით სწორი უნდა იყოს. მართალია, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, პატივი ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა „სწორია“<sup>556</sup>, მაგრამ ჩამოთვლის დროს, როგორც სათანადო მასალიდან ჩანს, უპირატესობა ეკუთვნოდა მანდატურთუხუცესს. ამ საკითხზე სწორი თვალსაზრისის ჩამოყალიბების არა შარტო მმართველობისა და ეტიკეტის სტრუქტურისათვის აქვს მნიშვნელობა. ხშირ შემთხვევაში შასზე დამოკიდებულია ძეგლების მონაცემების (მაგ., კუნია-ყალის წარწერის) სწორი გავება და ინტერპრეტაცია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შ. ჟესჩია აღნიშნავდა: „არ შეიძლება ხაზი არ ფავუსვათ ერთ მნიშვნელოვან გარემოებისაც: ნარატიულ თუ ეპიგრაფიულ ქართულ-სომხურ წყაროებში ხშირ შემთხვევაში მთელი XIII ს. მანძილზე ჯერ მანდატურთუხუცესის სახელო მოიხსენიება, ხოლო შემდევ ამირსპასალარისა ... იქნებ ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ არა მთელ XIII ს. ზინძილზე არამედ მხოლოდ გარკვეულ დროს ... დაეით აღმაშენებლის ზეოშაში“<sup>557</sup>. საფიქრებელია, რომ მანდატურთუხუცესი მოიხსენიების თვალსაზრისით წინ უსწრებდა ამირსპასალარის XIII საუკუნეშიც. უკინისენელი ხას ამ საკითხს საგანგებო ნაშრომი უძღვნა კ. ოთხშეზურმა, რომლის ასრით ამირსპასალარი წინ იდგა მანდატურთუხუცესზე. ეს მოიხსენება დასბუთებულია ამირსპასალარის „ერთ-ერთი პირველი მოხელეობით“, გუნია-ყალის წარწერით და „ხელმწიფის კარის გარიგებით“, რომელის მიხედვითაც მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის პატივით სწორია<sup>558</sup>.

წვენ ამ კდიობით იმაზე, რომ ამირსპასალარი მართლაც იყო ერთ-ერთი უდიდესი მოხელე და თავისი რეალური მნიშვნელობით ის შეიძლება უსწრებდა კიდეც ჭიდატურთუხუცესს, მაგრამ „ძველთაგან მომდინარე ტრადიცია ამირსპასალარზე აღრე მანდატურთუხუცესის დასახელებისა, როგორც ჩანს, მაინც გრძელდებოდა“<sup>559</sup>.

<sup>554</sup> ღ. მ ე ს ხ ლ ი შ ვ ი ლ ი, თორელთა განკულობის გარკვევის ცდა პამატლებ XII ს. წარწერისთან დაკავშირებით, საქართველოს სახ. მუზეუმის მოაზე, X—B, 1940, გვ. 36—37.

<sup>555</sup> ი. ჯ ვ ი ა ნ შ ვ ი ლ ი, ღასახ. ნაშრომი, გვ. 123—124.

<sup>556</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 96.

<sup>557</sup> შ. მ ე ს ხ ი ა, ღასახ. ნაშრომი, გვ. 23—24.

<sup>558</sup> გ. ოთხმეტე უ რ ი, უხუცესი ვაზრები და მათი რეგი საქართველოში, გაცენ, ასტორისის სერია, № 2, 1979, გვ. 118.

<sup>559</sup> შ. მ ე ს ხ ი ა, ღასახ. ნაშრომი, გვ. 24.

განვიხილოთ სათანადო მასალა. ქრისტერაში დასაცულ  
ბულომ „მანდატურთუხუცესი და ომირსპასალარი“ (1156, წ. 560-  
შიომღვიმისაბლიუ ბოძებულ საბუთში ჭიაბერი საკუთარ ფაქტის და  
ნიებს „მანდატურთუხუცესად და ომირსპასალარიდ“<sup>561</sup>; „ისტორიანში  
და აზმანში“ ივანე ორბელი დასახელებულია მანდატურთუხუცესად  
და ომირსპასალარიდ<sup>562</sup>. სომხურ წარწერებში, რომლებიც საგანგებოდ  
განიხილა შ. მესხიამ, ზაქარია უკალგან მანდატურთუხუცეს-ომირ-  
სპასალარიადა წოდებული<sup>563</sup>. პარიშის წარწერა დამოწმებული იქნა  
გ. ოთხმეტურსაც<sup>564</sup> და აქაც ასეთივე ვითარებაა. ცხადია, გუნია-  
ყალის წარწერა არ შეიძლება ამ მხრივ გამონაკლისი იყოს. არის, რა  
თქმა უნდა, შემთხვევები, როდესაც მანდატურთუხუცესისა და ომირ-  
სპასალარობის ხელის გამიერთიანებული მნილოდ ამირსპასალარიდ  
იწოდება, მაგრამ, როდესაც ორივე თანამდევბობა და-  
სახელები უდია, მანდატურთუხუცესი კოველი კოველი კოველი კოველი  
უსწრებს ამირსპასალარს. ეპიგრაფიკული და დოკუმენტური  
ძეგლები იურიდიული მნიშვნელობის აქტები იყო და ორივე სა-  
ხელის გამიერთიანებულებმა კარგად იკოდნენ რომელი რომელის შემდეგ  
უნდა დაესახელებინათ; ასე ჩანს ეს XII საუკუნის და XIII საუკუ-  
ნის დამდეგის მასალებიდანაც.

ცხადია, რომ მიუხედავად მანდატურთუხუცესისა და ომირსპა-  
სალარის პატივის თანაბრობისა („ქარის გარიგება“), ერთ-ერთი მა-  
ინც პირეელად უნდა დაესახელებინათ. ისეთად კი, სავსებით ბუნებრი-  
ვია, სამეფო სასახლისა და დომენის მართვის სახელოს მფლობელი უნ-  
და ყოფილიყო.

რაც შეეხება გუნიაყალის წარწერას, შ. მესხიამ სათანადო მასა-  
ლის საფუძველზე დამაჯერებლად დასაბუთა, რომ იგი არ შეიცავს  
ვაზირთა სისა და ძეგლში მოსხენიებული შალვა არ იყო მანდატურთ-  
უხუცესი, ხოლო განძინის წარწერების შალვა ჯიფელი უნდა იყოს<sup>565</sup>. წვენი მხრივ გვინდა მიუუთითოთ ლაშა გოორგის სიცოცხლეშივე შედ-  
გენილ მატიანეზე, სადაც ზაქარია მხარგრძელი მანდატურთუხუცე-  
სად და ომირსპასალარიდ ისხენიება ღაშის მეფობაშიც<sup>566</sup>. იქვე კან-

<sup>560</sup> ღ. მე ღ. ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი. ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა, თუ-  
შომები, ტ. 108, თბ., 1964, გვ. 318.

<sup>561</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 29.

<sup>562</sup> ისტორიკი და აზმანი შარევანდელობინი, გვ. 6.

<sup>563</sup> ერულად ის. შ. მე ს ხ ი ა, ღამახ. ნაშრომი, გვ. 23—24, 250, 301.

<sup>564</sup> გ. ოთხ შ ე ს უ რ ი, ღამახ. ნაშრომი, გვ. 118.

<sup>565</sup> შ. მე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური კომიტეტი, გვ. 37—63. ის. სევერ კ. ც ი ს-  
კარ ი შ ე ი ლ ი, ფიცხეთის ეპიგრაფიკა, როვორც სასტორო წყარო, თბ., 1959,  
გვ. 96—106.

<sup>566</sup> ღაში გოორგის დროინდელი შემატება, გვ. 370.

როლის ამღებად დასახულებული შალვა თორელის მანდატურით გადატენუად ცესობა არ დასტურდება ლაშა ვიორგის მემატიანის ცნობით, კუნძულის კელს ათაბაგთან კავშირშიც შევეხებით.

ამრიგად, მანდატურთუხუცესი იყო სამეფო სახლისა და დომენის გამგებელი, რომელსაც ემორნილებოდა ცენტრალური აპარატის უწყებები — სააჯო კარი და საგანგეო აშირეჯიბისა და ეზოსმოძღვრის მეშვეობით. იგი ედგა სათავეში სათანადო წესრიგისა და დისციპლინარული რეჟიმის დაცვას, თვალყურს ადევნებდა ეტიკეტისა და ცერემონიალის შესრულებას.

### აშირსპასალარი. ათაბაგი

ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ამირსპასალარის სახელის პირველად ი. ჯავახიშვილი შეეხო საგანგებოდ<sup>567</sup>. მან ეს ტერმინი თამარის მეფობაში შემოღებულად მიიჩნია, რაღაც მისი ანტით, თამარიამდე არც იყო საჭიროება ამირსპასალარის არსებობისა<sup>568</sup>. თვით ტერმინი „ამირსპასალარი“ მკვლევარმა მიიჩნია არაბულ სპარსულ კომპოზიტად, რომელიც მისივე აღნიშვნით სპარსულ-არაბულში არ იხმარებოდა<sup>569</sup>.

უკანასკნელ ხასს ამირსპასალარის საკითხს ვრცელად და საგანგებოდ შეეხო შ. მესხია, რომელმაც სავსებით მართებულად, ამირსპასალარის სახელოს ჩამოყალიბება დაეით IV აღმაშენებლის ხანას, მის ღონისძიებებს დაუკავშირა და თვით ტერმინიც XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან შემოღებულად მიიჩნია<sup>570</sup>. მანვე ტერმინი amir-i isfah sālār-i, ხშირად დადასტურებული სულტან სანჯარის დოკუმენტებში<sup>571</sup>, დაუკავშირა საქართველოს სინამდვილეში ჩამოყალიბებულ ტერმინ „ამირსპასალარი“<sup>572</sup>. შ. მესხიამ ხაზგასმით მიუთითა, რომ სკოლის საკუთრებული სამოქალაქო ტერმინოლოგიდან შეთვისებულია მხოლოდ ტერმინი და არა მისი შინაარსი. სათანადო იმსტიტუ-

<sup>567</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლა ატრიბუა, წ. II, ნოვ. 1, გვ. 140—157.

<sup>568</sup> იქვე.

<sup>569</sup> იქვე, გვ. 141.

<sup>570</sup> შ. მესხია, ძლევა სკოლები, გვ. 36—37; შ. ს. ი. ე., საშინაო პოლიტიკური კონკრეტება, გვ. 17—18.

<sup>571</sup> H. Horst, Die staatsverwaltung der Grosselgūgen und Horasnišähs, გვ. 114—119.

<sup>572</sup> შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური კონკრეტება, გვ. 18—19.

ტების შედარებითმა შესწავლამ მკვლევარი დაბრუნდა, რომ იმის სპასალარის ქართული იმსტიტუტი შინაარსობრივად არსებითად განსხვავდებოდა იგივე სახელმწოდების სელჩუქური იმსტიტუტის მიერთა შ. მესხიამ მიუთითა, რომ „ლაშტრის თავს“ — სპასპეტს, შექტლანდელად დიდი ტრადიცია ჰქონდა სელჩუქურ იმსტიტუტთან შედარებით<sup>573</sup>. მკვლევარმა ვაარკვია პირველი ამირსპასალარის ვინაობაც, რომელიც იყო ივანე ლიპარიტის ძე ორბეგი<sup>575</sup>.

შ. მესხის უაღრესად არგვენტირებულ კონცეფციაში ჩვენ ხაზი გვინდა გავუსვათ ორ მომენტს — ამირსპასალარის სახელოს შემოღების დავით IV აღმაშენებლის ღონისძიებებთან<sup>576</sup> დაკავშირების და ამ სახელოს შინაარსობრივ ტრადიციულობის, მის კავშირს წინამდავალ ანალოგიურ იმსტიტუტთან.

დავით IV აღმაშენებლის ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ამირსპასალარის სახელო განეტურადა დაკავშირებული „სპასპეტის“ უძველეს იმსტიტუტთან.

სპასპეტი სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, როგორც სამეცნიერო აღმინისტრაციის სათავეში მდგომი, ყველა ერთისთავთა უფროსი და სახელმწიფოს ცენტრალური ოლქის, შიდა ქართლის შმართველი<sup>577</sup>. ცამადია, საუბარი ძველ ქართლს შეეხება. მიუთითებენ ასევე ძველი ქართლის სპასპეტის ხელისუფლების კავშირზე სტრაბონის „მეფის შემდგომ მეორე პირის“ იმსტიტუტთან<sup>578</sup> და პიტიაქშობასთან<sup>579</sup>.

ლეონტი მროველის ცნობილი მოსაზრებით, სპასპეტი „მთავრობით განაგებდის ყოველთა ერთისთავთა ზედა“<sup>580</sup>. ამ ცნობას სხვა წყაროებიც ადასტურებენ<sup>581</sup>.

<sup>573</sup> იქვ.

<sup>574</sup> იქვ.

<sup>575</sup> იქვ.

<sup>576</sup> ამ ღონისძიებათა შესახებ იხ. ჩ. მეტრევა დ. დავით აღმაშენებელი, თბ., 1965; მისი დეკორაციები, თბ., 1978.

<sup>577</sup> საქართველოს სპასპეტის ნიკოლოზი, ტ. I, თბ., 1970, გვ. 645—646.

<sup>578</sup> იქვ.

<sup>579</sup> პ. ანგორი კ. კ. მედევართველი მატიანე „მოქცევა ქართლისა და ანტიკური ხანის იმპროის მეფეთა სია, საქ. სახ. მეზეუმის მომბეჭ, XI—B, 1941, 23. 299—301; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 455, 462; C. Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, Georgetown, 1963, გვ. 97; თ. გამსახურ დია, პიტიაქშის იმსტიტუტის საკრებულოს, მაცნე, № 6 (57), 1970, გვ. 73.

<sup>580</sup> ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24—25.

<sup>581</sup> ა. ა. გ. ულავა, ასურელ მოღაწეთა ცხოვრების წიგნთა ძეველ რედაქციები, თბ., 1955, გვ. 108.



უკანასკნელ წანს ა. ნოვოსელცევმა ეჭვი შეიტანა „ექიმითი ცხოვრების“ მასალებით VII—VIII საუკუნეების ძლიერებული საფრანგეთი ეკონომიკური სტრუქტურის შესწავლის შესაძლებლობაზე დაიმუშავებულ საეპოდ მიიჩნია XI ს. ტერმინოლოგიის მიხედვით აღრინდელი ეპოქის შესახებ მსჯელობა<sup>582</sup>. ვფიქრობთ, ამგვარი სკეპტიციიში გადაჭირებულია, თუმცა მთლიან უსაფუძვლო არაა ა. ნოვოსელცევის შენიშვნა რომ გარკვეულად მართებულია, კარგად ჩანს თუნდაც ჯუანშერის თხზულებაში „ეჯიბის“ დასახულებიდან<sup>583</sup>. ეს არაბული ტერმინი ვახტანგ გორგასალის ხანაში უკი იქნებოდა ხშარებაში. ამიტომაც, აუცილებელია ტერმინოლოგიური კვლევის გაღრმავება და არა „ქართლის ცხოვრების“ ცნობების იგნორირება აღრეული ხანისათვის. რაც შეეხება ტერმინ „სპასპეტის“, ის IV საუკუნემდე უკი შემოვიდოდა ქართლში. ლეონტი მროველი ამ ტერმინით პიტიახშის სახელოს უნდა აღნიშნავდეს<sup>584</sup>.

სპასპეტის ხელისუფლება გარკვეული მოდიფიკაციებით თვით დაით IV აღმაშენებლის ხანამდე გვხვდება.

ა. ბოგვერაძემ, ვფიქრობთ საექვებით მართებულად დაუკავშირა ერთსმთავრობის დაწესება ქართლში სპასპეტის ხელისუფლების აღდგენის ახალ პირობებში<sup>585</sup>. ამავე ხელისუფლებას უნდა უკავშირდებოდეს ატენის სიონის ფრესკულ წარწერაში მოხსენიებული „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთა უფლის“ სტეფანონის სტატუსიც, რომელსაც გ. აბრამიშვილის იზრით, ქართლისა და ეგრისის მმართველობა უპყრია, ხოლო მასზე მაღლა იერარქიულად მეუე დგას<sup>586</sup>. ასეთი ერთაუდი ყოველ შემთხვევაში გამორიცხული არაა.

სპასპეტის ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი შინაარსი ერისთავთა „უხუცესობა“, მათი „მთავრობით“ განვებაა. მას ეხება საერისთავობებიდან „სამეფო და საერისთავო“ ხარების მოკრეფა. ლეონტი მროველს თავისი დროის რეალიებიც რომ გადაძონდეს აღრინდელ პერიოდში, ასეთ შემთხვევაშიც მისი ცნობები უაღრესად ფასეულია, თუნდაც XI საუკუნისა და მისი ანლო წინარე ხანისათვის.

<sup>582</sup> А. П. Новосельцев, Генезис феодализма в странах Закавказья, М., 1980, с. 40.

<sup>583</sup> გ ვ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლის, ქართლის ცხოვრება, I, 33, 186, 189.

<sup>584</sup> თ. გ ა მ ს ა ხ ე რ ი დ ი, პიტიახშის ინსტიტუტის საკონსალტინის, გვ. 73.

<sup>585</sup> ა. ბოგვერაძე, ქართლის მთლიანური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 17—VIII ს., თბ., 1979, გვ. 85—86.

<sup>586</sup> გ. აბრამიშვილი, სტეფანის მმეფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონიდან, თბ., 1977, გვ. 36—37.

XI საუკუნეში კხვდებით უმილეს სამხედრო ხელობეფით, „სპასალარს“ რომელიც იერარქიულად პირველი მოხელე<sup>557</sup>. ნიზან-დობლივია, რომ XI საუკუნის სპასალარს შენარჩუნებული ჰქონდა ერისთავთა „უხუცესობა“, „მთავრობა“, ისევე როგორც სამსპეტი. „სპასალარიად“ იწოდება ლიპარიტის ძე და მისი ვაჟი იერნე ლიპარიტის ძე. ჩვენი საყითხისათვის ამჯერად ეს უკინისენელია საინტერესო. ბაგრატ IV-ემ ბიზანტიაში გაქცეული იყანე „გამოიშიღნა და გამოიყვანა ამის სამეცნოსა, და უბორა მამული არგუეთისა და ქართლისა... და იყო თა ე ა დ თ ა ვ ა დ თ ა ვ ე თ ა ნ ა ა მ ი ს ა ს ა მ ე - ფ თ ს ა თ ა დ ა ს პ ა ს ა დ ა რ ს ი კ ე თ ი თ ა მ ი ს ი თ ა“<sup>558</sup>. სამეფოს „თავადი“ ივანე თავისი სპასალარობით პირველ აღვილს იშვერს სხვა „თავადთა“ შორის. ტყუილად როდი უსვამს ხაშს ნ. ბერძნიშვილი სპასალარის წამყვან როლს, მის პირველ მოხელეობას.

ამდენად, ამირსპასალარის სახელოს, როგორც შ. შესხია შენიშვნაებს, მართლაც უაღრესად ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა.

ქვეყნის გაერთიანების ძირითადად დასრულებამ და ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე სპასალარის (სპასალაროს) თავმოყრამ ერთიან სამხედრო ორგანიზაციაში, უკეთესობა სპასალართა „უხუცესის“, ამირსპასალარის სახელოს გამოკვეთა გამოიწვია. დავითის მეფობამდე მხოლოდ ერთი სპასალარი ჩას.

ამასთან, დავით IV აღმაშენებელმა გაითვალისწინა სპასალარის სახელოს „ტრადიციები“ სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში. სამართლიანად მიუთითებს ნ. ბერძნიშვილი, რომ „ჯერ კიდევ ყრმობიდანვე უნდა ხსომებოდა მომავალ აღმაშენებელს და დგვარიანთა თვითონებობის სიმწვავე“<sup>559</sup>. ამიტომაც, დავით აღმაშენებლის ჩამოყალიბებულ ცენტრალური პარატის ორგანიზაციაში პირველი აღვილი არის არა ამირსპასალარის, არამედ შეიგნობართუხუცესს ეჭირა.

შეიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს მიაკუთხა ასევე დავით IV აღმაშენებელმა მნიშვნელოვანი პრეტორგატივა, „მეფის მიმობა“, რომელიც ტრადიციით სპასპეტი-სპასალარებს ჰქონდათ.

ი. სურგულაძემ საგანგებო ყურადღება შიაქცია და ერცლად შეისწიელა ცნობები ქართლის სპასპეტთა „მამიამშექეობის“ შესახებ. მან განიხილა ჯეანშერის მონაცემები ვახტანგ ვორგასალის „მამიამშექების“, საურმაგ სპასპეტის შესახებ, რომელიც პირველი პირი იყო სახელმწიფოში. ასეთივე მდგრმარეობა ჩანს ლეონტი მროველის მიხედვითაც, სადაც ფარსმან ქველის „ძუძუმტე“ სპასპეტი ფარნავაზი ისხე-

<sup>557</sup> ნ. ბ. ბ ე რ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაჭირო, გვ. 36.

<sup>558</sup> მატარე ქართლისა, გვ. 305.

<sup>559</sup> ნ. ბ. ბ ე რ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაჭირო, გვ. 37.

ნივება, რომლის მაშა ფარსმანის „მამამტუძე“ უნდა ყოფილიყო <sup>590</sup> თუ ნიშნული ინსტიტუტი წარმოადგინა თავის ნაშრომში თუ წევიცემი და ისიც იმ დასკენამდე მივიღა, რომ ქართული წყაროების ცენტრალური <sup>591</sup> ქარგად ჩანს აღმზრდელის, მამამტუძის როლი ქვეყნის მმართველობაში<sup>592</sup>. უკანასკნელ ხანს დაისტაბბა ასევე გ. მამულიას ნაშრომი, საღაც აეტორი აღნიშნულ ინსტიტუტს ეხება და სკენის, რომ „მეფის გარდაცვალების შემთხვევაში უფლისწულის სრულწლოვანებამდე ქვეყნის მართვა-გამგებლობა მამამტუძეს“ ევალებოდა<sup>593</sup>. სამწუხაოოდ, არც თ. ჩევიძე და არც გ. მამულია არ იცნობენ ი. სურგულაძის ნაშრომებს.

დავით აღმაშენებლის ღონისძიებათა ერთი შედევი „სპასეტ-მამამტუძის“ ინსტიტუტის ლიკვიდაცია და მის საპირისპიროდ მწიგნობართუხუცესის, „მეფის მამის“ სახელოს შექმნა იყო. ამ ინსტიტუტის არსებობა რომ თვით დავითის შეფობის ახლო ხანებამდე გრძელდებოდა, ჩევინი აზრით, „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობიდან ჩანს. „ეიღორელა იყო ბავრატ (ბავრატ IV, ი. ა.) სახერძნევთს, ითხოვა ლიპარიტ მე ბავრატისი, ვიორგი, მეფედ, რათა მოსცენ იგი დედამინ მისმან და ლიდებულთა მის ქუეყნისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და პეტრიხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრდე დ გ ლ ა დ მისა ლიპარიტ“<sup>594</sup> (ჩაზი ჩევინია, ი. ა.). აშენადა, რომ სპასალარი ლიპარიტი ძევლი ტრადიციით დაუდგა „შერდელად“ მცირეწლოვან ვიორგი II-ს. ჩევინ ამ შემთხვევაში ტრადიციის ფიქსაცია გვაინტერესებს და არა ლიპარიტის პოლიტიკური გვემები.

დავით IV აღმაშენებელს, ცხადია არ შეეძლო ესოდენ მნიშვნელოვანი ფუნქციის დატოვება ამირსპასალარისათვის. ამიტომაც, საფიქრებელია, „მეფის მამობა“ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს გაღაეცა<sup>595</sup>.

რა ფუნქციები ჰქონდა საქართველოს ერთიან სახელმწიფოში ამირსპასალარს? ჩევინ ზემოთ, სათანადო წყაროებისა და ლიტერატურის მოშევლიებით, საუბარი ვერონდა საჯინიბო-ზარალხანაზე, სასახლის უწყებებზე, რომლებიც სათანადო მოხელეების მეშვეობით ვევემდებარებოდნენ ამირსპასალარს.

<sup>590</sup> ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ათაბაგობის ინსტიტუტის წარმოშობის საკოსტამოებს ფუნდალურ საქართველოში, თერ შრომები, ტ. 79, 1959, გვ. 1—18; მ ი ს ი ვ ე, ნაზარევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის მტორითან, ტ. II, თბ., გვ. 28—32.

<sup>591</sup> თ. ჩ ხ ი ძ ე, აღმზრდის იმსტიტუტი სასანურ აღმზრი, თბ., 1979, გვ. 42—43.

<sup>592</sup> გ. მ ა მ უ ლ ა ძ, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩაოყალიბება, გვ. 67.

<sup>593</sup> მატიანე ქართლის, გვ. 304.

<sup>594</sup> შერ. ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები, II, გვ. 32.

ამირსპასალარს, როგორც სამხედრო ხელისუფალს, ექვემდებარებული ბოლნენ ასევე ერისთავები, საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები, რომელთა ბიც საერისთავოებში სამხედრო საქმეს განაგებდნენ. სტანდტის კომისალის ბირთვებს, „სამეცნია სპას“ სწორედ საერისთავოებიდან გამოსული ღამებირი შეაღვენდა და ამ ღამების მიმირსპასალარი სარდლობდა, როგორც ერისთავთა „უხუცესი“, მთავარი ერისთავი.

ი. ჯავახიშვილმა მიმირსპასალარის განსაკუბებლი გამოყო „სამეცნია სპას სპანი“, ყიფჩიყთა „მუდმივი“ ჯარი, „სამსახურად“ მყოფი კიფკასის მთიელთა ჯარი და მეფის „მონასპა“, ღავით IV აღმაშენებლის დაწესებული<sup>595</sup>. ქალიქთა და ციხეთა მცველი ღამებირი განსევნებულშა ჟყვლევარმა ასევე მიმირსპასალარის სახელოში განიხილა<sup>596</sup>.

შ. მესხიამ ღავით IV აღმაშენებლის სამხედრო ღონისძიებებთან დაკავშირებით მიუთითა „მონასპის“ შექმნაზე, ერისთავთა გამოყვანილ ღამებარზე და ღამების საგანგებო ნაწილზე, რომელიც ქალაქთა და ციხეთა მცველად იყო დაწესებული<sup>597</sup>. საგანგებოდ შეეხო იგი ყივნიაღთა გადმოსახლების საკითხს<sup>598</sup>.

სამწუხაობოდ, არ ჩანს, სად გულისხმობენ ავტორები „ტაძრეულ სპას“, დომენის ღამებარს. მკაფიოდ არ ჩანს ასევე, გულისხმობენ თუ არა ისინი „მონასპას“ მიმირსპასალარის სახელისუფლოში.

ეფიქრობთ, საესებით სწორია ქ. ჩხატარიაშვილი, როდესაც ტაძრეულსა და ციხე-ქალაქთა მცველ ღამებარს, სათანადო წყაროზე მითითებით, აյუთვნებს მსახუროთუხუცესს<sup>599</sup>. ამ საკითხს მსახუროთუხუცესის სახელისთან დაკავშირებით განვიხილავთ.

რაც შეეხება ღავით IV აღმაშენებლის გვარდიას, „მონასპას“, რომელსაც ბიზანტიაში აღუქსი I კომნინოსის ჩამოყალიბებული „არქონტოპულების“ კორპუსი<sup>600</sup> და სელიუკებთან „ღოლიამთა“ კორპუსი<sup>601</sup> შეესაბამება, ძალზე საეჭვოა ისიც მიმირსპასალარის სახელოში ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ დამოწმებულია ცალკე სახელო-

<sup>595</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამირთლის მტორის, წ. II, ნავ. I. 83. 145—146.

<sup>596</sup> იქვე, ვ. 145.

<sup>597</sup> შ. მესხიამ, ძლევად საქართველო, ვ. 37—38.

<sup>598</sup> იქვე, ვ. 38—43; რ. მეტრევალი, ღავით აღმაშენებელი, ვ. 63—71.

<sup>599</sup> ქ. ჩხატარიაშვილი, ნარკევები ვ. 58.

<sup>600</sup> Аниа Компана, Александра, М., 1965, ვ. 216, ქ. ჩხატარიაშვილი, საქართველოს ღუსთაველის ხანი, ვ. 164.

<sup>601</sup> რ. მეტრევალი, სელიუკები და საქართველო, ვ. 157.

„მონათუხუცესია“. ეს საკითხი „კვეუჩისტუაოსნის“ მიხედვით გამოხდა და ი. სურგულაძემ და ოღნიშნა: „მონათუხუცესი მხოლოდ ჩატვაშვილი ტუაოსანში“ გვხედებათ<sup>602</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამუშავოს მცირებები ვახუშტი, რომელიც მიუთითებს, რომ „მონათუხუცესია პელია იყვნენ ყოველნი როქის სპაინ“<sup>603</sup>. ამ ცნობიდან თითქოს ისე გამოდის, რომ „როქის სპა“ და „მონასპა“ ერთი და იგივე ყოფილია. ასევე ჩანს თითქოს ვახუშტის სხვა მონაცემით: „ხოლო ლაშქართა წესი აქუნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა, როდენი ძალ-ედვა, სპასნი მცემლად თვსად, ვითარცა იტყვის მიზანისასა და აღმაშენებლისასა ა თასსა (60000) მარადის მცემლად მისად, და დავითთასა, არლარი განიყოფოდა საჭიროდე სპათა ზედა, და ბატივი ამათი იყო სხვა“<sup>604</sup>.

შეუძლებელია 60000-იანი „როქის სპა“ ამირსპასალარის ხელმძღვანელობის გარეშე დატენილიყო. ჩვენი აზრით, ვახუშტის არეული აქვს „მარადის მცემლი“ 60000-იანი კორპუსი დავითის 5000-იან „მონასპაში“, რომელიც შესაძლებელია ასევე ფულად სარგოზე („როქი“) იყო. მონათუხუცესი სწორედ მეფის „მონასპას“ მეთაური უნდა ყოფილიყო და არა 60000 მცემლი ჯარისა. ამაზე მიგვითითებს ამ სამხედრო მოხელის სახელწოდებაც.

ამდენად, „ტაძრეული სპა“ და ციხე-ქალაქთა გარნიზონები (მუდმივი) არ შედიოდნენ ამირსპასალარის სახელოში და მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. საუბარია, ცხადია სამეფო ციხე-ქალაქებში. ასევე, ჩვენი აზრით, არ ექვემდებარებოდა ამირსპასალარს მეფის „მონასპა“.

ამირსპასალარის სახელოში, ამდენად, შედიოდა „საქვეყნო ლაშქარი“ და „როქის სპა“, ასევე რა თქმა უნდა, ყივჩალთა ლაშქარი მათი გაღმოსახლების შემდეგ.

სამეფო ლაშქარის ძირითად ბირთვეს წარმოადგენდა აღგილობრივი, ქართული ლაშქარი<sup>605</sup>, რომელიც ერთისთავთა „ქუეშე“ იყო დაწესებული. ბუნებრივია, იგივე კონტინენტი შეაღენდა ამირსპასალარის სახელოს ძირითად ბირთვესაც.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობით „ლაშქრობაა და ლაშქრობის კეშირობა ამირსპასალარის კელთ არის. მას წინათ არავინ იტყვს, რად კეზირობა იყოს“<sup>606</sup>. იმავე ძეგლის მიხედვით: „ამირსპას-

<sup>602</sup> ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, სახელწილია და სამართლის საკითხები „კვეუჩისტუაოსნის“, მიხედვით, გვ. 165—166.

<sup>603</sup> კ ა ხ მ ტ რ ი, აღწერა სამეფოს საქართველოსა, გვ. 21.

<sup>604</sup> იტყვ გვ. 18.

<sup>605</sup> იბ. ჩ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავთ აღმაშენებელი, გვ. 74.

<sup>606</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 86.

ლარი ს აბატით კეშირი არის და თავიდი ლაშქრობა და უმისოდ კეშირი განა არ გაიცემის, არცა ვინ ს ამიმულოდ შეიწყალების<sup>607</sup>.

ამ ცნობიდან გამომდინარეობს, რომ ლაშქრობის თათბირი სპასალარის პრივილეგია და მისი მონაწილეობის გარეშე ქვეყნის „გაცემა“ და „სამამულო“ შეწყალება არაა წესი. ციტირებული ცნობიდან ისიც სახეცით აშკარად დგინდება, რომ „ქვეყნის გაცემის“ და „სამამულო შეწყალების“ საკითხი „კეშირობაზე“, სამეცო თათბირზე, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე წყდებოდა.

ი. ჯავახიშვილს აღნიშნული იქნა, რომ „ლაშქრი-ნადირობის საქმე მამულზე იყო დამოკიდებული და რომ ქვეყნის გაცემით და წყალობით დიდნიშვნელოვანი საქმე არ შეფერხებულიყო, ამირსაბა-სალარის დაკითხვა იყო საჭირო“<sup>608</sup>. განსევნებული შეკლების ეს დასკვნა უდავოდ სწორია, მაგრამ მას არ დაუსვამს საკითხი, საიდან, მიწის რომელი ფონდიდან ხდებოდა სამხედრო საქმესთან ესოდენ შეიძლოდ დაკავშირებული „სამამულო შეწყალება“.

თუ შეწყალება ძირითადად სამეცო დომენიდან ხდებოდა, ვფიქ-რობთ უფრო უპრიანი იქნებოდა მის შესახებ დათათბირებოდნენ პირებელ ჩიგში მანდატურთუხუცესს, რომელიც აღმინისტრაციულად განაგებდა დომენს, შემდეგ მსახურთუხუცესს, რომელიც სარ-დლობდა დომენის ლაშქარს და ბოლოსდაბოლოს თვით მწიგნობართუხუცესს, რომელიც „ყოველი საურავის“ წესით სამეცო სახლსაც, მის საქონებელსაც მეურეებდა.

ცნობია, რომ იქ საუბარი შეეხება სახელმწიფო ტერიტორიას, რომელიც მეფეს სამართლის საჯარო საწყისის საფუძველზე ეკუთვნოდა და რომელსაც ერისთავები განაგებდნენ, საიდანაც გამოდიოდა ამირსაბასალარის ხელქვეითი ლაშქარი, ერისთავთა „ქუეშე დაწესებული“ საქვეყნო, „სამეცო სას“. მეფის დომენიდან, რომელიც მას სამართლის კერძო საწყისის საფუძველზე ეკუთვნოდა, მამულის გაცემა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამირსაბასალარის კომპეტენციაში.

ამირსაბასალარის „სათათბირო“ იყო მიწის ის ფონდი, რომელიც წესრიგდებოდა სამართლის საჯარო საწყისის საფუძველზე.

ამირსაბასალარის სახელოს დიდმა მნიშვნელობამ ერთხანს წარმოშეა მცდარი თვალსაზრისი ამ წელის შეღლობელების განსაკუთრებული პრეტოგატივების, შესახებ თამარის მეფობაში. ჯერ კიდევ ი. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ ამირსაბასალარი მეფის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის მიერ იყო შეწღუდული<sup>609</sup>. შ. შესხიამ

<sup>607</sup> იქნა, გვ. 96.

<sup>608</sup> ი. კავკაციული სამართლის ისტორია, წ. II, I, გვ. 150.

<sup>609</sup> იქნა, გვ. 142.

პრცლად შეისწავლა ეს საკითხი და მივიღა სადაც მიუმართდა დასაბუთო ული დასკვნამდე, რომ ამირსპასალარი ემთრისიღებოდა სარდლობის დამატებისთვის არა მარტო მეფეს, არამედ თამარის მეფობაშე უსურიანერა საც. ამირსპასალარის დამოუკიდებლივ (ცხადია, თუ იყი აჯანყებული არ იყო) არ შეეძლო ლაშქრის შეყრა ან სხვა რამე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება<sup>610</sup>.

წევნის ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ ამირსპასალარის სახელო პირველობისათვის ებრძოდა შეიგნობართუხუცესს და XIII საუკუნეში კიდეც მიაღწია ამას<sup>611</sup>. ვიდირობთ, ეს ლოგიკური შედეგი იყო სამამულო სისტემის განვითარების ტენდენციებისა და საგარეო კითარებისა. ამასთან, ვადაშარბებული გვეჩვენება ი. სურგულაძის დასკვნა, თითქოს ჰყონდიდელის წინააღმდეგ ბრძოლა მეფის დასასუსტებლად სჭირდებოდათ ათაბაგებს<sup>612</sup>, რომლებიც უმეტესად ამირსპასალარებიც იყენენ XIII საუკუნეში. საეჭვოა, ძლიერი სამეფო ხელისუფლება ჸყონდიდლობაზე კოფილიყო მხოლოდ დამოკიდებული. შეიგნობართუხუცეს-ჸყონდიდლის სახელის შექმნა იყო მეფის ხიდლიერის შედეგი, ხოლო მეფის ხელისუფლების დასუსტების შეწორება, ცხადია არ შეეძლო ჸყონდიდელს. თვით ჸყონდიდელს ორისამი ეპარქიის გარდა არავითარი რეალური დასაყრდენი არ გააჩნდა. ასეთს მისთვის მეფე წარმოადგენდა და არა პირიქით, როგორც ი. სურგულაძე მიიჩნევს.

XIII საუკუნის დამდეგს, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა ათაბაგის სახელო. ი. ჯავახიშვილი მას უცხოეთიდინ შეთვისებულად, შემთხვევით შემოღებულად მიიჩნევდა<sup>613</sup>. ამ სახელოს შემოღება მკერლევამა „ისტორიათ და აზმათ“ ტექსტზე დაყრდნობით, ზაქარია მხარგრძელის სიკვდილს დაუკავშირა. ასევე ფიქრობს ი. სურგულაძე, რომელმაც საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი<sup>614</sup>. აღნიშნული ფორმულირება შესულია „საქართველოს ისტორიის ნარკევების“ III ტომშიც. იქაც ეს მოვლენა ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების უკავშირდება და თვით იმსტიტუტი ხელოვნური გზით შემოტანილადა მიიჩნეული<sup>615</sup>.

საღლეისოდ აღარ შეიძლება იმ მოსაზრების გაზიარება, რომ ივანე მხარგრძელმა ათაბაგობა ზაქარია მანდატურთუხუცეს-ამირსპა-

<sup>610</sup> ე. ბ ვ ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური კოსტება, გვ. 303—308.

<sup>611</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. (კონსპექტი), საქართველოს ასტორიის საფილებრ, II, გვ. 59—60.

<sup>612</sup> ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკევები, II, გვ. 49.

<sup>613</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I გვ. 179.

<sup>614</sup> ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკევები, II, გვ. 36.

<sup>615</sup> საქართველოს ასტორიის ნარკევები, III, გვ. 358.

სალარის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. თამარი 1207 წელს გადაიცვალა, ხოლო ზაქარია 1212 წელს. „ისტორიათა და აზმანთა“<sup>616</sup> მთელი კუპიური, სადაც თამარისა და ივანე მხარგრძელის სამართლის მოტანილი ათაბაგობის ბოძების თაობაზე, ანაქტონიზმს წარმოადგენს. აშენავა, რომ ივანე მხარგრძელს ათაბაგობა ებოძა თამარის სიცოცხლეშივე, არაუგვიანეს 1207 წლისა<sup>617</sup> და ამ დროს მისი ძმა ცოცხალი იყო. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე ლაშა გიორგის მეფობის პირველ წლებში ზაქარია მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარს და ივანე ათაბაგს ასახელებს<sup>618</sup>.

XIII საუკუნის დასაწყისში ისსენიება კილევ ერთი ათაბაგი, ივანე ანალციხელი. „ისტორიათა და აზმანთა“ ცნობით: „შეფეხმან (თამარ. ი. ა.) აიღო და მიითუალა კარი და დაუტევა კარის მცენლად ანალციხელი ივანე და ანინა მონაპირედ და უბოძა ათაბაგობა და ამირთა-ამირაობა ... ივანესვე უბოძა კარული და მისი ქვეყანა“<sup>619</sup>.

აღნიშნულ ტექსტში მოხსენიებულ „უბოძა ათაბაგობა“-ს კ. კეკელიძე და ი. სურგულაძე „ეჯიბობის“ ბოძებად აღადგენდნენ, რაც არაა დამიჯერებელი<sup>620</sup>. ტექსტში არის სხვა შესუსაბამობანიც. „კარული“ ქვეყანა, პ. ინგოროვამ<sup>621</sup> და რ. კიქნაძემ<sup>622</sup> საესებით მართებულად მიიჩნიეს „ეჯიბოლიად“.

ორი ათაბაგის არსებობის ასახსნელად გარევეული მოსაზრებებია ვამოთქმული. კ. კეკელიძემ და ი. სურგულაძემ ივანე ახალციხელი „ეჯიბად“ მიიჩნიეს. რ. მეტრეველი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ათაბაგობა 1212 წლამდეც (ამ წელს გათაბაგებულად მიიჩნევს ივი ივანე მხარგრძელს) არსებობდა სხვა შინაარსით<sup>623</sup>. რ. კიქნაძის აზრით, ათაბაგი არა მხოლოდ უფლისწულის აღმზდელს, არამედ პროვინციის მმართველსაც ნიშნავდა<sup>624</sup>. სათანადო გამოკვლეულიდან მართლაც ჩანს, რომ ათაბაგის სახელო შეიძლებოდა ორივე ამ მნიშვნელობით

<sup>616</sup> იბ. გ. ოთხევზური, უხუცესი ვაჲირები, გვ. 126.

<sup>617</sup> ლაშა გორგას დროინდელი მემატიანე, გვ. 370.

<sup>618</sup> ისტორიანი და აზმანი შარევანდულანი, გვ. 92.

<sup>619</sup> კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარევანდულანი, გვ. 37—38; ი. სურგულაძე, ნარკვევები, II, გვ. 32—33.

<sup>620</sup> პ. ინგოროვა, გორგი მეტრელე, თბ., 1954, გვ. 542.

<sup>621</sup> რ. კიქნაძე, ფარსალინ გორგოვანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარევანდულანი“, გვ. 59—60.

<sup>622</sup> რ. მეტრეველი, გერმანელი მეცნიერი-საქართველოს ისტორიის ცისკორი, 1973, № 5, გვ. 122.

<sup>623</sup> რ. კიქნაძე, ფარსალინ გორგოვანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარევანდულანი“, გვ. 60.

გვერნოდა<sup>624</sup>. ასე რომ ივანე მხარეგრძელისა და ივანე ახალციხელის ათაბაგობა არ უნდა იყოს წინააღმდეგობაში. ივანე ქართველი უფლისწულის ათაბაგი, ე. ი. ფაქტობრივად სამეფო ათაბაგი; ასეული ივანე ახალციხელი საუფლისწულო ოლქის ათაბაგი.

ივანე ახალციხელის ათაბაგობა კარის აღებასთან და მის იქ ამირთამირად დანიშნენასთანაა დაკავშირებული. ეს კი 1206 წელს მოხდა<sup>625</sup>. გამორიცხული არაა, რომ ამ დროს ივანე მხარეგრძელი უკვე იყო ათაბაგი. აუცილებელი არაა ივანე ახალციხელის გაათაბაგება მაინცდამინც ივანე მხარეგრძელზე აღრე ვივარაუდოთ, თუმცა ეს ორი პელი განსხვავებულია.

ივანე მხარეგრძელს უფლისწულის აღმნიდელის, ათაბაგის სახელო ვფიქრობთ დავით სოსლანის გარდაცვალების — 1205 წლის<sup>626</sup> შემდეგ უნდა მიეღო და გახავები მიზნების გამო 1207 წლამდე. სავსებით დასამვებია, რომ ის პირეველი მფლობელი იყო ამ ტიტულისა. კარის აღება ხომ 1206 წელს მოხდა.

1205—1212 წლებში, ყოფილი მსახურთუხუცესი ივანე მხარეგრძელი მხოლოდ ათაბაგი იყო, ხოლო ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ ათაბაგ-ამირსპასალარი. ამის შემდეგ, თითქმის ყველა, ვისაც კი სამეფოს ათაბაგის ჰელი პეტრია, იმავე დროს ამირსპასალარიც იყო. ჯერჯერობით მოლწეულ წყაროებში გვაქვს მხოლოდ ერთი შემთხვევა, რომ ათაბაგის სახელოს მატირებელი იმავე დროს ამირსპასალარიც არ იყო. ასეთი იყო ტარსაიშ თრბელი<sup>627</sup>. უკანასკნელ ხანს რ. კიქაძემ მოსაზრება გამოიქვა, რომ ტარსაიჭი სომხეთის ათაბაგი იყო<sup>628</sup>. ეს მართლაც ასეა, მაგრამ მას უბოძეს განსხვავებლად „ვიღრე ტფილისით, ანით და კარიით“, ისევე გასაზრდელიად მეფის შვილები დაეითო და მანოელი<sup>629</sup>. ცხადია, რომ ამ დროისათვის „სომხეთის“ ათაბაგობა სამეფოს ათაბაგობას უდრის<sup>630</sup>.

<sup>624</sup> Р. А. Гусенинов, Институт арабесков, Палестинский сборник, вып. 15 (78), М., 1966; ნ. შენგელი, სელჩუკები და საქართველო, გვ. 126; ვ. გაბაშვილი, საქართველო და თურქეთი სამყარო XII ს-ში, აღმოსაფლერი ფილოლია, II, თბ., 1973, გვ. 94.

<sup>625</sup> რ. კიკაძე ძე, დასახ. ნამრობი, გვ. 58.

<sup>626</sup> ე. თ დ იშე ლ ი, მცირე ქრონიკები, გვ. 93.

<sup>627</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ქრის ძატორია, III, გვ. 226; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამშელო ბრძოლის ისტორიიდან XIII ს. საქართველოში, საქართველოს ძატორის ხაფთხები, III, გვ. 111.

<sup>628</sup> Р. К. Кикнадзе, Очерки по источниковедению истории Грузии, Тб., 1980. с. 157.

<sup>629</sup> სტაციანის ოჩბელანის ძევლი ქართული თაჩმანები, გვ. 104.

<sup>630</sup> ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარევები, II, გვ. 269.

ნიშანდობლივია, რომ სამეფოს ათაბაგისა და სამეფო პროცეს-  
ცის ათაბაგის გარედა წყაროში დამოწმებულია ისევე „ავაგის სამეფო  
ათაბაგი“. ცნობილი საღუნ მაძკანაბერდელი, სანმ სამეფოს მაძკანაბერდელი  
ამირსპასალარი გახდებოდა, ნორაღუზის წარწერიში „ავაგის სახლის“  
ათაბაგად იხსენიება<sup>631</sup>.

ამრიგად, უმეტეს შემთხვევაში ათაბაგობა და ამირსპასალარობა XIII  
საუკუნეში გაერთიანებული იყო. ასეთად ჩინს იქანე აბულეთის-  
ძეც, რომელიც მცირე ხანს უნდა ყოფილიყო ათაბაგ-ამირსპასალარი  
დემეტრე II-ის დროს<sup>632</sup>.

საღლეისოდ ძნელია გაეინიაროთ შოსაზრება, თითქოს ათაბაგობა  
შემთხვევით შემოღებული, ხელოვნურიად დანერგილი სახელო იყო.  
შეუძლებელია იმის კატეგორიული მტკიცება, რომ ათაბაგობა უცხო-  
ური, ქართული სინამდვილისათვის შეუფერებელი ჩანდა. სახელო,  
რომელმაც ესოდენი გავლენა მოიპოვა XIII საუკუნის საქართველოში  
და ნელ-ნელა მწიგნობართუხუცესიაც წყალი შეუყვნა, არ შეიძლება  
სრულიად უშიშნოდ შემოღებულად ჩაითვალოს. ამისთან, როგორც  
ჩანს, სამხედრო ხელისუფლის „მიმმამუქუბის“ პრაქტიკა მაღა-  
ხანგრძლივი იყო საქართველოში. ათაბაგობის შემოღებას საქმიად  
ჩქარა უნდა გამოეციცხლებინა სათანადო ტრადიციები.

ათაბაგობის შემოღებით და მისი ამირსპასალარობასთან ფაქტობ-  
რივი შეერთებით, ხვენი ძმრით აღდგა უძველესი ტრადიცია „სპას-  
პეტ-მამიმუქისა“. სიქართველოს მეფეს ერთბაშიად „ორი მამა“ გაუწნ-  
და მწიგნობართუხუცესისა და ათაბაგ-ამირსპასალარის სახით. ცნადია,  
დროთა განმავლობაში საქართვის იმ „მამის“ მხარეს უნდა გადახრილი-  
ყო, რომელსაც ძლიერი რეილური დასაყრდენი გაიჩნდა. სამეფო ხე-  
ლისუფლების დასუსტების შემთხვევაში ასეთს ათაბაგ-ამირსპასალი-  
რი წარმოადგენდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ხაზგასმით უნდა იღინიშნოს, რომ  
მწიგნობართუხუცეს-შუონდიდლის იერარქიული უპირატესობა მაინც  
ხაზგასმულია „მეფის კართხევის წესითაც“ და „ხელმწიფის კარის  
გარიგებითაც“. გარედა ამისა, ათაბაგ-ამირსპასალარი ავაგ მხარეგრძე-  
ლი, როგორც წესი, მანდატურთუხუცეს შენშეს შემდეგ იხსენიება  
წყაროებში.

<sup>631</sup> Л. О. Б а б а я н, Социально-экономическая и политическая история  
Армении в XIII—XIV веках, М., 1969, с. 134.

<sup>632</sup> ა. ზ ა ნ ი ძ ე, ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ა ლ ი, ბარის ცხხა წარწერა,  
თე ძეელი ქართული ენის კათედრის შრომები, სოცგილეთ, თბ., 1968, გვ. 24—25;  
ვ. მ გ რ ა დ ი ა ნ ი, ქართული წარწერანი სომხეთისანი, ერევანი, 1977, გვ. 287  
(ხომ. ენაზე).

ათაბაგუ-ამირსპასალარის უპირატესობა მხოლოდ XIII საუკუნეს/60-იანი წლებიდანაა ძღვარებული, როდესაც ამ კელს იღხანის კრის კრეატურები დებულობენ და დასაყრდენი ჰყავთ უცხო ძალის საშინაო ამ ღროიდან აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარზე აღიარც ჩას შეიგნობართუხუცეს-ჟურნალიდელა.

ამდენად, თეზისი იმის შესახებ, რომ ათაბაგუ-ამირსპასალარმა XIII საუკუნეში პირველობა ჩამოართვა მწიგნობართუხუცესს, ძირითადად სწორია, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ამ საუკუნის 60-იანი წლებიდან, უცხო ძალის აქტივური მონაწილეობით<sup>633</sup>.

ათაბაგის საეკითხოან დაკავშირებით, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას გუნია-ყალის ცნობილ წარწერის. ეს წარწერა ნამდვილად არ უნდა იყოს „ვაშირთა სიის“ შემცველი და ამ მხრივ შასზე დამყარება მხოლოდ გაუგებრობებისა და სამწერარო შეცდომების წყარო შეიძლება გახდეს. რატომდაც ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ თუ ვინმე „ვაჩენ“ მსახურთუხუცესია (საეჭვოა იგი როდისმე მსახურთუხუცესი ყოფილიყო), ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ივანე მხარგრძელის გაათაბაგების შემდეგ. ასეც ფიქრობს ვ. ოთხმეზური<sup>634</sup>. ამასთან გაუგებარია, რატომ არ ისხენიება ძეგლში ათაბაგი. თუ ეს კელი ათაბაგობის შემოღებაშედე დაიდგა, მსახურთუხუცესად იქ ივანე მხარგრძელი უნდა იყოს მოხსენიებული და არა „ვაჩენ“. ხოლო თუ ეს ძეგლი ათაბაგობის შემოღების შემდეგ შეიქმნა, საუფლის-წულო მამულში აღმართულ კელში უფლისწულის ათაბაგი, მისი „მეურეე-რეგენტი“<sup>635</sup> უნდა იყოს მოხსენიებული. ათაბაგობა ივანე მხარგრძელის განსაღიძებლად და არა დასამცრობად ებოძა. შეუძლებელია „ვაშირთა სიაში“ ის არ ყოფილიყო. არ არის კი იმიტომ, რომ გუნია-ყალის კელი არ წარმოაღვეს „ვაშირთა სიას“<sup>636</sup>.

### მეჭურჭლეთუხუცესი

მეჭურჭლეთუხუცესი თავისი ხელკვეითი შტატის მეშვეობით განაგებდა „საჭურჭლის“ უწყებას, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. სათახადო მონაცემების განხილვამ მიგვიყვანა იმ დასკენამდე, რომ მეჭურჭლეთუხუცესი არ ყოფილა „სახელმწიფოს ფინანსთა მინისტრი“, რადგან არ არსებულა ცალკე სახელმწიფო და ცალკე სამეფო ხაზინა<sup>637</sup>. ამასთან, აღვილობრივ მმართველობაში მეჭურ-

<sup>633</sup> შ. მეს ხ. ი. სამინა პოლიტიკური კოსაჩება, გვ. 78.

<sup>634</sup> გ. ოთხეპი უ. რ. უ. უცეცეს ვაშირები, გვ. 125.

<sup>635</sup> იქვ. გვ. 126.

<sup>636</sup> შ. მეს ხ. ი. სამინა პოლიტიკური კოსაჩება, გვ. 63.

<sup>637</sup> შდრ. ი. სურა ც. რ. ა. ნაკვევები, III, გვ. 188.

ჰელენურცესის გამსაუბედლი იყო მხოლოდ სამეფო ქალაქების მინისტრაცია და შეფის „საეპისკოპოსი“, მეფის ვაჭრები. გარდა ამისა, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მეჭურჭლეთუზუცხნის ჩატარებისა და საურავის“, „სასაურავოს“ უფლებაც პეტრი მისამართის უფლება უკეთესია გამომდინარეობს მისი ვაზირობიდან, სახელმწიფოს საბჭოს წევრობიდან. „კარის გარიგების“ მიხედვით ხომ მეჭურჭლეთუზუცხესი „დიდი არის ... ათაბავობის ღაწუებამდი მეოთხე ვეზირი იყო“<sup>638</sup>. მეჭურჭლეთუზუცხესის, სხვა ვაზირებისა და „მოურავების“ „საურავის“ საკითხს საგანვებოდაც განვიხილავთ.

ამდენად, მეჭურჭლეთუზუცხესს ექვემდებარებოდა „საჭურჭლე“, სალარში მოთავსებული „შეკრული განძეულობა“, სალფინში დაცული ძვირფასი ჭურჭლი, სამეფო ქალაქების აღმინისტრაცია. უკეთესი უნდა დიასკვნათ, რომ მეჭურჭლეთუზუცხესი სამეფო სახლის მოხელე იყო და სახელმწიფო, საჯარო საწყისის მატარებელი მხოლოდ იმდენად, რამდენადც მეუე იღვა საჯარო ხელისუფლების სათავეში. ასე გვესახება ჩვენ მეჭურჭლეთუზუცხესის ფუნქციები და კომპეტენცია.

მართალია, უშუალოდ მეჭურჭლეთუზუცხესის ფუნქციებს ეს არ შეეხება, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩინია კელავ დავუბრუნდეთ მეჭურჭლეთუზუცხეს ყუთლუ-არსლანის სოციალურ კინაობის, საამისო მონაცემებს.

როგორც ცნობილია, მკელევართა ერთი ნაწილის მიერ ყუთლუ-არსლანი მიჩნეულია დაბალი სოციალური წრეებიდან, ვაჭარ-ფინანსისტებიდან იღწევებულ „უგვარო“ პირად<sup>639</sup>, ხილო მეორე ნაწილის მიერ დიდგვაროვან ფეოდალიად<sup>640</sup>. საკამათო ყუთლუ-არსლანის პირ-

<sup>638</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 86.

<sup>639</sup> იქვე.

<sup>640</sup> ი. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 83—155—166; ა. კიკვაძე, საქართველო XII საუკუნეში, თუ შრომები, IX, თბ., 1939, გვ. 167; ს. მაკალათია, თმაზ მეუე, თბ., 1942, გვ. 15—17; ი. პ. პეტრუშევსკი, ქართული ისტორია, IV, 1948, გვ. 97; ს. განაშვილი, საქართველოს მატრიცა უკეთესი დროიდან მე-13 საუკუნეები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 428; შ. ა. მესხია, ქართული ისტორია, შემდეგ შრომები, ტ. II, თბ., 1959, გვ. 87; მიხეილ გამრავაშვილი, შემდეგ შრომები, თბ., 1962; გვ. 107; ვ. აბაშვაძე, ნატავერები საქართველოს მომენტებით, თბ., 1969, გვ. 368—450; რ. გვ. ტ-რ კ ვ ე ლ ი, შინაგალამბრი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 138—170; გ. მ კ ლ ი ქ ა მ ე ლ ი, ფეოდალური საქართველოს მომენტები გაერთიანება და ფეოდალურ უძრავი მომავალი განვითარების ზოგიერთ სექტემბრი, თბ., 1973, გვ. 93—96 და მრავალი სხვა.

<sup>641</sup> საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958; გვ. 197; ს. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკონსები, VII, გვ. 176—198; გ. ს ი ს ვ ლ ი, ფეოდალური საქართველოს მომენტები გაერთიანება და ფეოდალურ უძრავი მომავალი განვითარების ზოგიერთ სექტემბრი, თბ., 1973,

გრამის შეფასების და თვით მისი შინაარსის საკითხის<sup>642</sup> უღლესად ვიტოვებთ სათანადო აღვილას კვლავ შევეხოთ ყუთლუ-აზულის პროგრამას. აქ კი მის სოციალურ ეინაობაზე ვისაუბრივდათ <sup>643</sup>

ჩევნ აღრეც გვექონდა საშუალება საკმაოდ კტულიად შეეხებოდით ყუთლუ-არსლანის სოციალური ენამობის საკითხს და აღვევნიშნა, რომ არ უნდა იყვნენ სწორი ის მკელევარები, რომლებიც ყუთლუ-არსლანს დაბალი ფენებიდან აღზევებულიად მიიჩნევენ<sup>643</sup>. ამჯერად საშუალება გვაქს ზოგიერთი ახალი არგუმენტიც მოეიტანოთ სამისო.

ყუთლუ-არსლანის დაბალი სოციალური ფენებიდან წარმომავლობის უმნიშვნელოვანეს და შეიძლება ითქვას, ერთადერთ სერიოზულ არგუმენტად ა. ჯავახიშვილმა მისი „ბიჭიად“ მოხსენიება მოიტანა და დაასკვინა, რომ ასეთი წოდებული პირი „შეუძლებელია ... დიღვარიანი აზნაური კოფილიყო“<sup>644</sup>. „ბიჭი“, როგორც მიუთითა განსკვენებულმა მკაფეოვარმა, ძეველ საქართველოში „ბუშს“, უკანონო შვილს აღნიშნავდა, ხოლო „ბიჭი“ დიღვარიანი აზნაურისათვის არ შეძლებოდა ეწოდებინათ<sup>645</sup>. ამასვე დაუკავშირა მან კონტექსტში მოხსენიებული „ჯორიც“<sup>646</sup>.

წვენს ნაშრომში აღნიშნული გვერნდა, რომ ისტორიკოსი არ უწოდებს ეუთლუ-არსლანს „ბიჭს“, არამედ მხოლოდ აღარებს მის მოქმედებას „ბიჭისას“ („ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა შზაკუარება“) <sup>647</sup>.

კუთლეუ-არსლანის „ბიჭად“ და „ჯორად“ მოხსენიების საკითხს უკანასკნელ ხანს შეეხო გ. შევედრიძე, რომელიც ფიქრობს, რომ კუთლეუს „ჯორად“ წოდება „ორი სხვადასხვა რელიგიური ჩრდილის

642 ඩී. ඒ. ට න ග ද ම ප ම, XI—XV සායුජ්‍යනෝධි සායුජ්‍යතාවෙහි සැපුහැසුර-  
ක්‍රමාලුදායුරු මූලිකිනී සැපුන්දේරු, ගු. 182—183. උග්‍ර මිනුවෙනුවා.

643 of 30, 22-193-207.

645 6329

646 ດේශගා

847 o. o ଏ ଟ ର ା ପ ା, XI—XV ଲ୍ଲ. ଶାହିନ୍ଦୁରେଣ୍ଟସ ଲୋଗାଲ୍ଫର୍ମ-କଲିପ୍ପାର୍  
ରୁ ପଦ୍ଧତିଙ୍କୁ ଶାଖାକ୍ଷରିତ, ପୃ. 200.

შქონე მშობელის შვილობას" უნდა ნიშნავდეს<sup>648</sup>. ამავე მკელევითი აზრით, „ჩვენ არ მოგვეპოვება შასალა, რომლის მიხედვითც შემცირებული ძლი დაბეჯითებით გვეთქა, რომ „ბიჭი“ მეთორმეტე ჟარფუტერშივარ „ბუშ“ ნიშნავდა. ეს შისი გვიან შეძენილი მნიშვნელობა უნდა იყოს"<sup>649</sup>. არც ერთი ეს მოსაზრება სწორი არაა. „ბიჭი“ „დიდი სკულისკანონის“ მიხედვით არის სიზივის<sup>650</sup>. რაც შეეხება „ჯორს“, შისი სოციალური თუ რელიგიური მნიშვნელობით ვაგება ჩვენ საეთნოს ხელოვნურ გართულებად ვვრენვენება.

როგორც დგინდება, „ბიჭიც“ და „ჯორიც“ „ისტორიათა და აზ-მათა“ ტექსტში ნახმარია არა ყუთლუ-არსლანის სოციალური წარმოშობის თუ რელიგიური კუთვნილების გამოსახატიად, არამედ მისი მოქმედების, მისი გამოსვლის დასახასიათ ებლად.

„ისტორიათა და აზმათა“ აღდგენილ ტექსტში წვენთვის სინტერესო ადგილი ასეა მოცემული: „ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახე [დ] ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა შზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განავის-სა“ ...<sup>651</sup>.

მოტანილი ტექსტი ჩვენ ასე გვესმის: ყუთლუ-არსლანში, რომელიც ცხოვარივით უწყინარი ჩანდა<sup>652</sup>, ჯორის მსგავსად ორი ბუნება (ე. ი. ორგულობა) გამოიჩინა, როგორც ბიჭებს გონების შზაკუარება „მისცემს“. „ეითარ მისცემს ბიჭთა გონებისა შზაკუარება“ ფაქტიურად „ჯორის სახედ ორ ბუნებას“ განმოარტივს.

საფიქრობელია, რომ ამ კონტექსტში არაა საუბარი არც უკანონო შეიღლობაზე და არც სხვადასხვა რელიგიურ წარმოშობაზე. „ორგულობა“, „ჯორის სახედ ბუნების“ გამომედავნება ისტორიისს „ბიჭთა გონებისა შზაკუარების“ შესაფერ საემედ მიაჩინა და მიტომაც აღარებს მათ ყუთლუ-არსლანს, რომელსაც ჩანს, ყველასათვის მოულოდნელად „შზაკურული“ გეგმა წამოუყენებია.

„ბიჭის“ და საერთოდ მთელი კონტექსტის წერილუანილ გაგებას აღასტურებს „ეისრიამიაში“ დამოწმებული ტერმინი „ბიჭობა“, „სიბიჭე“. ამ ტერმინს ნ. მარი განმარტავს, როგორც „შზაკურობას“ — «კოვარცხა» ასეა ეს დაღისტურებული შემდეგ აღვილას: „შაპინშას

<sup>648</sup> გ. მ ჭ ე დ ლ ი ძ ე. ეტიული რესთაველის ეპოქის საქართველოს სტართი, განთაღი, № 6, 1977, გვ. 174.

<sup>649</sup> იქნ.

<sup>650</sup> დადა სწულისკანონი, გვ. 584.

<sup>651</sup> ისტორიანი და ამანი შზაკუანდელობინი, გვ. 30—31.

<sup>652</sup> ა ს ე ვ ე ე სმის ქს მონაცემი ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს, იხ. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 160.

რა ვისის კინ [ესმას], გაეხარნეს, მისი ს ი ბ ი ჭ ე და იღავთი ან იცხადა<sup>653</sup>.

„შზაკვრობა“ (коварство), როგორც ჩანს, გარეჭულებული წარმოქმნა „ბიჭების“ დამახსიათებელ ნიშნად, მათ საკადრის საქმედ მიაჩნდათ და ამას „ბიჭობას“, „სიბიჭეს“ ეძინდნენ. ცხადი უნდა იყოს, რომ ყუთლუ-არსლანის მიერ მოულოდნელად ორგულობის („ჯორის სახელ თრ ბუნებისა მყოფელმან“) გამოჩენა „შზაკვრობა“ — „სიბიჭედ“, „ბიჭების“ საკადრის საქმედ მიუჩნევიათ („ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება“).

უფიქრობთ, ციტირებული ტექსტიდან სავსებით ცხადად ყუთლუ-არსლანის „ორგულობა-შზაკვრობაზე“ საუბარი გამომდინარეობს. აქ არაფერია ნათქვამი ამ პიროვნების სოციალურ წარმოშობაზე. არც „ბიჭს“ და არც „ჯორს“ არაფერი აქვთ საერთო ყუთლუ-არსლანის სოციალურ სტატუსთან.

„ისტორიათა და აზმათა“ იყტორს, ცხადია, აღეგორიების გარეშეც შეეძლო აღენიშნა ყუთლუ-არსლანის დაბალი წარმოშობა, ეს რომ მართლაც ასე კოფიალიყო. დაბალი წარმოშობის მსახურთუნუცესი აფრიდონი პირდაპირ „უგვარობა“ წოდებული და „აზნაურის ყობისაგან ... კაცემნილად“<sup>654</sup>. მითუმეტეს, რომ აეტორი აფრიდონისადმი სიმპატიითა განწყობილი.

ყუთლუ-არსლანის „ჯორის მსგავსად“ ორგულობა და „ვითარ ბიჭთა“ მზაკვრობა, ისევე არ გამოღვება ამ პიროვნების სოციალური სტატუსის დასახისიათებლად, როგორც ლიპარიტისძეთა სოციალურ მდგომარეობაზე არ შეგვიძლია კიმუჯელოთ დავითის ისტორიების შემდეგი სიტყვებით: „ვითარცა ძალი მიექცა ნათხევარსა და ვათარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწვრისახა“<sup>655</sup>.

ამდენად, ყუთლუ-არსლანის შესახებ „ისტორიაში და აზმანში“ დაცული ცნობიდან არ გამომდინარეობს, რომ საქართველოს მეფის მეჭურჭლეთუნეცესის თანამდებობა როდისმე მაინც, დაბალი წრე-ებიდან წარმოშობილ, ვაჟარ-ფინანსისტთაგან აღზევებულ პირს ეჭირა.

### მსახურთუნუცესი

მსახურთუნუცესის სახელო წყაროში პირეელად თამარის მეფობის დასაწყისში ჩანს და ამ პეტლის პირეელი მფლობელი, რომელსაც სახელდებით ეიცნობთ, „უგვარო“ აფრიდონია<sup>656</sup>. მსახურთუნუ-

<sup>653</sup> Н. Я. Марр, Вопросы Венхисткаосани и Висрамиани, Тб., 1966, с. 211.

<sup>654</sup> ატორიანი და აზმანი შარავანდელთანი, გვ. 30.

<sup>655</sup> ცხოვრება შეუკრძალული დავითის, გვ. 325.

<sup>656</sup> ატორიანი და აზმანი შარავანდელთანი, გვ. 25; ი. გაგახიშვილი, ქართული სამართლის სტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 182.

კესი სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული იყო სასახლის „მინისტრად“, მეფის სახსოვ მეურნეობისა და საწოლ-საღაროს გერმანულად.

საწოლისა და საღაროს უწყების შესახებ საუბრისას კუთხით რომ ამ უწყებებში მსახურთუხუცესი ხელმძღვანელობდა მეფის და სახელმწიფო ბეჭდის დაცვას, ასევე მეფის პიროვნების მოშასახურებას მესაწოლეთუხუცესის, მოღარეთუხუცესისა და ფარეშთუხუცესის მეშეეობით. კფიქრობთ, გაირკვა ისიც, რომ სასახლისა და ღომენის მართვა მანდატურთუხუცესის სახელის ევალებოდა, და არა მსახურთუხუცესს. მსახურთუხუცესი სარდლობდა ღომენის ღაშეარს, „ტაძრეულ სპას“ და საფიქრებელია, მანდატურთუხუცესის ხელქვეითი იყო ვაშირის რანგში იყვანამდე.

ქ. ჩხატარაიშვილმა, ვახუშტის სათანადო ცნობაზე დაყრდნობით, სავსებით სწორად შენიშნა, რომ მსახურთუხუცესს და ღომენის მსახურებს ევალებოდათ ციხე-ქალაქთა შცველობა<sup>657</sup>. ნიშანდობლივია ვახუშტის სხვა ცნობაც: „რავამს მოკუდის ერისთავი, ანუ მთავარი, ანუ კელისუფალნი ... მოართვიან მეფესა მის მოშეუღრისა კრმალი, ცხენი და უხუცესი ძე მისი, ხოლო მეფე პელისუფლობისა და ერისთობისა წესა, ვისიცა ენება, ღირსებისაგრძ შიუბოძის და ოდესმე ძესაცა, უკეთე ღირს იყო ანუ ძალ-ედვა მოურნეობა მისი ... კრმალსა მოარტიუმიდა წინაშე მეფისა მსახურთუხუცესი ძესა მის მოშეუღრისასა და დააწესიან ტაძრეულად, ანუ სხუათა სამეფოთა მსახურებათა“<sup>658</sup>.

მართალია აյ ვახუშტი თეორიულ ნორმის უფრო ვაღმოსცემს, ვიდრე ცოცხალ პრაქტიკას, მაგრამ საინტერესო სხვა რამაა. მსახურთუხუცესი ტაძრეულად დაწესებულ პირს შეაბამდა ხმალს. „ტაძრეული“ კი იგივე „დარბაზის ყმა“, რომელზეც ჩვენ გვეონდა საუბარი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩვენთვის საინტერესო ხანის მსახურთუხუცესში გვიანდუასაუკუნეებში „ყორწილაში“-ს სახელო მოვაკა<sup>659</sup>, რომელიც მეფისა და სასახლის დაცვას ხელმძღვანელობდა<sup>660</sup>.

ამდენად, მსახურთუხუცესი განაგებდა საწოლისა და საღაროს დაცვას, ღომენის ღაშეარს, სამეფო ციხე-ქალაქთა გარნიზონებს.

ი. სურვულამემ შენიშნა, რომ ვარის შეყრის, ღაშერიბის ბრძანება წყაროების შინელებით ერთდროულად ეძლეოდათ ზაქარია და ივანე მხარვრმელებს. მკვლევარმა უცნაურიად მიიჩნია მსახურთუხუცესისათვის ასეთი ბრძანების შიცვემა და ეს ივანეს პირად განდიდე-

657 ქ. ჩხატარაიშვილი, გვ. 58.

658 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 31—32.

659 იქვე, გვ. 32.

660 ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი, გვ. 202; ი. სურულამემ, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, გვ. 297—298.

ბად, მის პატივდებად მიიჩნია<sup>661</sup>. ვფიქრობთ, ყოველივე ზემონაცეკვა-  
მის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, რომ მსახურთუხუცესს დომინის  
ლაშერის შეყრის ბრძანება ეძღვოდა და იგი ამირსპასალამის ურთისა  
მიღიღდა ბრძოლის კვლწე.

მსახურთუხუცესის შესახებ „ხელმწიფის კარის გარიგება“ ერთ  
საინტერესო ცნობას იძლევა: „ვინ ამ [ა] ს იტევს: მსახურთუხ [უ]-  
ცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაჭიროსა და ვაჩაძე  
შეუყვანია<sup>662</sup>. ამ, თითქოს საქმიოდ ნათელი ცნობის საფუძველზე,  
უკელა მკელევარი, ი. ჯავახიშვილიდან მოყოლებული, თელის, რომ  
მსახურთუხუცესის ვავაზირება რუსუდან მეფის სახელთანაა დაკავ-  
შირებული<sup>663</sup>.

მსახურთუხუცესის ვავაზირებას საგანგებო ყურადღება მიაძყრო  
ვ. გაბაშვილმა და მიუთითა, რომ სამამისოდ საჭირო იყო ამ „კელის“  
მოქმედების სარბილის ვაკერობა. მისი ორით, მსახურთუხუცესს  
დაუმორჩილეს „საწოლი“ და მესაწოლეთუხუცესი, რამაც მის ვაზი-  
რის რანგში აყვანის უფლება მისცა<sup>664</sup>. ეს მოსაზრება უაღრესად სა-  
ყურადღებო უნდა იყოს და თითქოს ვარკვეული მოვლენებითაც ვა-  
მართლებული.

უკანასკნელ ხანს შ. შესხია შეეხო მსახურთუხუცესის საკითხს.  
მისი დასაბუთებული დასკვნით, გიორგი III-ის გარდაცვალების  
დროისათვის მსახურთუხუცესი სახაბლის მოხელეთა შორის ერთ-  
ერთი უკანასკნელი უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს მისი დასახელე-  
ბა წესხერაბისა და მევინიბეთუხუცესის შემდეგ<sup>665</sup>. მკვლევარის  
დასკვნით, მსახურთუხუცესის აღზევება თამარის მეფობის პირეელი  
წლებიდანევე დაწყებულა<sup>666</sup>.

ვ. გაბაშვილისა და შ. მესხიას აღნიშნული მოსაზრებანი, ვფიქ-  
რობთ სწორად სსნიან მსახურთუხუცესის სახელოს აღზევების სა-  
ფუძველებს და დააბლოებით იმ დროსაც, როცა ეს მოხდა. შ. მესხია  
ამ სახელოს აღზევებას, როგორც ალენიშვილი, თამარის მეფობის დასა-  
წყისს უკავშირებს. მიუხედავია იმისა, რომ დასახელებული შეკლევა-  
რები თითქმის ზედ მიაღვნენ პრობლემის გადაწყვეტას, იგი ჯერ

<sup>661</sup> ა. სურგულაძე, ნაკვეთი, II, გვ. 60—61.

<sup>662</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 96.

<sup>663</sup> ა. ვავაზირები, გვ. 183; ნ. ბერძენიშვილი, მიწოდებულობის ფორმებისათვის ფეოდალურ  
საქართველოში, გვ. 160; საქართველოს მატორის ნაკვეთი, III, გვ. 359 და მრა-  
ვლი სხვ.

<sup>664</sup> ვ. გაბაშვილი, დაბაზის რიგის მოხელენი, გვ. 203.

<sup>665</sup> შ. მესხია, საშინო პოლიტიკური კოთარება, გვ. 148.

<sup>666</sup> იქვე.

კიდევ მოითხოვს ჩალტოვების მსახურთუხუცესის სახელოს გავაზიანების საკითხში.

„ქელმწიფის კარის გარიგვებაში“ დაცული ცნობა, მსახურთუხუცესი კეს მანაველის რუსულან მეფის მიერ გავაზირების შესაძლებელი მიზანი დღიც უტყუარადა ცნობილი სიტყციერო ლიტერატურაში, არ შეიძლება სინამდვილეს შეეფერებოდეს. რუსულან მეფეს ირ პყოლია მსახურთუხუცესი მანაველი და ბუნებრივია, მას კერც ვაზირიად გახდიდა.

რუსულან მეფის მოელი ზეობის მანძილზე ერთადერთი მსახურთუხუცესი, ვარამ ზაქარიას ძე გაგელი ჩანს.

ვინაიდან ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა იქნება სამშართველო აპარატის სტრუქტურის შესასწავლად, საჭიროდ მიგვანინა საგანგებოდ შევეხოთ რუსულან მეფის მსახურთუხუცესის საკითხს.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ დაახლოებით 1205—1207 წლებში მსახურთუხუცეს ივანე მხარგრძელს ათაბაგობა ებობა. ეს საკითხი „ისტორიათა და აზმათა“ ივტორს ქრონილოგიური აღრევით აქვს მოცემული. ივი თველის, რომ ათაბაგობა და ამინსპასალიარობა ივანემ თამარისაგან მიიღო ზაქარია მანდატურთუხუცეს-ამირსპასალარის გარდაცვალების შემდეგ. მსახურთუხუცესის ვაკამინია, იმავე ავტორის თანახმად, ებობა ვარამ გაგელის: „მსახურთუხუცესობა უბორა (თამარშა, ი. ა.) ვარამს, ზაქარია გაგელის ძესა, კაცია საპატიოსა და ლაშქრობათა შინა ვამთჯვებულსა“<sup>667</sup>. წყაროს თანახმად, ეს ბორბებაც ზაქარია მხარგრძელის სიკედილის შემდეგ მომსდარია. ცხადია, ასეთი ქრონილოგია არ შეესაბამება სინამდვილეს. ვარამ ზაქარიას ძე გაგელის მსახურთუხუცესობა მიღებული უნდა პქონდეს 1205—1207 წლებში, ივანეს გაათაბაგების თანადროულად. ნიშანდობლივია, რომ მხარგრძელთა უფროსი შტოს წარმომადგენლის, ივანეს „კელი“ ებობა ისევ მხარგრძელს, ამ საგვარეულოს უმცროსი შტოს წარმომადგენლის ვარამს, რომლის ბაბუა, ისიც ვარამი, სარგის მხარგრძელის მშა იყო<sup>668</sup>.

უკანასკნელ ზანს კ. ოთხმეზურშა მიიჩნია, რომ ივანე მხარგრძელის შემდეგ, 1202—1207 წწ. მსახურთუხუცესი უნდა ყოფილიყო გუნია-ყალის წარწერაში მოხსენიებული ვინმე ვანე<sup>669</sup>. მკვლევარის აზრით, ვარამ გაგელი მსახურთუხუცესიდ ისენიება 1220 წელს,

<sup>667</sup> სტრანიანი და აზმანი შარვანლელთანი, გვ. 110.

<sup>668</sup> ვ. ვესტი, სამინო პოიტიკური კოსტატა, გვ. 318. გვერდოვისური ტაბელი.

<sup>669</sup> გ. ორ ხმეზური, ლაშა გორგას „კელი“ (გუნია-ყალის წარწერა) როგორც სისტორიო წყარო, სასტორიო ქრებული, VII, გვ. 182—183; მას ივანე, უხუცესი ვაზირები, გვ. 125.

საგიმის ბრძოლის წინ<sup>670</sup>. ამ მოსაზრებითაც, ვარამ გაგელი ლაშა გიორგის დროიდან ჩანს მსახურთუხუცესად, მაგრამ აკორდი ცდება, როცა ფიქრობს, რომ ვარამ გაგელს ვაჩეს შემდეგ ბული ეს „კელი“. „ისტორიათა და პიმათა“ აეტორი, მართლია ქრისტოლოგიური შეცდომით, მაგრამ მაინც ხაზგასმით მიუთითებს, რომ ვარამი მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელის შემდეგ ვახდა. ამგვარ დასკვნას ხელს უწყობს ამ ორი პირის ახლო ნათესაობაც, მაშინ როდესაც არც ვაცით, საერთოდ ვან იყო ვაჩე.

საგიმის ბრძოლის წინ ეამთააღმწერელი მართლაც იხსენებს ვარამს მსახურთუხუცესად<sup>671</sup>, მაგრამ იგი ამაზე აღრეც იხსენიება თქმულებაში. ამისთან, ეს მოხსენიება ისეთია, რომ ვარამ გაგელი ამჟარიდ იულისებმება დიდი სამეცისკარო თანამდებობის მცდობელი. ეამთააღმწერელს მოტანილი აქვს ცნობა ლაშა გიორგის რინდებთან ქვეითის დროს მომხდარი ინციდენტის შესახებ, რამაც მეფის მარჯვენა თვალით დაბრმავება გამოიწვია და აღნიშნავს: „აშისნი მცნობელი თავაღნი საქართველოსანი, ფრიად მწუხარენი, და უმეტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას ქე განეკუნებოდეს დარბაზშ ყოფისაგან“<sup>672</sup>. ცხადია, რომ ვარამის მოვალეობას „დარბაზს ყოფა“ შეაღდგენდა და იგი საგიმის ბრძოლამდეც იყო მსახურთუხუცესი.

თამარის მეფობის მიწურულს მსახურთუხუცესად აღწევებული ვარამ გაგელი, ამ თანამდებობას ახრულებდა ლაშა გიორგის და რუსულინის მეფობაში. „ესმა რა ესე მეფესა რუსულანს, მოუწოდა ყოველთა სპათა თუსთა ... შანშეს მანდატურთუხუცესა, ივაგს ამირსპასალიასა, ვარამს მსახურთუხუცესსა“<sup>673</sup>. როდესაც მოახლოებულ მონღლოთა შიშით რუსულანი დასავლეთ საქართველოში ვადავიდა, „მანდატურთუხუცესი შანშე შეიღლტოდა ქუეყანად აჭარისა და აშირსპასალიაზ ივაგ შეეღიდა ციხესა კიენისასა და ვარამს გაგელი შეივლტოდა ქუთაისს“<sup>674</sup>. ცხადია, იყულისებმება, რომ მანდატურთუხუცესთან და ამირსპასალიაზ ერთად დასახელებული ვარამ გაგელი მსახურთუხუცესია. იგი რუსულანს გაპყოლია და ქუთაისში იმყოფებოდა.

მონღლოებთან მოსალაპარაკებლად რუსულანშა თავისი ოთხი დიდმოხელე გაგზავნა, რომელთაგან სამი თანამდებობის ვარამ გაგელი მსახურთუხუცესია. იგი რუსულანს გაპყოლია და ქუთაისში იმყოფებოდა.

<sup>670</sup> გ. ოთხმეტე ური, უხეცესი ვაზარები, გვ. 125.

<sup>671</sup> ეამთააღმწერელი, გვ. 164.

<sup>672</sup> იქვე, გვ. 155.

<sup>673</sup> იქვე, გვ. 182.

<sup>674</sup> იქვე, გვ. 187.

ნიება წყაროში: „წარავლინეს მოციქულიდ თათართა შანშე, და ვადა  
და ვარამ, და პერეთის ერისთავი შოთაი, რომელსა მანისი უერთშეკრული  
თვე კუპრობით უქმობდეს“<sup>675</sup>.

ვიდირობთ, ნათელია რომ საუბრია მოციქულიდ მანდატურთ-  
უსუცესის, ამირსპასალიარისა და შაბურთუხუცესის გაგზავნაზე,  
რომელთაც პერეთის ერისთავიც ახლდათ.

ვამთააღმწერლის მიხედვით, ვარამ გაგვლი ცოცხალია რუსუდანის  
გარდაცვალების შემდეგაც. იგი მონაწილეობდა ცნობილ კონტისთავის  
შეთქმულებაში<sup>676</sup>, მანვე ჩამოიყვანა მეფედ ლაშა ვიორგის ვაჟი  
დავითი<sup>677</sup>.

შაბურთუხუცეს ვარამ გაგვლს კარგად იცნობენ არაქართული  
წყაროებიც. ან-ნასავისთან იგი მოხსენებულია, როგორც ბაპრამ  
ალ-გურვი, რომელსაც დიდი ზიანი მიუუნებდა ხორებმელებისა-  
თვის<sup>678</sup>.

რუსუდანის მეფობაში „საქშის განმეგბელ“ დიდმოხელეთა შორის,  
კირაკოს განძიკელთან იხსენება ვარამ (ვაპრამ) გაგელი<sup>679</sup>. იმავე  
ავტორის ცნობით, ვარამს მოუყვანია გასაშეფებლად ულუ დავითი<sup>680</sup>.

გრიგოლ აქანელიც იცნობს „ბლუ ზაქარიას ქეს“, „დიდსა და  
ბრძენ მთავარს ვარამს“, ვაგის პატრონს. მას მოუყვანია და გაუმეფე-  
ბია რუსუდანის გარდაცვალების შემდევ ულუ დავითი, რომლის-  
თვისაც ამის ვამო თითქოს „ვარამული მეფე“ უწოდებიათ<sup>681</sup>.

ვარამის შემდევ შაბურთუხუცესად უკავე გრიგოლ ქართლის  
ერისთავი ჩანს სურამელთა საგვარეულოან<sup>682</sup>.

ნ. შოშიაშვილის აზრით, ვარამ გაგვლს სიკედილამდე, XIII საუ-  
კუნის 40-იანი წლების ბოლომდე პქონდა მსახურთუხუცესობა<sup>683</sup>. შ.  
შესხიას აღნიშნული აქვს, რომ მსახურთუხუცესად შეწყალების  
შემდევ (თამარის მიერ), „ვარამ გაგვლი იმდროინდელი საქართვე-  
ლოს როული საშინაო და საგარეო ვითარების ყველა მეტაჟებად

<sup>675</sup> ვამთააღმწერელი, გვ. 192.

<sup>676</sup> იქვე, გვ. 215.

<sup>677</sup> იქვე, გვ. 218—219.

<sup>678</sup> З. М. Буниятов, Сведения Шихаб ад Динна ан-Насави о Грузии, ქართული წყაროთმცდენება, ტ. III, თბ., 1971, გვ. 165, 171.

<sup>679</sup> Կիրակոս Գանձակեցի, История Армении, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Хайларяն, М., 1976, с. 155.

<sup>680</sup> იქვე, გვ. 180.

<sup>681</sup> გრიგოლ აქანელი, მოსახრთა ტომის ასტორია, სომხეტი ტექსტი ქართული  
პერგაմენთ და კომენტარით გმირსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961, გვ. 9, 21, 27.

<sup>682</sup> ქართული სიმართლის ძეგლები, II, გვ. 44—46, 65.

<sup>683</sup> გრიგოლ აქანელი, მოსახრთა ტომის ასტორია, ნ. შოშიაშვილის კომენტარი-  
ზა, გვ. 174.

აზებული მონაცემების საფუძველზე, თითქოს უნდა გვაგულისხმა, რომ ერთხანს რუსულის ჩამოურთმევია შეანურთუხუცესობა ვარამისათვის და ეს „პეტი“ მანაცემლისათვის გადაუცია. კუიქრობთ, ამგვარი დაშვების საფუძველიც არა გვაქვს. გარამ გაველია წყაროების შიხედვით არ ჩინს თუნდაც დროუბით დამცრობილ პიროვნებად. პირიქით, სათანადო მონაცემების შიხედვით ივი შეტად იქტიურ მოღვაწედ ჩინს. უცნაურია, თუ ვარამ გაველი არ იყო „სავაზიროში“, რაღა მაინცდამანიც მანაცემი შეავევანა იქ რუსულანშა. ამასთან, რუსულანის ზეობაში რამდენიმე სხვადასხვა შეანურთუხუცესი რომ ყოფილიყო დადასტურებული, მანაცემის ამ თანამდებობაში ყოფნასაც ვივარაუდებდით. შეანურთუხუცესიად კა ერთადერთი პიროვნება, „დიდი და ბრძენი მთავარი“ ვარამიდა, რომლის ამ თანამდებობაში ყოფნა გამორჩეცას ვინმე მანაცემის შეანურთუხუცესობას, მის „გვაზირებას“ რუსულანის შეფრთხები.

სამუშაოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში კმაყოფილდებოდნენ იმ ფაქტის კონსტატაციით, რომ „კარის გარიგების“ მიხედვით, შახურთუხუცესი მანაველი რუსულან მეფეს შეუყვანია „სავაზიროში“. სავაზნებოდ არავის უკვლევია, ვინ იყო ან როდის ასრულებდა ოავის მოვალეობას მანაველი. პ. ლომინიძეს შახურთუხუცესი მანაველი ვაჩნავდ მიუჩნევია<sup>687</sup>. მან, როგორც ჩინს, მანაველი საკუთარ სახე-

<sup>654</sup> Յ. Յ Ա Խ Ո Յ, Տամանյան Առաջնային պատրիարք, ՀՀ, 241—242, սե, պատճ ՀՀ, 310.

485 3. ම නිලධාන සංඛ්‍යා, රුහුස්‍යග්‍රැන්ඩ් ප්‍රංශයෙහි, පු. 581.

684 *edicta*, 23, 582.

657 Տե՛ս այս համարը՝ III. 22, 647.

ლად მიიჩნია. საამისო საფუძველი არ არსებობს. „კარის გარიგების“ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ მიხაველი და ვინმე ვიწნადე, სხვადასხვა პირებია: „მსახურთუსუცესი შინაველი რუსულან მეფეს კურუმისათვის“ სავაზიროსა და ვაჩნაძე შეუკვანია“<sup>688</sup>-ო, აღნიშნულია წყაროში<sup>689</sup>. აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ მანაველი ვაჩნაძეა.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობაში, როგორც ჩანს, დავვებულია უზუსტობა. მსახურთუსუცესი შინაველი „სავაზიროში“ შევვანილი უნდა იყოს ორი რუსულან მეფის, ორიმედ რუსულან დელოფლის მიერ. საფიქრებელია, რომ მსახურთუსუცესი მანაველი, კარგად ცნობილი აფრიდონია. გარდა რუსულან მეფისა, ერთადერთი რუსულანი, რომელიც მეფე არ ყოფილი, მაგრამ თავისი ფაქტობრივი მდგომარეობით შევძლო ასეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი აქტის გატარება, თამარის მამიდა რუსულანი იყო. აფრიდონ მანაველის „ვავაზირებას“ თამარის გამეფების პირველი წლის მშებთან მიყვავრით.

თამარის მამიდა რუსულანი რომ უაღრესად აქტიური პოლიტიკური მოღვაწე იყო, ეს სიახლეს არ წარმოადგენს საისტორიო ლიტერატურაში. იგი საპასუხისმგებლო დიპლომატიურ მისიებს აწარმოებდა ჯერ კადეც გიორგი III-ის სიცოცხლეში<sup>690</sup>. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო შიხი გიორგია გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ ახლო ხანებში. სიმეფოს დიდებულები გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ რუსულანთან მივიღნენ, „პეტრეს და მოაქსენეს“: „დღეს შენა სჩან შშობელთა აქათთა (თამარის, ი. ა.) ნაცვლად“<sup>691</sup>. თამარის მეფობის დასაწყისში „დელოფალი რუსულან სწორად აღსარებული იყო“<sup>692</sup>. თამარის შეორე ქორწინების დროს „რიგთა სახლისათა“ აწყობდა დელოფალი რუსულანი<sup>693</sup>. მის განსაკუთრებულ გავლენაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ცნობილი გიორგი რუსის ამბოხების დამარტების შემდეგ, ავანუებული დიდებულები შენდობისა და პატივის გარიგებად ითხოვდნენ ხატებს და რუსულან დელოფალს<sup>694</sup>.

თამარის შეორე ისტორიკოსის ცნობების თანაბმად, რუსულანი იყო სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი, სიქურივისათვის თესაბმე მამულად მოყვანებული დელოფალი დაჯდა ქართველთად, უფროსლა დიდებათ სახლისა თვესისად და ყოვლისა ამას სამეფო-

<sup>688</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 96.

<sup>689</sup> ატორიანი და ანანი შარავანდებოთანი, გვ. 15.

<sup>690</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>691</sup> იქვე, გვ. 29.

<sup>692</sup> იქვე, გვ. 47.

<sup>693</sup> იქვე, გვ. 47.

სა. ამას წინაშე იყო თამარი შაშინ, კითარცა თქვენი მამიდამა თამარი<sup>694</sup>. იმავე ისტორიკოსის მონაცემებით, თამარის გათხოვებაზე სახათში-როდ, სპასალარები, ერისთავები და სამღვდელონი „შემოსილებული“ წინაშე რუსულან დედოფლისა<sup>695</sup>. გიორგი რუსი „რუსულზე დედოფლის მან და ყოველთა მთავართა ... განახე“<sup>696</sup>.

მოტანილი მასალიდან კარგად ჩანს რუსულან დედოფლის თველ-სანჩინო და გამსაკუთრებული როლი თამარის მეფობის დასაწყისში. ნიშანდობლივია, რომ მსახურთუხუცესის სახელოს აღზევების დასაწყისად შ. შესხის თამარის მეფობის პირეელი წლები შიაბნია. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მსახურთუხუცესის „სავაზიროში“ შევვანი განახორციელა რუსულან დედოფლიმა და ეს მსახურთუხუცე-სი იყო „თმოვეისა და სხუათა ციხეთა და ქუეყანითა პატრიონობამდის აღზევებული“<sup>697</sup>, ერისთავთ-ერისთავი და მსახურთუხუცესი აფრი-დონი<sup>698</sup>, ინუ წევნი დასკვნით, აფრიდონ მანაველი. ცხადია, მანავე-ლის მიერ თმოვეისა და „სხუა ქუეყანითა“ ცლობაში არაფერითი გასა-კვირი. ეს არ მიუთითებს აფრიდონის ამავე რეგიონიდან წარმო-შევლიაბაზე.

აფრიდონის შემდგომი მსახურთუხუცესები კარგადაა ცნობილი. ესენი იყვნენ ვარდან დალიანი, ივანე მსარგველი, ვარაბ ვაგველი, გრიგოლ სურამელი, ბეგა სურამელი, პამადა სურამელი. მსახურთ-უხუცეს მანაველისათვის ამ წევებაში აღილი არ რჩება. კველი მონა-ცემს რუსულან დედოფლითან, თამარის მეფობის დასაწყისთან და აფრიდონის მივყიდით.

საკითხის ზემოაღნიშნული დაყვნება კარგად სინის დიდებულთა უკცარი „გაფიცვის“ ფაქტსაც, როდესაც მათ „უგუაროთა და უკმარ-თა“ გადაუწება მოითხოვეს. მსახურთუხუცესის სახელოს აღზევება, რომელიც ამ დროს „უგვარო“ აფრიდონს ეჭირა, მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო ამ გამოსკვლისა. ვიფიქრობთ, ამიტომაც „დაიმქო“ აფრიდონი, ხოლო მსახურთუხუცესის სახელო ვარდან დაღიანმა მიიღო, რომელიც ჩანს „უნატოდ გამეულად“ თვლიდა თავს.

ძნელი წარმოხადვენია ისიც, რომ ვარდან დაღიანის მსახურთ-უხუცესობის დროს (1184—1188 წწ.) ეს სახელო „ვაზირის“ რანგში არ ყოფილიყო აყვანილი. განა შესაძლებელია, რომ „ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობლად მქონებელ“, „ლიხთ-აქეთ ორბეთისა და

<sup>694</sup> ცხოვრება მეცენ-მეფისა თამარისი, გვ. 115.

<sup>695</sup> იქვე, გვ. 119.

<sup>696</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>697</sup> ისტორიანი და მშანი შარავანდოთანი, გვ. 30.

<sup>698</sup> Е. Таханшивили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, IV, Тифлис, 1904, с. 51—52.

კაუნის" პატიონ შეახუროთუხუცესს მონაწილეობა არ მიეღო / სამეცნი  
თათბირში, „კეზირობაში"?!

ჩვენი აზრით, შეახუროთუხუცეს შენაველის რუსუდანის წესის მიზანი განვიტანდა, ასევე ზემთაღნიშნული სხვა გარემოებანი, საქმაო სისუს-  
ტით მიგეოთთებენ აფრიდონენ და თამარის მეფობის დახამაშის გადაწყვიტება.

ახსნას თხოულობს ერთი შენიშვნელოვანი საკითხი. მართალია, რუსუდან დემეტრეს ასული უაღრესად გავლენიანი და იქტიური პო-  
ლიტიკური ფიგურა იყო, მაგრამ იგი „მეფე" არ ყოფილა, ხოლო „კარის გარიგებაში" „რუსუდან მეფე" იხსნიება.

„კარის გარიგების" ავტორს, ცნობა „რუსუდან მეფის" მიერ შეახუროთუხუცესის „სავაზიროსა" შეეცვალდა უკაველად წე-  
რილობითი წყაროდან აქეს მოღებული. იგი აღნიშნავს: „და ვინ ამ [ა] ს იტყვა: შეახუროთუხუცესი მანაველი რუსუდან მეფეს შეუკვა-  
ნია სავაზიროსა"<sup>700</sup>. „ვინ ამას იტყვას" წერილობით წყაროშე მიგვი-  
თითებს. ძმენითი მნიშვნელობით ხმარობს ამ გამოთქმას „კარის გარი-  
გების" ავტორი სხვა შემთხვევაშიც: „ამის სიტყვებით სოფრომისძე  
იტყვას"<sup>701</sup>. სოფრომისძეს კი თავისი აზრი წერილობით უთქვამს: „ამ,  
ვინათვან დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარშია"<sup>702</sup>. როგორც  
დგინდება, „ვინ ამას იტყვას", წერილობით შეაღლას გულისხმობს და  
ნკენთვის საინტერესო ცნობაც „კარის გარიგების" ავტორს წერილო-  
ბითი ძეგლიდან ამოულია. საფიქრებელია, რომ „კარის გარიგების"  
ავტორის მიერ გამოყენებულ წერილობით წყაროში შეახუროთუხუცესის  
„სავაზიროში" შემყვანად დასახელებული იყო უბრალოდ „რუსუდა-  
ნი", ან „რუსუდან დედოფალი", რომელიც ჩვენს ივტორს „რუსუდან  
მეფედ" მიუღია. XIII საუკუნის მიწურულის ივტორს, წერილობითი  
წყაროს გამოყენებისას თავისუფლად შეეძლო ამგვარი შეცდომა და-  
შეა და მასახუროთუხუცესის სავაზიროში შემყვანად მეფე რუსუდანი  
მიეჩნია.

ყოველიც ზემოთქმულის საფუძველზე კიდევრობთ, რომ შეახუროთ-  
უხუცესი მანაველი უნდა იყოს აფრიდონი, ხოლო „მეფე რუსუდანი"  
კი თამარის მამიდა რუსუდან დედოფალი. შეახუროთუხუცესი სამეცო  
თათბირის წევრად შეეცვანილი უნდა იყოს თამარის გამეცების პირველ  
წელს. რუსუდანის მეფობაში შეახუროთუხუცესი მანაველი არ ჩანს. ლა-  
შის და რუსუდანის ზეობაში დადასტურებულია ერთი შეახუროთუხუ-  
ცესი — ვარის გავლი, რომელმაც ულუ დავითის გამეცებაში მიიღო  
მონაწილეობა. იღნიშნულის დაღასტურებად შეგვაწნია დადგებულია

<sup>700</sup> ქართული სამართლის რეგლები, II, გვ. 96.

<sup>701</sup> იქვე, გვ. 90.

<sup>702</sup> იქვე.

ცნობილი „გაციცვაც“, რომელიც აფრიდონ მანაველის ვაჭრობის რანგში აყვანის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართულზე, რაც უკავშირად ამგვარად გვეხიხება ჩვენ მსახურთუხუცესის სახელმწიფო უნიტარულ არსებული მისაღის მიხედვით.

#### 4. „რიცი სახლია საკოლონია“

##### სახელმწიფო საბჭო („ვეზირობა“)

„ვეზირობა“ სახელმწიფო საბჭოს, სამეცნი თათბირს, „რჩევას“ წარმოადგენდა. ოვით ტერმინი „ვეზირობა“ ზოგადია და იგი არ აღნიშნავდა აუცილებლად სამეცნი თათბირს, ისევე როგორც „საეპისტო“. „ვეზირობა“ და „სავაზირო“ მეტენჯ დაბილი რანგის პირებსაც შეეძლოთ ჩატარებინათ, „ეთათბირიათ“, საქმე „ერჩიათ“. ავთანდილამა, მავალითად, შერმაღინი დღაისვა სავაზიროსა“ (148), ე. ი. მას მოეთათბირა.

სულხან-საბა თრბელიანის განშარტებით, „ვაზირობა“ საქმის რჩევად<sup>702</sup>, ხოლო „ვეზირი“ — სპარსთა ენაა, ქართულიც განშრახი და ეპრახოზი ჰქეიან<sup>703</sup>. მისივე განშარტებით, „სავაზირო სარჩევი საქმე, რჩევისათვის“<sup>704</sup>. „სავაზირო“ რომ თათბირია, კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი აღვილიდან: „შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი როულა ამას ნები“ (518). მიღენად, „ვიზირობა“ და „სავაზირო“ „რჩევაა“, „სარჩევი საქმეა“. ვატანგ VI-ის განმარტებით „თათბირი სხვათ ენით რჩევა არის“<sup>705</sup>.

ჩვენ გვაინტერესებს სამეცნი ვეზირობა“ ანუ „სავაზირო“, სამეცნი თათბირი — რჩევა, როგორც დგინდება, „ვეზირობა-სავაზირო“ არ წარმოადგენდა რამე თრგინოს, დაწესებულებას<sup>706</sup>. ეს იყო სათანადოდ უფლებამოსილ პირთა თათბირი — რჩევა მეფესთან. ასეთი პირები მეფის „ვაზირებს“, „განშარებებს“ წარმოადგენდნენ. იმ პირთა წრე, რომელთაც სამეცნი ვეზირობაში<sup>707</sup> მონაწილეობის უფლება ქვინდათ, განსაზღვრული და რეგლამენტირებული იყო. სამეცნი ვეზირობა“ ფაქტობრივად სახელმწიფო საბჭოს წარმოადგენდა.

<sup>702</sup> სულხან-საბა თრბელიანი, თხ., IV<sub>1</sub>, გვ. 256.

<sup>703</sup> იქვე, გვ. 264.

<sup>704</sup> იქვე, თხ., IV<sub>2</sub>, გვ. 28.

<sup>705</sup> შოთა რუსთაველი, ველბიტყოსანი, პირველი ბეჭდური გამოცემა აღღერილია. შანიძის შეტ., თბ., 1975, გვ. 375.

<sup>706</sup> შეტ. ი. ფავაზიშვილი, ქართული სამართლის ძალობრივი, წ. II, ნაკვ. I, გვ. 198; საქართველოს იტორისის ნორვეგები, III, გვ. 351.

სამეცნი „ვეზირობა“, როგორც ზემოთ საშუალება დაწილდა /  
აღგვენიშნა, ტარდებოდა მეცის „საწოლში“ და იგივე იყო რამატატეტები  
კრიტონი“. სამეცნი „ვეზირობის“ მოწვევა-ჩატარება წარმოადგინდა მეცის პრეტორატივას. სათანადო მოწყობილობა, „სიკრიტონი“ მო-  
ძრავი იყო. „სიკრიტონი“ და „მოძრავი სალარო“ (სახელმწიფო ბე-  
ჭედი) ყველგან თან ახლდა მეცეს. „ვეზირობა“ მეცეს შექძლო მოწვე-  
ვია ყველგან, სადაც ყოველ კონკრეტულ მომენტში თვითონ იმყო-  
ყებოდა „სასახლეებათ“ ერთად.

ტერმინი „ვეზირი“ და მისგან ნაწილობა-საერთოდ XIII საუკუნეში ჩანს შემოსული. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ამ ტერ-  
მინით ასახული შინაარსის რჩევა-თათბირები მანძლე არ ტარდებოდა.  
როდესაც ვიორგი II-ემ შალიქ-შავ სულტანთან წასელი დამიტია, იგი  
თავის დიდებულებს დაეთათბირა: „ჰყო განწრახვა დიდებულოთა თვე-  
თა თანა, და დაამტკიცეს წარსელა შალალა სულტანსა მალიქსა წინა-  
შე“<sup>707</sup>. ცხადი უნდა იყოს, რომ დიდებულები, ვისაც ვიორგი II „განე-  
ზრახა“, მისი „განწრახვაში“, მოგვიანო ტერმინოლოგიით „ვეზირები“  
არიან, ხოლო თვით „განწრახვა“ — „ვეზირობა-გამორჩევა“. ის დრო  
დებულები კა რომლებიც „განწრახვაში“ არიან და გადაწყვეტილების  
„დამტკიცება“ — ე. ი. დადასტურება, მოწონება ყვალუბათ, იგივე  
ხალხია, რასაც „ხელმწიფის კარის გარიგება“ „სასახლის დიდებუ-  
ლებს“ უწოდებს.

XIII საუკუნის მიწურულს დავით მეცეს, ლემეტრე თავდადებუ-  
ლის ძეს, ვიორგი II-სავით დაუდგა საქმე და ისიც: „განწრახა ვა-  
ზირთა: „უკეთუ წარეიდე ურდოხა, გინა არა“. დაუმტკიცეს ვაშირთა  
წასელი, ხოლო მეცემან არა ისმინა“<sup>708</sup>. იგივე ტერმინოლოგია: „გა-  
ნეზრახა“, „დაუმტკიცეს“. განსხვავება მხოლოდ ტერმინ „ვეზირშია“,  
რომელიც ვიორგი II-ის დროს არ იყო ხმარებაში.

„ვეზირობა“ აღწერილი „ისტორიანში და აზმანში“, ოღონდ შას  
იქ სემანტიკურად საცეპით იგივე „გამორჩევა“ ეწოდება: „თამარშა  
მოუწოდა ვაზირთა თვეთა და შეიქმნა გამორჩევა. უბრძანა შეკონდი-  
ლელია ანტონის ... „ისწრაფეთ დაწერად და მიმოდადევით ბრძანე-  
ბა, რათა მსწრაფლ შემოკრძეს მქედრობა“<sup>709</sup>. ეს ადგილი პირდაპირ  
დადასტურებას პოულობს „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, სადაც  
იღნიშულია: „მწიგნობარს შეკონდიდელი გარდასცემს და ასწერენ და  
იურებან, რაც სასაურეო იყოს“<sup>710</sup>.

<sup>707</sup> ცხოვრება მეცეთ-შეცლის დავთასი, გვ. 321.

<sup>708</sup> დამთააღმტეტებული, გვ. 302.

<sup>709</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, გვ. 125.

<sup>710</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 96.

ვინ მონაწილეობდა სამეფო „განხრახვა-რჩევებში“, ვინ „უზრუ-ცებდა“ მეფეს გადაწყვეტილებებს დაკით აღმაშენებლის შეფიტამდე; სათანადო მისაღის უქონლობის გამო ძნელი გადასაწყიტებლის შექმნა IV აღმაშენებლის მეფობის მიწურულიდან კი უკავე კონკრეტული შეჯელობაა ამ საკითხშე შესაძლებელი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამეფო თაობირს თამარის მეფობის პირველ წელს შეემატა მსახურთ-უხუცესი, ხოლო 1205—1207 წლებს შორის თაბავი. „კარის გარიგების“ ცნობით, ათაბავობის შემოღებამდე მეჭურჭლეთუხუცესი მეოთხე ვეზირი იყო<sup>711</sup>. სათანადო მისაღისა და წინა მონაქევთებში მოცემული შეჯელობის საფუძველზე შეგვიძლია წარმოვადგინოთ სამეფო სათათბიროს შემაღებელობის შემდევი ნუსხა:

1. დავით IV აღმაშენებლის მეფობის მიწურულიდან 1184 წლიდე სამეფო თაობირის უფლებამოსილი მონაწილეები იყვნენ: მწიგნობართუხუცესი-შეყონდიდელი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი. 2. 1184 წლიდან 1205—1207 წლებამდე: მწიგნობართუხუცეს-შეყონდიდელი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, შესახურთუხუცესი. 3. 1205—1207 წლებიდან: მწიგნობართუხუცეს-შეყონდიდელი, ათაბავი, მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი. „კარი გარიგების“ მისედვით, თაობირს ესწრებოდნენ ასევე ამირათორი, ამირევვიბი, და, რა თქმა უნდა, საწოლის მწიგნობარი<sup>712</sup>.

„ვეზირობის“ დროს, გარდა იმ პირებისა, კისაც მასზე დასწრების უფლება ჰქონდა, მობილიზებული იგი სასახლის დიდმინისტერთა რანგით მომდევნო წევები: მეაბჯრეთუხუცესი, განმვეთუხუცესი (ეზოს-მოძღვარი), სამეფო ნაცვალი, ზარალებანის მწიგნობარი, შესტუმრე<sup>713</sup>. ისინი „საწოლის“ გარეთ იდგნენ სათანადო განკარგულებების მოლოდინში<sup>714</sup>. ფაქტობრივიდ „ვეზირობის“ დროს სასახლის მთელი შტატი იყო ჩართული საქმიანობაში რანგისა და ფუნქციების შესაბამისად. სათანადოდ დაცული იყო უშიშროება და „სიკრიტონის“, „ვეზირობის“ საიდუმლოება (შდრ. ლათინური secretum).

რა საკითხები წყდებოდა მეფის „საწოლში“ სამეფო „ვეზირობა-გამორჩევაშე“, რა საკითხთა წრეს მოიცავდა იგი?!

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ომის გამოცხადების საკითხი. თამარის მიერ მოწვეული „გამორჩევა“ ვეზირებისა სწორედ ამ სა-

<sup>711</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>712</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>713</sup> იქვე.

<sup>714</sup> ა. გავახი ვის ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, გვ. 201.

კითხს ეძღვნებოდა. ომსა და „მიმართებას“ მეტე და მისი უკეთესობა შა-თათბირი „ამტკიცებდა“<sup>715</sup>.

„ვეზიორობაზე“ რომ ომისა და ლაშქრობის საყითხები მიმდინარეობდა პირ და პირ და და სტურებული ია „ქარის გარიგებაში“: „ლაშქრობამ და ლაშქრობის ვეზირობა (resp. თათბირი) ამირსპასალარის ჰელთ არის. მას წინათ არაენი იტყვს, რამ ვეზირობა იყოს“<sup>716</sup>. სავსებით გახაგები მიზეზების გამო, „ლაშქრობის ვეზირობა“ ამირსპასალარის კომპეტენციას შეაღვენდა „ვეზირობაზე“.

ეჭვმიუტანლად დადასტურებულია, რომ „ვეზიორობაზე“ განიხილებოდა „ქვეყნის გაცემისა და სამამულოდ შეწყალების“ საყითხი<sup>717</sup>. ბუნებრივია დავისკვათ, რომ იქვე იხილებოდა უკვე „გაცემული“ ქვეყნებისა და მამულების „წართმევის“, „ჩამორთმევის“ საყითხიც. ეს რომ ასე იყო, დასტურდება საეკლესიო კრების დაღვენილებით უღუ დავითის მიმართ: „ვინცა ვინ დაკრულვილა, თქუნ მიერცა შერისხელა, მამული დასტირვია და ლაშქართა შიგან არ შეშუებულა. აწ თუ ვის დავპერულავთ, გამოაქენებს თქუნეს დარბაზსა და თქუნთა ვაზირთა მოქმიდითებს, ბრძანებასა და კაცს უბოძებთ... პავად გაჭდის ნაცელად“<sup>718</sup>. „შერისხეა“ და „მამულის“ დაშერა მეფისა და მისი ვეზირების კომპეტენციაა, მეტე ვეზირების მეშვეობით არეგულირებს ამ საეითხს. სათანადო მასალა სრულ საფუძველს გვაძლევს დაესკვათ, რომ ქვეყნისა და მამულის „გაცემაც“ და „დაჭირვაც“ („შერისხეა“), „ვეზირობაზე“ იხილება მეფისა და მისი „განმშრახების“ მიერ.

ქვეყნების გაცემა და ჩამორთმევა უმჭიდროობად იყო დაკავშირებული „საეკლესის“ ბოძება-წართმევისთან. მიტომაც საფიქრებელია, რომ დავითის ისტორიკოსის „საეკლესია და საბჭოთა სჯინი“<sup>719</sup> სწორედ სამეფო თათბირზე მიმღინარეობდა. შეუძლებელია, მეფეს საკუთარ თავთან პქონოდა გამართული „სჯია“.

ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანები საყითხების განხილვაში ყველა ევითი მონაწილეობა და ამიტომაც ეკუთვნოდათ მათ „ქრთამი და სასაურვო“<sup>720</sup>, „სიგლის ქრთამი“ სათანადო რანგის მისედვით.

<sup>715</sup> ომის გმირჭადების საყითხი, ი. გვახსივილის მირთ, სხვა ფუნქციებთან ერთად ე. წ. „სახელმწიფო დარბაზის“ პრეზიდენტისა იყო. ეს არ დასტურდება წყაროებით (იხ. ი. გ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 242).

<sup>716</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 86.

<sup>717</sup> იქვე.

<sup>718</sup> იქვე, გვ. 163.

<sup>719</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაკავშირი, გვ. 351.

<sup>720</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 86.

„ეჭიშირობაზე“ ხომ ყველაფერი ის წყდებოდა, „რაც იყოს“<sup>721</sup>.

სასახლის დიდი მოხელეები ისინი არიან, ვისაც პლატონის „სასაურუო“ ევალებათ, ვინც „ოურვიან“ და სწორედ ამისთანაა დაკავშირებული ფორმულა „ეჭიშირნი და მოურავნი“.

საავთ კარზე საუბრისას ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ყოველგვარი სახის აჯამოქსენება გარკვეული საფრენურების გავლით, დადგენილი რთული წესით აღწევდა არა მნოლოდ მეფემდე, არამედ ეჭირებამდეც. „აჯა“ ყველა სახის თხოვნა იყო, სამეფო კარზე „ევდრების“ სახით წარდგენილი.

„ისტორიათა და აზმათა“ ცნობით, ასათ გრიგოლის ძემ „იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა“<sup>722</sup>. საესპილ წათელია, რომ ეს „აჯა“ ერთსთვის თანამდებობის ბოქტას შეეხება. იგივე მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს თამარის მეორე ისტორიის შემდეგ აღიიღას: „მონაპირენი ... ღამეთა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებლად, და რომელნი შიგნით იყვნეს იგინი საპაროთა იაჯადეს“<sup>723</sup>.

„აჯა“ იყო დამნაშავეთა თხოვნაც შენდობის შესახებ: „ლიხთი იმერთა დიდებულთა, შემნანებელთა შეცოდებისათა და მოაჯეთა შენდობისათა“<sup>724</sup>.

როგორც აღნიშნული გვქონდა, „აჯა“ ხაავთ კარის საშუალებით შედიოდა სასახლეში. მას ჯერ ეჭიშირებს მოახსენებდნენ და შემდეგ კი ისინი თავის მხრივ მეფეს აყვნებდნენ საქმის კურსში.

ჩვენ ზემოთ მითითებული გვქონდა ერისთავ აზიშიანის „აჯა-მოქსენებაზე“ ექძისნეველი ნიანიას საქმის გამო. მის შესწებ ერისთავი მეფეს „დავაჯა“. თავისთვის უნდა ვიცელისხმოთ, რომ ამის ნიანიას ერისთავისადმი „აჯა“ უძლოდა წინ.

სამეფო კარზე მეფისათვის „აჯის“ მირომევის მწყობრი რეგლამენტი ჩანს. განსაზღვრულია, ვინ „იურვის“ მეფესთან „სასაურეოს“, სად და რა პირობებში.

1. „უკაზმავ“ მეფესთონ მსახუროთუხუცესი და მისი „კელისანი“ „იურვიან“, მაგრამ ამირეჯიბს უპირატესი უფლება აქვს ასეთ დროსაც „იურეოს“ მეფესთან<sup>725</sup>.

<sup>721</sup> იქვე, გვ. 96.

<sup>722</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, გვ. 34.

<sup>723</sup> ცხადრება მეფეთ-მეცნიერისა თამარისი, გვ. 129.

<sup>724</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, გვ. 54.

<sup>725</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 83—84.

2. „შეკაზმულ“ მეფესთან „საღამოს რეკამდის“ საურავი  
ძღვნის შეწირვა ამირევების უფლებას შეაღეცენდა<sup>726</sup>.

3. ცხენე მჯდომ მეფესთან „ურვა“ ამირახორის კომპლექსური შედებით  
შედებით — „ვისცა უდარბაზებს, ვინ ვინდა იყოს, ათაყვანებს“. რო-  
დესაც ამირახორი აღვილშე არ იმყოფებოდა, მისი ქელისანი“ (მე-  
აბჯრეთუხუცესი) ასრულებდა მის მოვალეობას<sup>727</sup>.

ჩამოთვლილი მოხელეები, რომლებიც „იურვიან“, არიან სწორედ  
„მოურიაები“. მათ უფლებას შეაღეცნ „აჯის“ მირამევა, კერძო  
აუდიონცის მოწყობა („უდარბაზებს“, „ათაყვანებს“) და „ძღვნის  
შეძლვნა“.

„აჯის“ და „საურავის“ თვალსაზრისით უაღრესად საყურად-  
ლებო უამთაღმწერლის ერთი ცნობა. შაღვე ქვენიფნეველი დაივით  
დემეტრეს ძეს გადაუდგა და „ორგულობდა“. მეფე „ოკერებდა მამულ-  
სა შალვა ქვენიფლეველისა თრგულობისათვას. მაშინ უღონო იქმნა  
ქვენიფლეველი და ეველრა სურამელსა მსახურთუხუცესსა [და]  
ქართლის ერისთავესა პამიდას, რათა იუროს მეფეს წინიშე. მოაქსენა  
მეფესა და არა ინგა (მეფეშ, ი. ა.) მისივს (პამადასთვის, ი. ა.) და-  
შირვა ... შეუნდო მეფემან შალვის<sup>728</sup>.

ამ ცნობიდან შესანიშნავად ჩანს „აჯის“ და „ურვის“ წესი და  
რიცო. შერისსელი ქვენიფნეველი ვეზირთან და ერისთავთან მი-  
ვიდა და მეფესთან „ურვის“ „ეველრა“. „ეველრება“ იგივე „აჯია“.  
სულხან-საბა თრბელიინის განმარტებით: „ეაჯი — დიდად ეველრა“<sup>729</sup>,  
„იაჯა-იველრა“<sup>730</sup>. ვ. ი. ქვენიფნეველი მსახურთუხუცესს „დააჯებია“.  
მან, თავის მხრივ, „ურვა“ მეფესთან შალვა ქვენიფნეველს. ეს „ურვა“  
იმაში გამოიხატა, რომ მან მეფეს „მოაქსენა“ ქვენიფნეველის „აჯა“.  
მეუემ თავის მხრივ, მსახურთუხუცესის პატივისცემით, „შეუნდო“  
შალვას.

ციტირებული ცნობიდან კარგად ჩანს „აჯის“, „მოქსენებისა“ და  
„ურვის“ საცენურები და საირიადო რეგლამენტი, რომელიც, როგორც  
აღვინიშნეთ, გარკვეული და დაღვენილი იყო და ტრადიციული ცერე-  
მონიალით სრულდებოდა. ამას ერქვა „წესი სახლისა და პალა-  
ტისა“<sup>731</sup>.

ზემოაღნიშნული „წესების“ დაღვენის შემდეგ, ჩვენ შევვიძლია  
ვანვიზილოთ ვიორვი V ბრწყინვალის „ძეგლისღების“ მუხლები, რომ-

<sup>726</sup> იქვე.

<sup>727</sup> იქვე, ვ. 86—87.

<sup>728</sup> კამალმწერელი, ვ. 307.

<sup>729</sup> სულხან-საბა თრბელიინი, თხ., IV<sub>1</sub>, ვ. 233.

<sup>730</sup> იქვე, ვ. 326.

<sup>731</sup> ქართული სამართლას ძეგლები, III, ვ. 163.



ლებიც ზოგჯერ არასწორადაა გავებული და ე. წ. „სიხელმწიფო დარბაზის“ არსებობის დამაღრატურებლადაა მინეული<sup>733</sup>შე მისამართი ნოთ ეს მუხლები:

1. „თუ კევისბერმან მოკლას განმგებელი, სამს წლამდის მამული-საგან გაიძოს ... მესამეს წელიწადს მოვიდეს და ერისთავს შემოეხუ-ეწოს. ერისთავმან ვეზირთ მოაქსენოს და ვეზირთ დარბაზთ პედრონ და დარბაზით მამული ებოძოს კევისბერსა“ (მუხ. 5)<sup>734</sup>.

2. „კევისბერი თუ მოკლას კევისბერმან ... მამულისაგან გაიძოს ... მესამეს წელიწადსა ერისთავსა და განმგებელს შემოეხუეწნენ და მათ ვეზირთ მოაქსენონ, ვეზირთ დარბაზთ იურეონ და მამული კელთ უბოძონ“ ... (მუხ. 6)<sup>735</sup>.

3. „თუ ვინ ჩევისბერის კაცის გაუყოფარი ... მოკლან ... მამული-საგან გაძება ორს წელიწადს ოდენ მაზუდეს ... და იმავე ზემოთ გა-ნაჩენით ერისთავისა და განმგებელისაგან დარბაზთ ეურეოს ვეზირთა და მოურავთა პირთა, მამული ებოძოს“ (მუხ. 7)<sup>736</sup>.

4. „თუ კევისბერის განაყოფი... მოკლას ვინმე... ორს წელიწადს უკან იურეოს ერისთავისა და განმგებლის პირთა, იმავე ვეზირთა საურავთა და წესითა დარბაზისათა, მაშინდა მამული ებოძოს“ (მუხ. 9)<sup>737</sup>.

ეს, და სხვა შეგვავსი მუხლები ზოგჯერ გავებულია ისე, რომ ერისთავი და განმგებელი ვეზირებს „მოაქსენებენ“, ხოლო ვეზირები თავის მხრივ რაღაც მათზე მდგომ ორგანოს, „დარბაზს“ „პედრონს“ საქმის ვითარების. ციტირებულ გამოცემაში ზოგჯერ სასენი ნიშ-ნებიც არაა სწორად დასმული, რაც კიდევ უფრო აძლევებს ტექსტის გაგებას.

მოტანილ მუხლებში საუბარია მამულიდან დანაშაულის გამო გაძევებული პირების უფლებების აღდგენაზე. განვიხილოთ რიგის მიხედვით ეს მუხლები.

მეხუთე მუხლის თანახმად, დამნაშავე ხევისბერი მესამე წელი-წადს უნდა „შემოეხუეწოს“ („ვეგელროს“, „დაევაჯოს“) ერისთავს. ერისთავი თავის მხრივ ამ „ხევეწნის“ მოაქსენებს ვეზირებს. თავის მხრივ ვეზირები რაღაც „დარბაზს“ კი არ „პედრონს“ „ავის“ შე-

<sup>733</sup> ი. ს უ რ გ უ ლ ი ძ კ, სახელმწიფოსა და სამართლის საქონები კვეუჩისტყა მინის მიხედვით, გვ. 139.

<sup>734</sup> ი. დ თ ლ ი ძ კ, გორგი ბრწყინვალის სამართლი, თბ., 1957, გვ. 105—106.

<sup>735</sup> იქვე.

<sup>736</sup> იქვე, გვ. 106—107.

<sup>737</sup> იქვე.

სახებ, არამედ ვეზირებს „პკადრებენ“ ერისთავის „მოქსენებულს“ დარბაზში, ინუ სასახლეში. სწორედ იმას ნიშნავს „ვეზირთ დარბაზზე პკადრონ“. ერისთავის „მოქსენება“ ვეზირებს უნდა „პკადრონში მისამართი უნდა ხელვევითებმა. ცხადია, ერისთავის მოხსენება არ იყო პირალტი. შუალედი ლებელია ყოველი მკვლელობის საქმეზე ერისთავი პირალტ ჩასულიყო და დედაქალაქში ვეზირებისათვის მოხსენებლად. „აჯა-მოხსენება“ უაშველია, მეფის სახელზე, ვეზირებს მისღილითა და შემდეგ ისინი „იურკოლნენ“. „მოხსენების“ შინაარსის სწორი ვაკების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია უამთააღმწერლის ერთი ცნობა. ჯალად ედლინი შეხვდა ავაგ მნარგრძელს და თავისი გეგმა გაანდო — რუსულინის ცოლად შერთვისა და ხორუზმელოა და ქართველთა მონლოდებთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ავაგმა „არა პასუხ-ავო, არამედ თქუა: „ვაუწყებ თქმულსა მაგის მეფესა და ვაზირთა მისთა“. მსწრაფლ წარავლინა კაცი მეფისა და იუწყა თქმული... იხილეს წიგნი, განკურდა მეფე“ ...<sup>73</sup>.

როგორც ვხედავთ, თვით უმნიშვნელოვანესი საქმის ვამო ავაგი თვითონ კი არ წავიდა სასახლეში, კაცი და წიგნი გააგზავნა. დაუკერებელია, ერისთავს ყოველი მკვლელობის საქმეზე პირალტ მოხსენებები ეკეთებინა ვეზირებისათვის.

ამდენად, „შემოხუკუწებული“ დამნაშავის საქმეზე ერისთავი შუამდგომლობდა, „მოხსენებას“ აგზავნიდა „დარბაზში“ (სასახლეში), ეს მოხსენება უეჭველი სააჯო კარში შედიოდა, შემდეგ მას ვეზირებს „პკადრებლნენ“, ე. ი. გააცნობდნენ და „დარბაზშით“, ე. ი. დარბაზიდან, სასახლიდან გაცემული განკარგულებით, დამნაშავეს პატიქა და მამულის დაბრუნების უფლება ებოძებოდა.

ამგაძრივე შინაარსისაა მექქეს მუხლი. გაძევებული დამნაშავე უშმოებელება ერისთავსა და განმგებელს, ისინი ვეზირებს მოახსენებენ. ვეზირები, „დარბაზშით იურკიან“ და მამულს „კელო უბოძებენ“. ჩევნ ზემოთ, სათანადო მასალის საფუძველზე წარმოდგენილი გვქონდა რა რა ნიშნავს „დარბაზს ურკა“, სასახლეში „ურკა“.

მხევარ მდგომარეობა მეშვიდე მუხლშიც. ერისთავისა და განმგებლის „პირით“ „სააჯო“ საქმის შესახებ „დარბაზშით ეურვოს“, ე. ი. სასახლეს უნდა შეატყობინონ და დამნაშავეს ვეზირთა და მოურავთა პირითა მიმული ებოძოს“. ამ მუხლში მძიმე არა სწორად დასმული, რაც საქმით ცვლის მის შინაარსს. მძიმე უნდა არა სიტყვების „ვეზირთა და მოურავთა პირითა“ შემდეგ, არამედ „დარბაზთა ეურვოს“ შემდეგ: „ერისთავისა და განმგებლისაგან დარბაზთ ეურვოს, ვეზირთა და მოურავთა პირითა მამული ებოძის“.

73 ეპოვალმწერელი, გვ. 174.

მეცერე მუხლიდან კარგად ჩანს, რომ დამნაშავემ უნდა „დაურებული“ ერთსთავისა და განმეობლის „პირით“. მას სოციალური სტატუსი არ ძლევს საშუალებას უშუალოდ გაუგზავნოს ვეზირებს „მარტომისუმბად“. იმივე ვეზირთა „საურავით“ და „დარბაზის წესით კი შეასრული ეპოქას. ცნადია, „დარბაზის წესი“ იგივეა, რაც „წესი სახლისა და პალატისა“, ე. ი. საქმისწარმოების დაღვენილი წესი. ვეზირთა „ურვა“ და „საურავი“ კი ჩვენ განხილული გვთონდა კონკრეტულ მაგალითებზე. მნიშვნელოვან საქმეზე „ურვა“ „ვეზირობაზე“ ხდებოდა.

„ძეგლისდებაშიც“ იგივე წესრიცი ჩანს, რაც სეკა ზემომოტანილ წყაროებში. დამნაშავე „ურვას“ „ენვეწება“, „ეაჯება“ ერთსთავის; ერთსთავი „მოაქსენებს“ ვეზირებს; ამ „მოაქსენებს“ ვეზირებს „პალატებენ“ სასახლეში, დარბაზში, რომელიც მათი მოვალეობების აღსრულების ადგილია. „დარბაზში“ ანუ სასახლეში ვეზირები და მოურავები „იურვიან“ „დარბაზის წესის“ მიხედვით და სათანადო განკარგულებაც გაიცემა „დარბაზით“, ანუ სასახლიდან „ვეზირთა და დამურავთა პირითა“.

მეფის შემდეგ ვეზირები უმაღლესი \* თანამდებობის პირები იყვნენ და ამავე დროს დიდი ერისათა ვეზირიც. ცნადია, ისინი კი არ „პალრებდნენ“ ე. წ. „დარბაზში“ საქმის ვითარებას, თვით ვეზირებს „პალრებდნენ“ საქმის ვითარებას „დარბაზში“.

„ძეგლისდება“ გიორგი ბრწყინვალის ინიციატივით იყო შედგენილი. მან დაუნდობლად გაიწყევებინა ურჩი დიდებულები, ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის იმპროტა და რა დამაჯერებელია, რომ მისი თაოსნობით შედგვნილ სამართლის წიგნში „ფეოდალთა სათათბირო“ ყოფილიყო დასახელებული მამულის გამცემიდ, თანამდებობისა და პრივატულიების მნიშვნელიად. „ძეგლისდების“ დარბაზი სამეფო სასახლეა, საღაც ვეზირები და მოურავები, ცენტრალური შმართველობის აპარატის უმიღლესი მოხელეები „იურვიან“ და სათანადო განკარგულებებსაც „დარბაზით“, სასახლიდან სცემენ. აქვე ხაზებსმულია ვეზირთა დიდი მნიშვნელობაც. მათ „პალრებენ“ სათანადო „აჯარმოსენებებს“.

უოველივე ზემოთქმული, სათანადო წყაროებით დადასტურებულ მაღალ სახელმწიფოებრივ კულტურაზე, დაღვენილ რეგლამენტზე და მეცერად დაცულ სუბორდინაციაზე მივითოთებს.

სასახლის ცენტრალური აპარატის უმაღლესი მოხელეების პრეროგატივებისა და „ვეზირობის“ განსილვა, საშუალების გვაძლევას კვლავ დაუცემუნდეთ ყუთლუ-არსლანის პროგრამის საკითხს. ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ ყუთლუ-არსლანი ითხოვდა არა „საკანონმდებლო უფლებებით“ აღჭურვილ „დარბაზს“, არამედ ცენტრა-

თუ „შევადარებთ ყუთლუ-არსლანის საპროგრამო მოთხოვნას შე-  
მოთ დაღვენილ „კეზირობის“ ფუნქციებს, შეუძლებელია არ მივიღეთ  
იმ დასკვნამდე, რომ ყუთლუ-არსლანმა და მისმა დასმა მართლაც  
უშაოდესი მმართველობის აპარატის კარისაგან გამოყოფა მოთხოვა,  
ე. ი. „კეზირობის“ ჩატარება მეფის გარეშე. შევისენოთ, რას ითხოვ-  
და ყუთლუ-არსლანი: „მომღებელმან წესსა რასამე საპრისო განავის-  
სა, ითხოვა კარივი დაღვმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღო-  
დებლისასა და თეუა: „დასხელომილი მუნ შიგა, განშეველინი მიცემი-  
სა და მოღებისა, წყალობისა და შერისსვისანი, კვადრებდეთ და ვაც-  
ნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინდა სრულ იქმნებო-  
დეს განვებული ჩუენი“<sup>741</sup>. როგორც ეხედავთ, ყუთლუ-არსლანი მი-  
ცემისა და მოღების, წყალობისა და შერისსვის განვებას ითხოვს,  
რომელიც შემდეგ მეფემ უნდა „დაამტკიცოს“. ვფიქრობთ, ძნელი  
არაა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ „მიცემა-წყალობა“ და „მოღება-  
შერისსვა“ სწორედ ის ფუნქციაა, რასაც „კეზირობა“ ახორციელებდა  
მეფის თავმჯდომარეობით. „კეზირობის“ ხომ „ე უ ე ყ ა თ ა გ ა-  
ც ე მ ი ს ა“ და „ს ა მ ა მ უ ლ თ დ შ ე წ ყ ა ლ ე ბ ი ს“, ასევე, „შერის-  
სვისა“ და „მამულის დაჭირების“ საკითხები იხილებოდა. ვფიქრობთ,  
„მიცემა-წყალობისა“ და „კაცემა-შეწყალების“ შორის ამსოდებულებურად  
არავითარი სხვაობა არაა. მიტომიც დაეხსკვენით ჩვენ, რომ ყუთ-

728 n. o 6 ट्रे ला वा, XI—XV से, साक्षात्कारोंसे लेप्रालूर्म-कलंगुर्युर्ग एवं निर्माणसे साक्षात्कार, 21, 192.

739 ad3n. 27, 190.

<sup>740</sup> В. В. Бартольд. Туркестан в эпоху монгольского нашествия, Сочинения, т. I, с. 286; В. Гордлевский, Государство сельджукидов Малой Азии, с. 137; б. Ээбээс Сүюн, Өвөрхийн шоо Үзүүлэлтэй, 23-135—144; б. Ээбээс Сүюн, Монголын, Засгий, Материалы үзүүлэлт, № 4, 1975; б. 95—101; Ээбээс Сүюн, О происхождении термина *Amirbar-i*, Филологические заметки, с. 16.

741 ପୁରୁଷୀଙ୍କ ରେ ହେଲିଏନ୍ତି ମେହିରେନ୍ଦ୍ରାଜାନ୍ତି, ୩୩, ୩୦—୩୧.

ლუ-არსლანი ცენტრალური შმართველობის გამოყოფას ითხოვდა კირილი. „ვეზირობა“ მეფის გარეშე უნდა ჩიტარებულიყო, მას კამა-დრებულნენ და აცნობებულნენ“ გადაწყვეტილებას, დაწარმეტებულად გაუგზავნიდნენ მას. „კარივში“ „ვეზირობას“ სათავეში მიქელ მირი-ანისძე უნდა ჩაღვომოდა, რომელმაც, საფიქრებელია, სწორედ მისია-თვის „მოიკერავა“ მწიგნობართუსუცეს-ჭყონდიდლობა, ვაზირობა<sup>742</sup>.

ამდენად, ჩვენი აზრით, „ვეზირობა“ იყო სახელმწიფო საბჭო, სამეფო თაობირი, რომელშედაც წყდებოდა უცვლა უმნიშვნელოვანები საქითხი და ივი მეფის თავმჯდომარეობით ტარდებოდა. ყუთლუ-არსლანმა და მისმა დასმა „ვეზირობის“ კარისაგან გამოყოფა მოითხოვა მწიგნობართუსუცეს-ჭყონდიდლის, მიქელ მირიანისძის ხელმძღვა-ნელობით. ამ მომრაობას არაფერი ქვენია საერთო პარლამენტთან. ე.წ. „სახელმწიფო დარბაზი“, რომლის წევრები თითქოს ერთსათვთ-ერისთავები და ერთსათავები იყვნენ, არ არსებულა<sup>743</sup>. უმაღლეს სათათ-ბიროს და საქმიან საბჭოს, როგორც აღინიშნა წარმოადგენდა სამეფო „ვეზირობა“. ცენტრალური აბარატის უმაღლესი მოხელეები, უმეტეს შემთხვევაში ან თვით იყვნენ დიდი ერთსათავები, ან კი დიდი საერთო-თავო სახლის შეიღები. ამიტომაც „ვეზირობაზე“ წარმოდგენილი იყო მსხვილი აღვილობარიეტი მმართველობაც და რაიმე სხვა „სახელმწიფო საბჭოს“ საჭიროება არ არსებობდა. ვეზირები თავისი სახელო უწყე-ბების გარდა, მონარქიის უღილეს სტატუსითავოებსაც წარმოადგენდნენ.

### სასახლის ცერემონიალი

სასახლის ცერემონიალი, ანუ როგორც წყაროები უწოდებენ „წესი სახლისა და პალატისა“<sup>744</sup>, „წესი სახლისა საკელმწიფოსა“<sup>745</sup>, „დარბაზის წესი“<sup>746</sup>, როგორც დავრწმუნდით, მრავალ მხარეს მოი-ცავდა. „საკელმწიფო სახლის წესის“ კომპლექსში შედიოდა საქმის-წარმოების, „წყალობა-შეწყალების“, „დაშირვა-შერისხვის“, დამნა-შევთა „შენდობის“ და სხვა „წესები“. სწორედ ამ „წესის“, „სახელ-მწიფო სახლის“ ცერემონიალის აღნუსხვის წარმოადგენს „ხელმწი-ფის კარის გარიგება“.

სამეფო ხელისუფლებაზე, ცენტრალური უწყებებისა და უმაღლე-სი მოხელეების შესტებ საუბრისას, ჩვენ შევეხეთ „საკელმწიფო

<sup>742</sup> ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დაბახ. ნაშრომი, გვ. 215—217.

<sup>743</sup> ერცავდ ა. ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XV ს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტის საკითხები, გვ. 129—155. იქვე ერცავდ ბიბლოგრაფია.

<sup>744</sup> ქართული სამართლის ქველები, II, გვ. 163.

<sup>745</sup> ქართული სამართლის ქველები, II, გვ. 43.

<sup>746</sup> ქართული სამართლის ქველები, II, გვ. 95.

სახლის წესის" მრავალი მხარეს. განსაკუთრებით იმ „წესებს“ ჩოტებიც ბიც საქმისწარმოების, სახელმწიფოს, დომენისა და თვით სასახლის მართვას შეეხებოდა. საგანგებოდ შევეხეთ „ვეზირობას“. ცირკულარი

შეცნიერული, და უნდა ითვას, შემცნებითი თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო „საქელმწიფო სახლის“ ცერემონიალის ის ნაწილიც, რომელიც უშუალოდ არაა დაკავშირებული სახელმწიფო ებრავ მართვასთან. ესაა სამეცო საზეიმო მიღებებთან, დღესასწაულებთან და მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებული „წესი“.

თავის დროშე ი. ჯავახიშვილი არ შეხებია ამ საკითხს საგანგებოდ, რადგან იგი არ მიიჩნია ქართული სამართლის ისტორიის საგნიდ და ამ „წესებს“ ძღვილი კულტურისა და ზემოქმედებათა ისტორიაში მიუჩნია<sup>747</sup>.

უკანასკნელ ხასს ა. კიკევიძე შევხო წვენთვის საინტერესო ამ საკითხს და მიუთითა, რომ შეუძლებელია დარბაზის ხელისუფალთა „მოქმედების განწესრიგება მხოლოდ მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხად მიეიჩნიოთ, იგი წმინდა სახელმწიფო სამართლის სფერო“<sup>748</sup>.

ვფიქრობთ, სასახლის ცერემონიალი იმდენადევ განკუთვნება კულტურის ისტორიის, რამდენადც სახელმწიფო სამართლის. ამ ცნებების გამოყვნა-დაპირისპირება მცნიორების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ უნდა იყოს მართებული.

სახელმწიფო სამართლებრივი ინსტიტუტების მაღალი განვითარება, უმჭველი მოწმობა ისევე მაღალი სახელმწიფოებრივი კულტურისა. ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია დავაცილოთ საერთოდ იმ ხალხის კულტურულ მონაცემის და ისტორიის, ვისაც ეს ინსტიტუტები შეუქმნია. სახელმწიფოებრივი კულტურა, წევნი ღრმა რწმენით, ისეთივე განუყოფელი ნაწილია ერის კულტურული მემკვიდრეობისა, როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები.

განსვენებულმა ა. კიკევიძემ სასახლის ცერემონიალი ე. წ. „სახელმწიფო დარბაზის“ კონცეფციის შექმნების განიხილა და ამიტომაც წყაროების ზოგიერთი პირდაპირი წევნება უფრო სხვაგვარიდ გაიგო, ვიდრე ეს, წევნი აზრით, სათანადო მონაცემებიდან გამომდიარეობს. შევეცდებით, სასახლის ცერემონიალი წარმოვადგინოთ უშუალოდ წყაროების საფუძველზე, ცხადია, მკელევართა შექმნა ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე გამოთქმული მოსაზრებისადმი წევნი პოზიციის წვენებით.

<sup>747</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 245.

<sup>748</sup> ა. კიკევიძე, ქართული სახელმწიფო დარბაზი და მისი დღვილი ავტობირულისანში, XIII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკონსები, თბ., 1968, გვ. 211.

თავის დროზე ი. ჯავახიშვილი შეეხო ე. წ. „დარბაზობა“ საეკის და მიუთითა, რომ „დარბაზობა იჩნიარი სცოდნიათ: ან „დრიდის წესითა“, ან „უმცროსითა“<sup>749</sup>. მისივე დასკვნით, დიდი ერთსამაგრესი დარბაზის (ი. ჯავახიშვილის აზრით, ფეოდალური სათარიშოსის) ხელმწიფო საბჭოს) საქვიშო სხდომა იყო, რომელზედაც „შეიძლება მხოლოდ ისეთი საქმეები ყოფილიყო გარნეული, რომელთა შესახებ საჯაროდ მსჯელობა უხერხული და სახიდათო არ იყო“<sup>750</sup>. მკელევარი, დიდი დარბაზობისაგან განსხვავებით, „უმცროსითა წესითა დარბაზობა“ მიიჩნია ე. წ. „სახელმწიფო დარბაზის“ საქმიან სხდომად<sup>751</sup>.

ეს დებულება უაღრესად პოპულარულია სამეცნიერო ლიტერატურაში, შესულია სახელმძღვანელოებში.

სათანადო მასილის განხილვის იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ არც „დიდი დარბაზობა“ და არც „უმცროსითა წესითა დარბაზობა“ საერთოდ არ იყო სხდომა და მითუმეტეს საქმიანი სხდომა.

იმ დასკვნის ნათელსაყოფად უნდა მივმართოთ იმ წყაროს, რომელიც ი. ჯავახიშვილის უცმოციტირებული დებულების სათა კვეს წარმოადგენს. ეს წყარო „ხელმწიფის კარის გარიგებაა“, რომელშიც სათანადო აღგილის აღნიშნულია შემდეგი: „აწე განცნადება ვთქვათ — დიდი დღესასწაული. და წესი არის, რომე მეფე საღაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოველივე წავა. დიდი დროშა ააბან და მენობათვინი წინათ, და დროშია განაღამცა წინა ამართული ... ეგრევე წამოვიდნენ ეკლესის. მივა მეფე ... და რა წყალი აკურთხონ, მეფე ეკლესით გამოვიდეს, დროშით წავა და მუნევ კარის შესავ [ა] ღს ქ [ც] ეშე დადგების. დარბაზობა, ვითარცა მეფეს ეპრიანოს: დიდის წესითა, და თუ უმცროსითა, ვითარცა დიდი წესი იყოს, იქნას“<sup>752</sup>.

სწორედ ამ კუპიურიდანაა მოღებული ტერმინები „დიდის წესით დარბაზობა“ და „უმცროსი წესით დარბაზობა“. აქ არაფერია ნათევამი არც საქვიშო და არც საქმიან სხდომაშე. განცხადების დღესასწაულზე ეკლესიდან გამოსული მეფე ბრძანებას გასცემდა, საღდესასწაულო „დარბაზობა“ — წვეულება „დიდის წესით“ მოეწყოთ თუ „უმცროსით“. შეუძლებელია მეფეს განცხადების დღესასწაულზე, ეკლესიდან ახალმოსულს, სხდომის მოწვევის განკარგულება გაეცა. საებარია განცხადების, ერთ-ერთი უმთავრესი რელიგიური დღესასწაულისადმი მიძღვნილ სამეფო წვეულებაშე.

<sup>749</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძალობრივი, წ. II, ნაკვ. I, გვ. 241.

<sup>750</sup> იბჲი, გვ. 242.

<sup>751</sup> იბჲი.

<sup>752</sup> ქართული სამართლის ძალები, II, გვ. 80—81. მსგავსი ცეტემონალი საცდეს დღესასწაულების დროს იყო ბაზარიაშიც, რომლებიც სამპეჩატორო დარბაზობით (სულით) მთავრდებოდა ი. დ. ფ. ბელაევ, Примечания и выходы Византийских царей, Казань, 1893, с. 37.

ჩვენ გამორიცხულად მიგვაჩნია, რომ ქრისტიანი შეფის, „შესის მახვილად“ და „ღვთისსწორად“ წოდებულის კარზე, განცხადების დღეს „სახელმწიფო დარბაზის“ სხდომები მოეწვიათ. მითურებეს შეუძლებელია ეს ნორმად იყოს ფიქსირებული „ხელმწიფის კარის გარიგებაში“.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ციტირებული აღგილის შესახებ გამოტანილი ჩვენი დასკვნა რომ სწორია, ამას პირდაპირ აღასტურებს „დიდი სჯულისკანონი“: „სამოქალაქოთა სჯულთა განწესებად იტყვს, ვთთარმედ ყოველისავე გარეშისა საქმისათვს უქმნი არიან შედნი დღენი უწინარეს აღვებისა და შვლის-შემდგომად აღვსებისა და ქრისტეს შობისა და განცხადების ავა... და ამათ დღეთა შინა ... ორ ცა საბჭოთა და იდების, .. არამედ უფროოსლა მონათა განთავისუფლება (შრლ. „ათავისუფლე მონები“, ი. ა.) იქნების და პყრობილთა განტევებად და თანამდებთა მიტევებად<sup>753</sup> (ხაზი ჩვენია, ი. ა.).

როგორც „დიდი სჯულისკანონიდან“ ჩანს, „არცა საბჭომ დაიდების“ და ყოველი „გარეშე საქმე“ აქრძალულია არა მხოლოდ აღვსების, ქრისტესშობისა და განცხადების დღეებში, არამედ ასევე მათ შეიდი დღით „უწინარეს“ და შვიდი დღით „შემდგომ“, ე. ი. მთელი რი კვირას.

აღნიშნული საყითხი დასმულია „მცირე სჯულისკანონშიც“: „ქრისტეშობად უქმობად არს ... განცხადებად უქმობად არს“<sup>754</sup>.

შესაძლოა, კრიტიკულ, ექსტრაორდინარულ შემთხვევაში შეფერისათვის სახელმწიფო საბჭო, მაგრამ ამ საბჭოს „ეგზირობა“ ერქვა და არა „დარბაზობა“. ამსათან, ვიმეორებთ, შეუძლებელია ასეთი დარღვევა „კარის გარიგებაში“ ყოფილიყო ფიქსირებული. შეფერითონ იყო ამგვარი დარღვევების წინააღმდეგ მოწოდებული.

ერთადერთი წყარო, სადაც „დიდის წესით“ და „უმცროსი წესით“ დარბაზობა იხსენიება, არათერს ლაპარაკობს იმის სასაჩვენებლოდ, რომ ეს დარბაზობები ჩვენ სახეიმო თუ საქმიან სხდომიდ მივიჩნიოთ. სრულიად არაორიაზროვნად აქ საუბარია „დიდი“ და „უმცროსი“ წესით წვეულებაზე, სადღესასწაულო აუდიენციაზე, დღევანდელი ტერმინოლოგით — ბანკეტზე. „დიდი“ და „უმცროსი“ წესი დარბაზობის ხასიათს კი არ უსავის ხაზს („საშეიმო სხდომა“, „საქმიანი სხდომა“), არამედ დარბაზობაზე მოწვეულთა შემაღვენლობას. „დიდი წესით დარბაზობაზე“ წვევის პრივილეგია, უპოველია უფრო

<sup>753</sup> დიდი სტულისკანონი, გვ. 155.

<sup>754</sup> მცირე სტულისკანონი, გამოსაცემად მოაწიდა ე. გიუნაშვილმა, თბ., 1972, 23-58.

ფართო წერეს (მათ შორის მეჯინიბევებს) ქეონდა, ხოლო უციროსი წესით დარბაზობაზე<sup>753</sup> ნაკლებს. თუ რომელი „წესით“ მოეწყვიტოდა და ბაზობა, ეს იმის მიხედვით წყდებოდა თუ „ვითარცა გარიანოს მეფეს“.

ა. სურვულაძეს „დარბაზობა“ ხავსებით სწორად აქვს განმარტებული, როგორც აუდენცია, ვისია მაშან პრიემ, ვიზით<sup>755</sup>. ამავე დროს სხვა ნამრომში შეს კვლავ „სახელმწიფო საბჭოს ანუ დარბაზს“ უწოდებს, რომელსაც თითქოს „იწვევდნენ... უცხოელი სტუმრების მიღების დროს, თმის გამარჯვებით დამთავრების შემთხვევაში და სხვა“<sup>756</sup>. როგორც ალვნიშნეთ ეს სახელმწიფო საბჭო კი არ იყო, არა მედ საშეიმო შიღებები.

მკვლევართა აზრით, „საქმიან სხდომას“, დარბაზობას, მოსდევდა პურობა-ნალიმი<sup>757</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აზრი არ დასტურდება სათანადო წყაროებით. აზსათდან არ ჩანს, რომ „დარბაზობა“ საქმიანი სხდომა იყო. რაც შეეხება პურობა-ნალიმს, ის თვით წარმოადგენდა „დარბაზობის“ შინაარსს.

მოვიტანოთ ხათანადო მისაღია. „შეიქმნა დარბაზობა და დასხვნეს ამირ-მირმან და შარვანშა თვთეული თვესა აღვიღისა, ეგრეთვე ვაზირნი ... და შემდგომნი წესისებრ, რომელიცა ქეონდა წესი ჯდომისა და დგომისა, დასუეს ... შეიქმნა პურობა და ნაღიმობა შესატყვსი კამთა და შის დღისა“<sup>758</sup>. ამ ცნობიდან არ ჩანს, რომ დარბაზობა სხვაა, ხოლო პურობა-ნალიმობა კი სხვა. როცა „შეიქმნა დარბაზობა“, წესისამებრ უველა დასვეს და „შეიქმნა პურობა და ნაღიმობა“. არ ჩანს, რომ პურობა-ნალიმს წინ უსწრებდეს დარბაზობა, როგორც სხდომა.

„დარბაზობის“ ცერემონიალი დაცულია „ისტორიანში და აზმანში“ და „ხელმწიფის კარის გარიგებაში“. ამ წყაროთა სათანადო მონაცემები კარგად უდგებიან ერთმანეთს.

„ისტორიანში და აზმანში“ აღწერილია ამირ-მირმანისა და შარვანშაქ აღსართანის ჩამოსელისათან დაკავშირებული „დარბაზობა“. როდესაც „შეიქმნა დარბაზობა“, თამარი, დავით სოსლანი და ლაშა გიორგი „დასხდეს ტახტსა ზედა ოქროჭედილისა“<sup>759</sup>. მოწვეულ სტუმრებს, სანამ მეფეებთან შეეიდოდნენ, შეეგებნენ ლაშრის სხვადასხვა კონტიგენტები და „თვთ კარვის კარსა პელისუფალნი და შინაურნი“<sup>760</sup>. სამეფო კარიაში პირველი შარვანშაპი აღსართანი შევიდა,

755 ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ქართული სამართლის ძევლები, გვ. 175.

756 ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, სახელმწიფოსა და სპართლის საკონსერვაციის მიხედვით, გვ. 140.

757 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, ქართული სახელმწიფო დარბაზი, გვ. 216.

758 ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი, გვ. 73.

759 იქვე, გვ. 65.

760 იქვე.

თაყვანისცა შეფეხბს, ხოლო მათ „მოკითხეს წესისაებრ და დასული თქსება აღილას“<sup>761</sup>. ამის შემდეგ შევიდა ამირ-მირმანი, რომელიც ასევე „მოკითხეს“ შეფეხბმა და „დასუს“<sup>762</sup>. დასახლებული პირების შემდეგ „მოასხეს დიდებული ... ათაყუანეს და მოკითხეს წეს-ტყესითა პატივითა“<sup>763</sup>. „თაყვანებისა“ და „მოკითხეს“ შემდეგ, „მაშინ ითხოვეს პური და შემღვმად პურობისა დაიღვეს ნადიმი“<sup>764</sup>.

ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ პურობასა და ნადიმს წინ „სხდომა“ კა არ უსწრებდა, არამედ „თაყვანება“ და „მოკითხეა“.

ზუსტად ასეთივე ცერემონიალია აღწერილი „ზელმწიფის კარის გარიგებაში“. „დაზიანობაშე“ მიწვეულნი რიგ-რიგობით, რანგის მიხედვით შედიოდნენ შეფეხსთან: „მოძღვართ-მოძღვარი შევიდეს და ეთაყვანოს შეფეხსა და შერმე შეფეხა ეთაყვანოს ... წავიდეს [მოძღვართ-მოძღვარი] და მარჯვენით გარდაღვეს ახლო“<sup>765</sup>. ასე რიგ-რიგობით შედიოდნენ „წვეულნი“, შეფეხს ეთაყვანებოდნენ და თავის განსაზღვრულ ადგილზე დგებოდნენ<sup>766</sup>. როდესაც ყველა მოწვეული სათანადო ცერემონიალით შევიდოდა და შეფეხს „ეთაყვანებოდა“, შეფეხ თავის მხრივ, დადგენილი წესით „ეთაყვანებოდა“ და „მიესალმებოდა“, გაიცემოდა ბრძანება (შეფის მიერ) „პურის მოღების“ შესახებ<sup>767</sup>. როგორც ეხედავთ, ასც ამ ძეგლშია რაიმე ნათქვამი პურობანადიმობამდე „სხდომის“ შესახებ. „თაყვანებასა“ და „მისალმების“ უშუალოდ „პურის მოღების“ ბრძანება მოსდევეს.

„თაყვანებისკ.“ და „მოკითხეის“ დროს, როგორც „კარის გარიგებიდან“ ჩანს, სუფრა არ იყო გაშლილი. „ტაბაკები“ და ზედ დაღვმჟღილი „ტაბაკები“ რიგ-რიგობით შემოქმენდათ რანგის მიხედვით. როდესაც შანდატუროუსუცესი „პურის წინაობას იურვებდა“, ამირ-ეჯიბი და განმგეთუსუცესი გადიოდნენ სეფე-ტაბაკის შემოსატანად<sup>768</sup>. ყველანი ფეხზე დგებოდნენ და ეკრავით დაჯდებოდა სეფე-ტაბაკეს დაღვმამდე<sup>769</sup>. სეფე-ტაბაკს მანდატუროთუსუცესი და ამირ-ეჯიბი დგამდნენ, ხოლო განმგეთუსუცესი შეჭამილს „მოიღებდა“<sup>770</sup>. ამის შემდეგ მანდატუროთუსუცესს შეეძლო თავის აღვილის დამჯდარიყო.

761 იქვე, გვ. 66.

762 იქვე.

763 იქვე.

764 იქვე.

765 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 90.

766 იქვე, გვ. 90—91.

767 იქვე, გვ. 93.

768 იქვე.

769 იქვე.

770 იქვე.

კათალიკოსების, მოძღვართ-მოძღვრისა და ჭყონდიდელის წინ  
მდგარ ტაბლებზე ტაბაქს ამირეჯიბი დგამდა. ოთხივე დაგმოდა-და  
ამირეჯიბს „ეთავუკანებოლნენ“<sup>771</sup>.

ათაბაგს, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს ტაბაქს ეჯი-  
ბი ულგამდა და ისინი, თავის მხრივ „ეთავუკანებოლნენ“ აღვომით<sup>772</sup>.

დასახელებულ ოთხ მონაზონს და სამ ვეზირს, შექამანდს სამ-  
სამი ჯამით განმგეთუხუცესი მიართმევდა<sup>773</sup>. ამის შემდეგ ამირეჯიბი  
და განმგეთუხუცესი სხდებოლნენ.

ასე რიგ-რიგობით ჩადიოდა ტაბლა-ტაბაკი მეჯინიბებამდე<sup>774</sup>.

ნიშანდობლივია, რომ „დარბაზობაზე“ წვეული მოხელეები  
ცხადდებოლნენ, დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიმართო, „საპა-  
რალო“ ფორმაში. თითოეული მათგანი თავისი „სახელოს“ ინსიგნით  
მოლიოდა. ამირაზორს, მაგილითად ხმალი ერტყა და „რა მისი დაჯდო-  
მისი უამი“ მოვიდოდა, ზეაბჯრეს აძლევდა<sup>775</sup>. საწოლისა და ზარალ-  
ხანის მწიგნობრები, მუქიდები და „სხვანი მწიგნობარინი“ თავისი თანამ-  
დებობის ინსიგნით, „საწერლებით“ ცხადდებოლნენ, რომელიც იღლია-  
ში პქონდათ ამოდებული<sup>776</sup>. ცხადია, საზეიმო ვითარების გამო და არა  
იმიტომ რომ „დარბაზობაზე“ საქმე ეწარმოებინათ. ეს რომ ასეა, იქი-  
დანაც ჩანს, რომ „საწერელინ“ მწიგნობრებზე აღრე „პირის მწდე-  
ზეა“ საუბარი<sup>777</sup>, რომელიც ცხადია, წვეულების გამოა მოხსენიებუ-  
ლი. ამ მოვალეობას, როგორც აღნიშნული გვქონდა კიდეც, საჭურ-  
ჭლის ნაცვალი და მეღვინეთუხუცესი ასრულებდნენ.

ამდენის, „დარბაზობა“ ივივე პურობა-ნადიმდა. სულთან-საბას  
განმარტებით, „მეჯლიში სპარსთა ენაა, ქართულად ნადიმი პქვიან“<sup>778</sup>.  
მისივე ცნობით, ნადიმი ივივეა, რაც „ტაძრობა“<sup>779</sup>. „ტაძრობა“ სემან-  
ტიკურად საქსებით უდრის „დარბაზობას“. „ხელმწიფის კარის გარი-  
გებაში“ დაცული ტერმინი „დიდის წესით დარბაზობა“ საესებით  
ივივეა, რაც „ეეფხისტყაოსაბში“ მოხსენიებული „დიდი პურობა-დარ-  
ბაზობა“. „ნავროზობის“ დღესასწაულზე:

ამ ქალაქსა წესია, დღესა მის ნავროზობასა,

არცა ვინ ეაქრობს გაქარი, არცა ვინ წავა გზობასა;

<sup>771</sup> ქართული სპარსთას ძეგლები, II, გვ. 93.

<sup>772</sup> იქვე.

<sup>773</sup> იქვე.

<sup>774</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>775</sup> იქვე, გვ. 81.

<sup>776</sup> იქვე, გვ. 92.

<sup>777</sup> იქვე.

<sup>778</sup> სულთან-საბა თაბელიანი, თხ. I, IV<sub>1</sub>, გვ. 475.

<sup>779</sup> იქვე გვ. 135.



უოველნი სწორად დავიშებთ კაზბასა, ლამაზობასა,  
ლილა შეიქმნან მეცნი პურიშა-დარბაზობას (1109).

ცხოლია, ციტირებულ და მომდევნო (1110, 1111, 1112) ტაჯმიშვილის კავშირი  
წერილი „ღიღი დარბაზობა“ შორსაა „საბჭოს სხდომისაგან“. უოველი-  
ვე ეს კარგად აქვს შენიშნული ი. სურგულაძეს<sup>780</sup> და საიდანია ასკ-  
ვნის იგი რომ „ფეოდალების სათათბირო ორგანოს დარბაზი ეწოდე-  
ბოდა“<sup>781</sup>, ჩევნოვის არა ნათელი.

სასახლის „წესიდან“ ყურადღებას იქცევს ახალი წლის დღესას-  
წაული. „კარის გარიგების“ ცნობით, „წელიწლის თავს“ მეფეს მო-  
ნადირეთუხუცესი შემოსავდა და მას „საღვინეს“ წინ დასვამდნენ,  
ტაბლის დაუღამდნენ და ვეღური ტაბის თავს, მოხარშულს მიართ-  
მევდნენ<sup>782</sup>. მემდევ მონადირეთუხუცესი მეფეს ეკითხებოდა „ხვალ  
სით ქავლევენ?“ უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების<sup>783</sup>. როგორც  
ჩანს, ახალწლის „კავლევა“ გარკვეულ ტრადიციებთანა დაკავშირე-  
ბული. მონადირეთუხუცესი მეფეს ეკითხება, თუ სად უნდა მოხდეს  
ეს „კავლევა“. თვით „კარის გარიგებიდან“ არ ჩანს, რას ნიშნავს აღ-  
წერილი წესი. საამისო განმარტებას ვახუშტი გვაძლევს. მისი ცნობით  
ბაზიერთუხუცესი („კარის გარიგებით“ მონადირეთუხუცესი) მეფის  
სანადირო აღვილის ცხენებს ხოცავდა და ამით ნადირს უკრიდა თავს.  
დილის მეფე და მისი წაზრისნებული მიდიოდნენ და ნადირობდნენ.  
„ესრეთ იკულევდონ და შემოვიდიან მხიარულნი სანადიმოდ“<sup>784</sup>. სწო-  
რედ ამ ტრადიციებზე უნდა იყოს საუბარი „კარის გარიგების“ ზე-  
მოციტირებულ ცნობაში.

ნიშანდობლივია, რომ ახალწელს მონადირეთუხუცესის მიერ მე-  
ფისათვის „ვეღური ტაბის თავის“ მირთმევის ტრადიცია, უმნიშვნე-  
ლო ცვლილებით, ვახუშტისაც აქვს აღწერილი. მისი ცნობით, ახალ-  
წელს მეფეს ბაზიერთუხუცესი „თავსა ვეღურის ეშვსასა მოოქრო-  
ვილსა“<sup>785</sup> მიართმევდა.

ახალ წელს ვეღური ტაბის თავის მირთმევის ტრადიცია დაკავ-  
შირებული უნდა იყოს უძველეს წარმართულ რწმენა-წარმოდგე-  
ნებთან და იმ ფაქტთან, რომ სწორედ ამ დროს გარეულ ღორზე  
ნადირობის სეზონი იყო. ეს რომ ასეა, დავითის ისტორიკოსის ერთი

<sup>780</sup> ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ვ, სახელშეცვლისა და სამართლის საქონები „ველი-  
ტუასნისა მიხედვით, გვ. 142—143.

<sup>781</sup> იქვე, გვ. 138.

<sup>782</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 80.

<sup>783</sup> იქვე.

<sup>784</sup> ე ვ რ გ უ ლ ა ძ ვ, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 29.

<sup>785</sup> იქვე, გვ. 28.

ცნობილან ჩანს. გიორგი II-ემ „ქამია სთულისასა“ ვერწინს ცხრებ  
ალყა შემოარტყა და „ეიღორე ბრძოლესლა, მოვიდა თოვლით, მოუკო  
მეფესა გიორგის მოექსენა ნაღირობა აჯამეთისა“<sup>786</sup> რიცხვით მეფესა  
„კელევის“ ნაღირობისთან და ტახის თავის მირთმევისთან დაკავში-  
რება ჩვენ ამგვარად გვესახება.

საინტერესოა მმ მხრივ ლიტერატურის მთხოვის კარზე არსებული წესიც,  
რომელიც ჩვენი აზრით, ზემოაღწერილი ძველი ტრადიციის გამოძა-  
ხილი უნდა იყოს: „ჩვეულება არის, რომ ეიღორე თასს ტუნებრძიდი მი-  
იღანდნენ ცოტაოდენ ლინოს ამ თავებზე (ნაღირობის დროს დახო-  
ცილი ტახებისა და ირმების, ი. ა.) დასხამენ და ღმერთისა სთხოვენ,  
შევიღობით ამყოფოს და აღდეგრძელოს მთავარი, რათა შემდეგში  
ამისთანები ათასობით და ასიათასობით მოჰკვდას“<sup>787</sup>.

საახალწლოდ მეფეს სახალის მოხელეებისაგან, ერისთავებისა-  
გან, გელათისა და გარევის მონასტრებისაგან ძლევნი მოსდიოდა<sup>788</sup>.  
მსგავსი წესი ჩანს ვახუშტისთან<sup>789</sup> და ლამბერტისთანაც<sup>790</sup>. მეფისა  
და მისი ოჯახის ახალწელს „მაკელეელი“ შწიგნობართუხუცეს-ჭყონ-  
დიდელი იყო.

„კარის გარიგებაში“ აღწერილია მონადირეებთან დაქავშირებუ-  
ლი ერთი ტრადიციაც. „ორშაბათს მეორეს ლამპარს მონადირენი შე-  
იქმნენ, მეფეს წინაშე მიიღებენ, და ცოლსა მეფისასა და შელთა, ვე-  
ზირთა ... კველის მიართენ. მეფე უბრძანებს პურსა, ლინოსა და  
ფურ-ბერწას; ეგრეთვე დედოფალიცა უბოძებს; ევზირნი და მოურავ-  
ნი ყოველნიერ მისცემენ პურსა, ლინოსა და საკლაივსა... და თუ მის-  
ცემენ პურსა, ლინოსა და საკლაივსა, იღარის აწყენენ... ლამპარსა  
ანთებულსა მჯარსა შეიღებენ, ეგრე მგრგვალსა დაბმენ. ვისცა ავად  
მიუცემია, ანუ პურად ავადია, აგინებენ“<sup>791</sup>.

ცხადია, აქ ხალხურ დღესასწაულთან გვაქვს საქმე. ი. ჯავახი-  
შეიღლი მოკლედ შენიშვნავს, რომ „ორშაბათს მეორე ლამპრობის მეფე-  
დედოფალს და დარბაზის მოხელეებს უნდა დაესაჩუქრებინათ“<sup>792</sup> მო-  
ნადირეები.

ი. სურგულიძეს „ლამპარი“ განმარტებული აქვს, როგორც  
светильник, лампада, ლამპრობა — праздник со светильниками<sup>793</sup>.

<sup>786</sup> ცხოვრება მეფეთშეცვალა დავთოისი, ვე. 321—322.

<sup>787</sup> აქანქელი ლამპერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, ვე. 60.

<sup>788</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, ვე. 94.

<sup>789</sup> ვ. გ. შ. ტ. ი. აღწერა სამეცნიერო საქართველოსა, ვე. 28—29.

<sup>790</sup> აქანქელი ლამპერტი, სამეგრელოს აღწერა, ვე. 137—138.

<sup>791</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, ვე. 89.

<sup>792</sup> ი. ჯ. ვ. ხ. ვ. ი. ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნეკ. I, ვე. 196.

<sup>793</sup> ი. ს. უ. გ. უ. დ. ა. დ. ე. ქართული სამართლის ძეგლები, ვე. 179.

მონადირეები, ლამპრებით მხარშე, „მრგვალსა დაბმენ“ (ფერ-ხული)<sup>794</sup> და საფერხულო სიმღერებში „ავალ“ იხსენიებენ, ჭორტების გამო რაც აეთა<sup>795</sup>.

ეს არის ხალხური დღესასწაული „ლამპრობა“, რომელიც „მატი-უნე ქართლისაში“ გვხვდება<sup>796</sup>. „ლამპრობა“ იგივე იყო, რაც სეანური „ლიმბარიი“. იგი შეკერძისა და ფარისეველის კვირას იწყებოდა. ხელო ეჭირათ ანთებული არყის ხის ტოტები. დღეობა კვირას იწყებოდა და ორშაბათ საღამომდე გრძელდებოდა სიმღერა-თამაშობით<sup>797</sup>. ასეთივე დღესასწაული გურიაშიც სცოდნიათ<sup>798</sup>.

„ლამპრობის“ ქართველი აღნიშვნა, როგორც ჩანს, მონადირეების მოვალეობას შეაღვენდა ეს წარმიმოთბის დროიდან შემორჩენილი დღესასწაული, ხალხის წიაღში წარმოშობილი, ერთგვარი „დემოკრატიული“ ელემენტის შემტანი იყო შეაცრი ეტიკეტით შებოჭილ სამეფო კარზე.

მეგვარი იყო ძირითადიდ „საქელმწიფო სახლის წესი“ შემორჩენილი წყაროების მიხედვით.

<sup>794</sup> იქვე, გვ. 180; ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ე ი ლ ი, ნარკვევები, გვ. 181—182.

<sup>795</sup> ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ე ი ლ ი, ნარკვევები, გვ. 181—182.

<sup>796</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 269.

<sup>797</sup> იბ. ი. გ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, თბილებანი, ტ. I, თბ., 1979, გვ. 97.

<sup>798</sup> იქვე.

## მმართველობის აღგილობრივი აპარატი

საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს აღგილობრივი მმართველობა დამყარებული იყო ტერიტორიულ პრინციპზე. ქვეყნის ძირითადი სამხედრო-აღმინისტრაციული ერთეულები, საერისთავოები საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდნენ. ასევე ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგს წარმოადგენდა საერისთავოს შინაგანი სტრუქტურის ჩამოყალიბება.

აღგილობრივი მმართველობის პარატს განეკუთვნებოდა სამეცნიანოს დომენის მართვა. საერისთავოსა და დომენის მმართველობა სხვადასხვა იურიდიული რეჟიმით ხდებოდა. საერისთავო და ერისთავი საჯაროუფლებრივი საწყისის ცნებები იყო, ხოლო დომენი და მისი მოხელეები კი კერძო საწყისისა, მაგრამ ეს დომენი მეტის, საჯარო ხელისუფლების მეთაურისა იყო და ეს გავლენას ანდენდა მის იურიდიულ რეჟიმზე.

საერისთავოების და დომენის, როგორც გარკვეული საზღვრების შეონე ერთეულების კვლევა სცილდება წევნს ამოცანებს. თითოეული საერისთავოს თუ მეფის კერძო სამტფლობელოს საზღვრების დადგენა, მათი ცვლილება დროში, ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტების ინტენსიური კვლევის საგანია და უკანასკნელ წანს ამ მხრივ დიდი მუშაობაც ჩატარდა<sup>1</sup>. წევნს ამოცანას შეაღებს თვით საერისთავოსა და ერისთავის, დომენისა და მისი მოხელეების ფუნქციების წარმოდგენა, მათი აღილის გარკვევა მმართველობის საერთო სისტემაში.

კერ კიდევ ი. ჯავახიშვილი უჩიოდა მასალების უკიდურეს სიმცირეს „საქვეყნოდ გამრიცე“ მოხელეებისა და მათდამი დაქვემდებარებული პარატის შესახებ<sup>2</sup>. მიუხედავად განვლილი დროისა, როდესაც ბევრი ახალი მასალა შემოვიდა ბრუნვაში, დაიხვეწა კვლევის მეთოდი-

<sup>1</sup> ღ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძარათმების საკითხები, I, თბ., 1977; II, თბ., 1980. იქევე ბიბლოგრაფია.

<sup>2</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. I, გვ. 201—202.

კა, ი. ჯავახიშვილის აღნიშნულის შენიშვნა გარკვეულად ძალაში ტაქტის  
ამითა გამოწვეული ჩეცებს ნაშრომში ერთგვარი მოცულობითი დოკუმენტობრივი და ადგილობრივი მმართველობის შექმნაზე განვითარებულის დროს.

გვიპარეზე გვიპარეზე

## 1. სამრისმავთ და მრისმავთ

### ერისთავის ხელისუფლება

ერისთავის ხელისუფლება დადასტურებულია უკვე ძეველ ქართლ-ში, სადაც ისინი სათავეში ედგნენ აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებიც დამყარებული უნდა ყოფილიყო ლაშქრის ორგანიზაციის პრინციპზე<sup>3</sup>.

ერისთავის ფუნქციების დასახასიათებლიდ შეირად მიუთითებენ „ძეველი ერისთავთა“-ს მონაცემებშე, რომლის მიხედვით, ერისთავის მოვალეობა იყო: „განსახებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკვდრნი მას შინა“<sup>4</sup>. იმავე წყაროს მიხედვით, საერისთავო ინსიგნიებს წარმოადგენდა სამეფო შესამოსელი, ბეჭედი, საყურე, სარტყელი, „საქურელები და ცხენი თორნოსანი, ღრომა და შუბი“<sup>5</sup>. ერისთავის ინსიგნიები უნდა ყოფილიყო ასევე სკიპტრია, ცული და საკურტხილ (სავარქელი)<sup>6</sup>. ყოველივე ეს ერისთავის სახელმწიფოებრივ პრეტოგარტივებშე მიუთითებს და გვიხსინათებს მას, როგორც სავარიო ხელისუფლების მოხელეს, მეფის პიროვნების წარმომადგენელს საერისთავოში, რომელსაც ექვემდებარებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების გვალა მხარე სამშართველოდ ჩაბარებულ ტერიტორიაზე.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნაჩვევები, I, გვ. 650—652.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეველი, II, გვ. 104; იმ ძეველის შესახებ ის. ი. ჭავაშვილი, ა. თბილი, ტ. VIII, გვ. 263—267; ს. ჭავაშვილ, საქართველო აღრინდელი უფროდალიანების გასახე, შრომები, I, გვ. 163—168; ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, „ძეველი ერისთავთა“ და მისი მნიშვნელობა საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საფინანსოსაფილი, ენციკლომაზე, XIII, 1949; შ. მ ე ს ხ ი ა, ძეველი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვეს, ნაცე. 30, თბ., 1954, გვ. 306—374; გ. თ თ გ ი მ ე ი ლ ი ა, საქართველო-თავის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინიზი, 1958, გვ. 210—220; გ. გ ვ ა ს ი ლ ი ა, ქსნის ხეობის ისტორიული გოვრაცხა-ის საფინანსო, საქართველოს ისტორიიდან გოგორიანის კრებული, III, თბ., 1967, ე. ხ თ შ ტ ი რ ი ა, (მროვე), „ძეველი ერისთავთა“ ზოგიერთი რეალის ვაგებისათვეს, მრავალთავი, VII, თბ., 1980, ამავე ნაშრომში სრულად ბიბლიოგრაფია.

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძეველი, II, გვ. 104; ი. ჭავაშვილი, ქართული სამართლის ისტორიი, წ. II, ნაცე. 1, გვ. 204.

<sup>6</sup> ე. თ ა ყ ი მ ე ვ ი ლ ი ა ანქეთლოვირი ექვემდებარებულ ლეჩისტ-სვანეთში, პარიზი, 1937, გვ. 27; გ. ჩ ი ტ ი რ ი ა, სამი ინსიგნი (წარჩინების ნიშანი) იმიგრაციის მიზანით საქართველოს ეთნოგრაფიისათვეს XVI—XVII სს., 1972, გვ. 52—53.

ძველი ქართლის შესახებ არსებული წყაროებით დამტკიცებული ერისთავებან ვიდრე XI—XIII საუკუნეების ერისთავამდე დღიდა ქრისტოგიიური მანძილი ძვეს, რომელიც აღსავს იფაზურული მნიშვნელობის მქონე ძვრებით სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის მიზანით სუეროებში. ცხადია, ცვლილებებს განიცდიდა ერისთავის ხელისუფლებაც. ივი ხან მეფის „მოსწრაფედ მორჩილი“ მოხელეა, ხან აჯანყებული, რომელიც საგამგეოდ ჩაბარებულ ტერიტორიაზე საჯარო ხელისუფლების უმაღლესი პრეროგატივების უზურპაციას ახდენს. ხშირად ამაში მას უცხო ძალა უწყობს ხელს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ერისთავის ინსტიტუტმა, თვით საერისთავოს, როგორც სამხედრო აღმინისტრაციული ერთეულის მოშლამდე, არსებითად შეინარჩუნა თვეისი ძირითადი ნიშანი — საჯარო ხელისუფლების მოხელეობა. საესებით სწორადა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „რაც არ უნდა ინტენსიური იყოს ტრანსფორმაციული პროცესი, რომელსაც ესა თუ ის სოციალური ინსტიტუტი განიცდის, მისი ძირითადი არსება, მისი ბუნება ინახება როგორც ეკოლუციის საფუძველი“<sup>7</sup>.

ერისთავის პრეროგატივების შესახწავლად უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია ერისთავთ-ერისთავის, ერისთავისა და „ცოტაა“ ერისთავის დადგინების ფორმულები.

ერისთავის კურთხევის წესის მიხედვით, „პატივსა ერისმთავრობისა“ აუკანილი პიროვნებისათვის უნდა ჩაეცემათ „სამოსელი, კითარუა შუენის მეფეთა“ და ივი უნდა ეკურთხებინა კათალიკოსს ან მიტროპოლიტს<sup>8</sup>. დადგინების ფორმულაში ხაზვასმული იყო მისი აღმინისტრაციული ხელისუფლება („საქმესა მოწყალებისასა აჩუნენებდის და სასჯელსა სიმართლისასა პყოფდეს უქრთამოდ“<sup>9</sup>) და „კელმწიდება“.

ერისთავთ-ერისთავის (დიდი ერისთავის) დადგენის ფორმულაში ასევე ხაზვასმულია მისი სასამართლო-აღმინისტრაციული და ფისკალური ფუნქციები<sup>10</sup>.

ერისთავის სასამართლო-აღმინისტრაციულ ფუნქციებს ხახს უსვამს „ცოტაა ერისთავის“ დადგინებისა და კურთხევის ფორმულაცი<sup>11</sup>.

<sup>7</sup> П. Ф. Л а п т и н, О роли гипотезы в историческом исследовании, Вопросы истории, № 1, 1970, с. 77.

<sup>8</sup> ქრისტოთა სამართლის ძეგლები, II, გვ. 54—55.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 56.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 57.

ერისთავების დაღვენის ფორმულები და მათი ინსიგნიები ფილ მიუთითებენ, რომ ისინი იყვნენ საჯარო ხელისუფლების უძლევები წარმოშადგენლები სამმართველო ტერიტორიაშვ., საღამო იმის ახორციელებდნენ სამხედრო, სასამართლო-აღმინისტრაციულ და ფინანსურ ფუნქციებს. ერისთავი მეფის პერსონას განასახიერებდა საერისთავოში, მის „ნაცვლად“ თველებოდა<sup>12</sup>.

ხანგამით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერისთავის კურთხულები ხანგამით აღსანიშნავია, ეს აქტი თავისი ცერემონიალით დიდად არ ჩრდილებოდა თვით მეფის კურთხევას. ერისთავი გამოწყობილი იყო სამეფო სამოსელში, თავისი ხელისუფლების ნიშნებით. განსხვავება ის იყო, რომ ერისთავის მირონცხება არ ხდებოდა.

უკანასკნელ ხანს განხდა აზრი, რომ ერისთავთ-ერისთავისა და ერისთავის დაღვენა-კურთხევის ფორმულები განიხილონ, როგორც იმუნიტეტის დამადასტურებელი აქტები. ერისთავის საჯაროუფლებრივი პრეპონატივები — სასამართლო-აღმინისტრაციული, იძულებისა და ფისკალური ფუნქციები განიხილება, როგორც „სრული იმუნიტეტი“ და ამდენად საერისთავო მიწნეულია სენიორიად, ხოლო ერისთავი მის ქვეშ დაწესებული ტერიტორიის მექავიდრეობით ფეოდალურ შეფლობელია<sup>13</sup>. ამასთან, ერისთავთა დაღვინების აღნიშნული ფორმულები უყოფილოდაა დათარიღებული VII ხაუკუნის შუახანებიდან VIII ხაუკუნის შუახანებამდე პერიოდით<sup>14</sup>. ამასთან, სწორედ იმ გამოცემაში, რომელსაც აღნიშნული კონცეფციის ავტორი დ. მუხ-ხელიშვილი ეყრდნობა, ეს ძეგლები XIII ხაუკუნით თარიღდება<sup>15</sup>.

განურჩევლად იმისა, როგორ დავათარიღებთ ერისთავთ-ერისთავისა და ერისთავის კურთხევის ფორმულებს, მათი პრეროგატივების იმუნიტეტთან დაგაეშირება ძალშე საეჭვოა. ამ კონცეფციიაში არაა გათვალისწინებული, რომ სასამართლო-აღმინისტრაციული და ფისკალური ხელისუფლები, რომლითაც ერისთავია აღჭურებილი, საჯარო ხელისუფლების ატრიბუტებია და ასეთად რჩება ის იმ შემთხვევაშიც, თუ ის ერისთავი ამბობებულია და უმაღლესი ხელისუფლების უზურპაციას ახდენს. საერისთავოების „გამკვიდრებაც“, რაზე

<sup>12</sup> შლ. ა. ბ თ გ ვ ე რ ა ა ქ ე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-კურონიმური ა. განვეთარება, გვ. 189.

<sup>13</sup> დ. შ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალიშმის ხანს საქართველოს სტურიას პერიოდისაციისათვის (IV—X ხაუკუნები), მაცნე, № 2, 1980, გვ. 155—156. სწორითვალ-საზრისისათვის ა. გ. ბ ი ძ ი გ უ რ ი ი, ზოგტერთი საეთნო საქართველოში ფეოდალური ჩენტრის გვნეზძის სტურიან, სასტურიო კრებული, ტ. VII, თბ., 1977, გვ. 123—124.

<sup>14</sup> ივე, გვ. 155, სტური 49.

<sup>15</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 55—56, 598.

შითითებაც საქმიოდ ხშირია წყაროებში, სრულებით არ ნიჭის  
იმას, რომ ერისთავი ხევარო ხელისუფლების წარმომადგენობაზ  
გადაიქცევა კერძო სამართლის სუბიქტად, იმუნიტეტით აღმოჩენის  
შემამულება.

ერისთავთა საერისთავოს „მემამულე-სენიორებად“ გადაქცევის  
დამამტკიცებლად ხშირად მოაქვთ ცნობები მათ მიერ „საერისთავო-  
ების გამკვიდრების“ შესახებ<sup>16</sup>. გურამ კურაბალატმაო, აღნიშნავს  
ჯუანშერი, „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთაგან  
მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან პქონდეს  
სიგვლინი მკუდრობისათვის საერისთავოთა მათთა<sup>17</sup>. ამავე აცტიორის  
მონაცემებით, დამოწმებულია „საერისთაოთა მათთა მამულობა შეი-  
ღილით-შეიღილდე“<sup>18</sup>. აქედან გამოიქვეთ დასკვნა, რომ ვინაიდან ერის-  
თავებს „მამულობით“, „მკვიდრად“, „შეიღილი-შეიღილდე“ უპყრიათ  
ერისთავობა და მათ ვერ სცვალიან, ჯერ ერთი, ადრე მათი შეცვლა  
შესაძლებელი ყოფილა, მეორეც, ისინი უკვე იმუნიტეტით აღჭურ-  
ვილი მთავრები არიან<sup>19</sup>.

სამწუხაროდ, არ ხდება დიფერენცირებული მიღეომა საკითხი-  
საღმი, რას ნიშნავს „საერისთავოთა მკვიდრობა“, „მამულობით შეიღილი-  
თ-შეიღილდე“ პყრობა. ნიშანდობლივია, რომ იგივე ფორმულებს  
ხმარობს ემთააღმწერელიც<sup>20</sup> და ვანუშტიც<sup>21</sup>. ასე რომ, შეუძლებელია  
ეს ფაქტები მხოლოდ VI—VIII საუკუნეებით მოვლენებს დაუკავშიროთ.

ზემომორბანილ მასალებში საუბარია არა ერისთავთა მიერ სა-  
ერისთავოების კერძომემამულურ, სამართლის კერძო საწყისშე მო-  
წყობილ სენიორებად გადაქცევაზე, არამედ „კელის“, თანამდებობის  
„მამულობაზე“. სწორედ ამიტომა დაიკავშირებული და დაპირისპირე-  
ბული „ერისთავთა ცვლა“ ისეთ მდგომარეობასთან, როდესაც მათ  
„ვერ სცვალიან“. თანამდებობის, ერისთავობის, როგორც „კელის“  
„მამულობა“ და „მკვიდრობა“, მკვეთრად უნდა განსხვავდეს ტერი-  
ტორიის, საერისთავო ერთეულის „გამკვიდრებისგან“. ქართულ სინამ-

<sup>16</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154—155; ე. წ. „მკვიდ-  
რობის საცემოებზე“ არჩილის დროს იხ. გ. მ ა მ უ ლ ი ა, არჩილ „მეცნის“ (VIII ს.)  
რეფორმის ლეგენდის გრენზის და მისი პოლიტიკური ტენდენცია, ძებანი სა-  
ქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 117—124.

<sup>17</sup> ჭ უ ს ხ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგაშვილისა, გვ. 321.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 217.

<sup>19</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151, 155.

<sup>20</sup> კამთააღმწერელი, გვ. 268.

<sup>21</sup> გ ა ხ ე რ ი, აღნერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 31. ვახტანგის ცნობების მნი-  
შენელობის შესახებ „ერისთავზე“ იხ. ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, ვახტანგი ქართლი ფეოდა-  
ლიშის შესახებ, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 450; თ. ს თ ს ე ლ ი ა, სამეცნის  
სამთავროს წარმომადგრინდებისათვეს, მიმომზიდველი, II, თბ., 1951, გვ. 172.

დეილეში, საერთისთავო ტერიტორიების სამამულო გამკვიდრების, საერთოდ საერთისთავოთა სისტემის მოშლა გამოიწვია და თვით უზა-თავის ინსტიტუტის ღიყვიდაც ბარის საქართველოში (შესრულებულის). მოშელი სახლში იფოს დაყოფის აღმინისტრაციულ მიწურულება რაც რომ პრინციპი და გაძართნდა სენიორიალურია პრინციპი.

ამგვარად, „მამული“ — „კელი“ და „მამული“ — ტერიტორია სხვადასხვა ცნებებია და მათი ერთმანეთში იღრევა, მხოლოდ გაუ-გვებრობებისა და წყაროთა მონაცემების არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველი შეიძლება გაბდეს. ერთისთვებს, ცხლია, ქეთნდათ იმუნი-ტეტით აღჭურვილი, კერძო საწყისზე შოწყობილი მამული, მაგრამ იგი ერთისთვეის ინსტიტუტის არსებობის არც ერთ პერიოდში არ ემ-თხეოდა საერთისთავოს, ისევე როგორც მეტე არ ყოფილი მთელი სა-მეფოს კერძო საწყისზე მფლობელი.

„მამული-კელის“ დახახისიათებლად უაღრესად საინტერესო XI საუკუნის დამდგენის ერთი მინაწერი, რომელშიც აღნიშნულია: „ვა-კავ მამულობით მამასახლისად წა- წლისა ლოს-შობელისა“<sup>22</sup>. ამ მინაწერის ავტორი, „მამულობით“, ე. ი. მკვიდრად, მემკვიდრეობით მამასახლისა იყო ღვთისშობლის კელებისა, მაგრამ, ცხადია, არ შე-იძლება ვამტკიცოთ, რომ იგი ამ კელების მამულებს ფლობდა რო-გორც მემამულე და იმუნიტეტით აღჭურვილი სენიორი.

უაღრესად საინტერესო ამ მხრივ ერთი მოვკიანო საბუთი, რო-მელშიც აღნიშნულია: „გუიბოძებია გორისა მოურავობა სამკუიდროდ თქუენ ... ავთანდილისთვის ... ასეთი რიმე შეგეცოდოს, რომე მოურა-ვობისა წაღება გუშართებდეს, სხვითა სამამულოთა გარდაგაჯდევინოთ და მოურავობა არცა მაშინ წაგილოთ ... ნუცა ვინ დააგლებთ ... ჩუენ მიერ შეწყალებულთა და სამკუიდროდ ჰელისა მქონებელთა“<sup>23</sup>.

კვიქტობრი, „კელის მკვიდრობა“, მისი „მამულობით“ ქონა, არ ნიშნავს ამავე დროს კორის სამამულო ქონებასაც. აქ საუბარია „კე-ლის“ მამულობაზე.

„ერთისთავთა შეილითი-შეილამდე“ მკვიდრობა, „მამულობით“ საერთისთავოების ქონება, ერთისთავის „კელის“ მემკვიდრეობითობას გულისხმობს და არა საერთისთავო ტერიტორიის გამკვიდრებას. ცხა-დია, ტენდენცია „მამული-კელის“ გადაქცევისა ტერიტორიის ფლო-ბადაც, ყოველთვის მძღვარი იყო, შეგრამ ეს ტენდენცია შეუქცევადი ხდება და საბოლოოდ იმარჯვებს XIII—XV საუკუნეებში და საერ-თოდ უცვლის სახეს ქვეყნის აღმინისტრაციულ სტრუქტურას, პოლი-

<sup>22</sup> გ. ბოკორიძე, რევის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მემკვიდრეობის მოასკე, ტ. VIII, თბ., 1935, გვ. 297.

<sup>23</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 122.

ტიკურ გეოგრაფიის, ბოლოს უღებს ერისთავთა საჯაროუფლებისავ პრეტოგატივებს და ამდენად ანაქტონიზმად ტეცევს საერთოდ ამ ისტორიულს.

საერთოუფლები

ერისთავის საჯაროუფლებრივი პრეტოგატივები — ქართველობის აღმინისტრაციული, სამხედრო და ფინანსური ხელისუფლება, თვითონ კი არ წარმოადგენდნენ იმუნიტეტს, არამედ ამ პრეტოგატივების მოსპობა-გადაგვარება გამოიწვია იმუნიტეტის „სივრცეში“ და „სიღრმეში“ განვითარებამ<sup>24</sup>.

ამდენად, ერისთავის ხელისუფლების „გამკვიდრება“, მისი „მამულობით შეიღიოთ-შეიღიამდე“ ფლობა არ შეიძლება იქნეს განხილული საჯაროუფლებრივი ხელისუფლების კერძოუფლებრივად ტრანსფორმაციად. „საერთოსთავოთა გამკვიდრება“ გულისხმობს „ქელის“ და არა საერთოსთავო ტერიტორიის გამკვიდრებას.

საქართველოს გაერთიანებისთანავე, უკვე ბაგრატ III-ემ მკაცრად შეუტია ერისთავთა მიერ „ქელის“ გამკვიდრებას. ნიშანდობლოვია, რომ ლიპარიტისძეებთან ბრძოლისს ბაგრატი „მოადგა კლდე-კართა. ინილა რა ეს რატი, გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შევეღრა ბაგრატი აფხაზთა შეფეხსა და მისცა ციხე თვესი ბაგრატს, და თვთ დაჯდა მამულსა თუსა არუცეთს“<sup>25</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. „კლდეკარის“ საერთოსთავო ლიპარიტისძეებს სწორედ „გამკვიდრებული“ ქქონდათ და ამის შემდეგაც კარგი ხასი მართავდნენ მას. მიუხედავად ამისა, მკევრი იყო განსხვავება მათ პატრიმონიალურ მამულს „არგუეთის“ და კლდეკარს შორის. ამ უკანასკნელის მიმართ ისინი ყოველთვის მოხელეებად განიხილებოდნენ. „არგუეთის“ ანუ კაცხის მამული<sup>26</sup> თვით დაეით IV აღმაშენებელს არ ჩამოურიმევია მათთვის. იგი ბეითალმანის უფლებით მხოლოდ მაშინ მიიღო დავითმაც, როდესაც „დასრულდა სახლი ბალვივაშთა“<sup>27</sup>. კაცხის მამული არ ხელუყვია არც ერთ მეფეს, მაშინ როდესაც ერთხანს ლიპარიტისძეები გადაყენებული იყვნენ ერისთავობიდან<sup>28</sup>.

<sup>24</sup> ი. ა. თ ვ ლ ა ვ ა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მართვის საკითხები, გვ. 175.

<sup>25</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 277—278.

<sup>26</sup> ლიპარიტისძეთა მამულად მოელი არგვით მანნა გ. ცქიტიშვილს, მაშინ როდესაც კლდეკარის ერისთავებს აქ კუთვნოდათ კაცხის მამული. იხ. გ. ც ქ ი ტ ი-შ ვ ი ლ ა. „სატორიანი და ამიანი შერავანდელთან-ს“ ერთი აღვილის ჭავითხელსათვის, საქართველო რესოველის ხანში, გვ. 224. ამისთან, დავით აღმაშენებელს გელათისათვის არ შეუწირავს მთელი არგვით, როგორც იეტორი ამტკიცებს, არამედ მხოლოდ კაცხის მამული (იქვე გვ. 226).

<sup>27</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითმაც, გვ. 326.

<sup>28</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 305.

ერისთავების „გამკვიდრებული“ თანამდებობა და მათი პატრი-  
მონიალური აღოდიალური მამულები იმთავითვე მკეთრად იყო გა-  
მიჯნული. მეფეს, თუ სამისი ძალა შესწევდა, შეეძლო ჩამოვროვა  
„გამკვიდრებული“ ერისთავობა, მაგრამ იგი ხელს არ იხდებდა სამ-  
კვიდრო პატრიმონიალურ მამულებს, სწორედ იმათ, საღაც ერისთა-  
ვები მფლობელები იყვნენ სამართლის კერძო საწყისის თანახმად.

თეორიულად ერისთავის შეცვლა ყოველთვის შესაძლებელი იყო  
და მეფის ეს უფლება ყოველთვის თეორიაში ჩოდი არსებობდა.  
ბაგრატ III-ემ „ურჩინი თვესი შეცვალა დიდებისაგან და აღვილთა  
მათთა დააღვინნა ერთგული და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებისა  
მისია“<sup>29</sup>. ასევე იქცეოდა ბაგრატ IV, რომელმაც ქართლის ერის-  
თავობიდან გადააყენა ივანე აბაშისძე<sup>30</sup>, ერთხანს საერისთავო ჩა-  
მოართვა ლიპარიტისძეებს<sup>31</sup>.

უკველია, მეფეებს აწუხებდათ „ურჩი“ სახლების მიერ ერის-  
თავობის გამკვიდრება, თორებ თავისი პოლიტიკის ერთგულ სახლებს,  
ფაქტობრივად თვითონვე იქცევდნენ „მემკვიდრეობით“ ერისთავობის  
მყლობელებად. მათთვის პრინციპული მნიშვნელობა მაშინ პქონდა  
ერისთავის „ცვალებას“, თუ იგი „მოსწრაფედ მორჩილი“ არ იყო<sup>32</sup>.  
თვით მეფეების მიერ იყო „გამკვიდრებული“ სურამელების სახლი.  
მეტიც, მნოლოდ გრიგოლისძეთა სახლისადმი უაღრესი კეთილგან-  
წყობილებით შეიძლება აიხსნას „ისტორიაში და აზმანში“ აღწერილი  
ფაქტი: „(თამარის დროს იყო) პერეთის ერისთავად-ვრიგოლის ძე  
ასათ, რომელმან მისტაცია მძლავრობით და მორკევით საღირს კოლო-  
ნელისძესა და მცირედ-ვამ ქონბასა შინა იავა არიშიანის აღვირსა  
დაჯდომა სისთაულითა, და პელოუდვა შვილსა მისსა გრიგოლს პერე-  
თის ერისთავია“<sup>33</sup>. (ეს ფაქტი მეფის სისუსტითაც შეიძლება აიხსნას,  
მაგრამ ჩენი აშრით, აქ მაინც გრიგოლისძებისადმი კეთილგანწყო-  
ბა ჩანს).

ამდენად, მეფეთა ბრძოლა ერისთავობის „გამკვიდრებისთან“ არ  
ნიშნავს ბრძოლას თვით ამ ინსტიტუტთან. მეფეები „ურჩი“ ერისთავებს  
ებრძოლნენ და არა საერთოდ ერისთავობას, არც „გვარეულად ერთ-  
გულ“ სახლთა მიერ ერისთავობის „გამკვიდრებას“ და „შვილითი-  
შვილამდე“ პყრობას.

<sup>29</sup> ბატიანე ქართლისა, გვ. 278.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 298.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 305.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 316.

<sup>33</sup> ისტორიანი და აზმანი შარვანდელონი, გვ. 34.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვამოთქმულია შოსახრებია, თავის  
დავით IV აღმაშენებელი ებრძოდა ერისთავობას. სამისი მაგიდებელ  
ბად მოტანილია ის, რომ „დავითმა გააუქმა კლდეკარის საფრისოსა  
როგორც აღმინისტრაციული ერთეული“<sup>34</sup>. მათვე მოლიტიკის გატ-  
რქელებადა მინეული „აბულეთისძეთა“ ფეოდალური სახლის  
წარმომადგენლის, ძაგინისათვის მამულების ჩამორთმევა და გამოტა-  
ნილია დასკვნა, რომ „ჩანს, გრძელდება ... საქართველოს გაერთიანე-  
ბისთანავე დაწყებული პროცესი ძველ აღმინისტრაციულ ერთეულთა,  
საერისთავოთა გაუქმებისა“<sup>35</sup>.

სამწუხაროდ, არა მოტანილი მასალა, კეტმოლ რომელი საერის-  
თავობის გაუქმდა საქართველოს გაერთიანებისთანავე, ან რა აღმინის-  
ტრაციული ერთეულები შეიქმნა „ძეველი“ საერისთავოების გაუქმე-  
ბის შედეგად. შეუძლებელია, სამეცნ ხელისუფლება მხოლოდ აღ-  
მინისტრაციულ ერთეულთა გაუქმებით შემოიფარგლულიყო და მათ  
ადგილზე შექმნილი პოლიტიკურ-აღმინისტრაციული ვაკუუმი არაფ-  
რით არ შევვსო.

საქართველოს გაერთიანებისთანავე დაიწყო სამეცნ ხელისუფლე-  
ბის ბრძოლა არა საერისთავოთა გისაუქმებლად, არამედ ურნიი ერის-  
თავების შორისილი ერისთავებით შესაცვლელიდ.

შ. ლოროტექიფანიძემ დასვა კითხვა, თუ რა დაუპირისპირა დავით-  
მა საერისთავოს<sup>36</sup>. ასეთ დაპირისპირებულ ძალად მას მიაჩნია კ.წ.  
„საქართველი“ „ძირძეველ ერისთავებს დავითმა „მოსაქართველე-  
ბი“ და მფლობელობის სამამულო სისტემას საქართველების სისტემა  
დაუპირისპირა. „საქართველი“ კი გვესმის, როგორც სამსახურის სანა-  
ცვლილ მიღებული პირობით მფლობელობა“<sup>37</sup>. სამწუხაროდ, ამ  
დასკვნას არ ახლავს საიღუსტრაციო მასალა. არაა შითითებული, საი-  
დან ჩანს ეს „დაპირისპირება“, ვინ არიან კინერეტულად ის „მოსა-  
ქართველე აზნაურები“, რომლებიც „ძირძეველ ერისთავებს“ მხობენ,  
ან რა აღმინისტრაციული ერთეულები შეიქმნა ამ „მოსაქართველე  
აზნაურების“ ბაზაშე. განა გასაკეთი არა, რომ თათქოს დავით IV  
აღმაშენებლის დასაყრდენ ძალას ერისთავების წინადმდევ, „მოსა-  
ქართველებს“, მისივე ისტორიკოსი, დავითის პოლიტიკის უერთგულესი  
პროპაგანდისტი, „მოსაქართველე შავირევებლებად“<sup>38</sup> ისენიებს?

დავით IV აღმაშენებლის ბრძოლა ერისთავობასთან, როგორც  
იმსტიტუტთან, არც ერთი წყაროთი არაა დადასტურებული. სულ

<sup>34</sup> საქართველოს ძალის ნაჩენები, III, გვ. 213.

<sup>35</sup> იქვ.

<sup>36</sup> იქვ., გვ. 214, სქოლით 1.

<sup>37</sup> იქვ.

<sup>38</sup> ცხოვრება მეცენ-მეცნისა დაეთიან, გვ. 353.

სხვა საქმეა შისი ბრძოლა კონკრეტული, ურჩი ერისთავების წინამდებარები, რაც მართლაც იყო საქართველოს გაერთიანების შემზღვევაზე და ბული გვზის უაღრესად წარმატებული გაგრძელება.

ასე რომ, ჩვენი მშრით, დავით აღმაშენებელმა ურჩი ერისთავებს მორჩილი ერისთავები დაუპირისპირა და არა მასტრაქტული „მოსახარგავე აზნაურები“<sup>39</sup>. თუ მიწა-მამულის გამკვიდრების ტენდენციაზე წვევა საქმე, განა „მოსაყარგავე აზნაურთათვის“ უცხო იქნებოდა ეს ტენდენცია?

ამლა რაც შეეხება დავით აღმაშენებლის მიერ საერისთავოების გაუქმების და, კერძოდ კონკრეტულად დასახულებული კლდეკარისა და ძავანის მამულის საკითხს.

საშეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლიპარიტი ივანეს ძის ექსორიის შემდეგ, მისი საერისთავო, როგორც აღმინისტრაციული ერთეული გაუქმდა და იგი სამეფო საქუთრებად გამოცხადდა<sup>40</sup>. უკანასკნელ ხანს რ. მეტრეველმა დააზუსტა ლიპარიტის გაძევების თარიღი და ასეთად 1096 წელი მიიჩნია, რაც სარწმუნო ჩანს<sup>41</sup>. ამასთან, მან ერთმანეთს დააცილა ლიპარიტის გაძევება საერისთავოს გაუქმებას და მიიჩნია, რომ საერისთავო გაუქმდა რატი ლიპარიტის ძის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც მისივე აღნიშვნით 1103 წელს გარდაცვალია<sup>42</sup>. კფიქტობო, სწორი უნდა იყოს ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ლიპარიტის გაძევების შემდეგ რატი აღიარ იყო ერისთავი. იგი, როგორც ჩანს, მიმის გაძევების შემდეგ ფლობდა მხოლოდ ქაცხის მაშულს. 1103 წელს რატი გარდაცვალია. „აღიარებინ დაშთა საყოფელოა მათთა მკუდრი, რამეთუ აღიქსნა უსჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა, და მამული მათი აღილო მეფეშან“<sup>43</sup>.

რომელ მამულზეა საუბარი ამ ცნობაში?

რ. მეტრეველის მშრით, ბეითალმანიდ დაზჩენილი მამული არის ლიპარიტისძეთა საერისთავო. იგი თვლის, რომ დავითმა კლდეკარის საერისთავო მიუბორა გელათის<sup>44</sup>. ასეთი დასკვნის საფუძველია დავითის ისტორიულის შემდეგი ცნობა: „მამული ლიპარიტეთი უმკდროდ

<sup>39</sup> საქართველოს ისტორია, I, გვ. 154—155.

<sup>40</sup> რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკონსის დათარილებისთვის, ნაცვევები ცეკვილური საქართველოს ისტორიულან, თბ., 1972, გვ. 8; მისივე, შინაგანსამართლებრივი ბრძოლა, გვ. 80.

<sup>41</sup> რ. მეტრეველი, ლაბაზ. ნაშრომი, გვ. 22.

<sup>42</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფებსა და თავისი, გვ. 326.

<sup>43</sup> რ. მეტრეველი, ლაბაზ. ნაშრომი, გვ. 23. მისივე, შინაგანსამართლებრივი ბრძოლა, გვ. 81.

დარჩეომილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა... თანა შისცა დაქიდახ  
ლმრთისახა სამხაისურებლიად”<sup>44</sup>.

„მამული ლიპარიტეთი”, რომელიც ბეითალმანის უფლებისტეთ  
ლო მეფემ, საეჭვოა იყოს კლდეკრი. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა  
საერისთავოს და როგორც მაჟთი, არ განიხილებოდა „მამულად”. მა-  
თად არ ავლიდნენ მას არც ბავრატ III და არც ბავრატ IV. ლიპა-  
რიტებისძები ამ საერისთავოს მხოლოდ „მამულობით” მმართველები  
იყვნენ. დავითის ისტორიკოსის ცნობაში კი ხაზგასმულია, თუ რა  
იურიდიული უფლებით „აიღო მეფემან” ლიპარიტებისძებით მამული. ეს  
ბეითალმანის უფლებაა. „მამული ლიპარიტეთი” იმიტომ ერგო და-  
ვითს, რომ „აღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკუდრი”. „მკუდრის”  
არსებობის შემთხვევაში მეფე კერ აიღებდა ამ მამულს და კერც  
„უსარჩლელ-მიუხეველად” უბოძებდა გვლათს. ცნადია, რომ საუ-  
ბარია რატის სიკედილის შემდეგ, კაცების მამულის ხამეფოდ აღებასა  
და გელათისათვის შეწირვახვე<sup>45</sup>. რაც შეეხება საერისთავოს გელათისა-  
თვის შეწირვა<sup>46</sup>, საამისო მონაცემები არ ჩას და არცა მოხალოდ-  
ნელი კეებერთელა იღმინისტრაციული ერთეული მონასტრისათვის  
შეეწირათ, თუნდაც გელათისათვის.

თრიალეთ-კლდეკარის ნაწილი, როგორც ჩანს, სამეტო დომენად  
გამოცხადდა, რასაც ამ რევიონში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი  
„კელები” მოწმობენ<sup>47</sup>, შაგრამ საერისთავო ერთეული აქ მაინც ჩანს  
და არ უნდა იყოს სწორი მოსახრება, თოთქოს თრიალეთ-კლდეკარი  
მთლიანად სამეფოდ იყო აღებული. თრიალეთ-კლდეკარს დავითის  
ისტორიკოსის ცნობით, მართავს გიორგი შეუონდილის დისწული,  
„გონიერი და დიდად მყოფი” თევდორე. მას თრიალეთი და კლდეკა-  
რი „პეტონდა”<sup>48</sup>. ნიშანდობლივია, რომ ეს თევდორე მათე ურბანელთან  
დავით აღმაშენებლის ძმადაც იწოდება<sup>49</sup> და პატივით მეტი ჩანს, ვიდ-  
რე დავითის უასლოესი თანამებრძოლები, მანდატურთუხუცესი და  
ამირისპასალიარი ივანე თრიპელი და აბულეთი, რომლებიც უაშეველია,  
დიდი ერთისათვები იყვნენ. საფიქრებელია, რომ თევდორეს თრიალეთ-  
კლდეკარი „ერისთავობით” პეტონდა და არა როგორც გელათის მამუ-  
ლის გამგებელს<sup>50</sup>. აღნიშნულ თევდორეს „ბალვაშების გადაშენების”

<sup>44</sup> ცხავება მეფეთ-მეფეებისა დავითის, გვ. 330.

<sup>45</sup> ი. ა. იბ დ ა ლ ა ძ ე, დავით აღმაშენებლის „შის თოტორშე”-ს გამო, გვ. 99.

<sup>46</sup> ჩ. მ ე ტ რ ე ვ ვ ლ ა, დამას. ნაშროვი, გვ. 23.

<sup>47</sup> ი. ნ. შ რ შ ი ა შ ვ ლ ა, თორელთა ფეოდალერი სახლი და შოთა რეს-  
თაველი, მტრისელ ფილოლოგიური მიებაზი, თბ., 1966, გვ. 56—57.

<sup>48</sup> ცხავება მეფეთ-მეფეებისა დავითის, გვ. 331.

<sup>49</sup> ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დავით აღმაშენებლის „შის თოტორშე”-ს გამო, გვ. 96—99.

<sup>50</sup> შდრ. ჩ. მ ე ტ რ ე ვ ვ ლ ა, შინაკულამობრივი ბრძოლა, გვ. 82.



შემდეგ ერისთავიდ თვლის ნ. ბერძენიშვილი<sup>51</sup>. ეს თევდოზე, როგორც  
აღნიშნა, მეფის ახლო ნათესავიც უნდა ყოფილიყო.

ნიშანდობლივია, რომ თრიალეთში, მრავალრიცხოვან საშეფო და  
საუფლისწულო „კელებთან“ ერთად ერისთავთ-ერისთავებიც ჩანან.  
ასეთია, კერძოდ ერისთავთ-ერისთავისა და მსახურთუხუცესის აფრი-  
დონის მეუღლის წარწერა ქვემო ჯინისიდან<sup>52</sup>. ჩანს, ლიპარიტისმეტა  
საგანმგებლოს ერთი ნაწილი მეფის მამულიდ იქცა სამართლის კერძო  
საწყისის შიხედვით, ხოლო ნაწილი კი კვლავ განიხილებოდა სახელ-  
მწიფო ტერიტორიად.

დავით IV აღმაშენებლის ღონისძიებანი ლიპარიტისმეტა წინააღ-  
მდეგ არ შეიძლება შინენეულ იქნეს საერთოდ „ერისთავის“ ინსტიტუ-  
ტის წინააღმდეგ ბრძოლად.

იგივე შეიძლება ითქვას ძაგანისა და მოდისტოსის შესახებ<sup>53</sup>. ამ  
უჩჩსა და ორგულ სახლს დავითმა შართლაც ჩამოართვა მამულები,  
მაგრამ ეს არ შეხებია საერთოდ „აბულეთისმეტა ფეოდალურ სახლს“,  
როგორც მ. ლოროტეიფანიძე მიუთითებს<sup>54</sup>. დავითმა დასაჯა საგვარეუ-  
ლოს ის შტო, რომელიც ოპოზიციაში ედგა. რაც შეეხება ამ საგვა-  
რეულოს მეორე შტოს წარმომადგენელს, აბულეთს, ის მეფის უახლოე-  
სი თანამშრომელი იყო გიორგი ჭყანდიდელთან, თევდორესთან და ივა-  
ნე თრბელთან ერთად. აბულეთის სახლი უაღრესად დაწინაურებული  
და პოლიტიკურად აქტიური ჩანს დავითის მერეც. თირქში აბულეთის-  
ძე მცირე ხანს ამირსპასალარი იყო დავით V-ის მეფობაში<sup>55</sup>. XIII  
საუკუნეშიც ეს სახლი საერთისთავო სახლია<sup>56</sup> და ივანე აბულეთისძე  
ათაბაგ-ამირსპასალარიც იყო<sup>57</sup>.

ასე რომ დავით აღმაშენებელი, როგორც აღვნიშნეთ, ურჩ ერის-  
თავებს უპირისპირებდა ერთგულებს. მეტიც, იგი დევნიდა ერთი და  
იმავე საგვარეულოს ურჩ შტოს და განადიდებდა ერთგულ შტოს, რაც  
იგივე აბულეთის სახლის მაგალითზე ჩანს. საფიქრებელია, რომ და-  
ვითის დროს დაწინაურებული თრბელთა სახლიც ლიპარიტისმეტა  
გვერდითი შტო იყო<sup>58</sup>, რომელთაც თავისიც მონათესავების იგან.

<sup>51</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 82.

<sup>52</sup> Е. Ткачев в книге, Археологические экскурсии, IV, с. 51.

<sup>53</sup> კრელად მთ შესახებ იხ. რ. მეტრევა ვაკელია, ძაგანისა და მოდისტოსის გა-  
მოსკვლა საქართველო კარის წინააღმდეგ, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორი-  
ადან, გვ. 61—87.

<sup>54</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 213.

<sup>55</sup> შ. გესხია, საშინო პოლიტიკური კონტექსტი, გვ. 17.

<sup>56</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 69—71.

<sup>57</sup> ა. შენიდე, ვ. ცისკარიშვილი, ბარანის ციხის წარწერა, გვ. 24—25.

<sup>58</sup> მ. საფოხხე გამზადებული გვაქვს საგანგებო გამოკვლევა, რომლის უახლოეს  
ხარის უასტაშების გაპირებთ.

განსხვავებით, შეფის ერთგულებაშე აიღეს გეზი და შნიშენელოვან  
წარმატებასაც მიაღწიეს.

ერისთავის უფლება-მოვალეობები ჩვენ ზემოთ დაქარიტიკოთ. ეს  
იყო სახამართლო-აღმინისტრაციული და სამხედრო-ფისკალური  
ფუნქციები. ერისთავი შეფის მიერ იყო დანიშნული თავის „მონაც-  
ვლედ“ საერისთავოში და მისი „მოურნეობა“ ევალებოდა<sup>59</sup>. ნორმა-  
ლურ ვითარებაში იგი განავებდა მინდობილ აღმინისტრაციულ ერ-  
თეულს შეფის „მორჩილებასა შინა“<sup>60</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მთელი ტერიტორია, სულ  
სხვადასხვა იურიდიული რეეიმის მქონე სამფლობელოების ჩათვლით,  
საერისთავოს აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში იყო  
მოქცეული. წყაროებიდან ამ ჩანს, რომ მთელს სახელმწიფოში გაფან-  
ტული სახეფო დომენები ტერიტორიულად საერისთავო ერთეულების  
გარეთ იყო განლაგებული. იგივე ითქმის ფეოდალური სახლების  
კერძო მამულებზე. ყველა ქს მამული საერისთავოს შიგნით მდება-  
რეობს. უკველია, ერისთავის ხელისუფლების დამოკიდებულება  
ამ მამულებისადმი განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

ჯუანშერი არჩილ „შეფის“ ხანის მიაწერს ერისთავებისათვის  
ძმისწულების მითხვებას, მათთვის მიწების დანაწილებას. რაც მან  
საკუთრიად დაიტოვა, „იყო განწოვებით გამონაყოფი ყოველთა ამათ  
პევთავინ“<sup>61</sup>. ამ ცნობით, აზრილის დომენი საერისთავო ტერიტორი-  
ებიდან „განწოვადებით გამონაყოფი“ იყო და ცალკე არ მდებარეობ-  
და. შეგავსი მდგომარეობა ჩანს XII საუკუნეშიც. ოჩბელთა ამბობის  
დროს, კაიანისა და კაეწონის მმართველებმა „მათი მოსაზღვრე მე-  
ფის მხარეები აიკლეს“<sup>62</sup>. ძეგლანაც ჩანს, რომ „შეფის მხარეები“ „გან-  
ზოგადებით გამონაყოფია“ და ცალკე, კომპიტურად როდია განლა-  
გებული.

სამეფო დომენები, რომლებიც აღნიშნულისამებრ, ტერიტორიუ-  
ლად საერისთავოთა ფარგლებში იყო მოქცეული<sup>63</sup>, ცხადია, ამოღე-  
ბული იყო ერისთავთა იურისდიკციიდან და მას ცალკე მმართველობა  
ჰყოფდა. სამეფო დომენებზე სამეფო იმუნიტეტი ვრცელდებოდა, რომ-  
ლის ხელყოფა მხოლოდ აჯანყების დროს თუ იყო მოსალოდნელი.  
დომენების მართვა უშუალოდ ექვემდებარებოდა სახალის აღმინის-

<sup>59</sup> იხ. თ. ს თ ს ე ც ი ა. სამეცნიეროს სამთავროს წარმოშობის თარიღისთვის, გვ. 172.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> გ უ ა შ ე რ ი ა, ვე. 242.

<sup>62</sup> გ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე. სამხედრო წყარო დემნა უფლისტულის ფანეკის შესა-  
ხებ, საქართველო რესთაველის ხახაში, ვე. 263.

<sup>63</sup> შლი. მ. ბ ე რ ა შ ე ვ ი ლ ი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, ვე. 65.



ტრაციის და კერძოდ მანდატურთუხუცესის სახელოს. დომინის ლაშქრიც გამოყოფილია ერისთავის ხელისუფლებისაგან და მის სურთუხუცესი სარდლობს. იგივე ითქმის სამეფო ციხესიმისგან სურთუხუცესის სარდლობს. იგივე ითქმის სამეფო ციხესიმისგან სურთუხუცესის სარდლობს.

ცხადია, განსხვავებული იყო ერისთავის ხელისუფლების დამოკიდებულება წევულებრივ ფეოდალთა, დიდებულთა და აზნაურთა მამულებისადმი. ასეთი მამულების იმუნიტეტი შეზღუდული იყო ერისთავის იურისდიქციით, მისი სასამართლო-აღმინისტრაციული, სამხედრო და ფინანსური პრეტორატივებით<sup>64</sup>.

ერისთავი, როგორც საჯარო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი საერისთავოში და უმაღლესი სამხედრო ხელისუფლი, სარდლობა საერისთავოდან გამომდევალ ლაშქრის: „შემდგომად მეფისა, იყუნენ მორჩილი და თანამოღალეები ერისთავთ-ერისთავისა“<sup>65</sup>.

შიომღვიმის სამეფო მონასტრის პატივისცემითა და „სუნიდისის“ შეწუხების გამო, ქართლის ერისთავმა ვრიგოლ სურამელმა დაუთმო მღვიმეს გავიაზელთა „საციხო სამართლი და საქმარი“<sup>66</sup>. მანვე შეწურია მღვიმეს „კერძი საერისთავო“, იმ შემთხვევისითვის თუ მღვიმის „კაცი“ ქურდობას ჩაიდენდა და წესით ნაპარევის „შუაღეული“ შისთვის უნდა მიეცათ<sup>67</sup>. ცხადია, ამგვარი პრივილეგია ყველას როდი ქენდა. ყველა კერძო მამული, უამიერია იმ მხრივ „შესავალი“ იყო ერისთავისაგან, „შეიდეულსაც“ იხდიდა, „საციხო სამართლსაც“ და ბევრ სხვა გადასხადისაც.

უკუნილია, შედარებით სხვაგვარი იყო ვითარება ერისთავისა და მისი სახლის პატრიმონიალურ მამულში, სადაც ერისთავის, როგორც საჯარო ხელისუფლების მოხელისა და კერძო ფეოდალის პრეტორატივები ერთმანეთს ემთხვეოდა.

<sup>64</sup> იმუნიტეტები იხ. Ф. Энгельс, Францкий период, К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 19-23. 500—503; Fustel de Coulanges, Histoire des Institutions politiques de l'ancienne France. Les origines du système féodal: le Bénéfice et la Patronat pendant l'époque mérovingienne, Paris, 1890, гл. XII—XIII, 366—367, 389—393; G. Seeliger, Die soziale und politische Bedeutung der Grundherrschaft im Früheren Mittelalter, Leipzig, 1903, гл. 76—113; Н. Ф. Колесницикий, Эволюция раннефеодального областного и местного государственного устройства и рост вотчинной власти в Германии в XI—первой половине XII в., „Средние века“, т. IX, М., 1957, гл. 153—156. უფრო სრული ბატლოფრატებისა და ქართული იმუნიტეტის შესახებ წყაროებისა და ლიტერატურის მიზნებლებისთვის იხ. ი. ანთელავა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მტრისის საკონსები, გვ. 155—176.

<sup>65</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 104.

<sup>66</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 38.

ერისთავი, როგორც დადგენილია, განაგებდა „ყოველთა შილტ-ბულთა და აზნაურთა“<sup>68</sup>, მაგრამ ეს დიდებულები და აზნაურთუბი ერისთავის ვისალებს როდი წარმოადგენდნენ, არამედ მექანიზმი. ერისთავი იღვა საერისთავოს აღმინისტრაციის და არა ფეოდალური კიბურის სათავეში. მის ვისალებს წარმოადგენდნენ ისინი, ვინც სააღვილ-მამულო ურთიერთობით იყვნენ მასთან დაკავშირებულნი.

ერისთავს ცხადია ქეონდა შემოსავალი საკუთარი სახლის მამულებისაგან, მაგრამ მას პქონდა შემოსავალი, როგორც საჯარო ხელი-სუფლების წარმომადგენელ მოხელესაც.

ერისთავის უმთავრეს სარგოდი ი. ჯავახიშვილმა მიიჩნია სამეფო სიველთა სიმუნიტეტო ფორმულებში მოხსენიებული „საერისთავო“ გადასახადი<sup>69</sup>, რომელიც სსენებულ ფორმულებში „სახელმწიფო, საციხისთავო“ და სხვა გადასახადებთან ერთად იხსენიება. ჩვენი აზრით, იმუნიტეტით აღჭურვილი მამულები კანონით განთავისუფლებული უნდა ყოფილიყვნენ ამ გადასახადისაგან<sup>70</sup>, მაგრამ იმუნიტეტის სისუსტისა და შეზღუდულობის გამო, საფიქრებელია იგი ბევრ „შეუვალ“ მამულსაც ედო. ერისთავები და მეუეებიც შშირად თვითონვე არღვევდნენ უკავე გაცემულ საიმუნიტეტო პრივილეგიებს თვით ეკლესიის მიმართ და ეს მოულოდნელი არაა საერო მამულებთან დამოკიდებულებაში. „შეუვალი“ მამული „უბადოთა კაცთაგან“ ძალწე შშირად ისევ „შესავალი“ ხდებოდა.

უნდა შევეხოთ ერისთავის კუთვნილი გადასახადების ზოგიერთ საკითხს, რომლებიც არასწორადაა გაგებული. ქართლის ერისთავმა გრიგოლ სურამელმა, როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, „საციხო სამართალი“, „კერძი საერისთავო“, რომელსაც იგი შიომღვიმის მამულიდან იღებდა, მღვიმეს მიუბოდა. მ. ბერძნიშვილმა საჯარო ხელი-სუფლების წარმომადგენლის ეს უფლებები და პრივილეგიები „ფეოდალის“ უფლებებად გაიკო. ზემოხიამოთვლილი გადასახადები მას „საფეოდალო“ ვალდებულებად მიუწევია, ხოლო სურამელის სასამართლო პრეტორაგრიები — ფეოდალის სასამართლოდ<sup>71</sup>. ერისთავის, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის ხელქვეთი მოხელეები ასევე „ფეოდალის“ მოხელეებადაა დასახელებული<sup>72</sup>.

<sup>68</sup> იქვე, გ. 104; ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 205.

<sup>69</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 266.

<sup>70</sup> ი. ანთელა აკა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მატობის საკითხები, გვ. 76—80.

<sup>71</sup> მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XII საერევანში, გვ. 75.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 75—76.

ცნადია, გრიგოლ სურამელი ფეოდალი იყო, მაგრამ არა ქართლის საერისთავოს მიმართ, არამედ თავის მამულში. ყველაზე შემოტკიცილი ჩამოთვლილი გადასახადი და პრივილეგია მას ეკუთვნის არა როგორც „ფეოდალის“, არამედ როგორც საჯარო ხელისუფლების მოხელეს, ერისთავს. სოფელ გავაზის მემამულე-ფეოდალი შიომღვიმე იყო და არა გრიგოლ სურამელი. მას მდგომის ნასყიდ სოფელზე ერისთავობით შიუწედებოდა ხელი. მეგვარი მიდგომის შედეგია, რომ გრიგოლ სურამელის „დაწერილში“ დასახელებული საჯაროუფლებრივი გადასახადები და სამსახურები მ. ბერძნიშვილს შრომით და ნატურალურ რენტიდ მიაწიდა<sup>73</sup>. თუ ყველაფერი ისე იყო, როგორც მ. ბერძნიშვილი საღიშნავს, სოფელი გავაზი სურამელისა ყოფილა და არა შიომღვიმისა.

გრიგოლ სურამელმა ყოველი „ჩუენი ბეგარია“ ანადა სოფელ შიომღვიმეს და „უბადოთა კაცთაგან შესავალად გასრული სოფელი გავაზელნი ძევლითე წესითა გაუთავისუფლნა წმიდასა მამისა შიოს“<sup>74</sup>. აქედან ჩანს, რომ „საერისთავო“ გადასახადი იგივე „საერისთავო კერძი“, „საერისთავო ბეგარია“. ცხადია სურამელი თავის საკუთარ მამულში „საერისთავო ბეგარის“ როლი კრებდა. იქ ის თვითონ იყო მემამულე და გადასახადებს იღებდა არა როგორც ერისთავი, არა მედ როგორც ფეოდალი.

მსგავსი მიდგომის მაგალითია ერისთავ ძაგან აბულეთისძის „დაწერილის“ მ. ბერძნიშვილისეული ინტერპრეტაცია. ძაგან აბულეთისძე აღნიშნავს: „მოვაქსენე და შეესწირე წმინდასა მამისა შიოს ... სოფელი ანგროინი, ჩემგან ნასყიდი... ჩემითა კრმლითა ნაშობისაგან კიდე არავისი ყოფილა ამის დაგილისა სკიდასა შიგა, არ მამულისაი და არ სოფელთაგან ანაღები“<sup>75</sup>. მ. ბერძნიშვილის დასკვნითა: „აზნაურის სახლის შემოსავალი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ეს იყო „მამული“ და „სოფლისაგან ანაღები“. „მამული“ იმ მოსავალს ერქვა, რომელიც ფეოდალს მოუდიოდა თავისი ხოდაბუნებისა და ზერებისაგან... „სოფელთაგან ანაღები“ კიდევ ის იყო, რომელიც ფეოდალის მიწაზე მჯდომი ყმა გლეხებისაგან შემოსდიოდა ფეოდალს“<sup>76</sup>.

ცნადია, ერისთავთაგრისთავის განხილვა „აზნაურის სახლიდ“ მიუღებელია. აბულეთისძე სოციალურად უაჭველია დიდი აზნაური იყო, მაგრამ იგი ამავე დროს დიდი ერისთავიც იყო. „მამულის“ და „სოფელთაგან ანაღების“ მ. ბერძნიშვილისეული განსაზღვრაც ძალზე

<sup>73</sup> იქვე.

<sup>74</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 43.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 69–70.

<sup>76</sup> მ. ბერძნიშვილის საქართველო XI–XII საუკუნეებში, გვ. 74.

საეჭვოა სიმართლეს შეეფერებოდეს. ასეთი დასკვნიდან გამოდის, თითქოს ფეოდალის მიწაზე მჯდომი გლეხები და თვითმეტებული ფეოდალის „მამული“ არ ყოფილია. შეუძლებელია ერთსაც გადატანის თავსექს თავისივე სოფლები „მამულისაგან“ ვიმოეკო. ცნადია, ეს საუბარია არა „აჩნაურის“ შემოსავალზე, არამედ ერთსთავთერისთავის შემოსავალზე და დასახულებულია მა შემოსაველის ორი წყარო: „მამული“ აბულეთისძეთა სახლისა, საიდანაც ის იღებს გადასახადებს როგორც ფეოდალი-მემამულე და „სოფელთაგან ანაღები“, რომელიც მას არ ეკუთვნის როგორც მესაკუთრებს, მაგრამ იღებს „საერისთავო კერძს“, „ბეგარს“, როგორც საჯარო ხელისუფლების მოხელე-ერთსთავი. ის სოფლები, საიდანაც გადასახადი აულია აბულეთისძეს, ისევე არ ეკუთვნის მას, როგორც გრიგოლ სურამელს სოფელი გავაშელინი. ეს ძაგან აბულეთისძემაც შესანიშნავად იცოდა და ამიტომაც მოიხსენია ცალკე „მამული“ და ცალკე „სოფელთაგან ანაღები“. ცნადია, „სოფელთაგან ანაღები“ თანხა ერთსთავის „კერძი“ სახელმწიფო გადასახადია და არა რენტია.

სწორედ ამგვარი შეცდომების შესახებ აღნიშნავს ლ. დანილოვა, რომ: „ბეგრძემა ისტორიუოსმა ... დაიწყო ნებისმიერი ხარჯისა და მიწის გადასახადების ფეოდალურ რენტიდ განხილვა ... გადასახადისა და ფეოდალური რენტის დამთხვევის მტკიცება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ნაჩვენები იქნება იმ საჯუთების ფეოდალური ხასიათი, რომლის სიცუდეელზეც ეს გადასახადები იქრიდება“<sup>77</sup>.

არც გავაშელი და არც აბულეთისძის დასახელებული „სოფელი“ ყოფილი სურამელისა და აბულეთისძის ფეოდალური საეუთრება და ვერც „საერისთავო კერძს“ და „ბეგარს“ განვიხილავთ ფეოდალურ რენტიდ.

„საერისთავო კერძისა“ და „ბეგარის“ შემადგენელი ნაწილი, „ნაბარევის შეიღეული“, სავსებით სამართლიანია მინნეული კომპოზიციების საჯარო ელემენტია, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის წილად<sup>78</sup>.

„საერისთავო ბეგარის“ ამგვარი შინაარსი ჩანს ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ არანძევ საბაისძისადმი წყალობის დაწერილიდანაც. არანძევ საბაისძეს მეუემ უბოძა სოფელი შეუბანი, რომელსაც „აბუსერეთ საერისთავო და ბეგარი“ ედო<sup>79</sup>. საბაისძემ აბუსერისძეები-

<sup>77</sup> Л. В. Данилов, Дискуссия по важной проблеме, Вопросы философии, № 12, 1965, с. 152.

<sup>78</sup> ი. ფივანიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნოვ. II, გვ. 316; ი. დოლიძე, ძევები ქართული სამართლი, თბ., 1953, გვ. 206.

<sup>79</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 170.

საგან ვამოისყიდვა მათი ეს საერისთავო პრივილეგია<sup>80</sup>. ცნადა, შემ-  
ბანი არ ყოფილა ძალურისტეთა მამული. მათ საჯარო ხელისუფლობა,  
ერისთავის უფლებით დაადეს ამ სოფელს „საერისთავოდ დაზუტამოს-  
მართვის მიზანისათვის“<sup>81</sup>

ერისთავის, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმოშედებულის  
ანაზღაურება, უკვევლია, არ ხდებოდა შემოღოდ „საერისთავო“ გადა-  
სახადით, სასამართლო „ნაბჭობით“, „ნაპარევის შეიდეულითა“ და  
სამსახურებით. საფიქრებელია, რომ იგი გარკვეულ მიწა-აღვილებიც  
იღებდა თავისი მოვალეობისა და თანმდებობის აღსასრულებლად,  
ცენტრალური აპარატის დიდი მოქელეების „სახელო ქვეყნების“  
შეგვასად, მაგრამ სამწუხაროდ, სათანადო მასალა ვერ არ ჩანს და  
რამეს გარკვეულად თქმა აქ არ შეიძლება.

ერისთავი, როგორც „საქვეყნოდ გამრივე“ მოხელე, შმართეველო-  
ბის ადგილობრივ აპარატს განეკუთვნებოდა, მაგრამ მეთად განი-  
ხილებოდა იგი სამეცნის ცენტრითან, შმართეველობის ცენტრალურ  
აპარატითან მიმართებაში. საკუთრივ საერისთავოს მასშტაბით ერის-  
თავს საქუთარი ცენტრალური შმართეველობა ჰყავდა, საკუთარი სასა-  
ხლე და კარი, თავისი „დარბაზის კარსა მყოფი“ და „საქვეყნოდ გამ-  
ვე“ მოხელეები. უკვევლია, ერისთავის, როგორც საჯარო ხელისუფ-  
ლების მოხელისა და როგორც კერძო მემამულის მოხელეებიც განს-  
ხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

დაღვენილია, რომ ერისთავს ჰყავდა შეიგნობართუხუცესი და  
მოლარეთუხუცესი<sup>82</sup>. ცნადია, მათ ამ მოხელეებისადმი დაქვემდება-  
რებული მწიგნიბრები და მოლარეებიც უნდა ჰყოლოდათ. საერისუ-  
დებელია ერისთავის დაცვა და მესაწოლეების შეგავსი კონტივენტი,  
რომელსაც ეს ფუნქცია ევალებოდა. ჩვენ ჟემოთ ვრცლად შევეხო  
მეფის საწოლს, როგორც სასახლის უწყებას. საწოლი, როგორც კაბი-  
ნეტი, დადასტურებულია ერისთავის სასახლეშიც<sup>83</sup>. მართლია, ეს  
მასალა მოგვიანო ხანისაა, მაგრამ ეს უწყება ერთიანობის ხანის ერის-  
თავის სასახლეშიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. იგივე უნდა  
ითქვას საჭურჭლეზე, საჯინიბო-ზარალხანაზე, საღვინეზე, სამწეო  
უწყებაზე. ეს უწყებებიც ა priori საგულისხმებელია არა შემოღოდ  
ერისთავის, არამედ საერთოდ დიდ უკოდალთა დარბაზ-სასახლეებში.  
უკვევლია, ერისთავის საჯდომი რეზიდენცია ისეთივე როლს ასრუ-  
ლებდა საერისთავოში, როგორსაც მეფის სასახლე-დარბაზი მთელ

<sup>80</sup> იქნე.

<sup>81</sup> ი. ა. ქავახიშვილი, ქართული სამართლის ძრობისა, წ. II, ნაკვ. I,  
23. 206.

<sup>82</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 528; ქ. ჩატარიშვილი, ნარ-  
კივები, გვ. 53.

სახელმწიფო მინისტრული განსაკუთრებით დიდი უნდა ყოფილიყო „მეტეორის აღვილშე“ შედომი ერისთავის კარის მნიშვნელობა.

სათანაბო აღვილის აღნიშნული გვეონდა, რომ სახელმწიფო ცენტრალურ მმართველობაში მუდმივად შედიოდა „აჯა-შოსსენებები“ საერისთავობიდან. „ოშის“ აზნაურების, დიდებულებისა თუ სოციალური დამალი პირების საქმეებშე „მის თემის“ ერისთავი „მოაქსენებდი“ სამეცო სახალებს. საამისოდ მას ქავდა მწიგნობრების შტატი და ასევე „მოწიგნარებიც“, რომელთაც მაღიშირბოლობა-შიერიკობა ევალებოდათ<sup>83</sup>. იგოვე მნიშვნელობისა უნდა იყოს „მეწიგნეც“<sup>84</sup>.

ერისთავის, როგორც მოქელის და საერისთავოს, როგორც აღმინისტრაციული ერთეულის საფუძველი იყო არა მეფისა და კერძო მამულები, არამედ სახელმწიფო ტერიტორია, ზედ დასახლებული სახელმწიფოშე დამოკიდებული მოსახლეობით. ამგვარი ტერიტორიების კერძოფერდალურ იურისდიქციაში გადასვლამ საერთოდ ზედმეტი გახადა ერისთავის ინსტიტუტი, რაღაც კერძოუფლებრივ საწყისებშე ავტობული მამულების მართვას თვით მათი პატრიონები აწარმოებდნენ თავისივე იმულების აპარატით. ამ პროცესს პროპორციული იყო იმუნიტეტის გაფართოვება და გაღრმავება, რომელმაც საფუძველი მოუშალა ერისთავის, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის იურისდიქციას<sup>85</sup>.

### საერისთავოს სტრუქტურა

საერისთავოს არსებობის საფუძველს, როგორც აღნიშნეთ, წარმოადგენდა სახელმწიფო ტერიტორია ზედ დასახლებული, იურიდიულად სახელმწიფოშე დამოკიდებული მოსახლეობით<sup>86</sup>. გარდა ამისა, საერისთავოს ტერიტორიაზე განლაგებული იყო კერძო მამულები

<sup>83</sup> ქართელი სამართლის ქეგლები, II, გვ. 44; მ. ბ ე რ ბ ნ ი შ ვ ი ლ ი, გლეხთა გმიოსახლები XI—XII ს. საქართველოში, ისტორიის ინსტიტუტის შემქმება, ტ. VII, თბ., 1964, გვ. 136—137; გ. ლ ი რ თ ქ ი ფ ა ნ ი კ ე, გლეხთა ს ე კ ი რ მ ი კ უ რ ი მ დ გ რ მ ა ქ უ რ ა, ნარკევები ფულადური საქართველოს გლეხთას ისტორიადან, I, თბ., 1967, გვ. 54.

<sup>84</sup> დიდი სტრუქტანი, გვ. 158, 570. ეს ტერმინი ღმოწებულია დავთას ისტორიისთან, მარიამისულში გვაქვს „მეწიგნენი“. გამოცემულ ტექსტში (ქართლის ცხოვრება I, გვ. 344) გვანდული ნისხების მხედვეთ „მეწიგნობარინი“-ა შეტანილი, რაც შენარსობრივიდაც არ უდგება კანტექსტს.

<sup>85</sup> ი. ი ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XV ს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საქონები, გვ. 175.

<sup>86</sup> იქვე, გვ. 75—76, 125—126.

საერთ და სასულიერო ფეოდალუბისა, მეფის დომენის მიწები, თავის  
ერისთავის კერძო მამული. დომენის თავისი აღმინისტრიცია და მშენ-  
ველობა გააჩნდა (ამაზე ქვემოთ) და იგი ამოღებული იყო ერთსამართო  
იურისდიქციიდან. მისი იურისდიქციიდან მნიშვნელოვანწლიდან შემოხვე-  
დებული იყო საერთ და სასულიერო ფეოდალთა კერძო მამულებიც,  
მაგრამ, როგორც აღმინისტრი მასალიზე დაყრდნობით, კერ-  
ძო ფეოდალი იმუნიტეტი მაინც შესძლებული იყო ერისთავის სასა-  
მართლო-აღმინისტრიციული და სამხედრო-ფისკალური პრეტორატი-  
ვებით<sup>87</sup>. ცხადი უნდა იყოს, რომ კერძო მამულებს, თუნდაც ერის-  
თავის საჯაროუფლებრივი პრეტორატივებით შესძლებულთ, თავისი  
აღვილობრივი აღმინისტრიცია გააჩნდათ.

ასე რომ, საერისთავოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სხვადა-  
სხვა დაქვემდებარების აღვილობრივი პარატი.

საერისთავოს როგორც სამხედრო-აღმინისტრიციული ერთეუ-  
ლის სახელმწიფო ბრივი მართვის ბირთვს წარმოადგენდა ერისთავის,  
როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის ხელქვეითი, ასე-  
ვე საჯარო საწყისის მატარებელი აპარატი.

სანდ განვიხილავთ ერისთავის ხელქვეითი საჯარო ხელისუფლე-  
ბის მოხელეების საკითხს, აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ ე. წ.  
„საერისთავთერისთავობებს“.

ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ არსებობდა საერისთავ-ერისთავო-  
ები და საერისთავოები<sup>88</sup>. ასეთივე ანრისაა მ. ბერძენიშვილი: „საერი-  
თველო დაყოფილი იყო შესვილ საერისთავთერისთავოებად, რომლებიც  
თავის მხრივ საერისთავოებად იყოფილნენ“<sup>89</sup>. ცოტა სხვაგვარად  
აქვს ეს საკითხი ფორმულირებული დ. გვრიტიშვილს: „შინაარსობ-  
ლივად, ერისთავთერისთავი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მისი ქვეშე-  
თი მოხელენი ერისთავნიც არიან. ერისთავთ-ერისთვების ტერიტო-  
რია უფრო დიდი სამხედრო აღმინისტრიციული ერთეულია, საერის-  
თავო ერისთავთ-ერისთავების ტერიტორიის ნაწილია“<sup>90</sup>.

დასახელებული მკვლევარები უდავოდ მართალი არიან იმაში,  
რომ დიდ ერისთავის (ერისთავთერისთავის) ემორჩილებიან უფრო  
მცირე ერისთავები, მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ მათ „საერისთავთ-  
ერისთავოს“ არსებობის საკითხში.

<sup>87</sup> მსგავსი მდგომარეობასთვეს დამაკვლეულ ეკრობაში იხ. Н. Ф. Колесници-  
кий, Эволюция рабифеодального и местного государственного  
устройства, с. 156.

<sup>88</sup> ა. ჯავახიშვილი, ქართულისმართლის სტრიქია, წ. II, ნაკვ. I, გვგ. 206.

<sup>89</sup> მ. ბერძენიშვილი, საქართველოს XI—XII საუკუნეებში, გვ. 59.

<sup>90</sup> დ. გვრიტიშვილი, დავითალური საქართველოს სოციალური ურთიერ-  
ობის სტრუქტურან, თბ., 1955, გვ. 67.

ოფიციალური დღმინისტრიაციული დაყოფით, როგორც ჩანს, არა არსებული „საერისთავთერისთავო“ და არც „ერისთავთერისთავის“ თანამდებობა. ეს უკანასკნელი დიდი საერისთავოს, დირექტორული კოს გამგებლის სპისალარ-ერისთავის საპატიო წოდებულების შემსრულებლის უზრუნველყოფა (შედრ. „სამცხის სპისალარი“).

ლაში გიორგის ქვათანევისადმი ბოძებულ სიგელში აღნიშნულია: „მოვიდა ჩეუნთან სულა ქართლის ერისთავი, ქე ერისთავთერი რატი სურამელისა“<sup>91</sup>. (ხაზი ჩევნია, ი. ა.). მა სიგელიდან აშკარად ჩანს რომ სულაც და მამაშისიც ქართლის ერისთავები არიან და არა ქართლის ერისთავთერისთავები. ვარდაცვლილი რატი სურამელი ერისთავთერისთავებად იწოდება როგორც დიდი, საბატიო ერისთავი. იმავე დოკუმენტის მიხედვით, „დაიგუაჯერა ღმერთმან, ვისმინეთ პავათ და მოქსენება ერისთავთერისთავისა სულა ქართლის ერისთავისა“<sup>92</sup>. აქაც სულას ოფიციალურ თანამდებობად დასახელებულია „ქართლის ერისთავობა“, ხოლო როგორც ასეთი, ის ერისთავთერისთავად იწოდება.

„ქართლის ერისთავად“ იწოდება გრიგოლ სურამელი<sup>93</sup>, რომელიც ამავე დროს არის „ერისთავთერისთავი გრიგოლ ქართლის ერისთავი“<sup>94</sup>. მისი შეილი ბევრაც „ქართლის ერისთავია“<sup>95</sup>.

ამდენიად, გვაქვს დოკუმენტური მონაცემები, რომ ერთი და იგივე პირები არიან „ქართლის ერისთავები“ და ამავე დროს იწოდებიან ერისთავთერისთავებად. ცნადია, რომ ქართლი საერისთავოა და არა საერისთავთერისთავო. მას შეაქვს ოფიციალური შმატოველი „ერისთავი“, რომელიც ერისთავთერისთავად იწოდება, როგორც დიდი ერისთავი, დიდი საერისთავოს გამგებელი, მცირე ერისთავთა სარდალი.

ზემოაღნიშნული, ცხადია არ შეეხება მხოლოდ ქართლის საერისთავოს. ასეთივე ფორმულა დაღისტურებულია რაჭილანაც. ნიკორწმინდის ჯვარცმის ხატის წარწერაში აღნიშნულია: „ერისთავთერისთავი რაჭის ერისთავი რატი“<sup>96</sup>. ცხადია, რომ რატის ოფიციალური

91 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 35.

92 იქვე.

93 იქვე, გვ. 40.

94 იქვე, გვ. 40—42.

95 იქვე.

96 ქრონიკა, II, გვ. 210; ს. კა კა ბ ა ბ ე, წინასწარი ცნობა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ეპიგრაფული მასალის შესახებ, საბორითი კრებული, IV, ტუ.. 1929, გვ. 105; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ანქეთლოვიტი მოგზაურობა რაჭები, თბ., 1963, გვ. 89—90.

„ქელი“ „რაჭის ერისთავობაა“ და როგორც ასეთი, იგი ერისთავი ერისთავია, დიდ ერისთავია იწოდება. ჩანს, არც რაჭის საერისთავოული ერისთავი არსებულა.

მდენად, „ქართლის ერისთავი“, „რაჭის ერისთავი“ და სხვ. იმდენად არის ოფიციალური მოხელე, რამდენადაც „ერისთავია“. ვინაიდან ქართლი, რაჭა, კახეთი და სხვ. დიდი საერისთავოებია, რომლებშიც მცირე საერისთავოებიც შედიან, მათი მართველების ოფიციალურ წოდებულების, „ერისთავების“ ცალკე ემატება „ერისთავთერისთავის“ წოდებულება. ამის უდავო დაღასტურებაა ფორმულები: „ერისთავთერისთავი და ქართლის ერისთავი“; „ერისთავთერისთავი და რაჭის ერისთავი“.

მეფის, დიდი ერისთავისა და ერისთავის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა ლაშა გიორგის ქვათახვისაღმი ბოძებული, ზემოთ დამტმებული სიგველი.

სულა ქართლის ერისთავი, რატი სურამელის ქ, „აჯა“ ლაშა გიორგის, რათა ამ უკანასკნელს ქართლის სოფელი სუელნეთი<sup>97</sup> შეეწირა ქვათახვის მონასტრისათვის. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ეკუთვნოდა სურამელთა სახლს. ვის ეკუთვნოდა „ქართლის სოფელი სუელნეთი?!“ ტერიტორიით ეს სოფელი ქართლის საერისთავოში შედის. ამასთან, სულა სურამელის „პაპასა და მამასაც“ პერნია იყი, როგორც ჩანს „საჭმელია“, „სახარავოდ“. ცხადია, სულას მამაპაპას ეს სოფელი რომ სამკიდროდ და სამამულოდ პერნიდათ ბოძებული, მას არ დასჭირდებოდა შეფისათვის „აჯას“ მიზანევა ამ სოფელის ქვათახვისათვის შესაწირავდ. ამასთან, ჩანს სოფელი სუელნეთი არც შეფის დომენს მიეკუთვნება. შეუძლებელია, სულა ქართლის ერისთავების საკუთარი მონასტრისათვის დომენის სოფლის, შეფის საკუთრების შეწირების „აჯას“ მიზანევა გაბედა ლაშა გიორგისათვის. სუელნეთი აღმინისტრიციულადაც არ ჩანს სამეფო დომენის მშართველობაში.

სოფელი სუელნეთი არც შეფეს და არც სურამელთა სახლს არ ეკუთვნოდა, როგორც კერძოფეოლალური მამული. ის სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი იყო და იურიდიულად სახელმწიფოშე, სახელმწიფო აღმინისტრაციაშე დამოკიდებული, მდენად კა „თავისუფალი“<sup>98</sup>. ქვათახვისათვის შეწირების შემდეგ, სუელნეთი, ცხადია კერძო

<sup>97</sup> თ. ერტანიას და ა. ფოლიძის გამოცემებში (იხ. ქრისტიანი, I, გვ. 266; ქართლი სამართლის ძეგლები, II, გვ. 35) დაბეჭდილა „სუელნეთი“. ბ. მოშაველისა და თ. კრუნების დაბატონებული იზრით, აქ „სუელნეთი“ უნდა იყოს.

<sup>98</sup> იხ. А. И. Несуемихин. Понятие свободы в эдикте Ротари, Средние века, т. 2, М., 1946; с. 83; А. Я. Гуревич, Королевские пожалования и феодальное подчинение английского крестьянства, Средние века, т. IV, М., 1953, 13. ა. ანთელავა

მამულად, ხოლო მისი მოსახლეობა მონასტრის „გლეხებად“ იყო. აქ ისეთივე მდგომარეობა გვიქვს, როგორც უკვე განხილული ჰქონინდა ბაგრატ IV-ის სიგელების მონაცემების მიხედვით<sup>99</sup>.

ეს რომ ასეა, სიგელის სხვა მონაცემებიდანაც მტკიცდება. სუელნეთი, ტერიტორიული ქართლის საერისთავოში შემავალი, იმყოფებოდა არა ქართლის ერისთავის, არამედ მისდამი დაქვემდებარებული საქართლის ერისთავის უშუალო იურისდიქციაში. ვინ არის საქართლის ერისთავი?

ვახუშტის მიხედვით, დეანის ხეობაში, „წორბის ზეით“, „მთასა შინა“, „არს ციხე საქართლისა, მაგარი“<sup>100</sup>. უეჭველია, ლაშა გიორგის სიგელის „საქართლის ერისთავი“ სწორედ ამ ციხეში იჯდა და მისი „შესავალი“ ქვეყნის ერისთავი იყო, ქართლის ერისთავის ხელქვეითი „ცოტაა ერისთავი“. ცხადია, რომ სუელნეთი არც მისი კერძო მამული ყოფილა.

მეცემ „ისმინა“ სურაბელის „აჯა“: „გამოგუილია (სოფელი, ი. ა.) საქართლის ერისთავისაგან და შეგუიწირავს... ქვათანკევისდა, სილოცველად და წარისამართებლად მეფობისა ჩუქნისად“<sup>101</sup>. იშკარია რომ ლაშა გიორგიმ სოფელი სუელნეთი ამოილო საქართლის ერისთავის იურისდიქციიდან, რაც ამ სოფლის უკვე პეტოფეოლოურ საფუძველშე მფლობელი ქვათანხვის მონასტრისათვის სათანადო იმუნიტეტის ბოძებასაც ნიშნავდა.

მეფის მიერ საქართლის ერისთავის იურისდიქციიდან სოფლის ამოღება („გამოგუილია“) კარგად ასხიათებს თვით ერისთავის ხელისუფლებას, მის ხსიათს. ასევე თვით იმ სოფლის იურიდიულ რეგისმაც, რომელშეც საუბარია სიგელში. ცხადია, ამ სოფლის აღმინისტრაცია, სამართალი და გადახანდები საქართლის ერისთავის ხელში იყო.

ამ სიგელით ოკვევა ასევე, დიდი ერისთავის, ქართლის ერისთავის მმართველობის ქვეშ მყოფი საქართლის ერისთავის არსებობაც. ისიც ცხადად ჩას, რომ თვით ქართლის ერისთავს არა აქვს უფლება საქართლის ერისთავის იურისდიქციიდან „გამოგუილოს“ სოფელი. სახელმწიფო ტერიტორიის შეწირვა, ე. ი. მისი კერძო მამულად, ფეოდალურ საკუთრებად გადაქცევა, სახელმწიფო აღმინისტრაციისაგან

с. 56—63; О. И. Варьяш, Проблема формирования феодально-зависимого крестьянства в Испании в VIII—XI вв., автореферат канд. диссертации, М. 1979, с. 8—9.

<sup>99</sup> ი. ა ნ თ ე ლ ა კ ა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საქათხები, გვ. 76—80.

<sup>100</sup> ვ. ა ხ ე ტ ტ ი, აღწერა სამეფოს-საქართველოსა, გვ. 375.

<sup>101</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 35.

ამოღება, „შეუვალად“ ქცევა, მეფის პრეტორატივას შეაღგენს, რო-  
მელიც მას სახელმწიფო უზენაესობის უფლებით ახორციელებს ვარუუ-  
რა

საქართლის ერისთავის მსაგავს, მცირე ერისთავებად ჩანარ-მატერია-  
რა ონის წარწერებიდან კანა ერისთავი<sup>102</sup>, რგანის წარწერიდან ამუ-  
ნასრ ერისთავი<sup>103</sup>, „ჯრუჭის ერისთავი“<sup>104</sup>. ამგვარი ვითარება საგუ-  
ლებელია ყველა დიდ საერისთავოში.

სამხედრო-აღმინისტროციული ერთეულის საერისთავოს შმართვე-  
ლი ერისთავის შემდეგ, უმაღლეს მოხელედ „გამგებელი“ ჩანს. ეს  
თანამდებობის პირი დამოწმებულია გიორგი V ბრწყინვალის „ძეგ-  
ლისდების“ მიხედვით<sup>105</sup>, მაგრამ ცნადია, არა გვაქვს საფუძველი და-  
ვასკვნათ, რომ ეს კერძო შემთხვევაა და „გამგებელი“ სხვა საერის-  
თავობში არ იყო. „გამგებელი“, როგორც სამართლიანად შენიშვნავს  
ე. ხოშტარია, დანიშნული ჩანს, „ვითარცა ერისთავის ნაცვალი, ფაქ-  
ტიურად იმავე ფუნქციებით აღჭურვილი, თუმცა უფრო დაბალი რან-  
გის საქეცყნოდ გამრიცვე მოხელე“<sup>106</sup>. ვფიქრობთ, ეს დასკვნა საფხვბით  
შეეფერება „ძეგლისდების“ მონაცემებს.

„გამგებლის“ ერისთავის „ნაცვალი“ გაგებაც უაღრესად ნიშან-  
დობლივია. საფიქრებელია, რომ „ძეგლისდებაში“ გამგებლად“ წო-  
დებული მოხელე, ზოგ სხვა წყაროში „ნაცვალის“ სახელწოდებით  
უნდა ისტანიებოდეს.

ტერმინი „ნაცვალი“ ძალშე გავრცელებულია სულ სხვადასხვა  
მდგომარეობისა და თანამდებობის პირის აღსანიშნავად. „ნაცვალი“  
ჟყადა მეტურტლეთუხუცესს. ყველა დიდი მოხელის „მოაღვილე“  
(აშირაპორი, ამირეჯიბი, მესამეოლეთუხუცესი) ფაქტობრივად „ნა-  
ცვალია“. „ნაცვალი“ ჰყავდათ მცირე მოხელეებსაც. ასეთად ჩანს  
სეტის მთავარანგელოზის ხატის წარწერაში მოხსენიებული აბარძეალი  
იონა და ნაცვალი მიქელა-ჭურა<sup>107</sup>. ცნადია, ჭურა აბარძეალ იონას  
„ნაცვალია“. ამ თანამდებობის დასახულების ვხვდებით სამეფო სიგვ-  
ლებშიც<sup>108</sup>, თუმც არ ჩანს, კონკრეტულად ვისი „ნაცვალი“ არიან  
ისინი.

<sup>102</sup> დასაცულეთ საქართველოს ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 104, 106.

<sup>103</sup> იქვე, გვ. 64.

<sup>104</sup> იქვე, გვ. 155.

<sup>105</sup> ი. დოლიკე, გორგი ბრწყინვალის სამართლი, გვ. 105—106, 107—108  
და შემდ.

<sup>106</sup> ე. ხოშტარია (ბრძანებ), არაგების ხელის სოციალურ-პილიტიკური გან-  
ვითარების საქონხები XII—XV სს. ქართული საისტრიო ძეგლების მონაცემებით,  
შრავალთავი, VIII, თბ., 1980, გვ. 76—77.

<sup>107</sup> ე. თავათვე ვალი, არაგების ხელის სოციალურ-პილიტიკური ექსპედიცია ლეჩებე-სვანეთში 1910  
წილი, გვ. 268.

<sup>108</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 26.

ერისთავის „ნაცვალზე“ (resp. „გამგებელზე“) უნდა იყოს საუ-  
ბარი სხვავის ჯერის წარწერაში, სადაც ერთი მხრივ მოიხსენიება „რე-  
ჭის ერისთავი რატი და მისი ძე კახაბერი, ანაურინი, მოკეუზი და კუკ-  
ნი, ხოლო იქვე აღნიშნულია: „ქ. წმინდათ ვაბრიელ მთავარიანგელოზო,  
შეიწყოლე ვახტანგ ... ის ძე. მოიშედა მისსა ნაცვლობას ა ში-  
გან ...“<sup>109</sup> (ხაზი ჩევნია, ი. ა.). საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ერისთა-  
ვის წარწერაში, მის შემდეგ მოხსენიებული ვახტანგი, რომლის „ნა-  
ცვლობასა შიგან“ მოჰქედილა ჯვარი, სწორედ ერისთავის „ნაცვა-  
ლია“. ამ მომენტის ვათვალისწინებით, სამეფო სიგელების „ნაცვლე-  
ბიც“, იქნებ სწორედ ერისთავის „ნაცვლებია“.

მდებარე, ერისთავის „მოადგილის“ მნიშვნელობით დამოწმებუ-  
ლია ორი ტერმინი: „გამგებელი“<sup>110</sup> და „ნაცვალი“. კონკრეტული  
კალების საქმეა, წყაროებში მოღწეული „ნაცვლებიდან“ რომელს  
მივიჩნევთ ერისთავის „მოადგილედ“.

ცხადია, ერისთავის „ნაცვლი“ არ შეიძლება მინერულ იქნეს  
„ქართლისა გამგებელი“ კონსტანტინე უფლისწული<sup>111</sup>. იქ ეს ტერ-  
მინი, ჩანს ზოგადია და „ქართლის ერისთავის“ შესატყვისი უნდა  
იყოს<sup>112</sup>.

ერისთავის „ნაცვლის“, „გამგებლის“ ინსტიტუტი, შინაარსობ-  
რივად ძალაშე ასლოთა დასავლეთეკითობულ ვრაფის ვიკარიუსთან,  
ვიცე-გრაფთან<sup>113</sup>. ჩემს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, „ნაც-  
ვლია“ — „გამგებელი“, მართლაც „ვიცე-ერისთავის“ ფუნქციებით  
აღჭურვილია გვმარინება.

საერისთავოს აღმინისტრაციულ სტრუქტურაში თვალსაჩინოა  
„ციხისთავთა“ როლი, რომლებისათვის ცალკე გადასახადი, „საციხის-  
თავთა“ დაწესებულია<sup>114</sup>. დადასტურებულია „სამსახურებული ციხე-  
თავ“<sup>115</sup>. ძალაშე საეჭვოა მ. ბერძნიშვილის დასკვნა, რომ „ყველაზე  
უფრო მცირე ერთეული საციხისთავო იყო“<sup>116</sup>. სამეფო სიგელებში

<sup>109</sup> გ. ბოჭრაძე, რაპტი სტორიული ძეგლები, საქართველოს სახელმწი-  
ფო მუზეუმის მომბეჭ, VIII, გვ. 292.

<sup>110</sup> იბ. მეცნ. ნ. ბოჭრაძე ვალი, ფეხუთის 1933 წლის ექსპელიის დღი-  
ური, საქართველოს მატორის საეთხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 115.

<sup>111</sup> ი. ბოჭრაძე, X ს. წარწერა მეტედის ხეობით, საქართველოს ხე. მუ-  
ზეუმის მომბეჭ, XIX—B, თბ., 1956, გვ. 5—9.

<sup>112</sup> დ. მუსევალიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძი-  
რიადის საეთხები, II, გვ. 218.

<sup>113</sup> ფიცელ დე-Кულაჯ, Францская монархия, с. 274—275.

<sup>114</sup> ქართეული სამართლის ძეგლები, II, გვ. 10, 21, და სხვ.; ი. ჯავახიშვილი  
ა. ქართეული სამართლის ძალისა, წ. II, ბავ. 1, გვ. 207.

<sup>115</sup> ქართეული სამართლის ძეგლები, II, გვ. 10—11. იქვე ჩანს შისი შინაარსიც. ესა-  
დაჭრებითი სამსახურია, სამეფო, სუბრა, ბავ.

<sup>116</sup> გ. ბოჭრაძე ვალი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, გვ. 126.

„ციხისთავი“ „კევისუფალზე“ უწინ ისსენიება. ამასთან, ერთმანეთი საგან უნდა განვასსხვით ერისთავისადმი დამორჩილებული „ციხისთავები“ და ღომენის „ციხისთავები“, რომელთა დაქვემდებრების შემთხვევაში ერისთავისადმი ძალზე სერიოზულ ეჭვს იწვევს. უკველია, თავისი „ციხისთავები“ ჟყადათ „ციხისან“ დიდაშნაურებსაც.

კვიფერობთ, სამეფო სიგელების საიმუნიტეტო ფორმულებში, საღაც საჯარო ხელისუფლების მოხელეებისათვის დაწესებული გადასახადებისაგან „შეუვალობაზე“ საუბარი, უნდა ისსენიებოდეს სწორედ ერისთავებისადმი დაქვემდებარებული „ციხისთავი“ და „საციხისთავო“. საჯარო ხელისუფლების მოხელეებად ჩანან „აზნაურები“, რომელთათვის „სააზნაუროა“ გადაკვეთილი<sup>117</sup>. სამართლიანად ვარაუდობენ, რომ მოხელე „აზნაურის“ ძირითადად ფისკალური ფუნქციები უნდა ქვრივოდა დაკისრებული<sup>118</sup>.

საერისთავოების ძირითად ბირთვს, მის უმთავრეს შემაღებელ აღმინისტრაციულ ერთეულს, როგორც ჩანს, „კევი“ შეაღებუნდა. „კევის“ შესახებ საქმიოდ არის გამოთქმული მოსაზრებანი<sup>119</sup> და ჩვენ იქ ამ საკითხზე არ შევხერლებით. წყაროებში დადასტურებულია „ქობულ პევისუფალი“<sup>120</sup>, „ცხრიშმისხვის პევისუფალინი ბერი და გიორგი“<sup>121</sup>, „დიდგორის პევისუფალინი“<sup>122</sup>, „კევისუფალი მანილა“<sup>123</sup> და სხვ. ეს შესაბამის X საუკუნისაა. ჩეკინთვის საინტერესო პერიოდისათვის დადასტურებულია „საპევისუფლო“ გადასახადი<sup>124</sup>, რომელიც უძრავია, საჯარო ხასიათის გადასახადია. ტერმინი „კევი“, როგორც ჩანს, სინონიმია „თემისა“ (ზექა), ხოლო „კევის აზნაური“ იგივეა რაც „მეთემე აზნაური“<sup>125</sup>. საფიქრებელია, რომ

117 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 6, 26, 73 დასხ.

118 ვ. ბერი აზნაური, საქართველო XI—XII საუკუნეებში, გვ. 58.

119 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძალორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 10; ე. ბერი აზნაური, საქართველოს ძალორის საკონსები, VIII, გვ. 61—76; მ. ბერი აზნაური, საქართველო XI—XII საუკუნეებში, გვ. 124 — 125.

120 აღმინსულით და სმხრეთ საქართველოს ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინდა და გამოსაცემით მომსახული ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 141.

121 იქვე, გვ. 144.

122 იქვე, გვ. 226.

123 დ. მუსე აზნაური, საქართველოს ძალორის გეოგრაფიის ძირითადი საკონსები, II, გვ. 211.

124 ი. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ძალორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 207.

125 იქვე, გვ. 11—12; თ. ბერი აზნაური, რაჭა ფეოდალური ხანიში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975, გვ. 138.

მოქელე-აზნაურები სწორედ იმ „კეცებში“ („თემებში“) საქმობზენ/რომლის „მოქეც-მეთვემებიც“ ისინი იყვნენ.

„კეცები“ აღმინისტრაციულ შართვას „კეცებისუფალი ჩატარების უფალი“ აწარმოებდა. მთლიად გარკვეულიად არ შეიძლება ჩაითვალოს, იყო თუ არა რაიმე გამსხვევება „კეცებისუფალს“ და „კეცებისთავს“ შორის<sup>126</sup>. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ტერმინები ერთსა და იმავე შინაარსს გამოხატავდნენ. იგივე უნდა იყოს „კეცებისბერიც“<sup>127</sup>. ყოველ შემთხვევაში ამ ტერმინების სემანტიკა არ იძლევა იმის საფუძვლს, რომ ისინი მაინცდამაინც ერთმანეთს დავაცილოთ.

საერთისთავოს აღმინისტრაციული დაყოფა დიდ საციხისთავობად და საკეცებისუფლობად წყაროებით დადასტურებული ფაქტია. ამისთან, უურადლების იქცევის ზოგიერთი ტერმინი, რომელიც თავისი აღიიღის მიხენას მოითხოვს საერთისთავოს სტრუქტურაში.

ტერმინი „ოთხმიწლური“, როგორიც თავის დროზე ი. ჯავახიშვილმა შენიშნა, მხოლოდ დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში გვხვდება<sup>128</sup>. ეს ტერმინი ისენიება თამარის კელათისადმი ბოძებულ სიგელში<sup>129</sup> და დავით ნარინის სიგელში<sup>130</sup>. იგივე ტერმინი დადასტურებულია ზოგიერთ სახისხლო სიგელშიც<sup>131</sup> და გურიის საბუთებშიც.

„ოთხმიწლური“ ი. ჯავახიშვილმა განუმარტავად დატოვა. ამ საყითხში მოსახრება გამოიტევა ს. კაკაბაძემ, რომლის აზრით, ეს ტერმინი აღნიშნავდა „ოთხ-მიზნიანის უფროსს“, თითქოს ჯამავირიანი ოთხი მსახურის უფროსს და უდრიდა „კარვოსან-აბჯროსან-ქოთლოსაში“<sup>132</sup>. ამ მოსახრების გაზიარება შეუძლებელია.

უკანისცნელ ხანს გამოქვეყნებულ „დიდ სჯულისკანონში“ ტერმინი „ოთხმიწლური“ ნახმარია ბ აბაკა, ბ აბაკა, ბ აბაკა. ეს შესატყვისაღ და განმარტებულია: „სახელმწიფოს მეთხედის განმვებელი ბიზანტიაში<sup>133</sup>. თვით ტექსტში აღნიშნულია: „ხოლო სამთავროთა შინა ყაველნი მთავარი და მკედართმფლიბელი და ოთხმიწლურინი“<sup>134</sup>.

<sup>126</sup> ჟურ. ლ. მ ე ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს მტროცელი გეოგრაფიკ ძროთადი საქონები, II, გვ. 220.

<sup>127</sup> ი. დ თ ლ ი ძ ე, გოლტვი ბრწყინვალის სამართალი, გვ. 106—107 და შედ.

<sup>128</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 216.

<sup>129</sup> ქართული სამართლის ძველები, II, გვ. 26.

<sup>130</sup> იქვე, გვ. 73.

<sup>131</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სასისხლო სიგელების შესახებ, სასტორო მომბე, II, გვ. 11.

<sup>132</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველი და მისი „კეცებისტუოსანი“, გვ. 204—205.

<sup>133</sup> დიდი სულისკანონი, გვ. 574.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 180.

„ოთხშიზღური“ ცხადია, ძნელია მივიჩნიოთ სახელმწიფოს მეოთხედის გამგებლიდ საქართველოში, მაგრამ იგი რაღაც აღმინისტრაციული ერთეულის მეოთხედის გამგებლობაში რომ იღებს მუნიციპალიტეტის წილებას, ამარა უნდა იყოს. ეს ამ სახელოს სახელწარმეტვის მიუკეთდება, „ოთხშიზღური“.

ტერმინი „მიზღური“ განმარტებულია სულხან-საბა თრბელიანთან, როგორც „შიზდის ამღები“<sup>135</sup>, „მიზდი“ კი მისივე სიტყვით, „ასაღები რამ სარგო, ქირა“<sup>136</sup>. ამ მონაცემებით, თითქოს შევვიძლია „ოთხშიზღური“ ფისკალურ მოხელედ ჩავთვალოთ, რომელიც საერისთავოს მეოთხედში იღებს გადასახადებს. სამწუხაროდ, არ გავვაჩნია მასალა, იყო კი საერისთავო თხად დაყოფილი? ყოველ შემთხვევაში, „ოთხშიზღურის“ ასებობა ფაქტია. დადასტურებულია ისიც, რომ იგი ფისკალური მოხელე უნდა იყოს და მათინცდამინც აღმინისტრაციული ერთეულის „მეოთხედთან“ დაკავშირებული. „ოთხშიზღურის“ დასახელება ერთსთავებთან, ნაცვლებთან და აზნაურებთან ერთად სამეფო სიგელების ფორმულებში, გვაფიქრებინებს, რომ ეს მოხელე საერისთავოს „მეოთხედში“ კრებდა გარეკაულ გადასახადებს. ჯერჯერობით ამ მოხელის შესახებ შეტის თქმა შეუძლებელია.

საერისთავოს სტრუქტურის თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას იყენობს წარწერა, სადაც „ასისთავია“ დასახელებულია.

ზემო კრისტ მთავარანგელოზთა ეკლესიის (XI ს.) ფრესკულწარწერაში აღნიშნულია: „[მო] იხატა წ’ი ესე ეკლესია დეკანოზობასა გ’ი კორციანი [ხძი]სა ასისთავობას ი” ნე ლომაისძისა და ი” ნე დეკისძისი [ხა]“<sup>137</sup>.

სრულიად აშკარაა, რომ „ასისთავობა“ აღმინისტრაციული თანამდებობაა და „ასეულის“ მთავარელობას, მოხელეობას გულისხმობს. წარწერიდან თითქოს ისეთი მთაბეჭდილებაც რჩება, რომ „ასისთავად“ ორი პირია დასახელებული: იოანე ლომაისძე და იოანე დევისძე. სხვათაშორის ეს მოულოდნელი არაა. სოფელ ჭალისუბნის (მეჯუდას ხეობა) „კელის“ წარწერაშიც ორი „კევისუფალი“ ჩანს. დ. მუხალიშვილის აზრით: „ის უცნაური ფაქტი, რომ ერთ ხევში ორი ხევისუფალია, ეგების უკველეს წინაფერდაღურ რაიმე ტრადიციებშე მიუთითებდეს, თუკი ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის“<sup>138</sup>. ჩვენი

<sup>135</sup> სულხან-საბა თრბელიანი, თხ., IV<sub>1</sub>, გვ. 484.

<sup>136</sup> ივ. 33.

<sup>137</sup> გ. ბ კ ჟ რ ი ძ ე, ჩატის ძარღის მტორი ძეგლები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მომზე, ტ. VII, გვ. 238—239; Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви архангелов села Земо-Крихи, ქართლი ხელოვნება, სურა 1, ტ. 6, თბ., 1963, გვ. 118.

<sup>138</sup> დ. მ უ ს ხ ე დ ი მ ვ ი ლ ი, საქართველოს ძარღი გეოგრაფიის ძარღითა საკონხები, II, გვ. 218, სქოლით 42.

შხრივ დაუშატებდით, რომ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დღის“<sup>139</sup> მიხედვით, „ცანისთავენი ქადას ორნი იყვნენ“<sup>139</sup>.

რაც შეეხება ზემო კრიზის „ასისთავობას“, იქნება ის შვეიცარიული იყოს იქ ორი „ასეულის“ არსებობა, რომელთა შმართველები ერთად შოისსენიეს „ასისთავიდ“<sup>140</sup>?

კოველი შემთხვევისათვის, XI საუკუნეში დამოწმებული გვაქვს „ასისთავობა“, როგორც აღმინისტრაციული ხელისუფლება, რომელიც თავისთავიად გულისხმობს აღმინისტრაციულ ერთეულს — „ასეულს“.

„ასეულთან“ და „ასისთავობასთან“ დაკავშირებით, შეუძლებელია ის გავიხსენოთ ჯუანშერის ცნობა: „მამინ ეითარ იქმნა ვახტანგ (გორგასალი, ი. ა.) წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათ ... განმშადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა შალალთა, ხოლო ჯუანშერ სპასეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყოველინი ერთისთავი დასხდეს სელებითა, და ათასის-თავი და ასის-თავი და კოველი ერთი წარმოლებეს ზე“<sup>141</sup>.

ამ ცნობის შიხედვით, აღმინისტრაციული სტრუქტურა ისეთია: სპასეტი (ერთისთავთა მთავარი, ერთისთავთერისთავი) — ერთისთავი — ათასისთავი — ასისთავი.

ნიშანდობლივია, რომ „ათასისთავს“ ღეონტი მროველიც ასახელებს<sup>142</sup>, „ათასისთავის“ ინსტიტუტს უდარებენ „პაზარპეტებს“, „ხილიარისებს“<sup>142</sup>.

აღსანიშნავია, რომ „ასისთავი“ და „ასეული“ დამავლეთვრობული საგრაფოს სტრუქტურის შემადგენელი ნაწილიც იყო. „ასეულის“ სათავეში იდგა სამხედრო-აღმინისტრაციული მოხელე „ასისთავი“ centenarius), რომელიც თავის მცირე ერთეულში აღჭურვილი იყო სასამართლო-აღმინისტრაციული და ფისკალური ფუნქციებით<sup>143</sup>. „ასეული“ (centenae) საგრაფოს უმცირეს უჯრედს წარმოადგენდა.

ჯუანშერსა და ღეონტი მროველს, საფიქრებელია, გარევეული წყაროები გააჩნდათ, როდესაც ესოდენ დაშორებული ეპოქების აღმინისტრაციული სტრუქტურის შესახებ წერდნენ, მაგრამ საფიქრე-

<sup>139</sup> ი. დოლიძე, გორგი ბრწყინვალის სამართლი, გვ. 108.

<sup>140</sup> ქ ი ა ნ შ ე რ ი, გვ. 147.

<sup>141</sup> ლ ე თ ნ ტ ი მ რ თ ვ ა ლ ი, გვ. 25.

<sup>142</sup> საქართველოს მატრიცას ნაჩვევები, I, გვ. 652.

<sup>143</sup> Фюстель де-Куланж, Францкая монархия, с. 278 — 284.

ბელია, რომ თვით მათი ახლო ხანის სტრუქტურა, ბევრად შეიცვალა უნდა მღვარიული ზემოაღნიშნულისაგან.

ზემო კრიხის წარწერაში დამოწმებული „ასეული“, უმცირესი აღმინისტრაციული ერთეულია და ხავარიულო, რომ სწორედ ამიტომაც არ ჩანს ივი ჩვენთვის საინტერესო ხანის წყაროებში. XI საუკუნეში ეს აღმინისტრაციული ერთეული დამოწმებულია.

რაც შევხება „ათასისთავეს“ და „საათასისთავოს“, არც ეს ინსტიტუტია დამოწმებული XI—XIII საუკუნეთი მასალაში. გამორიცესული არაა, რომ მრავალრიცხოვინი ერთისთავები და „ცოტაა ერთს-თავები“ სწორედ მათი მეტყვიდრეობი იყვნენ.

„ასისთავისა“ და აღმინისტრაციული ერთეულის, „ასეულის“ თვალსაზრისით ყურადღებას იყრინს მეგრულში დღესაც ცოცხალი ტერმინი „საოშო“. „საოშო“ სიტყვასიტყვით „საასოს“ ნიშნავს და უმცეველად „ასიდან“ („ოში“) მომდინარეობს. ტერმინ „თურისა-ვან“<sup>144</sup> განსხვავებით, რომელშიც ნათესაური მომენტია ხაზგასმული, „საოშო“ მეზობლური, ტერიტორიული სიახლოეს-ერთობის აღმნიშვნელი სიტყვაა. ამ ტერმინით უაღლოესი სამეზობლო აღინიშნება. დღესაც წვეულებრივია გამოთქმები: „ჩევნი „საოშოს“ კაცი“; „თავი მოგჭერა „საოშოში“; „გვასახელა „საოშოში“ და სხვ. ეს ტერმინოლოგია უმჭიდროეს კავშირში ჩანს უმცირეს აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულით, „ასეულთან“ და მისი არსებობის დადასტურებას წარმოადგენს სამეგრელოშიც.

არ არის გამორიცხული, რომ „კევები“, თავის მხრივ სწორედ „ასეულებად“ იყოფილნენ ჩვენთვის საინტერესო ხანშიც. მეგრულში ეს ტერმინი გვიან ჩანს შესული, რადგან ტერმინ „საოშოში“, საპრეფიქსი ქაზოულია.

ყოველივე ზემოთქმულის სიტუაციელშე, საერთოსთავოს შინაგანი სტრუქტურის რეკონსტრუქციის თუ შევეცდებით, ვფიქრობთ შემდეგ სურათს შივიღებთ: ერთისთავი — ნაცვალი (გამგებელი) — ცა-რისთავი — კევებულალი (პევისთავი, კევისბერი) — ასისთავი. თავის მხრივ ეს აღმინისტრაციული ერთეული დიდი ერთისთავის, სპისალარის საგანმცემოში იყულის შემდება, ხოლო ეს უკანასკნელი ამირსპისალარის ემორჩილებიან.

ცალკე ვტოვებთ მოხელე „აზნაურს“, რომელიც არ უნდა შეადგენდეს სტრუქტურის ძირითად როლს. ასევე „ოთხშინდურს“, რომლის აღვილა ჯერ არ შეიძლება გარკვეულიად ჩაითვალოს.

ხანი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საერთოსთავოს აღმინის-

<sup>144</sup> ამ ტერმინის შესახებ იხ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, Спб., 1914, гл. 242; გ. მამულია, აგნატური გერცები ქველ ქართლში და მათი კრებულით, ი. ჯვახიშვილის სიცემე ქრებული, თბ., 1976, გვ. 120—121.

ტრაციული პარატის წარმოდგენილი იერიარქია არ არის ფეოდალური რი. ამ იერიარქიაში არ ჩას ფეოდალური კიბური, სენიორიალურ-გაბლური დამოკიდებულება. ეს უკინასკნელი ცალკეა ჩამოყალიბების და აღმინისტრაციულ იერიარქიას როდი ემთხვევა.

უკაველია, ერისთავეს და მის სავარო ხელისუფლების პარატს უკავემდებარებოდნენ მრავალრიცხვანი ფისკალური მოხელეები, რომლებიც ხშირად ისსენიებიან სამეფო სიგელების საიმუნიტეტო ფორმულებში. ასეთებად ჩანან „მოხარიჯენი“, „მესაბანჯრენი“, „კურები“ („შურტები“) და სხვა „ჩინებულნი“, რომელთა ფუნქციას „დაჭირებითი სამსახურის“, სამუშაოს, სუბრია, ბაეის იძულება და აღუბა შეაღვენდა. სწორედ ამ „მაწყინარებს“, „მენუკარებს“, „დაჭირებითი სამსახურის“, „მქნელებს“ ისსენიებს დავითის ისტორიკოსი „მოსახარგავე მაჭირებლების“ ზოგიდრ სახელით. ამგვარივე სახელწოდების და ფუნქციების მოხელე-კელოსნები, უკაველია, სამეფო დომენსაც და კერძოფეოდალურ მაჟულებსაც ემსახურებოდნენ. ცხადია, მათი დაქვემდებარება სხვადასხვა იყო.

ასეთი იყო არსებული მასალის მიხედვით, საერთიანოს სახელმწიფოებრივ-აღმინისტრაციული სტრუქტურა და პარატი.

ერისთავეს, როგორც კერძო მემაჟულეს, ფეოდალს, ცხადია, ჰყავდა სხვა სამოხელეო პარატიც, რომლის მეშვეობითაც იყო თავის მაჟულებს მართავდა. ამგვარ მოხელედ, გრიგოლ სურამელის დაწერილის მიხედვით, ჩანს მამისახლისი, რომლის კონტრაგენტი შიომღვიმის მოხელე-ხელისუფალია<sup>145</sup>. იგივე მოხელე უნდა ისსენიებოდეს უმათა მოურავად<sup>146</sup>.

კინაიდან ერისთავის სავარო და კერძო ფუნქციები შეჩეული იყო, უკაველია იგი ხშირად იყენებდა თავისი კერძო საქმისათვის სახელმწიფო პარატს, ხოლო სავარო ხელისუფლების გადასაწყვეტი საქმისათვის კერძო სამოხელეო პარატს. საჯარო და კერძო საწყისების ამგვარი დიდუშია, საერთოდ დამახასიათებელია ფეოდალური ხანისათვის და თვით სამეფო ხელისუფლებისათვის.

მამისახლისი, როგორც ერისთავის სახლის კერძო მოხელე, ჩანს კორიდორის სახარების ერთი მინაწერიდანაც, ოღონდ მას იქ ტანუტერი ეწოდება. უფრო სწორად, მინაწერში „სატანუტრო დრამა“ მოხსენიებულია<sup>147</sup>. ნიშანდობლივია, რომ მამისახლისი-ტანუტერი კათალიკესაც ჰყავს<sup>148</sup> და მეფესაც. ამ საკითხს ერცლია სამეფო დომენთან დაკავშირებით განვიხილავთ.

<sup>145</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 37—38.

<sup>146</sup> იქვ. გვ. 43.

<sup>147</sup> Н. Я. Марп. Грузинские приписки греческого Евангелия из Кории. Известия Императорской АН, т. V, № 4, Саб, 1911, с. 226.

<sup>148</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 169.



შეკვეთითა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ „მონაპირე“ ეროვნული  
იმსტიტუტი თამაზ შეფიქ მიერ არის შემოღებული<sup>149</sup>. შან უკვე-  
შირებენ ქვეყნის ტერიტორიის ზრდას XII საუკუნეში, შეზობელ  
ქვეყნებთან მუდმივ საომარ მოქმედებისათვის მზადყოფნის საჭი-  
როებას<sup>150</sup>.

ტერმინი „მონაპირე“, საზღვრისპირა ერისთვეს მიემართებოდა<sup>151</sup>. ქ. ჩხატარაიშვილი მას სავსებით მართებულად განმარტავს, როგორც „მარკებრაოს“<sup>152</sup>.

უკანასკნელ ხანს, შ. მესხიამ გადასინჯა „მონაბირე“ ერისთავის იმსტიტუტის წარმომობის დროისა და პირობების საკითხი. მან ტერმინი „მონაბირე“ საკსებით მართებულად დაუკავშირა „მარზ-პანს“<sup>153</sup> და „მონაბირე კრისთავის“ ინუ „მარზპანის“ თანამდებობის შემოღება დაცით აღმაშენებლის ხანს დაუკავშირა<sup>154</sup>. უკანასკნელ ხინს ვამოქვეყნებულ ნ. ბერძენიშვილის ჩინაწერებიდან ჩანს, რომ ისიც დაინტერესობოთ ამინდ პზრისა იყო<sup>155</sup>.

ტერმინები „მონაპირე“ და „მარზპანი“ მართლაც საფსუბით იღენტურნი არიან.

„მარზბანი“ პართული ტერმინია. იგი უკვე პართულ ხანძი ხავ-  
სებით შეიცავდა „მონაბირის“ ცნებას. რ. ფრასს განმარტებით:  
«Marzbān — буквально охраняющий границу, «маркграф»<sup>154</sup>.

3. ანდრონიკაშვილის მიხედვით, „მარზპანი“ „საშლელის მცენა“, გუბერნატორი, „მაზრის უფროსია“<sup>157</sup>.

„მარზბანი“ იხსენიება „ვეფხისტყაოსანში“. ი. სურგულაძის აზრით, „მარზბანი გაერთოანებული ფეოდალური საქართველოს სამონებულეო აპარატის მოხელეები არ ჩანს, მაგრამ ამ ეპოქაში, გამომცემ-

<sup>149</sup> 5. శ్రీ కుమార్ ప్రాణి, సాఫట్‌వెర్ లో పద్ధతిలో సాయంత్రేణ, ప్ర. VI, తద., 1973; గ్ర. 92; 3. ఉన్న దృష్టి, న్యూస్‌టెక్నాలజీలు ప్రాథమిక సాఫట్‌వెర్, సాయంత్రిక ద్వారానీ, ప్ర. I, తద., 1973, గ్ర. 78-79; సాఫట్‌వెర్ లో పద్ధతిలో కొల్పుడ్దిబంగ, III, గ్ర. 362.

180 3. 3

<sup>151</sup> මෙයි.  
<sup>152</sup> ජ්. නිකාරුතා මාලින් සිංහල මාලින් ප්‍රජාවල මාලින් XII සාමුහ්‍ය මාලින් ප්‍රජාවල මාලින් සැවැන් යුතු කළ ලදී.

卷之三

153 3. 3

<sup>154</sup> මුද්‍රා-  
<sup>155</sup> 6. තෙහිර තෙහිර සංඛෝධන, සැයේන්තුවෙලක් මූල්‍යවත්තියෙකු, VII, 85-

338 p. 4

მით... ცნობილი კოფილა ეს ტერმინი... იცოდნენ, რომ ერთ დროს ქართლის მარზპანი სპარსეთის მოხელე იყო<sup>158</sup>.

წევნი აზრით, „ვეფნისტყაოსნის“ მეითხელმა მარზპანის მხოლოდ გადმოცემით როდი იცოდა „მარზპანის“ შენანებ.

ტერმინი „მარზპანი“ იხსენიება 1022 წლის ვანანა-ვანქის ქართულ წარწერაში<sup>159</sup>. ამგვარი მოხსენიება უაღრესად მრავლის მეტყველია. ქართულენოვანი საზოგადოებისათვის იგი ნაცნობი და გასაგები ჩანს. ტექარაა, რომ ეს „მარზპანი“ შონაპირეა.

უკეთესად „მონაპირის“, „მარკვერაფის“ შინაარსს შეიცავდა ქართლის მარზპანიც. ქართლისათვის ის სპარსეთის მოხელე იყო, ხოლო თვით მეტროპოლიისათვის, სპარსეთისათვის კი „მონაპირე“, საზღვრისპირა მოხელე.

აშეარაა, რომ „მონაპირე“ ერთითი ინსტიტუტი არც თამარის დროს ჩამოყალიბებულა და იგი დავით აღმაშენებლამდეც არსებობდა. 1053 წლის ერთ მინაწერში იხსენიება მარზპან ბოცო ჯაყელის ძე არსენ ეპისკოპოსი<sup>160</sup>. ცხადია, იმ კაცის შამა, რომელიც 1053 წელს ეპისკოპოსი იყო, XI საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა და „მარზპანობდა“.

ქართულ სახელმწიფოს საზღვარი, „ნაპირი“, დავით აღმაშენებლამდეც პქონდა და თამარიმდეც. უკეთესად ამ საზღვრებს იცავდნენ კიდეც და სამისიოდ მარზპან-შონაპირის ინსტიტუტიც არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ინსტიტუტი XI საუკუნის I ნახევრისათვის უკვე დოკუმენტურად გვაქვს დადასტურებული. ამ ინსტიტუტის შექმნის დაკავშირება დავითის ან თამარის სახელთან არ ჩანს შესაძლებელი.

სხვა საკითხია ის, რომ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შედეგად ძევების საზღვრები გაფართოვდა, ანალი „სამარზპანო-სანაპიროები“ შეიქმნა. ასეთივე პოლიტიკა გრძელდებოდა თამარის დროსაც. დავითისა და თამარის მეფობაში იცვლებოდა თვით საზღვარი, „ნაპირი“, ხოლო „მონაპირე“ ანუ „მარზპანი“ აღრევე არსებობდა. ამ პერიოდის ხიახლე აღნათ ისიც იყო, „მონაპირე“ ერთითაგები იქით უფრო ესხმოდნენ თავს მტერს, ვიდრე თავს იცავდნენ. „მონაპირეო-

<sup>158</sup> ა. ს უ რ გ ფ ლ ა ძ ე. სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფნისტყაოსნის“ მხედველო, გვ. 156—157.

<sup>159</sup> ც. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფება, გვ. 316—317; პ. მ უ რ ა დ ი ი ნ ი, ქართული წარწერანი სომხეთისან (სომხ. ენშე), გვ. 185—187; ვ. ს ი ლ თ გ ა ვ ა, სომხეთის ქართული ეპიგრაფების ძეგლთა გამოცემის შესახებ, მაცნე, ერისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1980, გვ. 170—171.

<sup>160</sup> ქართისებრი, I, გვ. 194; ა. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის მატრიკა, წ. II, ნაკვ. 1, გვ. 217.

ბა” „ალაფობესთან“ იყო დაკავშირებული და ამიტომაც „იზჯდნება“ ერისთავები „მონაპირობას“ თამარის მეფობაში<sup>161</sup>.

ამდღნად, დავით აღმაშენებელთან და თამართან დაკავშირებული შეგვიძლია ვისაუბროთ ახალი „სანაპირო“ საერისთავოების შექმნაზე და არა „მონაპირე“ ერისთავის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე.

## 2. სამეცნ მომენტი აყვალობილი ვარიტელობა

სამეცნ დომენი სახელმწიფო ტერიტორიის ის ნაწილი იყო, რომელიც ეკუთვნოდა სამეცნ სახლს, როგორც ფეოდალურ მესაკუთრების სამართლის კერძო საწყისის მიხედვით. დომენში ერთმანეთს ემთხვეოდა მეფის საჯაროუფლებრივი და კერძოუფლებრივი პრეროგატივები<sup>162</sup>.

ვაკერთიანებამდელი საქართველოს, კერძოდ ძველი ქართლის სამეცნის საქითხს არაერთი მკვლევარი შეხებია<sup>163</sup>. ნაკლებადაა შესწავლილი XI—XIII საუკუნეების საქართველოს სამეცნ დომენი<sup>164</sup>. ქვემოთ შევაცდებით შეძლებასდაგვარად განვიხილოთ ამ პრობლემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

XI—XIII საუკუნეების საქართველოს სამეცნ დომენი („სასეფო ქუეყანა“, „სამეცნო“, „სახსოვ“)<sup>165</sup>, როგორც უკვე გვთხნდა საშუალება აღვენიშნა, არ წარმოადგენდა პირადად მეფის საკუთრებას, იგი სამეცნ სახლის პატრიმონიალური საკუთრება უნდა ყოფილიყო<sup>166</sup>.

სამეცნ სახლის დომენი, როგორც ფეოდალური საკუთრება, ცხადია ემორჩილებოდა მართვის გარკვეულ რეეიმს და მას თავისი ორგანიზაციული სტრუქტურაც გაამნდა. სამეცნ დომენში, უკვე გვითხვით იყო საკუთრივ მეფის მამული, საუფლისწულო და თუ მომდევნო ხანის ანალოგიებით ეიმსჯელებთ, „სადედოფლოც“<sup>167</sup>.

161 ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარის, გვ. 129.

162 ა. სურგულ ა ძ კ, საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში 17—X საუკუნეებში, ქართული სამართლის ისტორიის საკონსები, I, თბ., 1973, გვ. 203.

163 მ საკონსე ერცული ის. ა. ბ თ გ ვ რ ა ძ კ, ქართული პილიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1V—VIII საუკუნეებში, გვ. 109—122. იქვე ბიბლიოგრაფია.

164 ის. ზ. ხ ი ღ უ რ ე ლ ი, სამეცნ დომენის საკონსესთვის XI—XV სს-ს საკუთველოში, სასტრუქტურული, VII, გვ. 268—286.

165 ე ვ ვ, გვ. 262—277.

166 ი. ა ნ თ გ უ ლ ა ვ ა, XI—XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პილიტიკური ისტორიის საკონსები, გვ. 125—127—128.

167 ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ კ, საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში, გვ. 202—203.

XI—XIII საუკუნეების მასალების მიხედვით სამუალება გვაქვს კიმსჯელოთ სამეცნ მამულების მმართველობის ზოგიერთ მაყრის.

სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის პარატექნიკური ც სათანადო აღვიდას იყო აღნიშნული, სამეცნ ღომენის მართვას ასორციელებდა მანდატურთუხუცესის სახელო „საგანმცენ“ უწყება. სამეცნ კარის „საგანმცენოს მოურავნი“ განმცენუხუცეს-ენოსმოძღვრის მეთაურობით და აღვიღობრივი პარატექნიკის მეშვეობით აწესრიგებდნენ სამეცნ სახლის კერძო მამულებსა და მეურნეობას.

სამეცნ დომენის აღვილობრივი შპართველობის პრობლემასთან დაკავშირებით, უურადლების იპყრობს ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავისთან დაკავშირებული ცნობილი სიგელი. ღოკუმენტში აღნიშნულია: „რათამცა ოპიზარნიცა გულსავსე კვევნ, სალოცველად სულისა ჩემისა, თავსავე ჩემსა დაუათმინე: ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩუენისაგან ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა სატრაბეზოდ“<sup>168</sup>. იმავე სიგელში ბაგრატ IV აღნიშნავს: „აწ ვინცა პნახოთ ბრძანებაი და სიველი ესე ჩუენი: შემდგომთა ჩუენთა მოშავ-ალთა შეფერთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოისა და კლარ-ჯეთისა წანურერთა და ყოველთა ჰელისუფალთა... დაუმტკიცეთ“<sup>169</sup>.

ციტირებული სიგელიდან კარგახნია შევლევართა ცხოველ ყუადოებას იძყრობს ტერმინი „სამიახსებლისო სამსახურებელი“.

ა. ჯავახიშვილის აზრით, „სამიანისახლისო სამსახურებელი“ მეფე-მამიასახლისის საკუთრებას ნიშნავდა<sup>170</sup>. რაც შეეხება იმავე სიგვლში მოხსენიებულ „ტაოსა და კლარჯეთის ტანუტერებს“, მან ისინი „ტაოისა და კლარჯეთის მამიასახლისებად“ მიიჩნია, იმ სავსებით სამართლიანი საფუძვლით, რომ მამიასახლისი იგივე ტანუტერია<sup>171</sup>. ამ მოსაზრების მიხედვით გამოდის, რომ მამიასახლისი მეფეციყო და „ტაოისა და კლარჯეთის ტანუტერებიც“, მისივე მონებლები.

„სამაშისახლისო სამსახურებლის“ მეფის პიროვნებასთან დაკავშირება უაღრესად პოპულარულია ისტორიოგრაფიაში და სხვადასხვა ვარიაციებითა გაერცელებული<sup>172</sup>.

<sup>168</sup> ଶେଖରାଳୀ ସମୀକ୍ଷାକାଳୀଙ୍କ ଦେଖିଲେବି, II, 23, 9.

100 二三

<sup>171</sup> 6. ఫోగాకొండి వోల్స, కుంటర్లుం సమాఖ్యలు లస్త్రున్హా, పి. 11, నెయి. I, గా. 208.

„სამამასახლისო სამსახურებლის“ საკითხს შეეხო გ. მელიქიშვილი და ოღინიშვილი, რომ ამ ტერმინით აღნიშნულია მიწის ის ნაკვერტი და მელიც ეძღვევა მეფის აღმინისტრაციის წარმომადგენელს მისამასახურის რისათვის<sup>173</sup>.

ეს მოსახრება ყველაზე ახლო უნდა იყოს ჰეშმარიტებისთან.

მკელევარები წევეულებრივ ხელს პკილებენ სიგელში მოხსენიებულ სიტყვებს, „თავსავე ჩემსა დავათმინე: აყილე სამამასახლისოსა ჩუენისაგან ბარევანი სოფელი“ და ამის თვლით მეფის „მამასახლისობის“ დამადასტურებელ საბუთად<sup>174</sup>.

ბაგრატ IV-ის „მამასახლისობა“ ძალშე საეჭვოა. მაშინ ახსნას თხოულობს საკითხი, ვიდა არიან „ტაოისა და კლარჯეთის ტანუტერები“, რომლებიც იმავე სიგელში იხსენიებიან. ა. შანიძის აზრით, „სამამასახლისო სამსახურებელი“ იგივე „სატანუტრო სამსახურებელი“, ხოლო მამასახლისი ანუ ტანუტერი თვით ბაგრატ IV<sup>175</sup>. სამამასახლისო სამსახურებელი რომ სატანუტრო სამსახურებელია, სავსებით აშკარაა, მაგრამ ეს, ვფიქრობთ შეეხება არა მეფეს, არამედ იმ ტანუტერ-მამასახლისებს, რომლებიც იმავე ოპიტართა და მიჯნაძორელთათვის ბოძებულ სიგელში იხსენიებიან.

„ტაოისა და კლარჯეთის ტანუტერები“, რომლებიც ერისთავერისთავებისა და ერისთავების შემდეგ არიან აღნიშნულნი სამეცო სიგელში, წარმომადგენლენ სამეცო დომენის მოხელებს, ხოლო „სამამასახლისო“, ანუ „სატანუტრო“ სამსახურებელი კი ამ მოხელეთა სამსახურის სანუქუო მიწასა და სამსახურს. შეუძლებელია, ერთსა და იმავე სიგელში მამასახლისად მეფეც იყოს დასახელებული და მისი მოხელეებიც.

თუ ეს ასეა, ახსნას თხოულობს საკითხი, რატომ „დაათმინა“ მეფემ თავის თავს სოფელ ბარევანის გაცემით?

ცხადია, იმიტომ, რომ მეფის მოხელე-მამასახლისის „სამსახურებელი“ სოფელი წარმომადგენლა არა მამასახლის-ტანუტერის, არამედ მეფის კერძოფერობდა საკუთრებას, დომენის სოფელს. ის მხოლოდ დროებით, „საჭმელად“, „საკელოდ“ პქონდა მამასახლისს. „დაათმენის“ მიზეზიც ისაა, რომ სოფელ ბარევანის შემოსავალს ამიერიდან მონაბ-

გვ. 387—388; ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საკუთრების უცლება ფეოდალურ საქართველოში, გვ. 198—199; ა. ბ თ ე ვ ე რ ა ძ ე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-უკონტრიკური განვითარება, გვ. 112—116; ა. ა ნ ე ლ ა ვ ა, XI—XV. სს. სოციალურ-პოლიტიკური ძალის საკუთხები, გვ. 125.

<sup>173</sup> Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 413.

<sup>174</sup> ქართული სამამასახლის ძეგლები, II, გვ. 9.

<sup>175</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, მამასახლის XI საუკუნის საქართველოში, გვ. 112—114.

ტერი მიიღებდა „სატრაპეზოლ“, ხოლო მამისახლისისათვის შეფექტური უკეცელია სხვა სოფელი უნდა მიეცა „სამსახურებლიად“<sup>176</sup> კრიმინალურ დივიდი ისიც, რომ არც მონასტრისათვის გადაუცია შეფექტური საკუთრებაში. მან შეოღოდ „სატრაპეზოლ“ გასცა ივი<sup>177</sup>.

თბიწართა და მიჯნიძორებულთა სიგველში მოხსენიებული „ტაოისა და კლარჯეთის ტანუტერები“, ერისთავებისაგან გამოჯნული, წარმოადგინდნენ შეფის დომენის აღმინისტრაციას. ამგვარივე სახელწოდების მოხელეები კათალიკოსაც ჰყავდა და ერისთავებსაც.

ნიკოლოზ კათალიკოსის ორვანმებულ საბაისძისაღმი მიცემულ წყალობის დაწერილში (1281—1282 წწ.) აღნიშნულია: „ყოფელთა წელი წადთა დიდისა ხუთშაბათს ესე ოცი ლიტრი ცვილი ჩუენს ტანუტერს სახლობას მოეცემოდეს და მოეთვალეოდეს“<sup>178</sup>. ნიშანდობლივია, რომ ციტირებული „დაწერილი“ შეეხება კლარჯეთს, საღაც ბაგრატ IV-ის ზემომოტანილი სიგველის გაცემიდან ორი საუკუნის შემდეგაც, კათალიკოსს „ტანუტერი“ ჰყავს, რომელიც საკათალიკოსო მეურნეობას უძლვება<sup>179</sup>.

ერისთავთერისთავის ტანუტერი დამოწმებულია კორიდეთის სახარების ერთ მინაწერში: „...მე ბეშქენ ჩემისა სძლისა ხუაშქისა ხოვიშნითა გაუშვი კორიდელთა ხუცესთა სატანტურო დრამი“<sup>180</sup>. ა. შინიძის აზრით, ბეშქენ ერისთავთერისთავი თვითონ იყო მამისახლისი ანუ ტანუტერი<sup>181</sup>. ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. როგორც დავრწმუნდით სათანადო ადგილის, საერისთავო გადასახადს „კერძი საერისთავო“, „საერისთავო ბეგარი“ ეწოდებოდა და არა „სამიმისახლისო“—„სატანუტრო“. ცხადია, „სატანუტრო დრამი“ ერისთავის მოხელის, ტანუტერის სასარგებლოდ იქრიცებოდა და სწორედ ეს „გაუშვია“ ბეშქენს კორიდელი ხუცესებისათვის. მეტის „ტანუტერის“ სარგოს ერისთავი ვერ „ახდიდა“ კორიდელებს.

ბეშქენ ერისთავთერისთავის „ტანუტერის“ ბადალია გრიგოლ ქართლის ერისთავის „მამისახლისი“. აზავეთარი საფუძველი არა ვეაქეს გრიგოლ ერისთავი და მისივე მამისახლისი გავაიგიოთ, ისევე როგორც ბეშქენი და მისი „ტანუტერი“.

სავსებით ივივე ითქმის ბაგრატ IV-ის „სამიმისახლისო სამსახურებელსა“ და „ტაოისა და კლარჯეთის ტანუტრებზე“.

<sup>176</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 9.

<sup>177</sup> იქვ., III, გვ. 170.

<sup>178</sup> იქვ., გვ. 169.

<sup>179</sup> Н. Я. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Кориди, с. 226.

<sup>180</sup> ა. შანიძე, მამისახლის XI საუკუნის საქართველოში, გვ. 113.

„ტანუტერთან“ ანუ „მამასახლისთან“ დაკავშირებით ყურადღების ბაზი იყო გრაფ სარგენტის მიზანის თარხუნის მემკანისადგენ წერი ატენიდან, სადაც იგი „ტანუტერად“ იხსენიება<sup>181</sup>. იგი მემკანისადგენ თარხუნის ძე ვერეს წარწერის მიხედვით „ერისთავია“<sup>182</sup>. ამ ფაქტის შემთხვევაში საშუალება მისცა ემტკიცებინა, თითქოს ტანუტერი იგივე იყოს, რაც ერისთავი<sup>183</sup>. ეს აზრი ძილზე საეჭვოა სიმართლეს შეეფერებოდეს. ტანუტერი სემანტიკურად დაშორებულია ერისთავს. ამასთან, ერთი საჯარო ხელისუფლების მოხელეა, ხოლო მეორე კი შეიძის, კათალიკოსის, ერისთავთერისთვის მამულების გამგებლად ჩანს. საკუთხით სწორია ნ. შოშიაშვილი, როცა ეჭვობს, რომ ტანუტერი მირიან თარხუნის ძე სამეფო დომენის გამგებელი მოხელე უნდა ყოფილიყო<sup>184</sup>. ერთი და იგივე პირის, ატენის წარწერაში „ტანუტერად“, ხოლო ვერეს წარწერაში „ერისთავად“ მოხსენიება ნათელს ხდის, რომ აქ მის ორ სხვადასხვა თანამდებობაზე საუბარი, რომლებიც მას შეიძლება ერთდროულად ქვთნდა. შესაძლებელია ისიც, რომ ატენისა და ვერეს წარწერებში მირიან თარხუნის ძის მოღვაწეობის ორი სხვადასხვა პერიოდი აისახა.

ამდენად, სამეფო დომენის გამგებლებად ჩანან მამასახლისები, ანუ ტანუტერები, რომლებიც გარკვეული „სამამასახლისო სამსახურებლით“ ნაზღაურდებიან თავისი სამოხელეო თანამდებობისათვის. ეს ტერმინი დაღასტურებულია ტაო-კლარჯეთსა და ატენის ხეობაში, კორიდეთის სახარების მინაწერებში.

სამეფო დომენის მმართველი მოხელეების სახელწოდებად ჩანს დაით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში დასახელებული „მუხრანისა მგენი“<sup>185</sup>. როგორც „საგანმგეო“ უწყებაზე საუბრისას იქნა გარკვეული, „მგე“ ანუ „გამგე“ იგივეა, რაც ეპიტროპოსი, იკონომოსი, აბართმადი. სახახლის „საგანმგეოს“, განმგეთუხუცეს-ეზოსმოძღვარს აღვიღობრივი „მგენი“, „აბართმადები“, „ტანუტერ-მამასახლისები“ ემორჩილებოდნენ.

სამეფო დომენის მოხელეედ, საკუთრივ „აბართმადიც“ არის დაღასტურებული. თამარ მეფის გელათისაღმი ბოძებულ სიგელში „აჯამე-

<sup>181</sup> ა. ბაქ ჩაძე, თრიალეთისა და ატენის ეპიტროპოსული ძეგლები როგორც ასტორიული წარმო, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მომბე, ტ. XX—B, თბ., 1959, გვ. 74.

<sup>182</sup> იქევ.

<sup>183</sup> ს. ბარ ნაკველი, ატენის ახალი წარწერები, საქართველოს სსრ მუნიციპალიტეთი აკადემიის მომბე, ტ. VII, № 1—2, თბ., 1946, გვ. 83—88.

<sup>184</sup> ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ასტორია და შოთა, რუსთაველი, გვ. 59.

<sup>185</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 17.

თის აბრამალებია” მოხსენიებულის<sup>186</sup>, რომლებიც ფუნქციურის მიხედვით საკებით უდგებიან „მშენრიანის მგევბს”, აბარმალები, ისევე როგორც ტანუტრები, ეკლესიასაც ჰყავდა<sup>187</sup> და უაჭველია, ერთობენ სადა წარჩინებულებსაც.

სამეფო დომენის აღგილობრივი მოხელეები — ტანუტერები, მგევბი და აბარმალები, საფიქრებელია ერთი და იგივე ფუნქციას, სამეფო სახლის მეურნეობის მართვის ფუნქციას ახორციელებდნენ. რაც შეეხება ტერმინოლოგიურ განსხვავებას, ეს რეგიონალურ თავისებურებად მოჩანს. ნიშანდობლივია, რომ დასავლეთ საქართველოში „აბარმადი“ გვიანაც გვხვდება. კოტრიძეთა სახისხლო სიგელში დასახელებულია „ქუეკნის მოურავთა და ყოველთა აბარმადთა“<sup>188</sup>. იგივე თანამდებობა „აბრაამატი“-ს ფორმით დამოტმებულია გელათის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ გაცემულ დოკუმენტში<sup>189</sup>.

როგორც აღნიშნული გვქონდა „საგანმეოზე“ საუბრისას, მეურბი, გამრიგე-განმგები, აბარმალები იგივე კპიტროპოსები, იყონომოსები იყვნენ. მათი ფუნქციები აღიღუზე, როგორც ჩანს, მცირე მასშტაბში იმეორებდნენ სასახლის „საგანმეოს“ მოხელეების საქმიანობას, სამეურნეო ხისიათის „გამარიგებელს“.

არსებული მასალის მიხედვით, სამეფო დომენის მართვისა და მეურნეობის აღგილობრივი სტრუქტურა სამეფო „სადგომებთან“, „საზამთრო“, „საგამაფნეულო“, „სათამაშო“ სასახლე-სახლებთან იყო დაკავშირებული<sup>190</sup>. მეტე, თავისი კარით, სეზონის მიხედვით გადაღილა ერთი სასახლილან მეორეში. ბუნებრივია, მეფის კარის შენახვა იმ სასახლის მეურნეობას აწევა, სადაც მეფე იმყოფებოდა. სასახლეთა ამგვარი სტრუქტურა ჩანს მოგვიანებითაც. ბიჭვინთის საყათალივოს „სასახლეების“ მეურნეობა საგანგებოდ შეისწავლა ბ. ლომინაძემ<sup>191</sup>. მისი გამოკვლევა ძვირის მასალას იძლევა შედარებით აღრეული ხანის, XI—XIII საუკუნეების სამეფო სასახლეთა მართვისა და მეურნეობის სურათის გასათვალისწინებლადაც<sup>192</sup>.

<sup>186</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>187</sup> იბ. ე. თავისი ვილი. არქოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სეანეთში, გვ. 267—268.

<sup>188</sup> ს. კაკაბაძე, გამტანვ უცნობი XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მასი მემკვიდრე შეცა გორგი, ტც., 1912, გვ. 11.

<sup>189</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 250.

<sup>190</sup> ქ. ჩხატარაშვილი, ნარკვევები, გვ. 53—55. იქვე ბიბლიოგრაფია.

<sup>191</sup> ბ. ლომინაძე, ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიაზნ გვანცვლილურ საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკავის ისტორიაზნ, ნაკვ. 30, გვ. 101—114.

<sup>192</sup> შდრ. ქ. ჩხატარაშვილი, ნარკვევები, გვ. 55.



თითოეული სამეფო მამული, უკველიდი მსხვილ სამეურნეო კომპლექსს წარმოადგენდა. ასეთი მამულები მიწერილი იყვნენ ცალკედონული სასახლეებსა და სამეფო ციხეებზე. მეურნეობის პროდუქტები, სამეფო მამულის შემოსავალი ციხე-სასახლეებში იყრიდა თავს. მოვაიანი ხანის ტერმინოლოგია რომ ვიხშიროთ, სამეფო მამულები „სასახლის მიმღვიმი“ იყვნენ, მასში „შემავალი“ წარმოადგენდნენ<sup>193</sup>.

ასეთად ჩანან, მაგალითად მუხრანისა და ავაშეთის სამეფო მამულები.

6. ბერძნიშვილმა განსაკუთრებული ყურადღებული მიაქცია მუხრანის სამეფო მამულს, რომელიაც დავით IV აღმაშენებლის დროიდან „მუხრანის მგენი“ მართავდნენ<sup>194</sup>. ყურადღება გამახვილდა იმ უაქტზე, რომ დემეტრე I „აშენებს მუხრანს“ და საამისოდ შიომღვიმის სოფლებისათვისაც დაუდიათ „თუის თავსა ერთსა დღესა სამუშაო“<sup>195</sup>.

დავით IV აღმაშენებელმა ხოდაბუნი შესწირა მუხრანის შიომღვიმის ლავრას<sup>196</sup>. ცხალია, მას სხვა ხოდაბუნებიც გააჩნდა იმავე მუხრანში. მუხრანის ციხისთავები, საგანმგეოს მოურავები და „მეზროხეები“ საქმიანობენ მუხრანის სამეფო მამულში ლაშა გიორგის მეფობაშიც<sup>197</sup>.

უაღრესად საყურადღებო მონაცემები აჯამეთის სამეფო მამულის შესახებ. თამარის გელათისაღმი ბოძებული სიგელის შინელვით, მას „აჯამეთის აბარმადები“, ანუ იკონომოსები, „მოურნენი“, „გამრიგენი“ ხელმძღვანელობდნენ<sup>198</sup>. ამავე მამულთან ჩანან დაკავშირებული „ტყისმცველთუხუცესინ“ და „გოგნისა ციხისა ციხისთავინ“<sup>199</sup>.

„ტყისმცველთუხუცესინ“ და მისი ხელქვეითი „ტყისმცველები“, როგორც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მხალიდან ჩანს, ცალკალკ ჰყავდა ყველა სამეფო ტყესა და ნაკრძალს. ასე ჩანს ეს თამარის გელათისაღმი ბოძებული სიგელიდან და ასევე დავით ნარინის ქედინისხეველებისა და წაქევლებისაღმი ბოძებული სიგელიდანც, რომელშიც „მის ტყისა [მცველთაუს] უცესი და ტყისმცველი“ იხსენიებიან<sup>200</sup>.

<sup>193</sup> შდრ. ბ. ღ თ მ ი ნ ა ძ ე, ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ძარღისათვის, გვ. 103.

<sup>194</sup> 6. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ძარღობის საქონები, VIII, გვ. 344—345.

<sup>195</sup> იქვე, ქართული სამართლის მეცნიერები, II, გვ. 22.

<sup>196</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>197</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>198</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>199</sup> იქვე, იხ. ასევე, С. კაკაბაძე. Грамота царицы Тамары Великой на имя Гелат от 1193 г., Изв. Кавк. историко-археол. института, т. III, Тифлис, 1925, с. 116.

<sup>200</sup> იქვე, გვ. 72.

მოსკენების თანმიმდევრობის მიხედვით საფიქრებელია, „აჯამეთის აბაზიმიდებს“ ექვემდებარებოდნენ სამეფო უწყებელობას „ტუისცველოთუხუცესნი“. ეს არაა გასაოცარი, კინაიდან ჩავაჩიშება შამულში, უკველია, სანადირო საქმეს და ტყის დაცვის უპირატესი აღვილი ეჭირა მეურნეობაში.

სამეფო ნადირობის, მეფის მონადირეებს, ნადირობის რეგალიას და ნადირობის გამგებლობის ვრცლად და საგანგებოდ შეეხო ქ. ჩხატარაიშვილი<sup>201</sup>. ჩენ ეს საკითხი სამეფო დომენთან დაკავშირებით გვაინტერესებს. მკვლევარმა მართებულად მიუთითა, რომ ნადირობის უფლება მამულის ცნების შემადგრენელი ნაწილი იყო<sup>202</sup>. უაღრესად საინტერესო მისაღის ძძლევა ამ მხრივ დასავლეთევრობული შუახაუკუნიშვილი სინამდვილე<sup>203</sup>. ნადირობის რეგალია, როგორც სამეფო იმუნიტეტის ერთ-ერთი კომპონენტი, ცხადია ძილზე მკაცრად უნდა ყოფილიყო დაცული. სწორედ ეს შეაღვენდა „ტუისცველოთუხუცესთა“ და „ტუისცველთა“ პირდაპირ მოვალეობისაც. ქ. ჩხატარაიშვილს მოაქვს დასავლეთევრობული მისაღია და მიუთითებს, რომ ნადირობის რეგალიის დარღვევისათვის იქ მკაცრი სასჯელები, ხელის მოკვეთი, თვალის დათხრა და სხვ. იყო დაწესებული<sup>204</sup>. მისი აზრით, შეა საუკუნეთი საქართველოში ნადირობის რელიგიის დამრღვევა უზინურად არ სჯილდნენ და „დოკუმენტებში არც ერთი სამისი ჩენება არ მოიპოვება“<sup>205</sup>. ეს მკვლევარმა ქართული ფეოდალური სამართლის ქუმანურობით ასანდა<sup>206</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეფო დომენის ტყეებში ნადირობის რეგალიის ხელყოფა უშძიმეს დანაშაულად ითვლებოდა საქართველო-შიც და ამ უფლების გამო ხშირი უნდა ყოფილიყო სისხლისმღვრელი დავაც კი. ასეთი გპიზოდია აღწერილი „ვეფხისტყაოსანში“, კერძოდ კი ფრიდონისა და მისი ბიძაშვილების სისხლიანი შეტაკება. ამ კონფლიქტის მიზეზი, ფრიდონის თქმით, ის ყოფილა, რომ „სანადიროს არ მიესცემდი“ და „მომერჩოდეს“ ჩემი ბიძაშვილებით (593). ცხადია, აქ ნადირობის სამეფო რეგალიაზეა საუბარი.

არაა მართალი მკვლევარი, როდესაც აღინიშნავს, რომ არც ერთ დოკუმენტში არ გვხვდება ცნობა ნადირობის რეგალიის დამრღვევთა

<sup>201</sup> ქ. ჩხატარაიშვილი, ნაჩვევანი, გვ. 166—191.

<sup>202</sup> იქვე, გვ. 187.

<sup>203</sup> ავ. Я. Д. Серовайский. О путях формирования феодальной собственности на леса и пастбища во Франкском государстве, Средние века, т. 32, М., 1969, с. 48—60; т. 33, М., 1971, с. 61—80.

<sup>204</sup> ნ. ჩხატარაიშვილი, ნაჩვევანი, გვ. 192.

<sup>205</sup> იქვე.

<sup>206</sup> იქვე.

ფიზიკური სასჯელის შესახებ. მანველ ნიკორწმინდელის 1548 წლის „ღაწერილში“ აღნიშნულია ნიკორწმინდის ეპარქიის პრივიტურების და მათ შორის შემდეგი: „... ამ ეკლესიის არის კელშეუალაზ, უკავია ლობელად, ასრუ რომე [თუ] ნიკორწმინდელმან დასტური არ მისცეს და მისგან ბრძანება არ ექნეს, არამ კაცმა იმ აღვილასა და ლაბაში კერაფერი საქმობა ვერ იყალო[ოს]. თუ კისმეს შერის[ხავს] ღმერთი და ცი[ი]ლება იყალოს, ან ნაღირობა, ტყის ჭრა, ან ქეს თლა, ან თვეზაობად ან თიბა ნიკორწმინდის უდასტუროთ კელმწიფეთა ბრძანება არის და განაჩენი, კელის მოკვეთით განიპატივოს. თუ კელის მოკვეთს [არ] ჩინეს, ოცი ათასი თეთრი და თეთრებოს“<sup>207</sup>.

როგორც ვხედავთ, ნიკორწმინდის პრივილეგიების, მათ შორის ნადირობის და ტყის საკუთრების დამრღვევეთ „პელით მოკვეთით განატივება“ ემუქრებოდათ, უკითხე შემთხვევაში დიდი ფულადი ჯარიმით მისი შეცვლა. იმავე დოკუმენტში ნიკორწმინდის საკუთრების დამრღვევთათვის „ძელს აბმაცა“ დასახელებული. ბუნებრივია, თუ ახეთი პრივილეგია პეტონდა ნიკორწმინდას ნაბოჭები, სამეცო მამულის ხელშეუვალობა კიდევ უფრო მქაცრად უნდა ყოფილიყო დაცული და ისიც ჩვენთვის საინტერესო ხანაში. საწინააღმდეგოს მდკიცება, შუასაუკუნეობრივი ქართული სამართლის არა „ქუმანურობის“, არამედ პრიმიტიულობის მაჩვენებელი იქნებოდა. ცხადია, სააშისოდ არავითარი საფუძველი არა გვაქნეს. სამეცო საკუთრება, უაშველია მკაცრად იყო დაცული სამეცო იმუნიტეტის საფუძველზე.

სამეცნიერო მამულების გამგებელი მამასახლის-ტანტრერები, პარმად-ვანწვები თავისი ფუნქციებით შორს არ უნდა ყოფილიყვნენ იგივე სახელწოდების საეკლესიო მოხელეებისაგან (ცხადია, ეკლესიის თავისებურებათა გათვალისწინებით). ამიტომაც, ვფიქრობთ ვაძექს უფლება, გარკვეული მასალები, საეკლესიო მამულების გამგებელთა შესახებ შემონასული, გმოვიყენოთ სამეცნიერო დომენის იგივე მოხელეების ფუნქციების წარმოსახენად.

ნიშანდობლივია, რომ ნიკოლოზ კათალიკოსის არვანბეგ საბაისძისადმი ბოძებული „ღაწურილის“ მიხედვით, კათალიკოსის ტანუტერი ისეთ მოქედულ ჩასს, რომელსაც ცვილის გადახახადის შეკრება და მოვლა-პატრონობა ევალებოდა. ცხადია, მასვე ეხებოდა სხვა საკათალიკოსო „გამოსავალიც“. კათალიკოსის ტანუტერი სახლობანს იჯდა, ხოლო საბაისძის მამული შეუბანში იყო. აქედან ნითელი ხდება, რომ ტანუტერის „შესაფალი“ გარკვეული როგორი იყო.

კუიქრობთ, გვაძეს საფუძველი აღვნიშნოთ, რომ „ტაოისა და კლარჯეთის ტანუტერები“, მეფის დომენის მოხელენი, ამჟარივე

<sup>207</sup> ს. 4242ბ 9 ქ. სკოლმოცხველი პავტარ კურაპალაძი, რთ., 1912, გვ. 6.

საქმიანობას ეწეოდნენ სამეფო მამულებში. კრებლნენ საშეფო ნატურალურ თუ ფულად რენტას, ხელმძღვანელობას უწევდნენ მირზეთმ ბეგარის შესრულებას. მათივე მოვალეობას შეაღეცნდა შეშოსავლის დაცვა და სათანადო მიზნით გამოყენება-რეალიზაცია.

გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებად ითვანესი და ეფთვიმესი“ მიხედვით, მონასტრის იკონომოსის (განმგებელის, აბარმადის) განსაგებელს შეაღეცნდა „საქმიარი“: „მოგუნი გინა თუ ჩაფლანი, გინა თუ ტყავი გინა თუ საბლები გინა თუ სელი“<sup>208</sup>. მისივე საქმიანობის ასპარეზი იყო: „საპარიკონომოსოდ და საწანგროდ და საჯორე და სამჭედლო და ხურონი და კალაფატი და მანდრინი და ვენავნი და მენივენი“<sup>209</sup>. შეიძლება ითქვას, რომ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა ყველა „იკონომოსი“, ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი. სამეფო მამულის გამგებელთა ფუნქციები აღბათ უფრო რთულიც იყო და მრავალფეროვანიც. ნიშანდობლივია, რომ „საქმიარი“—„ჩაფლა“, „ტყავი“ („შეტყავენი“), „სელი“, „ხელმწიფის კარის გარიგებაშიც“ დადასტურებულია<sup>210</sup>. უკველია, სამეფო რეზიდენციის „საქმიარს“ საგანმგეო უწყება განავებდა, რის შესახებაც უკვე გვხონდა საუბარი.

აღვიღებშე განლაგებული „სადგომების“ მოხელეთა სახელწოდებანი და ოვით ფუნქციებიც ბევრად არ შეცვლილა მოვაინო ხანაშიც. ლალიძეს საკათალიკოსო სასახლეში, XVII საუკუნის პირველ შეოთხედში კათალიკოს მაღაქია გურიელს ჰყივდა „სასახლის მოხელე და ზედამდევე და გამრივე კაცები“<sup>211</sup>. ძნელი არაა მიერიდეთ იმ დისკანამდე, რომ „გამრივე“ იგივეა, რაც „გამგენი“, „აბარმადნი“ (ეს ტერმინი XVI საუკუნეშიცაა დოკუმენტურად დადასტურებული).

XVII საუკუნის პირველი შეოთხედის „საცაიშლოს გამოსავლის დავთარში“ დადასტურებულია ერთი ტერმინი, რომელიც ტერთიანობის ხასს უნდა უკავშირდებოდეს. დოკუმენტში აღნიშნულია: „რაცა საცაიშლო ნევ[ი] ზღვაშიდა სათევზაოდ გაიღიოდეს, თითოს მთელს ნედლს თევზს ზუთხსა ცაიშლის ო ფ ს ი ნ ა ტ უ რ ს ა მიაბარებდეს“<sup>212</sup>. (ხაზი ჩვენია, ი. ა.) „ოფსინატური“ ღათინურ-ბერძნული ტერმინია და მნეს, შეკუჭნავეს აღნიშნავს (ლათ. opsonium, obsonium; ბერძ, ბერზ: οψονίον)<sup>213</sup>. ბუნებრივია, ეს ტერმინი ბევრად აღრეა შემოსული XVII საუკუნეშე. საფიქრებელია, რომ ამგვარი „ოფსინატურ“ — შეკუჭ-

<sup>208</sup> გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრებად ითვანესი და ეფთვიმესი, გვ. 44.

<sup>209</sup> იქვე, გვ. 43—44.

<sup>210</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 85, 95.

<sup>211</sup> იქვე, III, გვ. 476.

<sup>212</sup> იქვე, გვ. 474.

<sup>213</sup> მ. ტერმინზე ის. თ. ბერძის ნაშრომი „ზღვაოსნობა ძეგლ საქართველოში“, თბ., 1981, გვ. 111.

ნავეები უცხონი არ უნდა ყოფილიყვნენ ჩვენთვის საინტერესო ხანის  
სამეფო „საღვამებისათვის“.

სამეფო მამულების განმეცხვებლებს აღვილებზე უაჭველია შეავტორი  
მოხელე-კელოსანთა შტატი, ოომელსაც გადასახადების, მოვეიანო  
ტერმინოლოგია რომ ვისმართ, „მართებული მოსაქრებლობის“  
აკრება ვვალებოდათ.

დავით ნარინის სიგელში ხეფინისხეველებისა და წაქველებისად-  
მი, ჩანს „ლეიინისა შერეფელი“, „ჩამომაწუევარნი“, ოომლებიც  
საკლავსა და ქათამს „სოხოვენ“<sup>214</sup>. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამავე  
ხანაში ფუნქციონირებდნენ „ხეარბლის მერეფი“<sup>215</sup>, „პურისა და  
საკლავისა შერებელი“<sup>216</sup>, ოომლებიც უფრო მოვეიანო ხანის დოკუ-  
მენტებიდან ჩანა.

გაღმასახადის ამკრეფ მოხელეთა ერთ-ერთ ზოგად სახელიად „მოსა-  
კარგავე“ ჩანს. უკანასკნელ ხანს „მოსაკარგავესა“ და „საკარგავს“  
რამდენჯერმე შეეხება საგანგებოდ<sup>217</sup>. ოოგორც საგსებით დასაბუთე-  
ბულად ირკვევა, საკარგავი იყო სახელო<sup>218</sup>, იგი ხელმწიფესაც შეიძ-  
ლებიდა ქორიდა, დიდებულსაც, აზნაურსაც და გლუსსაც<sup>219</sup>. გაღმა-  
ხადის ამკრეფი „მოსაკარგავე“, ზოგჯერ „მოსაკარგავე მაჭირვებ-  
ლად“<sup>220</sup>, „მაწყინრიად“<sup>221</sup> წოდებული, ცხადია, ერთ-ერთი უძღვისი  
რანგის „მოსაკარგავეს“ წარმოადგენდა. ამგვარი გადასახადის ამკრეფი  
მოსაკარგავები, როგორც აღნიშნული გვქონდა, უნდა ჰყოლოდა  
ერისთავსაც და სწორედ ისინი კრეფდნენ სახელმწიფო გადასახადებს.  
სამეფო მამულის „მოსაკარგავეებს“ კი მეფის, როგორც ფეოდალის,  
გაღმასახადების აკრეფი ვვალებოდათ. მათი ეს ფუნქცია კარგად ჩანს  
წყაროებიდან, საჭიროა მხოლოდ საჯარო და კერძო გადასახადთა  
ამკრეფი „მოსაკარგავეების“ გამიჯვნა.

<sup>214</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 72.

<sup>215</sup> იქვე, გვ. 99, 101.

<sup>216</sup> იქვე, გვ. 118.

<sup>217</sup> ვ. მე ს ხ ი ა, XI—XIII ს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წონის ის-  
ტორიიდან, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის სკოლები, გვ. 171—210; ი. ს უ-  
რ ბ გ ლ ა დ ე, სახელმწიფოსა და სამართლის საკონსება კვეთხების ტემატიკით,  
გვ. 167—210; ზ. ჩ ა ტ ი ა ნ ი, საქართვი, მაცნე, ისტორიის სერია, № 3, 1978,  
გვ. 178—192. მევე საკონსებან საინტერესო მოსახრება წამოაცენა ზ. ბ ა დ ჩ ი კ ე მ,  
იხ. შენიშვნები ბაგრატ ბაგრატიონის ჩეკვნიდ წოდებულის ბოვჭაფიაზე, საქ. სსრ  
მეცნ. აკად. მომბე, 61, № 2, 1971, გვ. 505—508.

<sup>218</sup> ზ. ჩ ა ტ ი ა ნ ი, საქართვი, გვ. 191.

<sup>219</sup> იქვე, გვ. 185, 191.

<sup>220</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის, გვ. 353.

<sup>221</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 20, 37—38, 73.

სამეფო დომენის მეურნეობის მართვაში აქტიუროდ ერგოლა ცენტრალური აპარატი, რაც კარგად ჩანს „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობიდან სამეფო ზერების და მისი „მუშაობის“ შესახებ.

სამეფო კარს გადაადგილების დროს თან ახლდნენ „მეულეფენი“, რევნი აზრით, საგანგეო უწყების მოხელე-კელოსნები, რომლებიც „ულუფას“, ანუ „როჭიქს“<sup>222</sup>, რაციონს „წერდნენ“, ხოლო ამ ულუფას შემდეგ სხვადასხვა „მკრებელნი“ იღებდნენ მოსახლეობისაგან, როგორც ერთდროულ გადასახადს.

სამეფო დომენი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ამოლებული იყო ერისთავთა იურისდიქციიდან და მასშე სამეფო იმუნიტეტი ვრცელებოდა. სამწუხაროდ, არ გვაქვს ცნობები, როგორ იყო თუ ბული დომენში სასამართლო სისტემა, რაჯი იყო არ ემორჩილ ერისთავის სასამართლო იურისდიქციის. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს დავით IV აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში ნახსენები „საშაჟულო სამრებლოება“, რომელიც „რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანტ პეტრი მლკმესა, .. არს ყოველგან, თვთ მემლებისა დიაკონშინ მოისამართლოს“<sup>223</sup>. ე. ი. „შოთმლების ყველა სოფელში და აგარაში „საშაჟულო სამრებლოება“ ანუ სასამართლო დაწესებულება ყოფილა<sup>224</sup>. ცხადია, აქ საუბარია მონასტრის საიმუნიტეტო სასამართლოშე. ამასთან ნიშანდობლივია, რომ „საშაჟულო სამრებლოს“ არსებობას შოთმლების სოფლებში მეფე თითქოს საგანგებოდ უსვამს ხაზს. ეს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამგვარი დაწესებულება არ იყო დიდი ხნის შექმნილი.

ვფიქრობთ, „საშაჟულო სამრებლოები“ არსებდა სამეფო დომენის ტერიტორიაზეც და ეს სასამართლოები განიხილავდნენ საქმეებს იქ, სადაც სამეფო იმუნიტეტი ერცელდებოდა. სწორედ „საშაჟულო სამრებლოების“ ჩამოყალიბებაზე უნდა იყოს საუბარი დავითის ისტორიისს ცნობაში „მართლად მცნობელი კაცების“ დადგნის შესახებ<sup>225</sup>, რომელიც „საავთ კარაღ“ იყო გაგებული. მოსამართლის უურნებიებს სამეფო დომენის „საშაჟულო სამრებლოებში“, საიდენტურო ასრულებლნენ მისი გამგებლები. ამ ვარაუდის უფლებას გვიძლევს ის ფაქტი, რომ გრიგოლ ქართლის ერისთავის მამასახლისი

<sup>222</sup> ერცელად ის. დ. მეგრელი ა. გ. „ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთი აღვილას განმარტებისთვის, შეტრ. მატორის სერია, № 3, 1971, გვ. 156—164.

<sup>223</sup> ის. ე. დონი დ. კ. კალმიკია როგორც ყოფაცხოვრებითი მოელენა შველ საქართველოში, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 224—284.

<sup>224</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 14.

<sup>225</sup> ის. ა. ჭავჭავაძე ი. კართული სამართლის ისტორია, წ. II, ნევ. II, 471—472.

<sup>226</sup> ცხოვრება შეფერ-მეტისა დავითისი, გვ. 354;

სახაშართლო ფუნქციებით იყო აღჭურვილი სურამელის კურთხ  
შემუღლში<sup>227</sup>, ხოლო შიომღვიმის „საშჯულო სამრებლოებში“ შემღვა-  
პის დიაკონი მოსამართლეობდა. ბუნებრივია, სამეფო დომენის კამათული  
მართლო სრულებით არ იყო დამოკიდებული ერისთავის იუსტიციის მიერ-  
ციანე, მაშინ როდესაც შიომღვიმის იმუნიტეტი შეწლუდული ჩამა<sup>228</sup>.

ძალზე ძნელია განიხაზღვროს, რომელ უწყებაში შედიოდა „სა-  
მართლი სამპარაჟომენებლიო“<sup>229</sup> და პყავდათ თუ არა ისეთი მოხე-  
ლეები მეფის გარდა ერისთავებსაც. შემორჩენილი წყაროების მიხედ-  
ვით, „მპარაჟომენებელი“ უშუალოდ მეფის ხელისუფლებასთან  
ანან დაკავშირებული, ერისთავთა შუალედური რგოლის გარეშე.

ეს წყაროთა ნაკლულობით აიხსნებოდეს. საფიქრებელია,  
რავთმეძიებელთა“ ფუნქციები ჰქონდა ერისთავის აპარატ-  
საც და ისინი განსხვავებული დაქვემდებარების ტერიტორიებზე  
მოქმედებდნენ. „მპარაჟომენებელთა“ იმსტიტუტში ჩანს სამძებრო  
პროცესის ელემენტი და ამ მხრივ იგი ანლოთ კაროლინგურ კანონ-  
მდებლობასთან<sup>230</sup>.

საგანგებოდ არ შევეხებით სამეფო იმუნიტეტისა და საეუთოების  
შატრერიალურიდ იღნიშვნელ ქეგლებს, „კელებს“, რომლებიც საგან-  
გებოდაა შესწავლილი<sup>231</sup>.

ამგარიცად გვესახება სამეფო დომენის მმართველობა დღესდღეო-  
ბით არსებული მასალის მიხედვით.

### III

#### 3. საკალაკო გარემოლობა

XI—XIII საუკუნეთა საქართველოს ქალაქების მმართველობის  
შესახებ, სამწუხაროდ ძალზე მწირი ცნობებია შემონახული. არსებუ-  
ლი მასალის საფუძველზე უაღრესად ჭირს მმართველობის სტრუქტუ-  
რაზე საუბარი. ისიც კი არ ვიცით, გარდა არაბული წარმოშობის  
ტერმინ „ამირისა“, რა ტერმინები იხმარებოდა ქალაქის მმართველის  
ოსანიშნავად. ამ მხრივ ყურადღების იპურობს „დიდ სჯულისკანონის“

<sup>227</sup> ქართული სამართლის ქეგლები, II, გვ. 37—38.

<sup>228</sup> ი. ა ნ თ ე ლ ი ვ ა . XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ის-  
ტრაქის საკონსერვი, გვ. 171.

<sup>229</sup> ამ იმსტიტუტზე იხ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის მტრონი, წ. II, ნავკ. II, გვ. 480—483; ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ვ ე, ქართული სამართლისა და პოლი-  
ტიკური მოძღვრებათა სტორია და ი. გავახიშვილი, ი. გავახიშვილის სიკებილურ ქრებუ-  
ლი, თბ., 1976, გვ. 34.

<sup>230</sup> შლი. ი. გ ა ჩ ი ვ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვენები ქართული სამართლის მტრონიდან, II, თბ., 1948, გვ. 37.

<sup>231</sup> 6. პ ა რ ძ ე ნ ი ვ ი ლ ი, მიწამომფლობელობის ფორმებისათვეს უკოდალურ  
საქართველოში, საქართველოს მტრონის საკონსერვი, III, გვ. 135—232.

“Зо” Монсунеңиң бүләри “ქაღაქპეტი” („ქაღაქის მიმად“)<sup>232</sup>, მაგრამ კუნ-  
ჯერობით რაა აյ დასკვნის გამოტანა მასზე დაყრდნობით სახიფირო.

შევეხოთ თბილისის მმართველობას. ჯერ კიდევ ჩვენს სტაციონის  
დასაწყისში ი. ჯავახიშვილმა მოხაზუება გამოთქვა, რამაც მას მას უკუკუ-  
ნის თბილისში „ქაღაქის ბერების“ სახით საქმე უნდა გვეთოდა  
საქაღაქო თვითმმართველობისთან<sup>233</sup>. ამ საკითხს შემდეგაც შევხნენ  
და მევლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თბილისში კომუნა თუ  
კომუნისმაგარი დაწესებულება უნდა არსებულიყო<sup>234</sup>. სამწუხაროდ,  
უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლებად იყო გათვალისწინებული აღმოსავ-  
ლური ქაღაქების მისაღა, რომელიც სავსებით ხსნის ამ მოვლენის  
არს და თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ აქ საქმე გვაქვს არა და-  
სავლეთეკრძალი ტიპის კომუნასთან, არამედ აღმოსავლური ქაღა-  
ქებისათვის დამახსიათებელ რაისების ინსტიტუტთან, რომელიც არც  
კომუნად და არც თვითმმართველობად არ შეიძლება ჩითვალოს<sup>235</sup>.

ვ. გაბაშვილმა აღმოსავლური მისაღების მოშევლიერით დაამტ-  
კიცა, რომ „ქაღაქის ბერების“ აღმოსავლური შესატყვევისი იყო „რაი-  
სი“, რომელიც ჩვეულებრივ ეკუთხონდა წარჩინებულთა წრეს, მაგ-  
რამ იშვიათად, პოლიტიკური ანარქიისა და არასტაბილური ვითა-  
რების შექმნისას, რაისებად შეიძლებოდა გამხდარიყვნენ საშუალო  
ან სულაც დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლები<sup>236</sup>. მკელე-  
ვარმა მიუთითა ქართულ-აღმოსავლური „ქაღაქის ბერებისა“ და „ქა-  
ღაქის ხალხის“ განსხვავებაზე<sup>237</sup>. 1082—1122 წლებში თბილისში შე-  
ქმნილ ვითარებას შევხო მ. გაბაშვილი, რომელმაც მიიჩნია, რომ ამ

<sup>232</sup> დიდი სერტაციანონი, გვ. 212, 460, 479.

<sup>233</sup> ი. ჭავახაშვილი, საქართველოს ეკონომიკის ისტორია, წ. I. ტკ., 1907,  
გვ. 24—25.

<sup>234</sup> ვ. გ. თ უ რ ი ძ კ, არამ ისტორიის XII ს. თბილის შესახებ, ენციკ-  
ლოპედია, ტ. XIII, თბ., 1942, გვ. 143; ვ. წ უ რ ი თ ვ ლ ი, არამ ისტორიისტითა, თბ.,  
1949, გვ. 7; შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველო კომუნა შეა. საუკუნეების თბილისში, თბ.,  
1962; რ. კ ი ნ ა ძ კ, არამ ისტორია სსარსული მტორიული წყაროები XI—XII სს.  
თბილის შესახებ, ცისარი, № 10. 1958; მ ი ს ი ვ კ, XI—XII სს. თბილის  
ისტორიიდან, ძალისას ინსტრუქტის შრომები, V, თბ., 1960, გვ. 119—124 და სხვ.

<sup>235</sup> ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თბილის მმართველობა XI—XIII საუკუნეებში, თუ-  
შრომები, ტ. 108 (IV), თბ., 1964, გვ. 331—358.

<sup>236</sup> იქვე; მ ი ს ი ვ კ, ქაღაქ თბილისის სოციალური მტორიიდან (ერთა აღმტერ-  
ლის ერთი ცნობის გამოაჩენა), ნარკევები მახლობელი აღმოსავლეთს ქაღაქების  
სტრატიგიან, ტ. I, 1966, გვ. 122—127; ქაღაქის „რაისებზე“, ის. ვ. ბ ე რ ი ძ კ, მახ-  
ლობელი აღმოსავლეთს ფერდალური ქაღაქის წარმომადგენლები, მაცნე, 1969,  
ყ. 4; მ ი ს ი ვ კ, К вопросу об институте «городских районов» в Иране X—XII  
вв., Иран, М., 1971.

<sup>237</sup> ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქაღაქ თბილისის სოციალური მტორიიდან, გვ. 122—  
127.

პერიოდში თბილისში ძალაუფლება „კმაწვილებს“, „ახალგაზრდებს“ ეცყრადა<sup>238</sup>. ამავე „კმაწვილებს“, ქალაქის დაბალ სოციალურ უკანონ უკავშირებს თბილისს მოქალაქეთა 1122—1123 წლების ამინისტრის ვ. გაბაშვილი<sup>239</sup>. განსხვავებული აზრისაა ამ საქითხებზე შ. შესწია<sup>240</sup>.

როგორც ჩანს, მთლიან უსაფუძვლო არ იყო ვ. მინორსკის აზრი რომელსაც ხსენებული ორმოცწლიანი პერიოდი „ანარქიის“ ხანად მიიჩნდა<sup>241</sup>. აღმოსავლეთის ქალაქებში (კერძოდ სირიაში), ავტონომიის ცალკეული ელემენტების გაძლიერება უშუალოდ იყო დაკავშირებული ამირას ხელისუფლების დასუსტებასთან. საფუძველი არსებობს, თბილისის „ანარქიაც“ ჯაფარიდების დინასტიის დაქვეითება-დასუსტება დაუკავშიროთ. ნიშანობლივია, რომ „ტფილელი ბერების“ პირველი გამოჩენა ასპარეზზე ამირა ჯაფარის გარდა ცალებასთანა დაკავშირებული<sup>241</sup>.

როგორი მდგომარეობა შეიქმნა თბილისის, დმანისისა და ხევა ქალაქების განთავისუფლების შემდეგ?

ცხადია, თბილისა და საამიროში შემავალ ხევა ქალაქებში განთავისუფლების შემდეგაც ძალშვ დიდი იყო აღმოსავლერი საქალაქო ინსტიტუტების გავლენა, რაც მქაფიოდ ჩანს აღმოსავლერ ურბანისტულ ტერმინთა ფართო გავრცელებაშიც<sup>242</sup>. ამისთან, უდავოა, რომ ხსენებულ ქალაქებს მირთვენ ქართველი მეფის მოხელეები<sup>243</sup>.

საქართველოს მეფის მოხელე, თბილისის მმართველი, შემორჩენილი წყაროების მიხედვით, დაღასტურებულია გიორგი III-ის მეფობის დასაწყისში. ასეთად ჩანს, მხითარ გოშის მიერ „თბილისის სატრაპიად“ წოდებული იშნინი ვისეყი, ვამრამ არწრუნის ვაჟი<sup>244</sup>. ორბეჭ-

<sup>238</sup> ვ. გაბაშვილი, თბილის 1082—1122 წლებში, ქართული წყაროსმცოდნობა, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 8—21, მის. ივ ვ. საქართველოს ქალაქები XI—XII საუკნეებში, თბ., 1981, გვ. 68—82.

<sup>239</sup> ვ. გაბაშვილი, თბილისის სოციალური ისტორიიდან (მოქალაქეთა მმართვებები 1122—1123 წწ. თბილიში), ძეგლანი საქართველოს და კუკისის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 166—177.

<sup>240</sup> ვ. გესხია, ძლევად საეკონომიკო, გვ. 128—138.

<sup>241</sup> V. Minorsky, Caucasica in the History of Mayyafarigin, Bulletin of the School of Oriental and African studies of University of London, v. XIII, 1949, გვ. 29.

<sup>242</sup> ვატრანე ქართლისა, გვ. 299.

<sup>243</sup> ვ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქების მმართველი, საქართველოს მმართველი ისტორიის მსალები, ტ. I, თბ., 1976; გვ. 3—9; მ. ვაბაშვილი, ქალაქები XI—XII საუკნეებში, გვ. 124—147.

<sup>244</sup> ლ. დავითი ნიკოლაევ, მხთარ გოშის „აღმანეთის ქრონიკა“, ქართული წყაროსმცოდნობა, ტ. II, თბ., 1968, გვ. 46.

თა ამშობების დროისათვის თბილისის მმართველად „ავირობითავრუად“ („ამირაბეტად“) მოხსენიებულია ამ ვასაკის ძმა ქურდი, რომელიც მაცკანაბერდის იშნანი იყო<sup>245</sup>.

თავის დროზე პ. ინგოროვამ<sup>253</sup> და შემდეგ ს. კრემიანშვილი<sup>254</sup> გამო-  
თქვეს მოსახრება, რომ თბილისის ამირთამირა იყიდვა რაც „შეტყურ-

<sup>246</sup> Р. Фрай. Наследие Ирана, с. 265.

287 ଲ. ମୁକ୍ତିଶ୍ରୀ ପାତ୍ରଙ୍ଗ ଏ, ଅନ୍ତର୍ଦ୍ଦୂଷଣ କରିବାକାଳେ ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା

228 3. డిసెంబర్, శాఖినం పొలుట్రస్టుక్ ప్రాంతమ్మర్, 33. 134-135; నీ. ఎర్రెగ్, ప్రాంతమ్మర్, ప్రాంతమ్మర్, శాఖినం ప్రాంతమ్మర్, క్లాసిఫికేషన్, 33. 170-171.

229 മെറ്റരും ദൈനന്ദിനം, 32- 311.

251 ର. ମୁକ୍ତିକାଳ ନିର୍ମାଣ ର, ଯଥିଲାଇବିନ୍ ଶିଳ୍ପିକାଳିକାଙ୍କୁ ଏହିରୂପରୂପରୀଷାନ୍ତିରେ,  
252. 204.

၃၃၃ ပုဂ္ဂနိုလ်ဘာဝ၏ လူ့ အိမ်အန်၏ ရေးကျော်ကြော်ပုံတော်၏၊ ပုံ. ၉၂.

223 3. රුජාතරුවාගා, රූප්‍යාලැංජා, 22, 99.

<sup>154</sup> С. Еремян. Юрий Боголюбский. с. 399.

ჭრეთუხუცესის ნაცვალი". ს. ერემიანი შეეცადა ასევე დაესაბუთებინა აბულასანისა და მირა ქურდის იყივეობა<sup>255</sup>, რაც სამარტლისმისამართი გაკრიტიკებული ისტორიოგრაფიაში<sup>256</sup>. ორივე ეს მოსაზრებრი დამატების გარეშე წარმოდგენილი.

"თბილისის ამირთამირა" იგივე „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალად" მიიჩნია დ. შესხელიშვილმაც<sup>257</sup>, მხოლოდ იგი არ იშიარებს ოქუმის აბულასანისა და მირა ქურდის იყივეობის შესახებ და გარევაული საბუთიანობაც მოაქვს. ეს საბუთიანობა საკრაოდ საკრევოდ მიიჩნია შ. მესხიამ<sup>258</sup>. მართლაც, შეუძლებელია „ამირთამირას" და „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლის" იყივეობის მტკიცება იმ საფუძველზე, თუ რატომ არ ისხენიება ცალკე „ამირთამირა" „ხელმწიფის კარის გარიგებაში"<sup>259</sup>. ამ გარიგების" აეტორის მიზანს წარმოადგენდა სასახლის მმართველობისა და ცერემონიალის აღწერა და არა ადგილობრივი მმართველობისა. აღვილობრივი მმართველობის მოხელეებს ის მხოლოდ გაკერით ასხენებს, იმდენად, რამდენადაც ეს მის სჭირდება ცენტრალური მმართველობის მოხელეების ფუნქციების გაღმოსაცვალი.

თბილისის, ისევე როგორც სხვა დიდი სამეფო ქალაქების მმართველები, როგორც ჩანს, იწოდებოდნენ „ამირთამირადაც" და უბრალოდ „ამირადაც". აქედან რაიმე კარდინალური დასკვნის გამოტნა შეუძლებელია. ამსათან, ფაქტობრივად, არავითარი საფუძველი არ გაგვაიწინა „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლისა" და თბილისის „ამირთამირას" იყივეობა ვაძლევით. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ „თბილისის ამირთამირა" პირველ რიგში ქართლის ამირთამირაა და როგორც ასეთი, თბილისის ამირთამირაც.

„ისტორიანში და აზმანში" მოხსენიებული „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი", „სჯულითა ბარბაროზიად და ქცევითა ტარტაროზიად" წოდებული<sup>260</sup>, როგორც ჩანს, მართლაც მაპეანაბერდის იშხანი ქურდ არწრუნი იყო, რომელსაც ცხადია კერ გავაიგივებოთ აბულისანთან. საფიქრებელია, რომ ქართლისა და თბილისის ამირთამირად ანუ ამირად აბულასანის დანიშვნის შემდეგ, ყოფილი ამირა ქურდი მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი იყო, გორგი რუსის აჯანყების ჩაბშობამდე.

<sup>255</sup> იქვე, გვ. 399—415.

<sup>256</sup> ი. ე ი ნ ც ა ძ ე, მიგბანი რუსთ-საქართველოს ურთიერთობის მატრიცაზე, თბ., 1956, გვ. 141—170.

<sup>257</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი მ კ ვ ი ლ ი, თბილისის მირთამირაბის ინსტრუმენტების, გვ. 214.

<sup>258</sup> შ. მ ე ს ხ ი ა, სამინაო პოლიტიკური ვოთარება, გვ. 185.

<sup>259</sup> შერ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი მ კ ვ ი ლ ი, თბილისის მირთამირაბის ინსტრუმენტების, გვ. 215—216.

<sup>260</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდისანი, გვ. 48.

ქურდ არწონი, თავის ძმესთან, „თბილისის სატრამ“ კასაგრამ ერთად იძულებული იყო საქართველოდან გაქცეულიყო გიორგი III-ის გამეფებისთანივე<sup>261</sup>. მხითარ ვოშის ცნობით: „როლუ მარკვარის გამეფება, მოისურვა ვასაკ იშხანის შეპყრობა, რაღვანაც მის მიმართ გულისწყრომა ქქონდა, იმის გამო, რომ როლებსაც ის ქალაქის უფროსი იყო, მას (გიორგის) ისე არ სცემდა პატივს, როგორც მის ძმა დავითს ... მის გამო გაიქცა ვასაკი თავის ძმესთან ერთად და მიეკიდა თოოლუპოლისში, რომელიც ანლა ქქვიან კარჩუ ქალაქი. ამირამ, რომელსაც სალტუნი ერქვა, სიხარულით ... მიიღო ისინი ... რამოდენიმე თვის შემდეგ იქვე გარდაიცვალდ ვასაკი ... ხოლო მისი დროშა, საყვარი და გამგებლობა მისცუს მის ძმას, რომელსაც ერქვა ქურდა...“<sup>262</sup>.

სწორედ კარის ქალაქში ანუ აზხრუში უნახავს პირველად მხითარ გომს ქურდ ატწრუნი, როგორც ამას კიბაკოს განძაკელი გად- მოგვცემს<sup>253</sup>. მხითარ გომისა და იშხან ქურდის შეორე შეკველრა, იმავე აეტორის ცნობით, მომხდარა უკვე იშხანის თავის სამფლო- ბელოებმი დაბრუნების შემდეგ, რომლებიც იყო კაიანისა და მაქე- ნაბერლის ოლქები<sup>254</sup>. კირაკოსის მიხედვით, იშხანი ქურდი თამარს დაუბრუნებია კარის ქალაქშიდან<sup>255</sup>.

როგორც ჩანს, კირაკის განძიკელს არ ჰქონია ხელო სათანადო სისრულის მისაღია. იშხანი ქურდი, „სატრაპ“ ვისაკის ძმა, დაიკით ქო- ბირელის მიხედვით, ორბელთა ამბოხების ღროისათვის<sup>266</sup> თბილი- სის „ამირაპეტრი“ იყო: „მეფის ბრძანებით, მათ (აჯანყებულებს, ა. ა.) დაედევნა კეთილშესახური თბილისის ამირათმთავარი ქურდი, დაწია მათ ვიწრო გზაშე თავის საკუთარ მხარეში, რომელსაც შაპკაბერდი ეწოდება“<sup>267</sup>. ცხადია, რომ იშხან ქურდი უკვე გიორგი III-ეს დაუ- ბრუნებია საქართველოში, უბოძებია მისთვის თბილისის გამგებლობა და „საკუთარი მხარე“ მასკანაბერდიც. აშკარაა, რომ „სატრაპ“ ვასა- კის ძმა, ქურდ არწრუნი, შაპკანაბერდის მფლობელი, იგივე თბილისის „ამირაპეტრი“, „კეთილშესახური“ ქურდია<sup>268</sup>.

<sup>241</sup> С. Г. Глазунов и др., Методика генезиса „албанского племени“, 23, 47.

262 សំណង, ២៣: ៤៧—៤៨.

<sup>263</sup> Киракос Гандзакеци, История Армении, с. 141.

264 *elias.*

265

200 ନାର୍ଦ୍ଦେଲାଙ୍କ ପିଲାକୁ ଶେଷିଲ ତାରିଖିଲିମାଟାଯିବ ହେ. ଏ. ଡେବର୍ଲ ଓ କ୍ରେଲ୍, ଶିଳ୍ପିଜୀବିକ-  
ଶିଳ୍ପି ଶର୍ମିଳା, ପୃଷ୍ଠ. 124—125. ଏହି ଶିଳ୍ପିଜୀବିକଙ୍କଙ୍କା.

<sup>267</sup> ଗ. ଶେଷ କାନ୍ତି, ପରିମାଣ ବିଭାଗରେ ଉପଲିଖିତ ଅନ୍ୟାନ୍ୟ ଶ୍ରେଣୀରେ, ୧୯୫୩ ।

229 ජුරු. ඩ. මේල්කොඩ, මෙනිස්ට්‍රෝඩ මෝදුලය උග්‍රසුතිව දා සැප්ත්‍රමුවෙන් ප්‍රතිඵලිතයි. මෙන්තුව, № 1, 1970, පා. 152—153.

შინიარ გოშის ცნობიდან ჩანს, რომ ვასაკისა და ქურდის შევიწ-  
როვების ინციდენტორები, მეფე გიორგი III-თან ერთად, ოტიანული და  
ძლიერი საგვარეულო იყო<sup>269</sup>. ჩანს, ქურდ არწრუნის საქართველოს მიერ-  
დაბრუნება და მეფესთან შერიცხვა მოახერხა სარგის მხარეგრძელება,  
რომელსაც ცოლად ვასაკისა და ქურდის და, საგლუხტი ჟყიდვა<sup>270</sup>.  
სარგის მხარეგრძელი კი, როგორც ცნობილია, ვარკეცულ დრომდე იყო  
„ძმა და სავარეული ორბელთა“<sup>271</sup>. ნიშანდობლივია ისიც, რომ გიორგი  
III-ემ ავგანუპული ორბელთას წინააღმდევე შათი ძველი მტერი  
მაქანიაბერდის იშნანი და თბილისის ამირა ქურდ არწრუნი გაგზავნა

ვასეპ და ქურტ არწირუნები ეკუთხნოდნენ არწირუნი ნახარიარების იმ შტოს, რომელიც დაიით IV აღმაშენებელმა გადმოისახლა ჩრდილო სომხეთში და ებორა მათ მაპქანაბერდი და ახალტი<sup>272</sup>. როგორც ცნობილია, დავითმა მაპქანაბერდი 1123 წელს აიღო სხვა თლექებთან ერთად<sup>273</sup>. ამ დროის ახლო ხანებშია სავარაუდო ვაპრის არწირუნის სახლის დამკვიდრებაც იქ.

უეჭველია, ვძალისა და მისი მმის, ქურდის ამირობა თბილისში, საქართველო სამეფო კარის გარკვეულ პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ მიზნებთან იყო დაკავშირებული. ს. ერემიანს ხაზისმული აქცის ქურდ არწიუნის ღიადი კავშირები საიდურო და მევაჩშეთა წრეებთან (ამასთან იგი შეცდომით აიგრიებს მის იბულასანთან) <sup>274</sup>. ამგვარი კავშირების მქონე ღიადი ფეოდალური სახლის შვილების დაყენება თბილისის ამირიად, ცხადია, უაღრესად სასარგებლო უნდა ყოფილიყო სამეფო ხელისუფლებისათვეს.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ვასაკისა და შემდეგ ქურდის კავშირები კარინთიან ანუ კარნუ ქალაქთან. კარინის (თეოდოსიოპლის, კარნუ ქალაქის, არზრუმის) სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა სათანადოდაა წარმოჩენილი ისტორიოგრაფიაში და სევერ ანისი-კარი-კარინის სავაჭრო გზის მნიშვნელობა<sup>275</sup>. კარინი გარკვეულ პერიოდში უშუალოდ შემოდიოდა ქართული პოლიტიკური სუვერენი-

<sup>269</sup> С. 223 л. 1960 г., Земельный комитет „Албания“ в Римини», 33. 47.

<sup>270</sup> Киракос Гандзакеци, История Армении, с. 141; Т. Զօմենա, ԱՅՆԻՆ ՅՈՒԹՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՅՈՒԹՅԱՆ, էջ. 277.

<sup>271</sup> സിന്റേഴ്സ്ന്റ് എ വൈറ്റ്സ് പ്രസാദാഭ്യർത്ഥന, 22, 19.

<sup>272</sup> ດේ. ອ. ມා ສි. ອ. ສාමිංහා ປෙළඳපත් මාර්ග වැඩිහිටිය, 21, 277—278.

<sup>274</sup> С. Еремин. Юрий Боголюбский, с. 399.

шь Я. А. Манандян. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен. Ереван, 1954, с. 274—275.

ლეტის სფეროში<sup>275</sup>, ხოლო პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები შემდეგაც ცხოველი იყო.

შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი რომ ვასიკ და ქურულებულებები გიორგი III-ის გამეფების ახლო ხანებში სწორედ კარნუ ქალაქში გაიქცნენ აღ-მალიქ სალოუკთან (სალდუხი), რომელიც ცნობილი იყო სომხეთი მფართველობით<sup>277</sup>, ცხადია, ეკონომიკური ინტერესების გამო.

ამდენად, ქურდ არწრუნი 1155—1156 წწ. ახლო ხანებში თბილისიდან კარის გარბის ძმასთან ერთად; 1177 წელს, ორბელია ამბოხების დროს ივი თბილისის ამირაა; 1188—1189 წლების ახლო ხანებში ივი თავის შპულში იმყოფება და დახმარებას უწევს მხიარულ გოშს ნორ-გვერის სავანის შენების დაწყებაში<sup>278</sup>.

ქართლისა და თბილისის ამირად, როგორც „ისტორიათა და აზ-  
მათა“ ტექსტილან ჩანს, თამარის გამეფების ახლო ხანაში „შედთა  
მთეულეთთა“ ერთსთავეთერისთავი აბულახანია<sup>279</sup>. ს. ერემიანი, რო-  
გორც აღინიშნა, აივიებს ქურდ არწრუნის და აბულახანს, რაც არაა  
მისაღები. მკელევარმა გამოთქვა მოსაზრებაც, რომ ამირა ქურდი თა-  
თქოს ერთხანს მანდატურთუხუცესიც იყო, შემდეგ ეს სახელო უცბა-  
საჩს გადაეცა და განაწყვენებული ქურდი კარინში წაეიდა, სადაც სა-  
მცლობელოები პქონდა<sup>280</sup>. არც ეს მოსაზრებაა დაუუძნებული რაიმე  
მყარ მონაცემებზე. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ ქურდ არწრუნი რო-  
დისმე მანდატურთუხუცესი იყო.

საექიქნებელია, რომ მულისანის, დასავლეთ საქართველოდან გამოსული ქართველი დიდებულის<sup>231</sup> ქართლისა და თბილისის მი-

<sup>277</sup> Т. А. Измайлова, Каринская рукопись 1181 г. Византийский временник, 40, М., 1979, с.140.

<sup>228</sup> Р. М. Джанполадян, «История Армении» Киракоса Гандзакского и надписи Нор-Гетика, Исследования по истории культуры народов Востока, сб. в честь акад. И. А. Орбели, М.-Л., 1960, с. 61—62; Киракос Газизакеци, История Армении, с. 141.

୩୭ ପ୍ରକାଶନରେ ଲାଗି ଏହିମାତ୍ର ଶବ୍ଦରେକୁ ଲାଗିଥାଏନ୍ତି, ୩୩. ୩୬.

<sup>280</sup> С. Еремян, Агарцинская надпись 1184 г., Исследования по истории культуры народов Востока, гл. 84—85; Э. Зубова, Наименование земельного участка в арабской литературе, гл. 288.

რად დანიშვნის შემდეგ, ყოფილი ამირა ქურდი გახდა მეჭურჭლეთ-უხუცესის ნაცვალი, ე. ი. ცენტრალური აბარატის დიდი მოქადაგებელი და 1187 წელს<sup>282</sup>. საფიქრებელია, რომ თამარი გიორგი რუსს უწდა ფიქრურა  
ამჟამად დადგენილია, რომ თამარი გიორგი რუსს უწდა ფიქრურა  
და დადგენილია ამბოხება 1188 წელს მოხდა<sup>283</sup>. ამ აჯანყების სა-  
კითხთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა „ისტორიათა და  
აზმათა“ შემდეგი ცნობა: „მას ეამსა ნაცვალი მეჭურჭლეთი უხუცესი-  
სა, სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი, კეთილთა და  
პამოთა პატრონთაგან სრულწყლიანი, საქმის მოციქულად წარავლინა  
(თამარმა, ი. ა.) საქმისა რასათვესმე. და მას კარნუ-ქალაქსა მისვლასა  
შინა შეიყარნეს რუსი და იგი ერთად. [მიუ]ღეს იმიერნი, რათა [რუ-  
სი] სისახლესა შინა [შევეანილ] ყონ... შეეხუეწნეს ამას დიდსა  
[მოციქულსა], რომელ აქით მისრულ იყო“<sup>284</sup>.

შემცირებული შენიშვნა „სჯულით ბარბაროზობა“, რო-  
გორც სწორად შენიშვნა ს. ერემიანში, მის სომხობაზე მიუთითებს<sup>285</sup>. ნიმინდობლივია მისი კარნუ-ქალაქში მოციქულად გაგზავნაც. ს. ერე-  
მიანი საესქისით სწორია, როცა ოვლის, რომ კარნუ ქალაქში გაგზავნი-  
ლი პირი ქურდ არწრუნია, მაგრამ ცლება, როცა იგივე პირი ამულასა-  
ნად მიაწნია. ამულასანი ამ დროისათვის უკვე შემცირებულეთუხუცესი  
იყო, ხოლო ქურდი მის „ნაცვლად“ ჩანს. ჩვენი აზრით, კარნუ ქალაქ-  
ში შემცირებულეთუხუცესის ნაცვალი თამარმა საგანგებოდ გააგზავნა.  
იგი არ შეეძლო არ შეეშფოთებინა გაძევებული გიორგი რუსის კარ-  
ნუ-ქალაქში ჩასვლის და სახელმწიფოს საზღვრებთან ასე მოახლოე-  
ბას. საფიქრებელია, რომ „დიდი მოციქული“ სწორედ გიორგის გეგმე-  
ბის ჩასაშელელად უნდა გაეგზავნა კარნუ-ქალაქში თამარს.  
მოხდა კი პირიქით. „იმიერნი“, ე. ი. დასავლეთ საქართველოს დიდე-  
ბულები „შეეხევწნენ“ შემცირებულეთუხუცესის ნაცვალს და მანაც ვი-  
ორგი რუსის სასარგებლოდ იწყო მოქმედება. აქედან ორი რამ ჩანს. პირ-  
ველი ის, რომ შემცირებულეთუხუცესის ნაცვალს უაღრესად დიდი  
გაელენა პქონია კარნუ-ქალაქში, რაფი მას „ეხვეწებიან“ გიორგი რუ-  
სის სასარგებლოდ იმოქმედოს. შეორე კი ის, რომ „დიდი მოციქუ-  
ლის“ თავდაპირებელი მისია სწორედ ამის საწინააღმდეგო იყო.

<sup>282</sup> ი. ა. იბ დ ა ლ ა ძ ე. სომხურ ხელნაწერთა ანდეგრძნამაგები და მათი მნიშ-  
ვნელობა XII—XIII საუკუნეთა საქართველოს ისტორიისათვის, ქართლი წყაროთშ-  
ულწერია, IV, თბ., 1973, გვ. 28; მ ი ს ი ვ ე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის  
ქრისტონოგიის შეწარებისათვის, მცცნ, ისტორიის სკრი, № 2, 1974, გვ. 144. ამვე ნა-  
რობებში ბერლოვანება.

<sup>283</sup> ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XV სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური  
ისტორიის ხელნაწერი, გვ. 208—209.

<sup>284</sup> ისტორიანი და აზმანი შარიავანდულთანი, გვ. 48.

<sup>285</sup> С. Еремян. Юрий Боголюбский, с. 399.

კვიფერობბა, ზემომოტანილი მასალა ნათელს უნდა ჩდიდეს, რომ ქართლისა და თბილისის მიწოდებისა და მეცნიერების მიმდევარობა (მიწოდება) და მეცნიერებელთა უხუცესის ნაცელობა არ უნდა იყოს ერთი და იგივე. მეცნიერებელთა უხუცესის ნაცელი უფრო დიდი მოხელეა თბილისის მიწოდება, როგორც მეცნიერებელთა უხუცესის „მრავალე“. მისი უშუალო თანამემწვევე

სამწუხაროდ, ბევრის ვერაცეტრს ვიტყვით ვერც თბილისის და ვერც სხვა სამეფო ქალაქების მირების კონკრეტულ ფუნქციებზე. ცნობილია, რომ მათ ხელი მიუწვდებოდათ ქალაქის ვაჭრობასა და ეკონომიკაზე<sup>285</sup>. წესრიგის დაცვაზე<sup>286</sup>, თბილისის მმირას ქალაქის სანახებზეც პქონდა ომინისტრაციული უფლებები<sup>287</sup>, რაც სრულიად ბუნებრივია, რაღაც იგი იყო „ამირა ქართლისა და ტფილისისა“. სეთივე უფლებები, ჩანს პქონდათ ქუთაისის „მეგრევილეებსა და მირებს“<sup>288</sup>. სივარაულოა, გვიანდელი ანალოგიების მიხედვით, ამირების სასამართლო პრეპონაგაზებიდან<sup>289</sup>.

ისტორიოგრაფიაში სათანადოდა შესწავლილი გიორგი III-ის 1170 წლის სიგვლში დასახულებული სამოხელეო გადასხადები, რო-

<sup>22</sup> Киракос Гандзакеци, История Армении с. 144; Р. М. Джанполадян, *տառած. բնակչութեան*, զ. 62.

228 o. չուզանութեցող ո. յանհարանը սպասարկութեան մեջ է. II, 653. II, 23.

<sup>289</sup> මායිස් තොරතුරු සංඛ්‍යාව පෙන්වනු ලබයි. පැවත්වා මෙම ප්‍රතිච්‍රිතය ප්‍රකාශනය කළ උග්‍රහය, I, රුප., 1907, පාඨ 23-24.

220 6. ඩේ දේ නි පු පැ ග, මුදල තමයිල්ස් උග්‍රීනිමිජ්‍රාන (ඇගාරානි), සායෝ-  
ඛාලාර්ස ප්‍රතිචාරයක පැවත්වෙයි, I, පි. 317.

<sup>281</sup> ပန်ကျေလွှာ စာမီဒီဒဏ်လွှာ၊ II, ပ�. 74.

292 න්. න. සුරාකාරුදෙසි, පාරිතුලී සම්බන්ධී මෝදුවේදී, 83. 74.

მდებიც სათანადო მოხელეების, ამიდის, რაისისა და მუქთასწისის მის სეობის გვავირაუდებინებენ<sup>293</sup>. საეჭვო „შურტის“ (გზირი) და და-შირება მხოლოდ საქალაქო მმართველობისთან<sup>294</sup>.

დღესდღეობით შეუძლებელია იმის დადგენა, რა სამოხელეო აპარატი ემორჩილებოდათ საქართველოს ქალაქების მმართველებს, გარდა ზემოდასახელებული, საკუთრივ თბილისისათვის დამოწმებული თანამდებობის პირებისა. კერაფერს ვიტყვით ქუთაისის „მეგრუ-გილეების“ კონკრეტულ ფუნქციებზე, გარდა იმისა, რომ მთ აღმინის-ტრადიციულ-ფისკალური მოვალეობები უნდა ეკისრებოდეთ<sup>295</sup>. კონკრეტულად კერაფერს ვიტყვით კერძო მფლობელობაში გადაცემული ქალაქების აღმინისტრაციაზე.

საქალაქო აღმინისტრაციის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო „არიფი“ რომელიც „ეფთხისტყაოსნის“ მიხედვით გვაქს დამოწმებულია<sup>296</sup>.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოს ქალაქების მმართველობა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მთლიანად დამოკიდებულია სახელშითო აღმინისტრაციაზე და რეგლამენტაციაზე. ჩვენში არ წარმოშობილა „თავისუფალი ქალაქი“ და ამასთან დაკავშირებით, არჩევითი შიგისტრატები, როგორც დასავლეთ ევროპაში<sup>297</sup>. ასეთი მდგომარეობა ბევრის მოქმედია თვით ქალაქის, როგორც იმსტიტუტის ტიპზე, მაგრამ ამ საკითხზე ვრცლად და საგანგებოდ სხვაგან გვქონდა საუბარი<sup>298</sup>.

<sup>293</sup> Ш. А. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, гл. 79—80; გ. ლორთ ქიუ ანი ნიკე, ქალაქის მოხელეთი საქართველოს ქალაქები XI—XII ს. ს. 84—88.

<sup>294</sup> გ. ლორთ ქიუ ანი ნიკე, დასახ. ნამრავი, გ. 147.

<sup>295</sup> იბ. ქართული სამართლის ძეგლები, II, გ. 74.

<sup>296</sup> იბ. ვ. გაბაშვილი, ახლოაღმოსელერი ანალი, საქართველოს ისტორიის აღმოსავლერი მასალები, წ. II, თბ., 1979, გ. 26—28; გ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI—XII ს., გ. 134—147.

<sup>297</sup> იბ. А. Пирени, Средневековые города Бельгии, М., 1937, с. 174, 252. В. В. Стоклицкая-Терешкович, Основные проблемы истории средневекового города X—XV вв., М., 1960, с. 75—132; Н. Ригенпе, Histoire économique et sociale du moyen-age, Paris, 1963, გ. 47; მასავა, Medieval cities, Princeton, 1974, გ. 168—212.

<sup>298</sup> ი. ანთ ქლ აკა, XI—XV ს. ჭავაქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, გ. 85—111.

\* სეღ უკანასკნელ ხასი დაბეჭდა გ. აკოცაშვილის საინტერესო წერილი „უმა, მსახური, ტაძრების“ (მაცნე, ისტორიის სერია, №2, 1981), რამდენის გათვალისწინება, სამწერებიდ ელიტ მოუხარებეთ. იგივე თავმისი ქ. მარაშიძის მიერ მომზადებულ სატრუქ საქართველოს ისტორიის მასალებზე, სადაც „წრების მასა“ დაღატრუქებული.

## ძირითადი განაკვეთი

1. საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობა თავმოყრილი იყო სამეფო სასახლეში, საიდანაც ხდებოდა სახელმწიფოს, სამეფო დომენისა და თვით სასახლის მართვა.

2. სახელმწიფოს მთელი აღმინისტრაციული სისტემის სათავეში მდგომი ფორმალურად შევზღუდული მონარქი ხელისუფლებას ამორციელებდა სასახლის უწყებებისა და მითი „უხუცესების“ მეშვეობით, რომელიც წარმოადგენდნენ მის საქმიან საბჭოს.

3. სახელმწიფოს მართვა ხორციელდებოდა მეფის „საწოლის“ უწყებილან, რომელიც წარმოადგენდა სასახლის ძირითად პოლიტიკურ დაწესებულებას.

4. სამეფო დომენისა და თვით სასახლის აღმინისტრაციულ მართვას ხელმძღვანელობდა „საგანმგეო“ უწყება.

5. ცენტრალური მმართველობის უმაღლესი მოხელეები ერთდროულად წარმოადგენდნენ მეფისა და სახელმწიფო მოხელეებს. მეფის კერძო ქონებისა და სახელმწიფოს მართვა გამიჯნული იყო ყოფილა და იგი სასახლიდან ხორციელდებოდა.

6. სახელმწიფო საბჭო („ვეზირობა“, „საგაზირო“) არ წარმოადგენდა სასახლის ცალკე დაწესებულებას. ეს იყო სასახლის უწყებათა მეთაურების თათბირი მეფესთან.

7. სახელმწიფოს ადგილობრივი მმართველობა დამყარებული იყო აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ პრინციპზე. საერისთავოებს მართავდნენ საჯარო ხელისუფლების მოხელე-ერისთავები.

8. სამეფო დომენისა და სამეფო ქალაქების შმართველობა ამოღებული იყო ერისთავების იურისდიქციიდან. მათშე სამეფო იმუნიტეტი ვრცელდებოდა.

9. საერო და საეკლესიო ფეოდალთა იურისდიქცია შეზღუდული იყო ერისთავის საჯაროუფლებრივი პრეტორატივებით — სამხედრო-აღმინისტრაციული, სასამართლო და ფინკალური ფუნქციებით.

## ЦЕНТРАЛЬНОЕ И МЕСТНОЕ УПРАВЛЕНИЕ ГРУЗИИ В XI—XIII ВВ.

### Резюме

ЦК КПСС в своем постановлении от 1969 г. подчеркнул важное значение изучения истории древнейших государств на территории СССР.

Марксизм-ленинизм рассматривает государство, как политическую надстройку над экономическим базисом. В классово-антагонистических обществах государство является орудием подчинения и эксплуатации народных масс. Такие же функции имело единое Грузинское феодальное государство, система его центрального и местного управления. Вместе с тем, названная система являлась закономерным этапом развития государства и ее изучение имеет важное значение для правильного понимания многих кардинальных вопросов истории общества.

В предлежащей монографии, впервые специально изучаются основные вопросы центрального и местного управления феодальной Грузии XI—XIII вв.

В I главе — «Царская власть» — коротко касаемся некоторых вопросов прерогатив царской власти.

II глава — «Центральный аппарат управления». В ней изучается структура центрального политического и административного органа государства — царского дворца. Подвергнуты анализу ведомственная структура и чиновничий аппарат дворца, уточнены их функции. По-новому освещены вопросы делопроизводства и дворцового церемониала.

В III главе изучается местный аппарат управления. В частности, подвергнуты анализу эриставская власть, структура эриставств. Изучено управление царскими вотчинами и городами.

На основе совокупного изучения соответствующих материалов, пришли к выводам, основные из которых сводятся к следующему:

1. Центральное управление единого грузинского феодального государства было сосредоточено в царском дворце, откуда управлялось государство, царский домен и сам дворец, как административный орган.

2. Формально неограниченный монарх, стоящий во главе всей административной системы государства, осуществляя государственную власть с помощью дворцовых ведомств «старейшин», которые составляли деловой совет царя.

3. Управление государством осуществлялось с основного политического ведомства дворца — царской «опочивальни» («Сацоли»).

4. Управление домена и самого дворца было сосредоточено в ведомстве дворца — «сагамгэо».

5. Высшие чины центрального управления, одновременно являлись сановниками царя и государства. Управление государством и личным имуществом царя не было разграничено и оно осуществлялось с дворца.

6. Государственный совет («везироба», «савазиро») не представлял собой отдельного учреждения.

7. Местное управление было основано на административно-территориальном принципе. Эриставами управляли эриставы, облеченные публичноправовой властью.

8. Управление царскими доменами и городами было изъято из юрисдикции эриставов на основе царского иммунитета.

9. Юрисдикция светских и церковных феодалов была ограничена военно-административными, судебными и фискальными публичноправовыми прерогативами и функциями эриставов.

В предлежащей монографии мы не касались общих вопросов социально-политического развития общества, тенденций и перспектив его развития, так-как эти вопросы были специально обсуждены в нижненазванных работах автора:

1. Вопросы социально-политической истории Грузии XI—XV вв., Тб., 1980 (рез. на русском яз.), 15,45 п. л.

2. «Дарбази» в Грузии XI—XII вв., Мацне, серия истории, № 4, 1976, (рез. на русском яз.), 1 п. л.

3. О социальной принадлежности мандатуртухуцеса и амирспасалара Кубасара, Сообщения АН ГССР, т. 85, № 1, 1977 (рез. на русском и английском яз.), 0,25 п. л.

4. О выступлении группы Кутлу-Арслана, Мацне, серия истории, № 4, 1977 (рез. на русском яз.), 1 п. л.

5. Микель Мирианиძэ и политический кризис 1184—1191 гг. в Грузии, Саисторио кребули, т. VII, Тб., 1977 (рез. на русском яз.), 1 п. л.

6. Распад единой монархии и проблема периодизации истории средневековой Грузии, Мацне, серия истории, № 2, 1978, (рез. на русском яз.), 1 п. л.

7. К датировке «Распорядка государева двора», Миатоби, № 7, 1980, 0,25 п. л.

## გ ი ნ ა ტ ა ტ ი

შესავალი	3
თავი I. სამეცნ ხელმუფლება	6
თავი II. მმართველობის ცენტრალური აძარატი	13
1. ცენტრალური მმართველობის ორგანიზაციები. სასახლის პერსონალი	13
2. სასახლის დაწესებულებანი. ერთგრივი სტრუქტურა საწილო-სალარო საქურეჭებე საფინანსო-ზარალნანა საგამოცემო სამრავალო საღინიერებელი	31
3. ცენტრალური მმართველობის უმაღლესი მოხელეები მწიფონამართულებული-კულტურული მანდატურულებული არისტიკასალარი. ათაბაგი მეცნიერებულებული მსახურობულებული	58
4. „წესი სახლისა საყელმწიფოს“ სახელმწიფო საბჭო („ერთიანობა“) სასახლის ცენტრალი	122
თავი III. მმართველობის აღგილობრივი აძარატი	152
1. საერთო და ერთოვენი ერთოვენის ხელისუფლება საერთო სტრუქტურა „მონიპირე“ ერთოვენი	152
2. სამეცნ დომენის აღგილობრივი მმართველობა	190
3. საქართველო სირთული დასკენები	203
Центральное и местное управление Грузии в XI—XIII вв. (Резюме)	228
	229



Илья Павлович Антелава

ЦЕНТРАЛЬНОЕ И МЕСТНОЕ УПРАВЛЕНИЕ ГРУЗИИ  
В XI—XIII ВВ.

(на грузинском языке)

დაიბეჭდია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სამუდაშვილ-საგამომცემლო სამცოს ღალაზენილებით

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი თ. სოსილაძე  
ისტ. მეცნ. კანდიდატი გ. აფხასიძე  
ИБ 2333

\*

გამომიცემლობის რედაქტორი ს. ხანგალაძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნიკური ტ. ქამუშაძე  
მხატვარი გ. ხმალაძე  
კორექტორი ნ. ვაჩაძე

გადაეცა წარმოებას 1.12.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.3.1983;  
ჟალილის ზომა 60×90/1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბაზი 14.5;  
საალბურე-საგამომცემლო თაბაზი 13.1;

უ. 00757; ტირაჟი 3600; შეკვეთა № 3926;  
ფასი 1 მან. 70 ქაპ.

---

გამომიცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კიბრიშვის ქ., 19  
Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კიბრიშვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

